

ქვირის პალიტრა



„მინდა ქეთინოს  
ვუთხრა:  
ნიუ-იორკიდან  
დაბრუნდეს...“

N40(173) 2/X.-8/X.2003. ფასი 60 თ.

1168  
2003

# სიხარბე

## სენი, როგორც არ იკურნება?!

მოგზაურის დღიურები — ვიდეოს „ვეფხისტყაოსანი“ ოქანის გარეშე



მეკა ასათიანს  
სიყვარული  
არ უმართლებს?!



სასიძო —  
რამ უეიძლება  
დაუბრუნდეს ნიკა  
ლალიაშვილს თვალები

# ჩვენ გარდაუდებელია?!

კოვან მხედრიანშვილი

პროგრამის ანკერები

<b>მინიატურა</b>	
პოლიტიკური ნათელმხილველობა ანუ ყავის ნალექი	
ანწყობილი სახელმწიფო	3
<b>ანიმონა-დაინონა</b>	
„მე იმ პარტიას მივხედა ხმას, რომელიც უწეს ქარს არ ატანს...“	4
<b>ერთი კითხვა</b>	5
<b>საპატარალო</b>	
„პარტი შვილი მყავს... სწავლობს ასპირანტურაში... ვისი, კალიან უყვარხარ...“	7
<b>სანიშნო</b>	
ქულების კოლექციონერი ნიკა ლალიაშვილს თვალი იმაზე ბაუბრის, რაც ბამონდწვევია...	8
<b>მარჩიელი</b>	
„მე მხოლოდ მისი წარსულისა და მომავლის დანახვა შემიძლია“	10
<b>ეკრანი</b>	
ბოეთე და პირველი ქართული ეროტიკული მულტფილმი	12
<b>კრიმინალი</b>	
● 71 წლის მოხუცი, მგობრის ბაუბატიურების მსაფორმის და მკვლელობისთვის დააკავეს	14
● შვილმა მამაზე შური იძია	15
<b>სადაც არის პატი შენი...</b>	
„იპონელები რბალი თუ ბავსდებოდი, ვერ წარმოვიდგინდი...“	18
<b>საზღვრებს მიღმა</b>	
სორბონის ბამონდები, პარიზული „პატარა ნიუ-იორკი“ და ლევილელი ქართველები	20
<b>თემა</b>	
სიხარბით დანგრეული ოჯახები	22
<b>მამაკაცური ოინები</b>	
რატომ უყვარს ამირან ბუაქის ლობიო და არ უყვარს „კა-ბა-ბე“?!	25
<b>ანტიდეპრესანტი</b>	
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოგა ღვალის უბის წიგნაკიდან	26
<b>გზავნილები</b>	
„გვის“ საშუალებით მინდა ხელი ბთხოვო“	28
<b>ტუსტი</b>	
ერთგული მკითხველი	29
<b>ხსოვრება</b>	
„მეუღლის წინაშე აღიარებულმა სიგარტლემ ვერ ჩამოხსნა ტვირთი...“	30

# სიხარბით დანგრეული ოჯახები



ხარბი ადამიანი უამრავ პრობლემას უქმნის, როგორც საკუთარ თავს, ასევე გარშემომყოფებსაც. სიხარბე მანკიერებაა, რომლის დაძლევა მხოლოდ დიდი მონღომებისა და ძალისხმევის შედეგად შესაძლებელია. სამწუხაროდ, სიხარბე მოგჯერ, მოსიყვარულე ცოლ-ქმრის გაყრის მიზეზიც ხდება.

22

# მსახიობ ამირან ბუაქის მამაკაცური ოინები

უცებ მოვიდა ოფიცინტი, მოიგონა ერთი ცალი ვარდი. იმ ღამამ ქალს გამოუგზავნია. მერე მოვიდა და – შენთან უნდა ვიცეკვო, – მეუბნება. ქაჯი ხომ არ ვიყავი?! – გაყევი საცეკვაოდ. არადა, თურმე ერთ-ერთი მამაკაცი, მისი ქმარი იყო, მეორე – ქმრის მეგობარი, ორივე – უშიშროების თანამშრომელი.



25

# პროკურატურის ინფორმაციით, მან რძლის გაუპატიურებან სწადა



„ქალი ხმას ვეღარ იღებდა, მხოლოდ ქმინავდა. მისი მიშველი ფეხების დანახვაზე ვიფიქრე, რომ მასთან სექსუალურ კავშირს დავამყარებდი...“ – ასეთი ჩვენება მისცა ყვარლის რაიონში მცხოვრებმა გიორგი კუპაგაძემ ადგილობრივ პოლიციას. გიორგი კუპაგაძემ 71 წლის გახლავთ.

14

# „მუხრუჭს დავაჭირე ფეხი და ორჯერ ამოგბრიალდი...“

საცობების ღროს, ცოგას ვნერფიულობ, მაგრამ ყველაზე რთული, თბილისში მანქანის მართვა იცი, როდის არის? მაშინ, როდესაც მაგრად ცხელა: ალბათ გვინი „უღუღებათ“ და ყველა რაღაცნაირად დაბნეული დადის. აი, ამ ღროს, ძალიან ვლიზიანდები.



32

<b>ქალი საქისტან</b>	
„მუხრუჟს ღვაჭირე ფეხი და ორჯერ ამოვბრიალდით...“	32
<b>ტაპარი</b>	
რა არის მებანია?	34
<b>საუნჯე</b>	
„წირვა-ლოცვა მხოლოდ მგინ ამინდში ტარდება...“	35
<b>ფავორიტები</b>	
● რივალდომ მილანური კარიერა ღაასრულა	37
● ოლივერ კანბა ცხოვრებისეული ორიენტირები ღაკარბა	38
<b>გადასაღებ მოვლენა</b>	40
<b>რომანი</b>	
რუსულან ბერიძე. ღაგვიანებული რეისი მოსკოვი-თბილისი (ბაბრქელაბა)	42
<b>პარაკველი</b>	
კოლინ ფარელმა მამის როლს, ბისექსუალის როლი ამჯობინა	46
<b>ავტო</b>	48
<b>შოუბიზნესი</b>	49
<b>მოგზაურის ღლიურები</b>	
„ბოსტონის ჩაის სმიღან“, პარკარლის უნივერსიტეტამღე...	50
<b>პრემიერა</b>	
„არის ასეთი ქვეყანა“ ...	53
<b>საკითხავი ქალუგისათვის</b>	54
<b>ჯანმრთელობა</b>	
● უარი უთხარით ცღუნებას	56
● ახალი ავტომობილის სურნელი	57
● ატიპური რუბა	57
● სხვაღასხვა	58
<b>სხენება და ქულუარები</b>	59
<b>კოროსკოვი</b>	
კვირის (6-12 ოქტომბერი) ასტროლოგიური პროგნოზი	60
<b>სქანვორდი</b>	61
<b>იუმორი</b>	62
<b>ტესტი</b>	
როგორია თქვენი შესაფარისი იღეალური მამაკაცი?	63
<b>ქალეიღოსკოვი</b>	
ჩრეღ-ჩრეღი ამბები	64

**გარეკანა:** გიორგი შორქოღიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლიტიკური შურნალი „გზა“  
გამოღის კვირაში მრთხვლ. სუთუგაბათობით  
გაზეთი „კვირის პალიტრის“ ღამატება  
შურნალი ხელმღღვენეღბს თავისუფალი პრესის პრინციპებით.  
რეღაქეის აზრი შესაღღლა არ ემთხვეღღეს მასაღის ავტოღის აზრს.  
მთავარი რეღაქეღორი: ზურაბ აბაშიძე  
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვიღი  
მისამართი: თბიღისი, აკურის ქ. №8  
ტეღე: 33-50-32 email: gza@kvispalitra.com  
შურნალი იბეღღეღა გამომღღეღღობა „კოლორში“

## „მე იმ პარტიას მივხედა ხეას, როგელიც ფულს ძარს არ აბანს“ ...



მაღიმიანებს საგეღეღეღით რე-  
კლამები. გამყრეღიღე იმის გამო  
ავითეღღღუნე, რომ სიმშეღიღე ღამირ-  
ღღია. როცა გაფაციცებით ვუყურე-  
ღი სერიღლს – „ემეაკუნას“, ღამბ-  
ულ სიგუაციღში ეკრანზე გამყრეღ-  
იღე გამომგებოღღა... ახღა ნინო ბურ-  
ჯანაღის რეკლამა მაღიმიანებს...

4

## „ბოსტონის ჩაის სმიღან“, პარკარლის უნივერსიტეტამღე...

ახღა მე პარვარღის უნივერ-  
სიგეტს ვუახლოვებოღღი... ჯერ  
ისეღ ბოსტონში ვიყავი.

პირვეღი, რამაც გამაოცა, ის  
იყო, რომ ქაღაქის ქუჩებში გრო-  
ღეღბუსი ღავინახე.



50

## კოლინ ფარელმა მამის როლს, ბისექსუალის როლი ამჯობინა



ვისზე აღარ ამბობღენ, მისი საყ-  
ვარეღი იყოღ – ქეღთ ბექინსეიღი,  
ღეღი მური, ბრიგნი სპირსიცი კი...  
მის უხამს რეგუგაციღამე სრუღიღღ  
უცხო აღამიანები ფულსაც კი აკეთე-  
ბენ. ამას წინათ, ამერიკაში გაყიღღა-  
ში გამოჩნღღა მისურები წარწერი-  
იღ: „მე ვიწექი კოლინ ფარეღღთან,  
სამაღეღროღ, მივიღე მისური“.

46

## ღავკიანენეღღი რეღისი მოსეივი-თიღღისი


– რას აკეთებ? – მიღისღან თვა-  
ღეღი გაუფართოვღა ღეღას. – რა  
გინღა ჩემგან?

გიგოღღას მისთვის პასუხი არ  
გაუციღ. ხეღღეღი ერთმანეთზე გღღა-  
უჯვარეღინა და გორმერის საღღ-  
ნი ისე გამეგებით ღაახვიღ, რომ ღეღას  
კინაღამ პარღღეღბში სისხღი გაუწ-  
ერღღა.



42


# ჰოლივუდური ნათელმხილველობა ანუ ყავის ნატეხზე ანუილი სხელმწიფი



ამბობენ, ყავას ორი უნიკალური თვისება აქვს: პირველი ის, რომ ადამიანს არ აძინებს და მეორე – ნათელმხილველობა. პირველის ნაკლებად მჯერა: ყავა რომ ადამიანს არ აძინებდეს, ბრაზილიელებს ლოგინი საერთოდ არ ექნებოდათ. თუმცა, რად უნდათ ლოგინი? მაგი რისთვისაცაა საჭირო, იმას ფეხზეც კარგად ახერხებენ, „ლაშხადის“ ცეკვასთან ერთად...

აი, ყავის მეორე თვისებას – ნათელმხილველობას ყველა აღიარებს. სხვათა შორის, აღმოვაჩინე, რომ ამ ნიჭით ჩემი „პროვოკატორული აღმატებულება“ ყოფილა დაჯილდოებული. უფრო მეტიც – არა მარტო ყავის ნალექში ან კარტსა და დომინოში, არამედ სხვადასხვა კერძის თევშებშიც ვხედავ კონკრეტული პირების მომავალს და იქ ჩვენი პოლიტიკოსების სახეებიც ჩნდება ხოლმე ხშირად.

ვიცი, დღეს ანალოგიურ მომსახურებას გაზეთებითა და ტელეეთერის მორბენალი სტრიქონებითაც უხვად გვთავაზობენ და თვალისა თუ ჯაღოს მოხსნას, მომავლის თუ წარსულის გამოკეთებას, საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებასაც კი გვპირდებიან; რიგებიც უდგათ სახლებთან და ფულსაც კარგად „დუნავენ“. მაგრამ მე მზად ვარ, უანგაროდ, მხოლოდ ამ მასალის ჰონორარის საფასურადაც მოგაწოდოთ საჭირო ინფორმაცია იმაზე, თუ რა იყო წარსულში თქვენი წარუმატებლობის მიზეზი და რა გვლით მომავალში.



ამას წინათ, დომინო ვითამაშე და დავეკეთე – ანუ „რიბა“ გავაკეთე და ქვების განლაგებით მივხვდი, რომ ეს „რიბა“, რაც ქართულად ჩვენი თავდაცვის მინისტრის გვარის ფუძეა, მის მომავალს მიჩვენებდა: „სტავკა“, „პუსტა-პუსტა“ იყო – ანუ ჩვენი უბადლო სამხედრო სტრატეგის კარიერის დასაწყისი; მერე „იაქები“, „დუები“ და ფანჯი სე“ მოჰყვებოდა და „დუბუმი“ ოცს იწერდა – ესეც დღევანდელი პოსტი; მისი მომავალი კი, ბაზარში ნაყიდმა „დუშაშმა“ შეცვალა, მეც რომ გავაშაშე და დავეკეცე. ე.ი. მალე იგი ნატოს ჯარების სარდლად დაინიშნება და ისე ჩაკეტავს მისი სამშობლოს საზღვრებს, რომ იქიდან ვერც ერთი გრანტი ვეღარ შემოაღწევს საქართველოში... ამის მერე დავიწყე ნათელმხილველობა და შევატყვე, რომ ეს ნიჭი „პანმელაზე“ პიკს აღწევს. იმ დღესაც, სახაშეში ლუდი გავხსენი და ქაფი მაგ-იდაზე გადმოიღვარა: დედა!.. ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა?! ქაფის ბუშტუკებში ისეთი ფაბრიკა-ქარხნები დავინახე, რომ მივხვდი – მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს. მაგრამ ეს ბუშტულები ისე მალე გასკდა, რომ არა მგონია, ჩვენს ძელუღე-პოლიტიკოსს ვინმემ გვეგების განხორციელება დააცადოს...

მერე ხაში მივირთვი და თითქმის ცარიელ თევშში რომ დავხედე, ჩვენი პრიმა-ლიებორისტიც დავინახე. ირგვლივ მიმოფანტული ნივრის ნამცეცები ცხადყოფდა, რომ წინა არჩევნები ჩამწარეს და პარლამენტში ვერმოხვედრა გაუჩალიჩეს. სამაგიეროდ, ახლა ისე ოქროსავით ბუღვინავდა ცხიმის წვეთი მის

თავზე, რომ აუცილებლად გაუმართლებს. ან კი, რა ხაში და ცხიმი უნდა?! – მისი პარტიის საარჩევნო სიაში ერთი მსახიობის მოხვედრაც ხომ გვარწმუნებს, რომ „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“!..

დღევანდელი ფსევდონათელმხილველები ლობიოს მარცვლებზეც მკითხაობენ, მაგრამ გარწმუნებთ – ლობიო არაფრით არ გიჩვენებთ ვინმეს მომავალს, თუ კარგად ამოლესილი არაა და ზეთში მოთუშული ხახვი და მწვანელი არ ურევია. განსაკუთრებით, ბათუმის ლობიოს რომ ეძახიან, ისაა მისწრება და მის მარცვალთან ხახვის ღეროსა და ოხრახუშის ფოთლის განლაგებით მიხვდებით, რომ ბათუმურ ბლოკს არჩევნებში მშვენიერი მომავალი აქვს...

„ნაციონალებისა“ და „დემოკრატების“ შესახებ მხოლოდ მას შემდეგ მიიღებთ ამომწურავ ინფორმაციას, თუ მამალი ინდაურის საცივის მიირთმევთ და თევშს დააკვირდებით: გატარებული ნივრის ნამცეცები „ნაციონალებზე“ მეტყველებს, დარჩინის ლაქები – „დემოკრატების“ ყვითელი ფერია. ჰოდა, ცხადია, რომ ეს ორი პარტია ერთად ისე გრძნობს თავს – **как в своей тарелке.**

ხოლო თუ მარჯვენა ხელის ცერა თითს თევშის შუაგულში ჩადებთ და 180 გრადუსით წალმა მოაბრუნებს – ე.ი.

„გულს გაუხსნით“ – იმ ქალბატონს დაინახავთ (გვარს არ დავასახელებ), რომლისთვისაც პარლამენტში მოსვლა არაა ოცნებათა მწვერვალი და მომავალი წარმატებების დასათვლელად კიდევ ბევრი საცივის ჭამას გვპირდება...

დაბოლოს – რაც შეეხება სახელისუფლებო ბლოკის მომავალს, – რა კერძი არ მოვსინჯე, ყავაც დავლიე, კარტიც გავშალე და ლოტო-დომინოც ვითამაშე, მაგრამ მისი მომავალი ვერსად გავარკვიე. ბოლოს, განვლილი ნაყოფიერი შრომა გამასხენდა. რაც მისმა წარჩინებულებმა გასწიეს და „დანაყული წყალი“ დავლიე. ნუ გიკვირთ – წყალს ხომ იმდენი ნალექი მოჰყვება, რომ ყავასაც არ ჩამორჩება...

ისე კი, მთლად ჩემს მენიუს ნუ დაეყრდნობით, ბატონებო! თუ გინდათ, რომ ხალხმა აგირჩიოთ, ცოტა თავიც და ხელიც გაანძირეთ და მე ჭამას არ დაგამადლით.

რაც შეეხება ჯაღოსა და ავგაროების მოხსნას, ერთ რჩევასაც მოგცემთ: ეკლესიაში მიბრძანდით!..

P.S. მკითხავთან გოჭი მივიდა და ყავაც დალია.

მკითხავი: – ბოლოკი გიყვარს?

გოჭი: – რატომ მეკითხები?

მკითხავი: – ახალი წლის ღამეს, ბოლოკი გიჩანს პირში...

**პროპოკატორი**

### ლელა ჭანკოტაძე

პოლიტიკური პარტიები თავიანთი რეიტინგის აწევას ძვირად ღირებული, სარეკლამო კლიპების საშუალებით ცდილობენ. მოედნები გაივსო ბილბორდებით, ქუჩები აჭრელდა პლაკატებით. მრავალფეროვანია წინასაარჩევნო სარეკლამო ატრიბუტიკა, მაგრამ საინტერესოა, როგორ მოქმედებს პოლიტიკური რეკლამა — პარტიის სასარგებლოდ თუ საზიანოდ? კიდევ უფრო საინტერესოა, თუ რა სახეობის პოლიტიკური რეკლამა მოქმედებს დადებითად — კლიპი, ბილბორდი, პლაკატი, აქცია თუ შეხვედრა ამომრჩეველთან? პოლიტიკოსების, პოლიტოლოგების, ფსიქოლოგებისა და რიგითი ამომრჩევლების აზრი, ამ საკითხებთან დაკავშირებით რადიკალურად განსხვავებულია.

### ლელა ჭანკოტაძე

სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი:

— მდიდარ ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიათა რეკლამების სიმრავლე გამართლებულია. მინახავს ევროპის ქალაქები, წინასაარჩევნოდ სარეკლამო ფოტოებით აჭრელდებოდა. იქ ამას მოსახლეობა ირონიულად უყურებს და არ ღიზიანდება. ჩვენში კი, ხალხს ეს აღიზიანებს, რისი დასტურიცაა „ახალი მემარჯვენეების“ რეიტინგის მკვეთრი დაცემა. ამიტომაც იმართლა თავი ფიქრია ჩიხრაძემ: „რუსთავი-2“-ზე რეკლამები ადრე — მაშინ დაუკვეთეთ, როცა იაფი ღირდაო. ეს ტყუილია. ყველამ იცის, თუ რა ღირს ერთი სარეკლამო წუთი, „ახლების“ რეკლამა კი,



## „მე იმ პარტიას მივხამხამას, რომელიც ფულს მარს არ აბანს“...

„რუსთავი-2“-ზე ზოგჯერ დღეში 15-17-ჯერ გადიოდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ტელეარხებზე... რეკლამის დამკვეთებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რა ქვეყანაში ცხოვრობენ. „ბურჯანაძე-დემოკრატიების“ რეკლამა თვითოეულ ტელეარხზე დღეში 7-10-ჯერ გადის. ასეთ დროს, მშვიდი ადამიანი, ბუნებრივია, ხდება ისეთი, როგორზეც მდიდარი ამბობს: ინტრიგანიაო. მშვიერს უჩნდება სამართლიანი კითხვები: საიდან ამდენი ფული?! რატომ იხარჯება სოლიდური თანხა არაფრის მომტან სატელევიზიო რეკლამებში?

— მაგრამ წინასაარჩევნო რეკლამა ხომ აუცილებელია?

— არსებობს „უფასო რეკლამა“. ბოლნისის ინციდენტით ხელისუფლებამ მიხეილ სააკაშვილს ისეთი რეკლამირება გაუწია, რასაც 2 მილიონ დოლარადაც ვერ გააკეთებდა ვერც ერთი ტელეარხი... როცა სააკაშვილი ლევან მამალაძესთან სასაუბროდ პირდაპირ ეთერში არ დაჯდა, ამითიც უდიდესი რეკლამა გაიკეთა... ასე რომ, რეკლამას ჭკუა უნდა და მოფიქრება. მართო ფული, საკმარისი არ არის.

### ზურაბ ძაფინიაძე:

— არც ერთი რეკლამა არ არის მომგებიანი, რადგან პოლიტიკოსებმა არ იციან ყველაზე მთავარი რამ: ხალხთან მისვლა და გულახდილი საუბარია საუკეთესო რეკლამა. გლეხთან რომ მიხვალ და ეტყვი, რას გაუკეთებ, ფეხზე რომ წამოდგეს და წელში გაიმართოს — ეს არის მომგებიანი რეკლამა. ნინო ბურჯანაძის მაგალითზე გეტყვით: ნინოს დახლოებით მილიონი პლაკატი გააკრეს ქალაქში. ირგვლივ ყვე-

ლაფერი ბურჯანაძის სარეკლამო პლაკატებით აჭრელდა. ამდენი სურათის გაკვრა არ დასჭირდებოდა, ის სიყვარული რომ შეენარჩუნებინა, რომელიც მის მიმართ გვექონდა, როცა გვეგონა, რომ ის ჩვენ ყველას გაგავერთიანებდა. ახლა, მის ფოტოებს საღებავებს ასხამენ; ზოგზე ყური აქვს მოხეული, ზოგზე — ცხვირი. გული მტკივა, ამას რომ ვხედავ... ძალიან მიყვარს „ახალი მემარჯვენეები“, მაგრამ მათმა სარეკლამო კლიპმაც გამაღიზიანა. კარგი ხალხია და ცუდი კლიპი აქვთ, თანაც — ძალიან ხშირად ატრიბულებენ, უკვე პირიქით მოქმედებს — რეკლამა ანტირეკლამა გახდა.

### ირაკლი ხატიავაძი:

— ყველანაირი რეკლამა კარგად მოქმედებს, თუ ის ჭკვიანურად არის გაკეთებული, ამიტომ ვერ გეტყვით, სატელევიზიო კლიპი უფრო მომგებიანია თუ ბილბორდი. უამრავი რეკლამა ტრიალებს სხვადასხვა ტელეარხზე. არც ერთი არ მომწონს, რადგან ყველას ერთი დიდი ნაკლი აქვს: დამაჯერებლობა აკლია. ამასთან, ეს სარეკლამო რგოლები ეფექტური არ არის, პირადად ჩემზე, ვერანაირ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. რეკლამის დანიშნულება კი ის არის, რომ ალტაცება გამოიწვიოს. არ მინდა დაეკონკრეტდე, მაგრამ ერთი რამ უნდა გითხრა: ზოგი პარტიის სატელევიზიო რეკლამა იმდენად ცუდად არის გაკეთებული, რომ შეუძლებელია, მასა არ გაღიზიანდეს.

### ლია ჭილაშვილი, ფსიქოლოგი:

— სარეკლამო დროის სიჭარბემ შესაძლოა, ფსიქიკის გადატვირთვა გამოიწვიოს. როცა ერთი და იგივე რამ ხშირად და დიდი ხნის მანძილზე მეორდება, ეს ფსიქიკაზე ძალიან ცუდად მოქმედებს. სარეკლამო ბლოკი მხოლოდ 2-3 რეკლამისგან უნდა შედგებოდეს, ხოლო პოლიტიკური რეკლამა დღეში 2-3-ჯერ უნდა გადიოდეს, რადგან ხალხი ყველაზე მეტად სწორედ პოლიტიკური რეკლამით ღიზიანდება. გასათვალისწინებელია ისიც, თუ როგორი ხარისხისაა სარეკლამო კლიპი. მაგალითად: ნინო ბურჯანაძე სარეკლამო კლიპში ძალიან ამბიციური ჩანს, თვითონ კლიპს სიყალბის ელფერიც დაჰკრავს; ლეიბორისტების კლიპში იმდენი გოდება და ტირილია, რომ საშინელი სანახავია, ასევე დათმრგუნეველია ხმა, რომელიც კლიპის ჩვენების დროს ისმის... სამწუხაროდ, ნებისმიერი პოლიტიკური კლიპის ნახვისას, ვგრძნობ, რომ ფსიქოლოგებს ამ კლიპებზე არ უმუშავიათ. კლიპი მომგებიანია მაშინ, როცა მასში ხაზგასმულია მთავარი, რის გამოც ამ პარტიას ან მის ლიდერს პატივს სცემენ. ძალზე დიდი სიფრთხილით უნდა გაკეთდეს სატელევიზიო რეკლამა, რადგან ის ყველაზე უკეთ მუშაობს. თუმცა, გარკვეულ როლს ბილ-



ბორდებიც ასრულებს. ტელევიზორი სხვა არსზე შეიძლება გადართო ან, უშუქობის გამო, ტელერეკლამა ვერ ნახო. ბილბორდსაც შეიძლება აარიდო თავი, მაგრამ ის მეხსიერებაში მაინც აღიბეჭდება – ეს ბილბორდის ერთადერთი პლუსია.

**ზუზა (ზაზა კორინთელი), მუსიკოსი:**

– პარტიის სასარგებლოდ მოქმედებს მხოლოდ გაკეთებული საქმე და არა სარეკლამო რგოლი. როგორი კარგი კლიპიც არ უნდა ვნახო, ათასჯერ ნაკლებად მომეწონება, ვიდრე თუნდაც უმნიშვნელო საქმე, რომელიც ხალხის საკეთილდღეოდ გაკეთდა.

**– თუ დაგამახსოვრდა რომელიმე წინასაარჩევნო რეკლამა?**

– ასეთი რეკლამის მიმართ ინდიფერენტული ვარ. სამაგიეროდ, მასსოვს მასმედით გამოუქებული, ამა თუ იმ პარტიის ნებისმიერი კარგი წამოწყება. ამ რამდენიმე წლის წინ, „დემოკრატებმა“ (ზურაბ ჟვანია) გლდანში ხეები დარგეს, ლამაზი სკვერი გააშენეს, მოხოვეს: ბავშვებისთვის საქანელებს ვაკეთებთ და მხარი დაგვიჭირეო, სიამოვნებით დავთანხმდი, მათ გვერდით დავდექი და უამრავი იქ მისული ბავშვი ჩემი მუსიკით გაგანალისე. ასეთ კარგ საქმეს მივესალმები, თორემ, უაზრო რეკლამები ზოგჯერ, მალიზიანებს კიდევრაც შეეხება იმ დროს, როცა ტელევიზიით პარტიების სარეკლამო კლიპები გადის – ის დროც დაკარგული მგონია და ფულიც, რომელიც კლიპების გადაღებასა და გამშვებას ხმარდება. რაც მხოლოდ სექტემბერში, სხვადასხვა ტელეარხს პოლიტიკურმა პარტიებმა თანხა გადაუხადეს, ჩვენი ქალაქის ბევრ უბანს გაალამაზებდა, უამრავ მშენებელ ადამიანს შვებით ამოასუნთქებდა. სამწუხაროა, როცა პარტიები საქმეს ვერ აკეთებენ და თავიანთი უსაქმურობის დაფარვას ძვირად ღირებული სარეკლამო კლიპებით ცდილობენ. ასეთი რეკლამები პარტიების რეიტინგზე დადებითად არ მოქმედებს, პირიქით – ხალხს აღიზიანებს.

**ია გოგაჯიშვილი, თბილისის №5 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე:**

– მე ვფიქრობ, რომ პარტიის რეიტინგზე დადებითად მოქმედებს ბილბორდი. ბილბორდები ქალაქს ხიბლს მატებს. დანაგვიანებულ და უსიცოცხლო ქუჩებში, დიდ დაფებზე გაღიმებული ადამიანების ფოტოების ხილვა დადებით განწყობას მიქმნის. სატელევიზიო რეკლამებს არ ვუყურებ. არ მომწონს, როცა პოლიტიკური ლიდერები უამრავ დაპირებას ვგაძლევენ, მაშინ, როცა ვიცით, რომ ამ დაპირებებიდან მხოლოდ ორ-სამ პროცენტს შეასრულებენ.

**ირაკლი ნამორაძე, თსუ-ის სტუდენტი:**

– მე სატელევიზიო რეკლამებს არ ვუყურებ, მიჩვენია, პოლიტიკოსები სხვადასხვა საინფორმაციო გადაცემით შევაფასო: მიმაჩნია, რომ როცა წამყვანი მათ ესაუბრება, ან როცა ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის დებატები იმართება, ხალხი ამ დროს სვდება, თუ ვის მხარეზეა სიმაართლე. დებატებში თავის დაცვა და ღირსეულად წარმოჩენა ყველაზე დიდი რეკლამაა, თორემ, კლიპებში პოლიტიკოსები ისევე არიან შენიღბულები, როგორც უვარგისი კანფეტი საუცხოო ქალაქში...

**ლელია ფირანოვილი, დიასახლისი:**

– მალიზიანებს სატელევიზიო რეკლამები, გამყრელიძე იმის გამო ავითვალწუნებ, რომ სიმშვიდე დამირღვია. როცა გაფაციცებით ვუყურებდი სერიალს – „ემმაკუნას“, დაძაბულ სიტუაციაში ვერანზე გამყრელიძე გამოხტებოდა... ახლა ნინო ბურჯანაძის რეკლამა მალიზიანებს. ჩემმა შვილებმა ამ რეკლამაში მათთვის საკმაოდ რთული ტექსტიც კი შეპირად ისწავლეს... მე იმ პარტიას მივცემ ხმას, რომელიც ფულს ქარს არ ატანს და პოლიტიკურ რეკლამებს ხშირად არ უშვებს. როცა ტელევიზორი ვუყურებთ, მაშინ მაინც ნუ გაუშვებენ ასეთ რეკლამებს, მაშინ მაინც ნუღარ შეგვახსენებენ, მატყუარა პოლიტიკოსები რომ გვყავს. ახალი მეძარჯვენეების ლიდერის ინტერვიუში ასეთი ფრაზა აღმოვაჩინე: არ არის დასაფიცო, რომ მდიდარი პარტია ვართო. ამ მდიდარმა პარტიამ ფულის გამოყენება არ იცის... სასაცილოა მათი 900-დღიანი ზღაპარი, რადგან დაუსრულებელი რეკლამებით დაგვანახვეს, რომ ჩვენ, ღარიბები, მდიდრებს ვერასდროს გავუგებთ, ისევე როგორც ღარიბებს ვერ გავგივებენ მდიდრები.



**„რა ნიშნით უნდა მივხედოთ, რომელი პარლამენტარია გასარჩობი და რომელი – არა?“**

– 2 ნოემბერს რეფერენდუმშიც უნდა ჩატარდეს და მოსახლეობამ უნდა გამოხატოს საკუთარი პოზიცია, მხარს უჭერს თუ არა პარლამენტართა რაოდენობის 150-მდე შემცირებას. ოურისტთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ რეფერენდუმის შედეგი ქვეყანაში ვერ ამოქმედდება. მეორე — სანინაალმდეგოს ამტკიცებს. იქნებ, გაგვარკვიოთ რეფერენდუმის საკითხთან დაკავშირებით შექმნილ გაუგებრობაში?

**დავით აპსაძე, ახალგაზრდა ოურისტთა ასოციაცია:**

– თვითონ სარეფერენდუმი კითხვაში ჩადებულ იდეას ვეძნობი, მაგრამ მიმაჩნია, რომ პარლამენტართა რაოდენობის შემცირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება რეფერენდუმის მეშვეობით გაუმართლებელია. შედეგის მიუხედავად, რეფერენდუმი საზოგადოებაში სერიოზულ გაუგებრობას წარმოშობს. თუ მოსახლეობა 2 ნოემბერს, 235-კაციან პარლამენტთან ერთად, ხმას მისცემს დეპუტატთა რაოდენობის შემცირებას, შემდეგ რა ნიშნით უნდა მივხედოთ, რომელი პარლამენტარია საკანონმდებლო ორგანოდან გასარიცხი და რომელი — არა?!

**ნანა აბაბაძე, რეფერენდუმის ინიციატორი, არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისათვის“ — თავმჯდომარე:**

– ოურისტების აზრით, რეფერენდუმის შედეგი ქვეყანაში ვერ ამოქმედდება, რადგან კანონმდებლობაში სერიოზული შეუსაბამობები არსებობს. ასე რომ არ ყოფილიყო, პრეზიდენტი ამ რეფერენდუმს არ დანიშნავდა... სახელისუფლებო და ოპოზიციური პარტიები პარლამენტში საკუთარი გავლენის შენარჩუნებით არიან დაინტერესებულნი და ამის გამო ბლოკავენ რეფერენდუმის შესახებ სათანადო პროპაგანდას. რეფერენდუმში მოსახლეობის მიერ გამოხატული პოზიციის შემდეგ, საკანონმდებლო ორგანო ვაღდებულოა, ერთი თვის განმავლობაში დააკანონოს შესაბამისი შესწორებები, რაც საზოგადოების ვერდიქტის განხორციელების საფუძველს შექმნის.

# სახელისუფლებო ბლოკის ინიციატივა და ოპოზიციის თვალსაზრისი

სახელისუფლებო ბლოკის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან მამალაძემ პოლიტიკურ ძალებს მოუწოდა, შეიმუშაონ ზომები, რომელიც საარჩევნო კამპანიის ნორმალურ ვითარებაში ჩატარების პირობებს უზრუნველყოფს. რას ფიქრობენ ამის შესახებ თავად ინიციატორი, ერთ-ერთი მისი ოპონენტი და პოლიტოლოგი?

## ლევან მამალაძე:

– ის რაც ბოლნისში მოხდა, არც პირველი შემთხვევა იყო და სამწუხაროდ,



არც უკანასკნელი იქნება. ამის გამო ჩვენს მოქალაქებს საერთოდ ეკარებათ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი. ამ დღეებში, უამრავ ადამიანს შეგვხვდა. სწორედ მათგან წამოვიდა ინიციატივა, რომ გვერდზე გადაგვედო ყველანაირი დაპირისპირება და მოსალაპარაკებლად დაემსხდარიყავით. ბოლოს და ბოლოს, ყველანი ერთად შეიკრიბეთ და შეთანხმდით, რომ არჩევნები მშვიდობიან გარემოში ჩატარდეს, – ასეთი იყო მათი მოთხოვნა. ასე რომ, ამ ინიციატივის ავტორი მე კი არა, თვითონ ხალხია... კი, ბატონო – იყოს დიალოგი, დებატები, პროგრამების წარდგენა, პოლიტიკური ექსპერტიზისა და დაპირისპირების ნაცვლად და ამის შემდეგ, თვითონ ამომრჩეველმა

გადაწყვიტოს, თუ ვის დაუჭერს მხარს და ვის – არა. ყველა პოლიტიკურმა ძალამ უნდა იკისროს ვალდებულება, საკუთარი წვლილი შეიტანოს არჩევნების მშვიდობიანად ჩატარებაში. ეს საზოგადოების მოთხოვნაა და უნდა შევასრულოთ! მზად ვარ, ნებისმიერ მწვავე საკითხზე ვესაუბრო ოპონენტებს. იმედი მაქვს, რომ ამისთვის მზად არის მთელი პოლიტიკური სპექტრი, თითო-ორი პოლიტიკოსის გარდა...


## ვიქტორია ჩინაბაძე, „ახალი მეგრ-ჯვენები“:

– წინასწარჩევნო პერიოდი და მოსახლეობას ხშირად ვხვდებით. რაიონებში ისეთ წინააღმდეგობებს წაეწყდით, წარმოდგენაკი გაევიწივრებათ... თბილისში, მაგალითად, სამგორის რაიონის სხვადასხვა დაწესებულებაში, იბარებენ თანამშრომლებს (ვთქვათ, მასწავლებლებს) და წინასწარ მოითხოვენ მათგან, დაწერონ განცხადება სამსახურიდან წასვლის შესახებ, თუ სახელისუფლებო ბლოკის კანდიდატებს არ მისცემენ ხმას. ასეთი რაღაცები ყოველ ნაბიჯზე გვხვდება. ზოგიერთ რაიონში კი, პირდაპირ აცხადებენ, რომ გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელსაც მხარს უჭერს პოლიცია, სამთავრობო დაცვა და უშიშროების სამსახური. ამის შესახებ ყველა ღიად საუბრობს... ეჭვი მეპარება, რომ ხელისუფლება მის ხელთ არსებულ ბერკეტებს არ გამოიყენებს. ასეთ პირობებში კი, რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამ დიალოგს? რა შეთანხმებაზეა საუბარი?! გამოდის,



## რამაზ საყვარელიძე, პოლიტოლოგი:

– ასეთი ინიციატივა ხელისუფლების მხრიდან ბოლნისში მომხდარი ინციდენტის შემდეგ წამოვიდა. მინდა ვთხრა, რომ ძალადობას არანაირი გამართლება არა აქვს. ნებისმიერმა პარტიამ თუ პოლიტიკოსმა პრობლემები სასამართლოში უნდა გადაწყვიტოს და არა ქუჩაში მუშტი-კრივით. ეს არც ერთი პოლიტიკოსისთვის არ არის მომგებიანი. ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა კი, ჩემი აზრით, სწორედ ხალხს აკისრია. 2 ნოემბერს ამომრჩეველმა თავისი არჩევანი უნდა დასავსოს ის, ვინც დასასჯელია. დიალოგი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი და შედეგიანი, თუ პოლიტიკური ძალები მიხვდებიან, რომ მათი ამჟამინდელი განწყობილება და პოზიცია ძალზე წამგებიანია...



# „უხსრობითი ქვეყნების საელჩოებს პოლიტიკური თავესაფრის თხოვნით მივმართავთ“

– უკვე ერთი კვირაა, რაც სახელმწიფო კანცელარიასთან შიმშილობთ და აცხადებთ, რომ თუ საჭირო გახდება, უცხოეთის საელჩოებს პოლიტიკური თავესაფრის თხოვნითაც მიმართავთ. რა არის ამის მიზეზი?

## ზაზა სინარულიძე, საქართველოს ინვალიდთა, ვეტერანთა და დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციის „ინვალიდთა ასამბლეის“ აღმას-

რულებელი კოორდინატორი:  
– ჩვენი მოთხოვნები სოციალური ხასიათისაა. მთავარი მოთხოვნა კი ის არის, რომ ამოქმედდეს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი, სახელმწიფო და საერთაშორისო სტრუქტურების მეთვალყურეობით. ეს მუხლი ითვალისწინებს ინვალიდებისთვის ეკონომიკურ მხარდაჭერას, მათი სამეწარმეო სტრუქტურების, გადასახადებ-

ისგან გათავისუფლებას, სესხების გაცემას, მიზნობრივი სუბსიდების გამოყოფას და ა.შ. ამის თაობაზე პრეზიდენტს მიმართავთ გავეუზღუნეთ, მაგრამ ჩვენს მოთხოვნებს ხელისუფლების მხრიდან ჯერჯერობით, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. თუ გულგრილობა მისი მხრიდან კვლავ გაგრძელდება, უცხოეთის ქვეყნების საელჩოებს პოლიტიკური თავესაფრის თხოვნით მივმართავთ, სხვა გზა აღარ დავკრჩენია.



# „ჩაჩი შვილი მყავს... სწავლობს ასპირანტურაში... შიში, კაციან მყვარსაჩ...“

მკითხველს შევახსენებ, რომ ნინა ნომრის „საპატარძლო“, ტელეფურნალისტი ნინო კურატაშვილი გახლდათ. შეუძლებელია მის ინტერვიუზე მოსული ყველა გამოხმაურება ჟურნალის ერთმა გვერდმა დაიტოს. ამიტომ, ყველაზე საინტერესოს ამოვარჩევ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დანარჩენი გზავნილები და ტელეფონის ნომრები ადრესატამდე არ მივა — უკლებლივ ყველა თავყვანისმცემლის დანაბარებსა და მონაცემს ნინოს გადაცემით, მასაც ფართო არჩევანის საშუალება მიეცემა.

## მარი ჯაფარიძე

„არც მწყემსი ვარ და არც მთაში ვცხოვრობ, მაგრამ ძალიან მინდა, ვთქვა: ხო გადმოვრეკე, აი!“

„ნინოს ძალიან ლამაზი თვალები და კეთილშობილი გარეგნობა აქვს, უსაზღვროდ დადებითი აურა. ჩემი სიმპათიები მას...“

„ნინო, თქვენი კოლეგა, იტატო გეხმაურებათ. გეთაყვანებით. ჩემი აპოლიტიკურობის მიუხედავად, სიამოვნებით ვუყურებ „მოამბეს“. თქვენი კლიპი კი, კასეტაზე მაქვს ჩაწერილი. მიხარია, რომ არსებობთ. გაიხარეთ...“

„ვარ 25 წლის. მქვია ოთარი, ვცხოვრობ ბათუმში. ძალიან მიყვარს ნინო და ამის თქმის არ მეშინია. მზად ვარ, მისი გულისთვის ფეხით ჩამოვიდე თბილისში და მუხლმოდრეკილმა ხელი ვთხოვო. არ მოვაკლებ სითბოსა და სიყვარულს. ვარ 175 სმ სიმაღლის, ზოდი-აქოთი ღრიანკალი. გატაცებული ვარ ბოდიბილდინგითა და ტურიზმით.“


„ჩემი ოცნება გქვია სახელად, მუდამ თან დამდეგს შენი სახება, გიცინის სახე, პირთ გცვივა ვარდი, ჩემი ნატვრა ხარ და ჩემი დარდი“.

„ო-ო, ნინო, ნინო!“

მე და ნინო ერთმანეთს კარგად ვიცნობთ და ერთმანეთის ტელეფონის ნომრებიც ვიცით. ის ძალიან კარგი ადამიანია და ათასჯერ უფრო მეტ ბედნიერებას იმსახურებს, ვიდრე დღეს აქვს. რომ მოინდომოს, მე მას კალიფორნიაში წავიყვან...“

„ნინო, მეტად ჰაეროვანი და სასიამოვნო ქალი ხარ. შენი თვალები იმდენად მეტყველია, როდესაც მათში ვიხედავ, ვიცი, რაზეც ფიქრობ. მიყვარხარ. მიცანი?“

„რამდენიმე დღის წინ, მე და ნინო „ბიგ-ბენში“ ერთად შევედით და ერთად გამოვედით. ვერ ვუთხარი, ტელეფონის ნომერი მოეცა. ზუსტად ისეთი „მერსედესით“ ვიყავი, როგორცაც თვითონ. მისი



მანქანა ჩემ წინ იდგა. ნინო, გახსოვარ? დამირეკე... მამუკა“.

ნინოს სახელზე მოსული გზავნილების ავტორებს შორის, დათო იაშვილიც გახლავთ. — კლიპის „მეცხვარის“ მოგვარ-მოსახელე. აი, რას სწერს ის ჩვენს „საპატარძლოს“:

„მინდა, ჩემი სიმპათია გამოვხატო თქვენი რესპონდენტის მიმართ. ალბათ ასაკი რომ არ მიშლიდეს ხელს, მას ჩემს სიყვარულს შევთავაზებდი. დათო იაშვილი“.

„ჩემო ნინო, მე „სასიძოების“ რიგში არ ვდგები — მამად შეგეფერები; უბრალოდ, მინდა, ჩემი სიყვარული და სიმპათია გამ-

ოვხატო. გულში სითბო მეღვრება ხოლმე, როდესაც ეკრანზე შენს სახეს ვხედავ და შენი „ჟღერტული“ მესმის. მთელ ოჯახს გვიყვარხარ. სანდრო“.

„მე მქვია ბადრი. ვარ 41 წლის. ექიმი-კარდიოლოგი. ამჟამად ვცხოვრობ დელასთან ერთად. არ ვსვამ და არ ვეწევი. ნინოს სიამოვნებით გავიცნობდი. დღით, მამით, წარმოშობითა და ხასიათით გურული ვარ. მე და ზაზა შენგელიამ ერთი სკოლა დავამთავრეთ, „არტეკშიც“ ერთად ვისვენებდით. ვფიქრობ, ზაზას უნდა ვახსოვდე. ამიტომ, ნინოს შეუძლია, თავის უფროსს ჰკითხოვს ჩემ შესახებ. მოკლედ, ცდა ბედის მონახევრეა და მეც ვცდი...“

ბოლოს, გამოხმაურებები, რომელიც გოგონებმა, ქალბატონებმა, „სამულებმა“ და „სადედათილოებმა“ გამოგ ზავენს:

„ძალიან მიყვარს ნინო. მისი რეკლამაც. მინდა, ისეთი მამაკაცი იპოვოს, რომელიც მართლაც, ბედნიერ ქალად აქცევს. ნინი“.

„38 წლის ძმა მყავს. მაგრამ ევასება ნინო. განსაკუთრებით, მისი თვალები. ძალიან სიმპათიური ძმა მყავს. მარი, ვთხოვ, დამეხმარო, რომ ისინი ერთმანეთს შევახვედრო. გპირდებით, კარგ მულობას გაუწევ“.

„მამაკაცი რომ ვიყო, ყველაფერს ვიღონებდი, რომ ნინო ჩემი ყოფილიყო. უზომოდ მომწონს. მინდა, ვუსურვო ბედნიერება და ნამდვილი სიყვარული. ნანა“.

„ნინო, შვილო, მინდა ჩემი შვილი გაგაცნო. როგორ მოვახერხო? კარგი შვილი მყავს, 32 წლის. მუშაობს, სწავლობს ასპირანტურაში, მოსკოვში. ახლა მალე ჩამოვა. ვიცი, ძალიან უყვარხარ.“

აი, ასეთი საინტერესო გამოხმაურებები მიიღო ნინო კურატაშვილმა. დანარჩენს, როგორც უკვე აღვნიშნე, პირადად მოვახსენებ...

**სამეჯლისო სპორტული ცეკვების სტუდია "გრანდია"**

30 წევრს გაუმზავს 5-15 წლამდე უფროსებს 15-დან 35 წლამდე მსპანური, ვეროპული და ლათინური-ამერიკული ცეკვების შესასწავლად.

**ველსი, ბანგო, სამბა, სალსა მამბო, რუმბა, როკინ-როლი**

მისამართი: დიმიტრი უხანაძის 59 (მთიანი ქაპოსი)

23-ე საშუალო სკოლის 33-2 საბითუმო საპატო ღარბაზი.

ტელ.: 61 73 18, 93 13 45, 64 46 60, მობ. 899 55 16 09

**კურსდამთავრებულები მიიღებენ უმსაბამის დიპლომს**



# ქუდახის კოლეჯიონერი ნიკა ლალიაშვილს თვალი იმაზე გაუჩხინს, რას გამოიხვეწია...

## მარი ჭაჭარიძე

როდესაც რესპონდენტს ინტერვიუსთვის ვუთხანებდები, თითოეული „სასიძო“ თუ „საპატარძლო“ აღნიშნავს ხოლმე: უკლებლივ ყველა ინტერვიუ მაქვს წაკითხული, რომელიც ამ რუბრიკით დაიბეჭდა, მაგრამ მეც თუ მოვხვდებოდი ამ ამბულუსში, არ მეგონაო... უცნაურია, რატომ? „მაჭანკლის“ გამოცდილ თვალს არც ერთი დასაქორწინებელი არ გამოეპარება. ამიტომ, ადრე თუ გვიან, ყველას „კარზე“ მივაკაკუნებ. თანაც, გამოგიტყდებით, რომ ხშირად, ეშმაკობას მივმართავ — ტელეფონით, წინასწარ კი არ ვუშხელ, თუ რომელი რუბრიკისთვის უნდა ჩავინერო, არამედ უშუალოდ ინტერვიუმდე ვუხსნი ხოლმე კარტს, რათა წინა რესპონდენტების პასუხებს არ გადახედოს და „შპარგალკად“ არ გამოიყენოს... მოკლედ, ხუმრობა იქით იყოს და დღეს, ფრიად სერიოზული „სასიძო“ გვყავს — საქართველოს უშიშროების სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი, ბატონი ნიკა ლალიაშვილი. ნიკამ აღიარა — როგორი ინტერვიუ არ მიმიცია, პანკისსა თუ კოდორში მომხდარი ამბების, სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების კომენტარი გამიკეთებია, მაგრამ ასე „კედელთან მიყენებული“ მაინც არა-

სოდეს ვყოფილვარო... თუმცა ვფიქრობ, მშვენივრად გაართვა თავი ჩემს კითხვებს და საკმაოდ საინტერესო საუბარიც გამოგვივიდა.

— ჩვენი ტრადიციული კითხვა — ზოდიქოს რომელ ნიშანს მიეკუთვნებით?

— მშვილდოსანი ვასლავართ. საერთოდ, ასტროლოგიას ყურადღებას არ ვაქცევ. რამდენჯერაც დავინტერესდი, სხვადასხვა გამოცემასა თუ ინტერნეტში, ერთსა და იმავე ზოდიქოს ნიშანზე, აბსოლუტურად განსხვავებული რამ ეწერა. სწორედ ამიტომ არ ვენდობი ამ პროგნოზებს.

— ამჟამად ვისთან ერთად ცხოვრობთ?

— ჩემი ოჯახის შემადგენლობა ასეთია: ბებია, ძმა, მამა და მამაჩემის მეუღლე...

— ეი. დედა არა გყავთ?

— დიას. 9 წლის ვიყავი, როდესაც დედა გარდამტკვალა.

— როგორი ურთიერთობა გაქვთ დედინაცვალთან?

— ძალიან კარგი ქალია და მშვენივრად ვუკებთ ერთმანეთს. ჩემი ძმა მისი და მამაჩემის შვილია.

— თავად როგორი ხართ ოჯახში?

— სამსახურში იმდენად დაკავებული ვარ, რომ შინ ყოფნა იშვიათად მიწევს. მაშინაც რომ ვიბუზუნო და ცუდ ხასიათზე ვიყო, რა გამოვა?! სწორედ ამიტომ, ძალზე ჩვეულებრივი ვარ. ყოველ შემთხ-

ვევაში, ასატანი.

— ხელქვეითებთან როგორ იქცევით ხოლმე?

— ვფიქრობ, თბილი ადამიანი ვარ და ყველასთან კარგი დამოკიდებულება მაქვს...

— მაგრამ... როდესაც ბრაზდებით?

— როდესაც ვბრაზდები, ვცდილობ, ვიყო კორექტული. მაქსიმალურად ვცდილობ, არავის მივაყენო შეურაცხყოფა და პირადი ღირსება არ შევუღასო. არ ვყვირი, არ ვჩხუბობ, ვცდილობ, ჩამოვყალიბო მიზეზი, რამაც ჩემი გაბრაზება გამოიწვია, მაგრამ ჩემი საუბრის შინაარსი და ინტონაცია უფრო მომთხოვნი ხდება ხოლმე...

— რამდენი წლის ხართ?

— 29-ის.

— ყველაზე მეტად ვინ გსაყვედურობთ ხოლმე, კენტად რომ ხართ?

— აბსოლუტურად ყველა — მეგობრები, ოჯახის წევრები და თვით ჩემი მინისტრიც კი...

— დაოჯახებას ახლო მომავალში არ აპირებთ?

— აუცილებლად. უკვე დროა, ოჯახი შევქმნა და ვფიქრობ, სულ მალე, საქმე სასაყვედუროდ აღარ მექნება.

— იცვლებით თუ არა, როცა ვინმე გიყვართ?

— არა მგონია. ალბათ ისეთივე ვრჩები, როგორც საერთოდ ვარ, მაგრამ ცუდი არც მაშინ ვარ, როცა შეყვარებული არა ვარ...

— გიყვართ, როცა ვინმე გფურეებათ?

— გააჩნია, ვინ...

— მაშინ, ასე შეგიბრუნებთ კითხვას: ვისი მოფერება გსიამოვნებთ?

— იმ ადამიანის, ვის მიმართაც გრძნობა და თბილი დამოკიდებულება მაქვს...

— როგორი სიმთვრალე გაქვთ?

— გააჩნია, რა წრეში ვარ, როდესაც ვსვამ. თუ ოფიციალურ პირებთან ერთად ვარ, მაშინ ძალზე თავშეკავებულად ვიქცევი; თუ მეგობრებთან ერთად ვქეიფობ, ამ შემთხვევაში, გაცილებით თავისუფლად ვგრძნობ თავს და კარგად ვილხენ ხოლმე, ვმღერი და ვცეკვავ... — გამოდის, რომ ვოკალური მონაცემებიც გქონიათ...

— ისე, რა... როგორც ყველა ქართველს, მეც მეხერხება სუფრასთან სიმღერა...

— მოდით, აღგვიწერეთ ქალის ტიპი, რომელიც მოგწონთ...

— უფრო, კლასიკური ტიპის ქალები მოძწონს, ღამაზები, ჭკვიანები, მოძინებულელები. არ მოძწონს ე.წ. ემანსიპირებული ქალები.

— ყველასათვის ცნობილ, პოპულარულ ადამიანს ცოლად თუ შეირთავდი?

— საერთოდ, პოპულარობას დიდი დრო და ენერჯია მიაქვს. მირჩევენია, ჩემმა მეუღლემ თავისი დრო და ენერჯია ოჯახს მოახმაროს...

— საუბრისას თქვით, რომ მეთისმეტად დაკავებული ხართ. როგორ ფიქრობთ — მეუღლისგან ამის გამო საყვედურების მოსმენა არ მოგიწევთ?

— ვფიქრობ, ჩემი მომავალი მეუღლე წინასწარ უნდა შეეველოს იმას, რომ შინ ძალიან ცოტა ხნით მომიწევს ყოფნა...

— ოჯახში დაგვიანებით მისვლისთვის კომპენსაციად რას შესთავაზებთ? ყვავილებს?

— ეგ თქვენი საქმე არ არის; ჩემი საქმეა და მე თავად მივხედავ (იცინის)...

— იქნებ, თქვენი „მზითვი“ ჩამოთვალათ?

— ჩემი „მზითვი“ ქონებრივ ლეკლარაციაში შეგიძლიათ ნახოთ. ეს არის... არაფერი...

— ჰობი თუ გაქვთ?

— დიას, მოგზაურობა ჩემი ჰობი და ძალიან ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ასევე ვაგროვებ სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალურ ქულებს. ამჟამად, ჩემს კოლექციაში ორმოცდასამი ქუღია. მათ შორის ალვინ-შნავდი მატადორის ქუღა, ასევე — ალბანურ და ავღანურ ქუღებს.

— ეროტიკულ სიზმრებს თუ ნახულობთ ხოლმე?

— გარდატეხის პერიოდში, ხშირად მინახავს ეროტიკული სიზმარი, მაგრამ ამ ბოლო დროს, ასეთი რამ რაღაც არ მახსენდება...

— საბაზანოში ყოფნისას, ლილინი თუ გიყვართ?

— საბაზანო ოთახს მართლაც, კარგი აკუსტიკა აქვს, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთ პროცედურებს, მოუცლელიობის გამო, ძალზე სწრაფად ვიტარებ ხოლმე და ლილინისთვის დრო არ მრჩება. სამაგიეროდ, თუ კარგ გუნებაზე ვარ, მაშინ, ნებისმიერ დროს ვლილინებ...

— სადილის მომზადება თუ გეზერსებათ?

— არა, სამზარეულო საქმეს ვერ ვაკეთებ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ

მარტო ყოფნის დროს, მშვიდი დავრჩები — რაღაცას მაინც მოვახერხებ...

— პროფესიით ვინ ხართ?

— თავდაპირველად, ტექნიკურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი; სამი წელი ვისწავლე იქ, შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე გადავედი და ფოლკლორის განხრით დავამთავრე...

— ასეთ, რადიკალურად განსხვავებულ არჩევანს ხშირად აკეთებთ ხოლმე?

— არა, მხოლოდ ერთხელ გადავდგი ასეთი ნაბიჯი და ისიც გაგიძნელიეთ.

— ჯიუტი ადამიანი ხართ?

— უფრო — პრინციპული. თუ ვგრძნობ, რომ ეს პრინციპულობა სიჯოუტეში გადადის, დათმობაზე მივდივარ ხოლმე...

— როგორ გრძნობთ ზღვარს პრინციპულობასა და სიჯიუტეს შორის?

— რა ვიცი... შინაგანად ვგრძნობ, მაგრამ სიტყვებით ვერ გადმოცემთ. თუ მართალი არა ვარ, ამას ვგრძნობ, შეხედულებას ვიცვლი და შემიძლია, ბოღიმიც მოვიხადო...

— ვის აზრს ენდობით?


— მეგობრების. ყოველთვის ვენდობ ჩემი მეგობრების აზრს და არასოდეს წამივია ამის გამო...

— ადვილად შეგიძლიათ, გაუმხილოთ ქალს თქვენი გრძნობა?

— არა, ყოველთვის მიჭირდა გოგონასთვის იმის თქმა, რომ მიყვარდა. მასსოვს, ერთხელ, აბსოლუტურად შეუფერებელ სიტუაციაში, ერთ გოგონას ჩაჭურჩულე — მე — კი; შენ-მეთქი? — მეცო, — მიპასუხა და სიხარულით ცას ვეწიე; ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ მეგულებოდა...

— ენატიკტიკა გოგონები თუ მოგწონთ?

— კი, მოძწონს. მაგრამ ჩემი, წყნარი გოგონებიც მნიშვნავს...



გარდატეხის პერიოდში, ხშირად მინახავს ეროტიკული სიზმარი

— დაფუშვით, ქალმა მოგიტაცათ. რას იზამთ?

— თავყანისმცემლები მანამდე უფრო მყავდა, ვიდრე ულვამს „დავიყენებდი“... გააჩნია, ვინ მომიტაცებს: თუ არ მომეწონება, აუცილებლად გამოვექცევი, თუ კარგი გოგონაა — დავრჩები და ეგ იქნება...


— უცნობი ქალი პირველ რიგში, რით მიიპყრობს თქვენს ყურადღებას? მაღალი, მოხდენილი ფეხებით თუ...

— ო-ო-ო, ეგ კარგად აღნიშნეთ... ფეხების სიგრძეს ნამდვილად დიდი მნიშვნელობა აქვს... ხომ იცით — თვალი იმაზე გარბის, რაც გამოძვევია... სიტუაციასაც გააჩნია: შესაძლოა, ერთმა გამოხედვამ ან შესტმა დავიბრმავოს თვალი...

იმედია, გაიცანით ნიკა ლალიაშვილი. გსურთ, მისი ვულის მოგება? დამირეკეთ: 8(77)45.68.61

★ ★ ★ ★ ★

**ჩემი ქმარი გენოსია: მას აბსოლუტურად ყველაფერი ხელენიფება — ყველაფერი, ფულის კეთების გარდა.**



**ალბერტ აინშტაინის მეუღლე გენიალური**

დანამდვილებით ვერ გეტყვით, თუ ვისი ბედი უფრო აინტერესებთ უფრო მეტად ჩვენს მკითხველებს — პოლიტიკოსების, მომღერლებისა თუ კინო ან ტელეფარსკვლავების — მაგრამ ერთი რამ უდავოა: ცნობილი ადამიანების მომავალთან დაკავშირებით, ნატაშა სკოროხოდოვას მიერ გამოთქმული გაბედული „პროგნოზები“ აშკარად გაცხოველებულ ინტერესს იწვევს. ხშირად კი, კანდიდატურებსაც გვთავაზობენ. მათ შორის, ვისი „ხვალეც“ განსაკუთრებით აინტერესებს მკითხველ საზოგადოებას, რუბრიკის დღევანდელი პერსონაჟებიც არიან.

ლელა ჭანკოტაძე



# "მე მხოლოდ მისი წარსულისა და მომავლის დანახვა შემიძლია"

## „გოგი თოფაძე საოცრად ხელმომჭირნე ადამიანია“

– მის სახეზე ყოველთვის ტკივილია. იმ სურათებზეც კი, რომელშიც იცინის, სევდა და ტკივილი მაინც ჩანს. ეს შვილის დაღუპვით გამოწვეული, წარუშლელი სევდაა... საერთოდ, მგონია, რომ მხიარული მამაკაცების რიგს არ განეკუთვნება.

### – ხელგაშლილი თუა?

– არა, როგორც ყველა ბიზნესმენი, ისიც ხელმომჭირნეა. იცის, ფული როდის უნდა გადაიხადოს და რაში. ზედმეტად არ დახარჯავს. შეიღმკვლარი მამაა, ამიტომ მიჭირს ვთქვა – ილბლიანია-მეთქი, – მაგრამ ნამდვილად უმართლებს, ბედი წყალობს. ფული დაებედა, ამიტომ ფულის პრობლემა

მისთვის უცხოა. ასე იყო მაშინაც, სანამ ბიზნესს მოჰკიდებდა ხელს. საქმეში ძალიან მკაცრია, იმაზე უფრო მკაცრი, ვიდრე შეიძლება წარმოიდგინოთ. შეცდომების პატიება მისი ამბლუა არ არის...

### – ფულიან კაცს ალბათ ქალებიც არ აკლია, არა?

– მის სიახლოვეს ახალგაზრდა გოგონებსაც კი ვხედავ. ქალების სიმრავლე ალბათ ნებისმიერი ფულიანი მამაკაცის ხვედრია. ის ძირითადად საქმიტაა დაკავებული, თავისუფალი დრო იშვიათად აქვს. ოპტიმისტია, მაგრამ სენტიმენტალური ადამიანის თვალები აქვს. საოცრად უყვარს სისუფთავე და წესრიგი. ახლო მომავალში, სანერვიულო შეხვედბა. დიდი ხიფათი არ ელოდება.

### – მისი ბიზნესი კვლავაც წარმატებით განვითარდება?

– ყოველ შემთხვევაში, თოფაძეებს უზრუნველი ცხოვრების საშუალება ნამდვილად ექნებათ...

## „მაკა ასათიანს დიდი სიყვარული ელოდება, რომელიც ყველაფერს დაავინყებს“

– ძალიან ლამაზი, მაგრამ სევდიანი ქალია. უიღბლოცაა. თუ ვინმეს გულით შეიყვარებს, აუცილებლად დაკარგავს. სიყვარულში არ უმართლებს. თითქოს გათვალულია... შემძლია ვითხრათ, რომ გულში არავის ახედებს. გულჩათხრობილია. შეკითხვებს თავს არიდებს. ცდილობს, ყველაზე ახლობელ ადამიანებთანაც არ იყოს

გულახდილი. ხშირად ნერვიულობს. მისთვის ცრემლის ღვრაც არ არის უცხო. სამწუხაროდ, ცხოვრებამ ბევრი ცული სიურპრიზი მოუშხადა, მაგრამ მომავალი უფრო უკეთესი ექნება, მშვიდიც და სტაბილურიც.

### – მისი საქმიანობა წარმატებული იქნება?

– როგორც კი მისი ვაჟიშვილი წამოიზრდება, ისინი საცხოვრებლად სხვა ქვეყანაში წავლენ, რამდენიმე წელი აქ აღარ დაბრუნდებიან. მის შვილს დიდი მომავალი აქვს. ძალიან იღბლიანია, ბიზნესმენადა დაბადებული, მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთელობასაც დააბირებს.

### – მაკა აღარ გათხოვდება?



— არა. ბოლომდე მარტონელა დედად დარჩება. მის გვერდით, ცხოვრების თანამგზავრს ვერ ვხედავ.

**ჭორები?**

— ჭორები მის ირგვლივ სულ იქნება: ლამაზი და ცნობილი ქალია, ამიტომ მასზე ყოველთვის იჭორავებენ. ჭორების უმეტესობა, ტყუილი იქნება...

**ბუნებით როგორია?**

— მიმნდობი. ცხოვრებამ არ გააბოროტა. ახლომყოფებს ენდობა. ვერ ცხოვრების ვარდისფერი სათვალე არ მოუხსნია.

**სიყვარული?**

— ძალიან დიდი სიყვარული ელოდება. ისეთი დიდი სიყვარული, რომელიც ყველაფერს დაავიწყებს. რამდენიმე წლის შემდეგ, ეს ხანმოკლე სიყვარული მას უბედნიერეს ქალად აქცევს.

**„ნიკო გომელაური ბევრ ქვეყანას მოივლის, ბევრ ქილდოს მიიღებს“**

— არც კი ვიცი, რა უნდა გითხრათ. ვუყურებ ნიკოს სურათს, ვცდილობ, მის აურაში შევიჭრა, რადგან მისი თვალები არაფრის მოქმედი, თვალებში არაფერი ჩანს — თითქოს ორი ფერადი რგოლია და მეტი არაფერი. ასეთი თვალები შეიძლება, პოეტებს აქვთ, რადგან მსახიობებთან მქონია ურთიერთობა და მსგავსი რამ არ შემიძინა.

**გინდათ თქვით, რომ ნიკო განსაკუთრებულია?**

— სულაც არა. ტიპური ქართველი მამაკაცია, კონსერვატორი, სიფხიზლეში — აზიატი, სიმთვრალეში კი — ავი.

**რას ნიშნავს „სიმთვრალეში ავი“?**

— მოჩხუბარია. ცუდი სიმთვრალე აქვს. ეს მისი ნაკლია.

**გული როგორი აქვს?**

— სუფთა.

**ბუნებით როგორია?**

— მშინარა. მამაკაცების იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელიც ცდილობს, გვერდით ისეთი ქალი ჰყავდეთ, ვისაც დაეცდნობიან. ალბათ ეს არის იმის მიზეზი, რომ „პატარა“ ქალებს ზედაც არ უყურებს — „პატარა“ ქალებში იმ გოგონებს ვგულისხმობ, მამაკაცს თვალებში რომ შესცივინებენ და ვერ წარმოუდგენიათ, სამყაროში სხვა კაცებიც თუ არსებობენ... ამიტომ, რამდენჯერაც არ უნდა სცადოს ასეთ გოგონებთან რომანის გაბმა, მარცხი გარანტირებული ექნება.

**ნიკო ცოლიანია?**

— მის პირველ ცოლსაც ვხედავ და მეორესაც. ეს ორი ქალი ერთმანეთისგან ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.



**მეორე ქორწინება ილბლიანი იქნება?**

— ნიკო მეორე ცოლს ბევრჯერ გაეძევება, მაგრამ დაუბრუნდება. მათი კავშირი მყარია. ნიკო თავს ყველაზე უკეთ მასთან გრძნობს და ასე იქნება ყოველთვის. სხვა რა გითხრათ? — ორი შვილი ჰყავს; ათი წლის შემდეგ, მესამეც ეყოლება. მისგან შვილს მსახიობი გააჩნის. ეს ფაქტი ნიკოს ოჯახში განხეთქილების მიზეზი არ გახდება.

**ბედნიერია?**

— არ ვიცი, ის რას ეძახის ბედნიერებას... თვალები სუფთა აქვს, გულიც, სამსახურში უმართლებს, სიყვარულშიც გაუმართლებდა, სასიყვარულო თავგადასავლებს რომ ეძებდეს. ბევრ ქალს უყვარს. ზოგს იმიტომ, რომ ნიჭიერია, ზოგს — ტემპერამენტური მამაკაცი ჰგონია.

**სინამდვილეში, ასე არ არის?**

— არ ვიცი. ეს ჩემი საქმე არ არის. მე მხოლოდ მისი წარსულისა და მომავლის დანახვა შემიძლია. უცხოეთში ვხედავ — ბევრ ქვეყანას მოივლის, ბევრ ჯილდოს მიიღებს. იმაზე უფრო პოპულარული გახდება, ვიდრე ახლაა. ცოლს ძალიან უყვარს. ყველაფერს აპატიებს და ყველა სურვილს უსრულებს. ნიკოს მზეს ფიცულობს. კაცს მეტი რა უნდა ბედნიერებისთვის?!

**„ბასას უცხოელთან ხანმოკლე რომანი ელოდება“**

— ბასა ფოცხიშვილის ოცნება „ოსკარია“, მაგრამ ის ამ ჯილდოს ვერასდროს მიიღებს. თუმცა, აღიარება და წარმატება მომავალში არ მოაკლდება. მისი ნიჭი ყოველთვის სათანადოდ ფასდებოდა. ის არ განეკუთვნება ადამიანთა იმ რიგს, რომელსაც სათანადოდ არ აფასებენ. ბასას ბავშვობიდან, თავისი განსაკუთრებული ადგილი ეკავა. ასე იქნება მომავალშიც. ის ბევრ ჯილდოს მიიღებს. იმედი ექნება, რომ „ოსკარსაც“ შესწვდება, მაგრამ ეს იმედი გაუცრუდება. „ოსკარს“ ქართველი მართლა აიღებს, მაგრამ ეს ბასა არ იქნება.

**გი. ბასა ილბლიანია?**

— საკმაოდ. მას ბედი წყალობს. ეს მხოლოდ მის შემოქმედებაზე, მის საქმიანობაზე ითქმის. პირად ცხოვრებაზე იმავს

ვერ ვიტყვი. არ უმართლებს. სიყვარულში თანაგრძნობას ამაოდ ეძებს — არადა, მდინარესავითაა: თუ აღიდა, ყველაფერს წალეკავს... ბასას ვნებებიც წყალმარჩხი მდინარესავითაა და წვიმიან ამინდებს ელოდება... ის სიყვარულისთვისაა დაბადებული. მის სახეზე საოცარი სიყვარულის „ნიშა“ ჩანს. შეუძლია, მამაკაცისთვის ბევრი რამ გააკეთოს, ბოლომდე დაინარჯოს და თავიც კი გაწიროს. შეუძლებელია, მისი გრძნობები უპასუხოდ დარჩეს...

**როგორ, გულის სწორს ვერ იპოვის?**

— იპოვის, მაგრამ რამდენიმე იმედგაცრუება ელოდება. სიყვარულში ახლაც ხელმოცარულია, ამიტომაც ცდილობს, დრო საქმიანობით მოკლას, ბევრი იმუშაოს და დროის უმეტესი ნაწილი, სხვებზე ზრუნვაში გაატაროს. ძალიან ორიგინალურია, უცნაურად იცვამს. ბუნებითაც ასეთივე უცნაურია.

**მისი ბედი ვინ არის?**

— როგორც არ უნდა გაოცდეთ — მისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანი, რომელსაც მთელი ცხოვრება კლასიკური სტილის კოსტიუმში ექნება გატარებული. ბასა მას თავს შეაფარებს. მათზე ძალიან ბევრს იჭორავებენ, მაგრამ მათი ქორწინება მაინც ილბლიანი აღმოჩნდება. ისინი სიცოცხლის ბოლომდე ერთად იქნებიან... ვერჯერობით, ბასას უცხოელთან ხანმოკლე რომანი ელოდება. შესაძლებელია, ბასამ ამ უცხოელით ყველა გააოცოს.

**საზღვარგარეთაც ხომ არ გადავა საცხოვრებლად?**

— არა, არავითარ შემთხვევაში. ბასა ბოლომდე აქ რჩება. მისი ფესვები აქ არის, ის თავის ფესვებს არ მოსწყდება. მართალია, ერთი შეხედვით უცხოელს ჰგავს, მაგრამ ბუნებით ნამდვილი ქართველია.



### „ინგა გრიგოლია მთელ ყურადღებას ხარიერაზე გადაიტანს...“

— ნამდვილად ისეთი ძლიერია ინგა გრიგოლია, როგორც ვერანზე ჩანს?

— არა. მისი თვალები მეუბნება, რომ ის მარტოსულია. ძალიან სუსტი, უმწეო და დაუცველი ქალია. ხშირად ტირის. უიღბლოცაა. პირად ცხოვრებაში არ უმართლებს. ბევრი იმედგაცრუება ჰქონია... ახლაც შეყვარებულია. ძალიან უყვარს მამაკაცი, რომელიც მისი ღირსი არ არის. ის ინგაზე დაბლა დგას. ეს კაცი მომავალში, მასთან ურთიერთობის განახლებას შეეცდება, მაგრამ მათ საერთო მომავალი არა აქვთ. პირადი ცხოვრება ინგას ახალ დარტყმას უშზადებს, რის შემდეგაც მისი უსიამოვნებები დამთავრდება და მის ცხოვრებაში აღმასვლა დაიწყება.

— რას გულისხმობთ?

— მთელ ყურადღებას ხარიერაზე გადაიტანს — პოლიტიკაში წავა, დეპუტატი გახდება. ძალიან წინ წაიწეოს, იმაზე წინ, ვიდრე ახლა ამის წარმოდგენა შესაძლებელი. მას ხალხი ერთხმად აირჩევს თანამედროებაზე. ამაზე მეტად დაკონკრეტება არ შემიძლია.

— იქნებ, სამტრედიის მაჟორიტარი დეპუტატი გახდეს ან საბურთალოსი?

— გამორიცხული არ არის, რადგან ის ხალხის რჩეული იქნება. პირადი ცხოვრებიდან მიღებულ სიცარიელეს, მიღწეული პროფესიული წარმატებებით შეივსებს.

— ახლო მომავალში ხომ არ გათხოვდება?

— არა — მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი „პაკლონიკი“ ჰყავს. ინგა თავისი სურვილით არ გათხოვდება, რადგან ფრთხილია; ჭკვიანიცაა, ცოტა — ეშმაკიც. კარგი მომავალი ელოდება.



# გულჩინი

## და პირველი ქართული ეროტიკული მულტფილი

თავის დროზე, საბჭოთა მულტიპლიკაცია ამერიკულის შემდეგ, მსოფლიოში ყველაზე პოპულარულად ითვლებოდა. საბჭოთა რესპუბლიკებს შორის კი, როგორც ისტორიის, ისე ხარისხის თვალსაზრისით, მონინავე ამ სფეროში საქართველო გახლდათ. დღეს, ტრადიციებით მდიდარი ქართული მულტსტუდია იშლება, უფრო სწორად — პრაქტიკულად არც მუშაობს. თუმცა დროდადრო ახალი ფილმები მინც იქმნება, მათ შორისაა პირველი ქართული ეროტიკული ანიმაციური სურათი, რომლის რეჟისორი, **შადიმან შაბაძე** 20 ანიმაციური ფილმის შემქმნელია. დაჯილდოებულია სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის პრიზითა თუ დიპლომით.

### ელენე ხირსელი

— ბატონო შადიმან, ბოლო წლებში, ეროტიკამ ქართულ კინოშიც დაიმკვიდრა ადგილი, მაგრამ ეროტიკა ანიმაციაში, ჩვენთვის ჯერ კიდევ უცხო ხლია...

— ფილმზე მუშაობა თითქმის დასრულებულია. დაგერჩა მხოლოდ განმოკანება. ის ჯერჯერობით ჩაწერილია კომპიუტერულ დისკეტებზე. რაც შეეხება პრეზენტაციას — ალბათ ოქტომბრის ბოლოს გვეჩვენება. ეს იქნება 52-წუთიანი სრულმეტრაჟიანი ფილმი გოეთეს გახმაურებული რომანის — „რაინეკე (წმინდა) მელას“ მიხედვით. ნაწარმოები მთარული ზღაპრებისგან, თქმულებებისა და არაკებისგან შედგება — ბევრი მათგანი ქართულ ფოლკლორშიც გვხვდება. გოეთე ეროტიკის მოყვარული პიროვნება გახლდათ. ძალიან საინტერესო თავგადასავლები

ჰქონდა ქალობტონებთან, ასევე ძალიან უყვარდა სმა და ბანქოს თამაში. ამ ყველაფერმა, რა თქმა უნდა, მის შემოქმედებაზეც მოახდინა გავლენა.

— ალბათ, ბევრი მაყურებელი შემოგედავებათ, რომ რომანში საერთოდ არ არის ეროტიკა...

— ეს მოსალოდნელია, რადგან ჩვენთან ამ ნაწარმოების ორი თარგმანი არსებობს. ჩვენთვის ცნობილია გავრცელებული, ადაპტირებული ვარიანტი, რომელსაც საბჭოთა პერიოდში სტუდენტებს ასწავლიდნენ — გამარტივებული, ფაქტობრივად, საბავშვო ტექსტი, საიდანაც ამოყრილია ეროტიკული მომენტები, მაგრამ არსებობს „რაინეკე მელას“ მეორე — დოსტოევსკის თარგმანი, რომელიც ძალზე მაღალ დონეზეა შესრულებული და თავისი პოეტური ღირსებებით ორიგინალსაც კი თითქმის არ ჩამოუვარდება. თვითონ გოეთე „რაინეკე მელას“ უწოდებს „კაცობრიობის უწმინდურ ბიბლიას“. აქ არის ღალატი, ძალადობა, გაუპატიურება... რომანში არ არიან დადებითი გმირები, აქ არიან სულელები, შეღარებით ჭკვიანები — ეშმაკები და მესამე კატეგორიას განეკუთვნება ყველაზე უფრო ჭკვიანი და ეშმაკი — მელა, რომელიც პირამიდის თავშია. სხვათა შორის, 300 წლის წინ დაწერილი რომანი, ძალზე თანამედროვეა და დღევანდელ ქართულ რეალობასაც საუცხოოდ მიესადაგება.

— ალბათ თქვენი ფილმი მოზრდილთათვისაა განკუთვნილი, არა?

— აქ ისეთი არაფერია, რასაც დღეს ბავშვები არ ნახულობენ გაცილებით შთამბეჭდავ, ნატურალურ ფორმებში... საერთოდ, ჩემი აზრით, ხელოვნების ნიმუში არ შეიძლება იყოს მხოლოდ მოზრდილისთვის ან მხოლოდ ბავშვისთვის — ხელოვნება შეიძლება იყოს კარგი ან ცუდი.

— ეი. შეგიძლიათ თამამად თქვათ, რომ პირველი ქართული ეროტიული ანიმაციური ფილმის ავტორი ბრძანდებით...

— სხვათა შორის, მე გადაღებული მაქვს რამდენიმე ავანგარდისტული ანიმაციური, მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც რუსეთის ტელეეკრანებზე გავიდა. იქ არის ეროტიკული მომენტები, მაგრამ — მხოლოდ ცალკეული მომენტები. ასე რომ, ამ მხრივ პირველობა მაინც „რაინეკე მელას“ ენიჭება.

— სამომავლოდ რას აპირებთ? თუ გაქვთ უკვე ახალი ჩანაფიქრი?

— გვემა ბერია, ფული კი — ცოტა...

— ეი. უსახსრობა ქართული ანიმაციის უმთავრესი პრობლემა?

— რასაკვირველია. ანიმაცია იმავე პრობლემების წინაშე დგას, რაც ნებისმიერი სხვა დარგის განვითარებას აფერხებს — დაწყებული პოლიციით, დამთავრებული სოფლის მეურნეობით. საქართველოში შეუძლებელია ყველაზე იაფფასიანმა ფილმმაც კი ამიილოს თავისი ღირებულება. ამიტომ აუცილებელია, როგორმე გავაღწიოთ საზღვარგარეთის კინობაზარზე, საამისოდ კი, შუამავლად უცხოეთის ფირმა უნდა გვაყვდეს, რომელსაც ჩვეულებრივ, მოგებიდან საკმაოდ დიდი თანხა მიაქვს ხოლმე.

— პირადად თქვენ ამ კრიზისულ პერიოდში დიდხანს მოგინათ უმოქმედობამ?

— აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებას ვარ მიჩვეული. წინათ, ფილმს რომ დავამთავრებდი, მხოლოდ ერთი თვე ვისვენებდი და ამ პერიოდშიც, უკვე ვემზადებოდი შემდეგი ფილმის გადასაღებად. რა თქმა უნდა, ძალიან გამიჭირდა, ჩვეულ რიტმში რომ აღარ ვცხოვრობდი. თუმცა, დიდი ხნით მაინც არასდროს ვყოფილვარ გაჩერებული — იმ რთულ პერიოდშიც ვცდილობდი, საქმე გამომენახა. ჩემთვის ყვე-



ლაზე მტკივნეული ის გარემოებაა, რომ აბსოლუტურად მოვწყვდით უცხოელ კოლეგებს — არადა, ამით შემოქმედი ძალიან ბევრს კარგავს. მრავალი ჩემი კოლეგაც და მეც, როცა მიგვიღია მიწვევა უცხოეთიდან კინოფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად, უსახსრობის გამო, ვერ წავსულვართ. ეს იმიტოცაა ცუდი, რომ ერთხელ არ წახვალ, ორჯერ, მესამედ კი აღარავინ დაგიძახებს... კონტაქტები — მოვლენების ახლებური შეფასების საფუძველს ქმნის, ახალ სულიერ და შემოქმედებით ძალებს გმატებს. წარმოიდგინეთ, წინათ, ფესტივალზე რომ დავდიოდით, დღე-ღამეში ორი საათი თუ გვეძინა — ძილისთვის გვენაებოდა დრო...

— ახალი კადრები თუ მოდიან მულტიპლიკაციაში? არის თუ არა ახალგაზრდების დაინტერესება ამ პროფესიით?

— ინტერესი გაჩნდება მაშინ, როცა იქნე-

ბა სამუშაოს გარანტია. რა აზრი აქვს, ისწავლო ის, რაზეც მოთხოვნილება არ არის?! ამიტომ ახალგაზრდები თითქმის აღარ მოდიან, ძველებიც მიდიან და გვრჩება საკმაოდ უდიდამო სურათით...

— დღეს ჩვენი ეკრანები უცხოური მულტიფილმებით გაივსო. რას ფიქრობთ ამის შესახებ?

— ვერ დავეთანხმები მათ, ვისაც მიაჩნია, რომ უცხოურმა მულტიპლიკაციამ წააგო ჩვენი ტელეეკრანები. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. კარგია და რატომ არ უნდა ნახო?! ტექნიკურად გენიალურად არის გაკეთებული, განმეორების, მუსიკალური გაფორმების, ხმაურის დიდი კულტურაა — ძალიან სასიამოვნო საყურებელია. დღეს წამყვანი როლი კომპიუტერულ ტექნიკას უკავია, რომელიც გარკვეულად ზღუდავს მულტიპლიკატორს, მაგრამ ყველა პროცესი — მონტაჟი, განმეორება, სპეცეფექტების გამოყენება, დღეს ამ ტექნიკით სრულდება და საოცარ შედეგს იძლევა. ბავშვებს მოსწონთ ასეთი ფილმები და სიამოვნებით უყურებენ. თანაც, მოზარდი თაობა უფრო ადვილად აღიქვამს ყველა სიახლეს. ამიტომ არ შეიძლება დღეს, ელაპარაკო 10 წლის ბავშვს იმავე ენით, როგორითაც ვთქვით, მელაპარაკებოდნენ მე ამ ასაკში. და კიდევ, დღეს ახალგაზრდებს ხშირად კიცხავენ იმის გამო, რომ აღარ კითხულობენ წიგნებს. მაგრამ მთავარი ხომ ის არის, რომ მათ მიიღონ განათლება, ცოდნა და ისწავლონ მისი გამოყენება, ხოლო რა ფორმით მიიღებენ, ამას გადაწყვეტი მნიშვნელობა, ჩემი აზრით, არა აქვს. იცვლება ინფორმაციის ფორმები, იცვლება ცხოვრება, წარმოდგენები საგნებზე, მოვლენებზე. ცხოვრება წინ მიდის და ჩვენც მას ფეხი უნდა ავუწყოთ.



# 71 წლის მოხუცი, მეზობლის გაუპატიურების მსჯელობისა და აკვლელობისთვის დააკავეს

## პროკურატურის ინფორმაციით, მან რძლის გაუპატიურებაც სცადა

**„მარცხენა ხელზე სისველე ვიგრძენი. ხელს რომ დავეხედე, სისხლიანი იყო... ქალი ხმას ვეღარ იღებდა, მხოლოდ ქშინავდა. მისი შიშველი ფეხების დანახვაზე ვიფიქრე, რომ მასთან სექსუალურ კავშირს დავამყარებდი...“**  
— ასეთი ჩვენება მისცა ყვარლის რაიონში მცხოვრებმა გიორგი კუპატაძემ ადგილობრივ პოლიციას. პროკურატურამ მას უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქალის გაუპატიურების

მცდელობასა და სადისტურ მკვლელობაში დასდო ბრალი. გიორგი კუპატაძე 71 წლის განსაზღვრულ, მოკლეული ქალი — 60-ის ალსანიშნავია ისიც, რომ პატიმრის ჩვენება პროკურატურამ ვიდეოფორზე ჩაინერა. მაშინ მან დანაშაული აღიარა, ახლა კი თავის ბრალეულობას კატეგორიულად უარყოფს და პოლიციელთა მხრიდან ფსიქოლოგიურ ზეწოლასა და არაადამიანურ ცემაზე ლაპარაკობს.

ამ დღეებში გიორგი კუპატაძეს სასამართლოს წინაშე თავის მართლება მოუწევს. მოსამართლის განაჩენს უახლოეს მომავალში შევითვობთ, მანამდე კი სიტყვა სახელმწიფო ბრალმძებელს ეკუთვნის. პროკურორი დარწმუნებულია (თავად ასე აცხადებს), რომ დანაშაული სწორედ კუპატაძემ ჩაიდინა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმე 2002 წლის 28 ნოემბერს აღიძრა. მკვლელობა წინა დამით მოხდა. მეორე დღით, ეთერ თ-ის გვამი საკუთარ სახლში, იატაკზე დაგდებული და საწოლის გადასაფარებელში გახვეული იპოვეს — ქალს თავი ჰქონდა გაჩეხილი.

შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლი-

ციამ სახლი და ეზო დათვალიერა, შემდეგ მეზობლები დაჰკითხა. იმავე დღეს, პროკურატურის თანამშრომლებმა მოკლეულის მეზობლად მცხოვრებ გიორგი კუპატაძეს მიაკითხეს შინ. როგორც გამოძიებელი ამბობს, მეზობლების დაკითხვის შედეგად გაირკვა, რომ აწ გარდაცვლილსა და კუპატაძეს შორის წლების მანძილზე, დიდი უთანხმოება იყო ჩამოვარდნილი და ისინი ერთმანეთს არ ელაპარაკებოდნენ. ჩხუბის ერთ-ერთი მიზეზი, მიწის ნაკვეთი ყოფილა. თუმცა, როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, სინამდვილეში, უთანხმოება, კუპატაძის მიერ ჩადენილი, სექსუალური ძალადობის გამო წარმოიშვა: 15 წლის წინ, იგი ეთერ თ-ის გაუპატიურებას შეეცადა. ამ ფაქტის გამო, ორ ოჯახს შორის ყოველგვარი ურთიერთობა გაწყდა. ასეთ ცნობებს გვაწვდის პროკურატურა, თუმცა, ამის შესახებ დღეს, დაზარალებულის მხარეც და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატიც ღიად საუბრობენ.

რაც შეეხება 2002 წლის 27 ნოემბერს მომხდარ მკვლელობას — გამოძიების დასკვნით, ის საღამოს, დაახლოებით 9 საათზე მოხდა. სწორედ ამ დროისთვის, ბრალდების თანახმად, გიორგი კუპატაძე სოფლის ბირჟიდან თურმე შინ ბრუნდებოდა; გზად ეთერ თ-ის სახლის წინ უნდა გაეგლო. გაუსწორდა თუ არა ამ სახლს, შეყოვნდა. პირველი სართულის ერთ-ერთი ოთახიდან ლამის შუქი გამოდიოდა. იცოდა, რომ ქალი შინ მარტო იქნებოდა. ამის გაფიქრებაზე, ისევ აღედრა მისი გაუპატიურების სურვილი და ეზოში შევიდა. არ დაუმახია, ისე შევიდა თ-ის საძინებელ ოთახში. ეთერ თ-მა გიორგი კუპატაძე რომ დაინახა, გაბრაზდა; მისვლის მიზეზი ჰკითხა და იმავდროულად, მის გაგდებას შეეცადა. უნდოდა, ხელი ეკრა მისთვის, მაგრამ ვერ შეძლო.

კუპატაძე ოთახიდან არ გადიოდა. მაშინ თ-მა საწოლთან დადებული, შემის ნაჭერი აიღო (როგორც გაირკვა, ის ქალს ყოველი შემთხვევისთვის, ყაჩაღებისგან თავის დასაცავად ჰქონია საწოლთან დადებული) და კუპატაძეს მოუქნია. ამ უკანასკნელმა ხის ნაჭერი ქალს ხელიდან გამოსტაცა და ძლიერი მოქნივით, პირდაპირ სახეში ჩაარტყა. თ-ი დაეცა. ძირს დავარდნილს, კუპატაძემ ისევ ჩაარტყა ხის ნაჭერი თავში. ქალმა გონება დაკარგა, მაგრამ მას კუპატაძე არც ახლა მოეშვა. მან გადაწვევითა, გაუპატიურებინა იგი. განზრახვის სისრულეში მოყვანას აპირებდა, მაგრამ საზარელი ქმედება მალე შეწყვეტა, რადგან დარწმუნდა, რომ ქალი უკვე გარდაცვლილი იყო.

ამის შემდეგ, დანაშაულის დაფარვაზე ფიქრი დაიწყო. ქალს თავქვეშ შემის ნაჭრების გროვა ჩაუწყლო, ტანზე საწოლის გადასაფარებელი გადააფარა, ხოლო ის შემის ნაჭერი, რომლითაც მკვლელობა ჩაიდინა, ლუქებში შეაგლო. ამის შემდეგ, ყაჩაღობის ინსცენირების მიზნით, კარადიდან ნივთები გადმოყარა და მიიმალა.

ეთერ თ-ის სიკვდილის მიზეზი, თავის ქალის ღრუში განვითარებული სისხლდენა გახდა. გიორგი კუპატაძე სამართალდამცავებმა ჯერ მოწმის, შემდეგ კი ეჭვმიტანილის სახით დაჰკითხეს.

### ბიორგი კუპატაძე:

„...27 ნოემბერს, დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე შინ ვიყავი და ეზოში შემას ვჭრიდი. საღამოს საქონელი დავაბინავე და სოფლის ბირჟაზე გავედი. იქ სოფლის ბიჭები შეკრებილიყვნენ და ცეცხლი დაენთოთ. დამაინტერესა, ჩემს შემას ხომ არ წვავენ? ბირჟაზე სულ 10 წუთით გავჩერდი. დაახლოებით 10-ის ნახევარი იქნებოდა, როცა შინისკენ წავედი. გზაში შევნიშნე, რომ ჩემი მე-





ზობლის — ეთერ თ-ის სახლიდან ლამპის შუქი გამოდიოდა, თვითონ ეთერი კი, შემოსასვლელ ოთახში იდგა. დამინახა და ხელი დამიქნა ორჯერ. გამიკვირდა მისი ასეთი საქციელი, რადგან ერთმანეთს წლების მანძილზე, არ ველაპარაკებოდით, მაგრამ ვიფიქრე — ცუდად ხომ არ არის-მეთქი? — და ამიტომაც შევედი. ტანსაცმელი ნახევრად გახდილი ჰქონდა. რომ მიუახლოვდი, გაუკვირდა ჩემი მისვლა. მკითხა — რატომ მოხვედითო? — და მუშტი მომიქნა დასარტყელად, მაგრამ ვერ მომწვდა. მაშინ შუა ოთახისკენ დაიხია და შეშის ნაჭერი აიღო, წავართვი და მაგრად მოუქნე. თ-ი გულადმა გადავარდა; შევნიშნე, რომ ყელზე მოყვითალო შარფი ჰქონდა მოხვეული. ძირს დავარდნილს, კიდევ ერთხელ ჩავარტყი შეშის ნაჭერი თავში. მარცხენა ხელზე სინესტე ვიგრძენი, ხელს რომ დავხედე, სისხლიანი იყო... ვაწმენდის მიზნით, ხელი საწოლზე გადავარებულ „ადელას“ ჩამოვუსვი. მერე ავიღე და ის ქალს გადავავარე. ამის შემდეგ, ლამ-

პა მარნის ოთახში ვავიტანე. შეშის ნაჭერი ღუმელში „შევეწვი“. იქიდან პირდაპირ სახლში წავიდი. მეორე დღით, თ-ის ეზოში თავმოყრილი ხალხი შევნიშნე. ამბობდნენ, რომ ეთერი გარდაცვლილი იყო“.

ეს ჩვენება გიორგი კუპატაძემ 2002 წლის 5 დეკემბერსაც დაადასტურა. დაზარალებულის, მოკლულის შეილის — ეკატერინე თ-ის თქმით, დედამისი ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა, თუმცა, მკვლელობამდე დაახლოებით ორი თვით ადრე, იგი თავის ოჯახთან ერთად რუსეთში გაემგზავრა საცხოვრებლად.

„მამა 1995 წელს გარდაემცვალა. მე გათხოვილი ვარ და თბილისში ვცხოვრობ. ძმის გამგზავრების შემდეგ, დედაჩემი ფაქტობრივად, მარტო ცხოვრობდა. ვიცოდი, რომ გიორგი კუპატაძესთან მას მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მოუხდა უთანხმოება, თუმცა მოვკიანებით, ბიძაჩემისგან შევიტყვე, 15 წლის წინ მომხდარი გაუპატიურების მცდელობის შესახებ“; — აღნიშნავს ეკატერინე თ-ი ჩვენება-

ში.

გიორგი კუპატაძემ, ბრალდებულის სახით მისი დამატებითი დაკითხვის დროს, თავისი აღიარება უარყო. თქვა, რომ პოლიციის თანამშრომლებმა აიძულეს, გამოძიებისთვის ასეთი ჩვენება მიეცა. მისი თქმით, განყოფილებაში ვინმე იურა მას ფეხის გულელებში სცემდა და სასტიკად აწამებდა. პროკურატურა კუპატაძის ამ სიტყვებს არ ადასტურებს. მისი ინფორმაციით, ბრალდებულის სხეულზე დაზიანებები არ დაფიქსირებულა.

„№5 საპრობოლის ექიმმა აღნიშნა, რომ კუპატაძის სხეულზე ძალადობის ნიშნები არ ფიქსირდება“, — წერია საბრალდებო დასკვნაში. ყოველივე ამასთან ერთად, სამართალდამცავები გიორგი კუპატაძის მიერ ჩადენილ, კიდევ ერთ დანაშაულზე საუბრობენ: მათი ინფორმაციით, წინასწარი გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ მან თავისი რძლის გაუპატიურებაც სცადა, რაც საბოლოოდ, მისი შვილისა და ამ უკანასკნელის მეუღლის განქორწინებით დასრულდა. ■

# შვილმა გააგზავნა შური იქნა

## ჩხუბს გამშველბლის სიცოცხლე შეეწირა

**29 წლის მამუკა ლიბრაძეს უზენაესი სასამართლო მამის მკვლელობის მცდელობისა და მეზობლის მკვლელობისთვის ასამართლებს. მამა-შვილი — ნირზა და მამუკა ლიბრაძეები თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთში, ერთ ოჯახში ცხოვრობდნენ, თუმცა, ერთმანეთთან წლების მანძილზე, უსიამოვნება ჰქონდათ. მამუკას სმა უყვარდა, თითქმის ყოველდღე სვამდა, შემდეგ კი, სხვადასხვა მიზეზით საშინლად ერჩხებოდა მამას. გამოძიების მასალების თანახმად, 2003 წლის პირველ მარტს, მას სწორედ მამის მკვლელობა ჰქონია განზრახული. ეს უკანასკნელი გადარჩა, მაგრამ ჩხუბის დროს, მეზობელი — რეზო გურგენიძე დაიღუპა.**

2003 წლის 28 თებერვალს, სოფელ რუფოთში მცხოვრები იუზა ლიბრაძის ოჯახში, დაბადების დღესთან დაკავშირებით, წვეულება გაიმართა. დაახლოებით 30 კაცი ჰყავდათ მიწვეული, მათ შორის რეზო გურგენიძე და ნირზა ლიბრაძეც. ლამის ორის ნახევარზე — ე.ი. უკვე პირველ მარტს, იუზა ლიბრაძის სახლისკენ მამუკა ლიბრაძე გაემართა, მაგრამ არა საქეიფოდ, არამედ მამის დასახვედრად. საქმის მასალების თანახმად, იფიქრა, რომ მამამისი ძალიან მთვრალი იქნებოდა და მამუკამ მისი შინ წაყვანა გადაწყვიტა. გზაში, ნირზა ლიბრაძესთან ერთად, მამუკას ბიძამისი — ლევან ლიბრაძე და კიდევ რამდენიმე მეზობელი შეხვდნენ. ერთ-ერთს — რეზო გურგენიძეს იგი უმიზეზოდ


აუხირდა: მამაჩემს და ბიძაჩემს რატომ ავინებო?! ნირზა ლიბრაძემ შვილის ჩხუბს ყური არ დაუგლო და გზა განაგრძო. მამუკა ბიძამ დააწყინარა, იქაურობას მოაშორა და ჭიშკრამდე მიაცილა კიდევ. თუმცა, როგორც კი ეს უკანასკნელი თვალს მიეფარა, მამუკა უკან გაბრუნდა, რეზო გურგენიძეს წამოეწია და მასთან ჩხუბი განაგრძო. გურგენიძე ამაოდ ეუბნებოდა მას, რომ არავისთვის შეუეცნებია. მამუკა ლიბრაძე ამ პასუხით არ დაკმაყოფილდა, მოსთხოვა, შინ გაჰყოლოდა და მამამისის თანდასწრებით გაერკვიათ ყველაფერი.

ოთახში რომ შევიდნენ, ნირზა ლიბრაძე საწოლზე წამოწოლილიყო და ტელევიზორს უყურებდა. მამუკა რეზოს მიუბრუნდა და უთხრა — შეაგინე მამაჩემსო.

გურგენიძემ უარი უთხრა: უმიზეზოდ არავის ვაგინებო. ამის შემდეგ, მამუკა მამას აუხირდა: რატომ ჩართე ელექტროლუმელი? ხომ იცი, დენის ფულს ისედაც ვერ ვიხდითო?! — ეს თქვა, იქვე დადებული ნაჯახი აიღო, ჯერ ღუმელზე მიერთებული ელექტროსადენები გადაიწხა, შემდეგ კი, ნაჯახის მოღერებით, მამა აიძულა, საწოლიდან ამდგარიყო და მეორე ოთახში გაჰყოლოდა. გურგენიძესაც იგივე უთხრა. ორივენი დაემორჩილნენ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, მამუკა მათ მოკვლით ემუქრებოდა, თან ნაჯახს იქნევდა.

მეორე ოთახში შესულებს, მან არყის დაღვევა მოსთხოვა. რეზო გურგენიძემ, იმისთვის, რომ სიტუაცია არ გაერთულებინა, არაყი ჩამოასხა და რამდენიმე ყლუპი მოსვა. ნირზა ლიბრაძემ უარი თქვა — ისედაც ნასვამი ვარ და მეტს ვერ დაველეგო. მამის უარი ანგარიშსწორების საბაბად გამოდგა და კარის ზღურბლთან მდგომმა მამუკამ მას ნაჯახი მოუქნია. მისი შეჩერება რეზო გურგენიძემ სცადა. მამუკა განზრახვას მიუხვდა და ხელის-შემშლელის ჩამოშორება გადაწყვიტა. ნაჯახი რეზოს თავში, პირდაპირ საფეთქელში ჩაარტყა. გურგენიძე მაშინვე ძირს დაეცა და გარდაიცვალა. ამის შემდეგ, ლიბრაძე მამას მივარდა და მასაც ჩაარტყა

თავში ნაჯახი ორჯერ. გონდაკარგული ნირზა ღიბრაძე დაეცა. მამუკას ეგონა, რომ ისიც გარდაიცვალა და სახლიდან გავიდა. ნაჯახი აივანზე მიაგლო და მეზობლისკენ – მურთაზ ოქრუაძისკენ გასწია. რაც ჩაიღინა, ყველაფერს მოუყვა. ოქრუაძემ ეს ამბავი მაშინვე, პოლიციასა და მეზობლებს აცნობა, გამოიძახეს „სასწრაფო დახმარებაც“. ნირზა ღიბრაძე საავადმყოფოში წაიყვანეს, მამუკა კი დააკავეს. პროკურატურის მიერ წარდგენილ ბრალდებაში მამუკა ღიბრაძემ ჩადენილი დანაშაული აღიარა. რაც შეეხება მამამისს – იგი



სიკვდილს გადაურჩა, რადგან ჭრილობები იმდენად მძიმე არ აღმოჩნდა. შვილი მან სამართალდამცავების წინაშე უყოყმანოდ ამხილა.

**მამუკა ღიბრაძის ჩვენებაიდან:**

„...წვეულებაზე წასვლა არ მოვინდომე და შინ დავრჩი. იქ რამდენიმე ჭიქა არაყი დავლიე. მანამდეც ნასვამი

ვუძახე, მან კი მითხრა – ფზიხელს დაგელაპარაკები, ახლა შინ წადი და დაიძინეო. არ დაუჯერე და მის წასვლას დავლოდე... მინდოდა, მამაჩემის თანდასწრებით გამერკვია გურგენიძესთან საქმე. ის მაინც უარობდა – არ შემოვიწინებოო... ნაჯახი ჯერ რეზო ჩავარტყი, თავიდან სისხლი წამოვივიდა და გაუნძრევლად დავარდა ძირს. მამაჩემს ორ-

ვიყავი, დილით მეგობრებთან ერთად ვსვამდი. ტახტზე წამოვწევი და მამისა და ბიძის მოსვლას დავლოდე. ორის ნახევარი რომ გახდა, გადავწვივტი, მათ შესახვედრად წავსულიყავი... გზაში შემხვდნენ და მამაჩემს ხელკავი გაუკეთეთ, მან კი ხელი გამაშვებინა. ამ დროს, გინება შემომესმა. გურგენიძის ხმას მივამსგავსე. მივუახლოვდი და კეითხე – რატომ ივინები-მეთქი? არაფერი მიპასუხა. ბიძაჩემს დავუძახე, მან კი მითხრა – ფზიხელს დაგელაპარაკები, ახლა შინ წადი და დაიძინეო. არ დაუჯერე და მის წასვლას დავლოდე... მინდოდა, მამაჩემის თანდასწრებით გამერკვია გურგენიძესთან საქმე. ის მაინც უარობდა – არ შემოვიწინებოო... ნაჯახი ჯერ რეზო ჩავარტყი, თავიდან სისხლი წამოვივიდა და გაუნძრევლად დავარდა ძირს. მამაჩემს ორ-

ჯერ ჩავარტყი, ისიც დაეცა...“  
**მურთაზ ოქრუაძის ჩვენებიდან:**

„დილის სამის ნახევარი იქნებოდა, როცა მამუკა მოვიდა. აღელვებული იყო და მითხრა – ნაჯახით რეზო გურგენიძე და მამაჩემი მოკალიო. თავიდან არ დაუჯერე, მერე მის სახლში წავედი, ყველაფრის შესამოწმებლად. ეზოში შევედი თუ არა, ნირზა ღიბრაძე დავინახე – ერთი ოთახიდან მეორეში გადიოდა. რა მოხდა-მეთქი? – დავუძახე. – მამუკამ დაგვლუპა და მაგას კი დაიჭერენო, – მითხრა“.

მამუკა ღიბრაძემ დანაშაული ზედის ზედ ორჯერ აღიარა, თუმცა, ბრალდებულის სახით დამატებითი დაკითხვის დროს, ჩვენება ნაწილობრივ შეცვალა: აღნიშნა, რომ არც მამის და არც მეზობლის მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია. „მამის დაშინება მინდოდა და ნაჯახი ამ მიზნით მოვიქნიე, ამ დროს, გურგენიძემ სცადა ჩემი შეჩერება და ისიც შემომაკვდა“, – განუცხადა მამუკა ღიბრაძემ სამართალდამცავებს. იგი არ უარყოფს, რომ მამასთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა და ამის მიზეზად, ბავშვობაში მამის მიერ გამოვლენილ სისასტიკეს ასახელებს. „საშინლად მექცეოდა, განსაკუთრებულ სისასტიკეს ჩემ მიმართ, ბავშვი რომ ვიყავი, მაშინ იჩენდა“, – აღნიშნავს ის.

**ეჭვიანობის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობა**

ქუთაისში, ნიკეას ქუჩის №16-ში, საკუთარ ბინაში ქალის გვამი იპოვეს. 37 წლის ასმათ აბრავა, როგორც სამართალდამცავები ვარაუდობენ, ქმარმა – გორა წულაიამ გამოასალმა სიცოცხლეს. ორივენი, აფხაზეთიდან დევნილები იყვნენ და ქუთაისში ცხოვრობდნენ. მკვლელობის მოტივად ამ ეტაპზე, ეჭვიანობა სახელდება. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების თქმით, დამნაშავემ ქალს კეფის არეში ბლაგვი საგანი ჩაართყა და სწორედ ეს აღმოჩნდა სიკვდილის მიზეზი.

**დანაშაული გაუჩიველი მოტივით**

ვანის რაიონის სოფელ ტობანიერში საშინელი ტრაგედია დატრიალდა: ერთ-ერთ ოჯახში ცოლ-ქმარმა ღრმად მოხუცებული – 78 წლის ზინაიდა ბოლქვაძე გამოასალმა სიცოცხლეს. მას სხეულზე სხვადასხვა მკერივი საგნით არაერთი მძიმე ზარისხის დაზიანება მიაყენეს; ქალი ადგილზევე გარდაიცვალა. დამნაშავეები იმალებიან. ცოლი – 49 წლის თინა ქიმუსაძე გახლავთ, ხოლო ქმარი – 55 წლის ლევან ოჩიკიძე. ეს უკანასკნელი აწ გარდაცვლილი ზინაიდა ბოლქვაძის შვილია, თინა ქი-


მუსაძე კი, მოკლულის რძალი გახლავთ. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, განზრახ მკვლელობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

**შეიარაღებული ყარაღები პირში ჩალაგამოვლებული დარჩნენ...**

ყაჩაღობის ფაქტი დაფიქსირდა თერჯოლის რაიონში. სოფელ საფარეთში. 15 სექტემბერს, გვიან ღამით, ბოროტმოქმედები ნეფარიშვილების ოჯახს დაესხნენ თავს. საბედნიეროდ, ამ ყაჩაღობას მსხვერპლი არ მოჰყოლია. როგორც ოჯახის წევრები და თვითმზილეელები ამბობენ, სახლში ოთხი ბოროტმოქმედი შეიჭრა, მათგან ორი ცეცხლსასროლი იარაღით იყო შეიარაღებული.

თავდამსხმელებმა ფული და ძვირფასეულობა მოითხოვეს, მაგრამ ოჯახის წევრებმა მათ წინააღმდეგობა გაუწიეს, ყვირილი ატეხეს და ხმაურზე მეზობლები შეგროვდნენ. ყაჩაღები მიხვდნენ, რომ საქმე ძალზე გართულდა და იძულებულები გახდნენ, ნეფარიშვილების ოჯახი ხელცარიელებს დაეტოვებინათ. სამმა თავდამსხმელმა მიმალვა მოახერხა, ერთ-ერთი კი პოლიციამ დააკავა.

# NOKIA



## სიასლე!

3-დან 6 თვემდე  
საბარანტიო მომსახურება  
Nokia-ს (ნოკია)  
სერვის ცენტრში შექენილ  
მოხილურ ტელეფონებზე

### მოხილური ტელეფონების და აქსესუარების ფართო არჩევანი

სერვისული მომსახურება  
კვალიფიციური კონსულტანტები

კონსულტანტები უფასოა:  
ტელ: 94-24-12,  
ტელ/ფაქსი: 94-15-66



ცენტრალური ოფისის მისამართი:  
თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №71  
ფილიალები: მარჯანიშვილის ქ. №15, ტელ: 95-80-03  
რუსთაველის გამზ. №31, ტელ: 99-53-83  
E-mail: nokia@geo.net.ge  
nokia\_info@geo.net.ge  
Nokia (ნოკია) სერვის ცენტრი



# „მეხნცაყუაიმით ყჳიუმ უბ ზემჩყაინუმ მყყ სთყქნმშჳყბ- ნიწო ჯაჳმყყ“

— მედეა, თავდაპირველად შენ შესახებ მოგვიყვე: რას საქმიანობ და იაპონური ენის შესწავლით როდის და რატომ დაინტერესდი?

— ბავშვობიდანვე, სიმწიფეების დაძლევა მომწონდა. იაპონური ენის შესწავლაც არ არის ადვილი საქმე. ძალიან მაინტერესებდა, იეროგლიფები როგორ იკითხებოდა. სკოლის დამთავრების შემდეგ „გე-პე-ი“-ში ჩავაბარე და იაპონური ენის კურსებზეც ჩავეწერე. შემდეგ კი, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ჩავაბარე. 2001 წელს, პირველად ვიყავი ჩასული იაპონიაში სტაჟირებაზე, რის შემდეგაც, აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ვკითხულობდი ლექციებს. იაპონიით ჩემი დაინტერესება ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ წინათ, ნაკლები ინფორმაცია გვქონდა ამ ქვეყნის შესახებ. მიწოდდა, უფრო მეტი შემეტყო, მაგრამ იაპონელების რძალი თუ გავხედობოდი, ვერ წარმოვიდგენდი.

— შენ და იასუპირომ როგორ გაიცანით ერთმანეთი?

— იაპონიიდან რომ ჩამოვედი, ჩემმა მეგობარმა მითხრა, რომ უნივერსიტეტში თავის მშობლიურ ენას ასწავლიდა იაპონელი, რომელიც დამხმარე მასწავლებელს ეძებდა. დავურეკე იასუპიროს, შეხვედრა უნივერსიტეტის ბაღში დავთქვი. რატომღაც მეგონა, რომ იაპონელი ლექტორი ხანში შესული იქნებოდა, ამიტომაც გავაცხადე დავრჩი, ახალგაზრდა კაცი რომ შემრჩა ხელში. თავიდანვე მომეწონა და გავიფიქრე — სასიამოვნო ადამიანია-მეთქი... იასუპი-

2002 წლის „გზის“ მე-19 ნომერში რუბრიკით — „სტუმარი“ — შემოგთავაზეთ ინტერვიუ იაპონელ იასუპირო კოჯიმასთან. შეგახსენებთ, რომ იასუპირო 2 წლით იყო ჩამოსული საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს იაპონურ ენას ასწავლიდა. სხვადასხვა საკითხზე საუბრისას, პირად ცხოვრებაზეც ვკითხე. მან რატომღაც დაიმორცხვა და ბოლომდე არ გაგვიმხილა, რომ ქართველ ქალზე იყო შეყვარებული. — ძალიან ლამაზები და კარგები ხართ! აქაური ქალები ძალიან მომეწონნენ, მაგრამ დოჯანების შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით და ნუ გეწყინებაო, — მითხრა იასუპირომ, ხოლო კითხვაზე — ქართველ გოგონაზე თუ ხარ შეყვარებული, ამას ასე რატომ ასაიდუმლოებ-მეთქი? — არაფერი მიპასუხა. ხომ გაგიგონათ — დუმილი თანხმობის ნიშანიაო: ამ ინტერვიუდან რამდენიმე თვის შემდეგ, იასუპირო კოჯიმა და შიდემა ბოცირიძე დაქორწინდნენ და ამომავალი მზის ქვეყანაში გაემგზავრნენ. ცოტა ხნის წინ კი, მედეა პირველად ჩამოვიდა საქართველოში და ბუნებრივია, დაგინტერესდით მათი სიყვარულისა და ტოკიოში ცხოვრების ამბებით.



24 სექტემბერი სამშაბათი იყო. ამიგომ ორშაბათის სასწრაფოდ მოვაწერეთ ხელი

რო მეუბნება — მეც პირველი შეხვედრისთანავე მომეწონე... მაშინ, უნივერსიტეტში მუშაობის დაწყება რაღაც მიზეზების გამო ვეღარ მოვასერხე, მაგრამ მე და იასუპირო საერთო ნაცნობებთან, ასევე — აზიისა და აფრიკის ინსტიტუტში ხშირად ვხვდებოდით ხოლმე ერთმანეთს. იმ პერიოდში დავიწყე იაპონური ენის სახელმძღვანელოს გადმოქართულება, რაშიც იასუპირო მეხმარებოდა. იქიდან დაიწყო ჩვენი რომანიც...

— როგორი იყო შეყვარებული იასუპირო?

— ძალიან კარგი, არაჩვეულებრივი, თბილი, ყურადღებიანი, დაკვირვებული... ერთხელ აღვნიშნე — ძალიან მიყვარს საღვადლორ დალი და მინდა, მისი ალბომი მქონდეს-მეთქი. დაუმასოვრებია და დაბადების დღეზე მომართვა საღვადლორ დალის ალბომი. იასუპიროსთან თავისუფლად და

მშვილად ვგრიობდი თავს, ვენდობოდი და ამიტომ, ერთი წუთითაც არ მეპარებოდა მისი გრძობებში ეჭვი. ქართველ მამაკაცთან ალბათ ისე ვერ გავისხნებოდი, როგორც მასთან...

— სიყვარული იაპონურ ენაზე აგინსნა?

— სხვათა შორის, ქართულად მითხრა — მიყვარხარო... ეს ჩემთვის მოულოდნელი არ იყო: ვგრძობოდი, რომ სიყვარულში უნდა გამომტყლოდა, ისიც ვიცოდი, სიყვარულზე სიყვარულითვე რომ ვუპასუხებდი. სიყვარულის ახსნიდან ორიოდე თვეში, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ოჯახი უნდა შეგვექმნა და დაქორწინდით კიდევ.

— მშობლებმა როგორ მიიღეს ეს ამბავი?

— იცოდნენ, რომ ერთმანეთს ვხვდებოდით და დაქორწინებას ვაპირებდით. წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. თუმცა, ბუნე-

ბრევია, ძალიან ნერვიულობდნენ, ასეთ შორეულ ქვეყანაში რომ ათხოვებდნენ ქალიშვილს... იასუპირო მოვიდა ჩვენს ოჯახში და მშობლებს ჩემი ხელი სთხოვა. მასთან საცხოვრებლად შარშან მაისში გადავედი, ოფიციალურად ვერ ვიქორწინეთ, რადგან საამისოდ ნებართვა გვჭირდებოდა. იასუპირო 2 წლით იყო ჩამოსული საქართველოში. იაპონიის განათლების სამინისტროს უნდა აეღო მისთვის უკან დასაბრუნებელი ბილეთი. გვიან შეგვატყობინეს, რომ ბილეთი 24 სექტემბრისთვის იყო აღებული. 24 სექტემბერი სამშაბათი იყო. ამიტომ ორშაბათს სასწრაფოდ მოვაწერეთ ხელი და პატარა ქორწილიც გადავიხადეთ. საბუთების მომზადებას რამდენიმე თვე მოვანდომეთ, ოუსტიციის სამინისტრომ სწორედ ორშაბათს მოგვცა ნებართვა ხელის მოწერაზე და ბუნებრივია, მე ვეღარ მოვასწრებდი ბილეთის აღებას და იასუპიროსთან ერთად გამგზავრებას. ამიტომ ქორწილის შემდეგ, ღამის ოთხ საათზე პირდაპირ აეროპორტში გავემგზავრეთ და იასუპირო გაავაცილეთ. დღეღამში დამცინოდა - ხელს იმისთვის აწერენ, რომ ერთად იყვნენ, თქვენ კი ხელი მოაწერეთ და ახლა შორდებითო?! ვიზის გაფორმებას სამი თვე დასჭირდა და დეკემბერში, მეც იაპონიაში გავემგზავრე.

**— იასუპიროს ოჯახის წევრებმა როგორ მიიღეს ქართველი რძალი?**

— იასუპიროს ჰყავს მშობლები და უფროსი და, რომელიც გათხოვილია. ძალიან ენერვიულობდი - არ ვიცოდი, როგორ შემხვდებოდნენ, როგორ მიმიღებდნენ, მაგრამ არაჩვეულებრივად თბილი ხალხი აღმოჩნდა... მე და იასუპირო ტოკიოში ვცხოვრობთ, მისი მშობლები და ბებია-ბაბუა კი, იაპონიის ზღვის მხარეზე - ჰუკუის

**იმდენი შვილი უნდა გავაჩინო, რომ მათი სახელები ერთმანეთში გერეოდეს-მეთქი. - არაო, - უარობს**



პრეფექტურაში.

მატარებელი ჩავედი. ყველანი საღვურში დაგვხვდნენ და იმ საღამოს, ჩვენი ჩასვლის აღსანიშნავად, ტრადიციული სუფრა გამართეს. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა იქაური კერძები. სპეციალურ კურსებზე ვიარე და მეც ვისწავლე იაპონური კერძების მომზადება. საქართველოში, როგორც უკვე ვითხარით, გვექონდა ქორწილი, მაგრამ იასუპიროს მშობლებსაც უნდოდათ, ერთადერთი ვაჟიშვილის გაბედნიერების ამბავი აღენიშნათ, ამიტომ საქორწილო სუფრა გამალეს. ტანსაცმლის შესარჩევად მომცეს ალბომები - როგორი სამოსი გინდა, ქორწილში რომ გეცვას, შენ თვითონ აირჩიეო. იქაური ტრადიციის თანახმად, პატარა ქორწილის მსვლელობისას აუცილებლად უნდა გამოიცვალოს ტანსაცმელი - აბა, როგორ გამოიყურება სხვა ფერის სამოსში?! პირველად, ორივეს კიმონო ჩავაცვას, მერე გამოვიცვალეთ. სტუმრები დარბაზში სხედან და ნეფე-პატარძლის გამოჩენას ელოდებიან. იაპონიაში ქორწილი თეატრალიზებულია. არსებობს სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც ქორწილის მოწყობაზე ზრუნავენ. სტუმრებისთვის სხვადასხვა გასართობი აქვთ მოფიქრებული. აგვარჩევენს მუსიკა - თუ რომელი უნდა აჟღერებულყო, როცა დარბაზში შემოვიდოდით. ტანსაცმლის გამოცვლის შემდეგ დავბრუნდებოდით და სანთლებს ავანთებდით...

**— სანთერესოა, როგორ ერთობიან იაპონელები ქორწილში?**

— ირჩევენ სუფრის წამყვანს, რომელიც თავის სიტყვაში ამბობს, თუ რა აკავშირებს ამ ოჯახთან, ახასიათებს ოჯახის წევრებს, ნეფე-პატარძალს და უსურვებს მათ ბედნიერებას. ქორწილის ორგანიზატორი აცხადებს, ვინ როდის უნდა თქვას სიტყვა. ჩემ უკან იდგა კიმონოში გამოწყობილი ქალი, რომელიც, რაიმე რომ არ შეგვშლოდა, გვახსენებდა ხოლმე - როდის რა უნდა გავგვეკეთებინა - მაგალითად, როდის უნდა აგვენთო სანთლები უშველებელ, ორსართუ-



**მე და იასუპირო ტოკიოში ვცხოვრობთ, მისი მშობლები და ბებია-ბაბუა კი, იაპონიის ზღვის მხარეზე**


ლიან ტორტზე და ა.შ. ქორწილი ძალიან მოკლე დროში - სულ რაღაც 2-3 საათში მთავრდება; იაპონელები თითქმის არ ცეკვავენ, მღერავენ კარაოკზე. ისმის მუსიკა, ეკრანზე იწერება სიტყვები და თუ გამოიცნობენ მელიოდის, მღერავენ. ეს არის მათი ვართობა.

**— ბოლოს, ისიც მითხარი — როგორ ცხოვრობთ შენ და იასუპირო ტოკიოში? რას საქმიანობთ, რა გეგმები გაქვთ და რამდენი ხნით აპირებთ საქართველოში დარჩენას?**

— ტოკიოში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. იასუპირო ტოკიოს უნივერსიტეტში, ასპირანტურაში სწავლობს, დროდადრო აქვეყნებს სტატიებს საქართველოს შესახებ. ერთხანს, ბიბლიოთეკაში მუშაობდა - წიგნებს ახარისხებდა, კერძო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლადაც მუშაობდა. მშობლებიც ეხმარებიან. იაპონიაში მოვებნე რამდენიმე ადამიანი, რომელსაც ქართულის სწავლა უნდოდა და მათ ვამეცადინებდი. იასუპირო ოქტომბერში ჩამოვა საქართველოში და დეკემბერში ერთად დავბრუნდებით უკან. მას სურს, სამეცნიერო მუშაობა გააგრძელოს. იასუპიროს ზუმრობით ვუბნები ხოლმე - იმდენი შვილი უნდა გავაჩინო, რომ მათი სახელები ერთმანეთში გერეოდეს-მეთქი. - არაო, - უარობს, - ამდენი შვილი არ მინდა, ორიც საკმარისიაო... ასე რომ, ჯერჯერობით ორ შვილზე შევთანხმდით და მერე ვნახოთ...

☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆ ☆

**ქალისთვის სილამაზე  
ჭკუაზე მნიშვნელოვანია,  
რადგან მამაკაცს ცქერა  
უფრო ეხერხება, ვიდრე  
ფიქრი.**



**მარლენ ლიგრიხი**

**გ ე რ ა ზ ე ბ**


**ბ ე ნ ი ა ლ უ რ ი**

**გ ზ ა №40 2.10.2003 19**

# სორბონის გამოცდები, ნიუ-იორკი“ და

# პანიჩუყტი „პაჩანა ტუვიტუტი ქართულები

ორი წლის წინ, სახელმწიფო კანცელარიისა და საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ხუთი ქართველი სტუდენტი გაემგზავრა სახელგანთქმულ, სორბონის უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობის დასაუფლებლად. მომავალი დიპლომატი თამუნა ხიტირი ამჟამად, სადიპლომო ნაშრომზე მუშაობს, რომლის თემაა „საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები და საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა 1918-1940-იან წლებში“. თემაზე მუშაობისას მას საშუალება ჰქონდა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში ემუშავა, სადაც ნოე ჟორდანიას და საქართველოს პირველი რესპუბლიკის ემიგრირებული მთავრობის სხვა წევრების პირადი წერილები თუ ოფიციალური დოკუმენტებია დაცული. ქართველი სტუდენტები ხშირად სტუმრობენ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებს, სადაც ტრადიციული ქართული სუფრა იშლება და ქართული ცეკვა-თამაში იმართება...



განმავლობაში გრძელდებოდა. ლექციებზე დასწრება სავალდებულოა და სტუდენტთა ყოველდღიური აღრიცხვა ხდება. ყველაზე რთული და სტრესული მაინც გამოცდების პერიოდია, რადგან შეიძლება 2 ან 3 გამოცდა ერთ დღეს დაემთხვეს. გამოცდები ძირითადად წერიითია და ზუსტად ორი საათი გრძელდება. აქ რომ შეაცოდებ თავს გამოცდელს – კიდევ ხუთი წუთი მაცალეო, – ეს თხოვნა იქ არ ჭრის, ნაშრომი ზუსტად დანიშნულ დროზე უნდა ჩააბარო. ლექციები საგანზე მხოლოდ ზოგად წარმოდგენას გიქმნის, „დალეჭილ“ მასალას არავინ შემოგთავაზებს, დამოუკიდებლად უნდა გაიღრმავო ცოდნა. ამის საშუალებას კი, მდიდარი ბიბლიოთეკა და ინტერნეტი გაძლევს.

### — თავისუფალ დროს როგორ ერთობი პარიზში?

— მე და ჩემი მეგობრები ძირითადად, შაბათ-კვირას ვერთობით; ერთმანეთს ხშირად ვსტუმრობთ, ვსეირნობთ, სალამობით კი, კინოში დავდივართ. ოღონდ, დამის პარიზი ცოტა საშიშია, ვინაიდან იქ ბევრი არაბი ცხოვრობს და თუ თვალში მოუხვედი, გადაგკიდება და მოსვენებას არ მოგცემს...

### — ფრანგებთან რამდენად კარგად აგეწყო ურთიერთობა?

— ფრანგები დახვეწილები, კულტურულები, თავაზიანები არიან, აქვთ კარგი იუმორის გრძობა, თუმცა, თავისებური ცინიზმიც ახასიათებთ. საოცრად პრაქტიკულები არიან. ერთხელ, ოპერის თეატრიდან გამოსულ, ელეგანტურად ჩაცმულ ქალბატონს მოვკარი თვალი, რომელსაც ულამაზეს ქურქზე ბოტასები ეცვა; თურმე, ფრანგებს სულ თან დააქვდ პრაქტიკული ფეხსაცმელი და თეატრიდან გამოსულებიც კი, მაღალ ქუსლებზე სიარულით თავს

## — ემა ტუხიაშვილი

— თამუნა, პარიზში სასწავლებლად გამგზავრება ალბათ მაინც ენის საფუძვლიანმა ცოდნამ განაპირობა...


— ფრანგულ ენას მართლაც, კარგად ვფლობ, ვინაიდან დავამთავრე ფრანგული ენის სპეციალიზებული 85-ე საშ. სკოლა და შემდეგ სწავლა განვაგრძე ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ენის ფლობის დონის წყალობით, კურიოზიც შემემთხვა სორბონის უნივერსიტეტში. გამოცდაზე კავკასიის ქვეყნების დახასიათება მომიხდა; ჯერი საქართველოზე რომ მიდგა, რომ იტყვიან, ფრთები გავშალე — შეუჩერებლად ვლაპარაკობდი საქართველოს ისტორიაზე, ხალხზე, დღევანდელ მდგომარეობაზე. გამოცდელის გაოცებულმა მზერამ შემაჩერა: მან არ იცოდა, ქართველი რომ ვიყავი და მკითხა — ამდენი ინფორმაცია საქართველოზე საიდან გაქვსო? — იქაურ სტუდენტთა უმრავლესობას ხომ რუკაზე საქართველოს მოძებნაც კი უჭირს...

— ე.ი. ფრანგების უმეტესობამ საქართველოს შესახებ არაფერი იცის?

— დიახ, ბევრმა არ იცის, სად არის საქართველო.

— ალბათ ქართული სწავლების სისტემა ძალიან განსხვავებულია ევროპულისაგან, არა?

— სორბონაში სწავლა რამდენადაც რთულია, იმდენად საინტერესოა. ორ-ორსაათიანი ლექციები, 5-10-წუთიანი შესვენებებით, შეიძლება, მთელი დღის



იქ ყველაფერს ქართული ელფერი დაპკრავს, ქართული სული გრიალებს

არ იწუხებენ. ძალიან მოსწონთ ქართული სამზარეულო. ერთხელ ჩემმა მეგობარმა ამოლესილი ლობიო გააკეთა და ფრანგ სტუმარს ქართულ დელიკატესად „შეასადა“. სტუმარი დანა-ჩანგლით მიირთმევა ლობიოს და აღფრთოვანებას ვერ ფარავდა. როდესაც მეგობარმა უთხრა — ეს კერძი ქართულ ოჯახში შეიძლება, ყოველდღე და ზოგჯერ, დღეში ორჯერაც მიირთვათო, — სულ გადაირია: ასეთი რა ქვეყნიდან ხართ წამოსულები?!

**— ცნობილი ადამიანები სომარ გინახავს პარიზის ქუჩაში?**

— ერთ-ერთ რესტორანში, ჩვენს მაგიდასთან ძალიან ახლოს უერარ დეპარდიე სადილობდა. სიმართლე გითხრა, სხვა არავინ მინახავს.

**— პარიზი ბევრისთვის ოცნების ქალაქია, შენ რას იტყვი მის ღირსშესანიშნაობებზე?**

— ძალიან მიყვარს პარიზი. პარიზისთვის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ დადიხარ მის ქუჩებში და ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ქუჩა იერსახეს იცვლის — დიდი სხვანაირია, საღამოს კი — სხვანაირი. საღამოობით ძალიან მიყვარს ელისეს მინდვრებზე გასეირნება, სადაც უამრავი ტურისტი დადის და ხმაური დილაღე არ წყდება. ჩემი უსაყვარლესი ადგილია მონმარტრი, საიდანაც მთელი პარიზი ჩანს, გარშემო კი მოხეტიალე მუსიკოსები ძველ ფრანგულ მელოდებს უკრავენ. პარიზის ჩრდილოეთით, დეფანსზე არის ადგილი, რომელსაც „პატარა ნიუ-იორკს“ უწოდებენ. იქ უზარმაზარი შენობები დგას, რაც არამრავალსართულიანი პარიზული სტილისაგან სრულიად განსხვავებულია. თუ გინდა, რომ პარიზელს გული ატკინო, სწორედ ეს უბანი უნდა მოიწონო... ზემოდან არაჩვეულებრივი ხედი იშლება: ლუერის სასახლე, პირამიდები, ლუქსემბურგის და ტიუილრის ბაღები, „მულენ რუჟი“ — ყოველივე საოცრად ლამაზია. სასიამოვნოა სენის სანაპიროზე სეირნობა, ბოლოს კი, „დადლილი“ ღვთისმშობლის ტაძრის მონახულება... რაც შეეხება ეიფელის კოშკს, დამით საახალწლო ბრწყვიალა ნაძვის ხეს ჰგავს.

**— მართლმადიდებლური ტაძრები თუ არის პარიზში?**

— არის სერბული ეკლესია, სადაც წირვა-ლოცვებს ქართულად მოისმენთ — მას მამა არჩილი — იქ დაბადებული ქართველი მღვდელი ადასრულებს. ლევილში კი — ქართველ ემიგრანტთა სამფლობელოში — წირვა-ლოცვას საქართველოდან ჩასული მღვდელი, მამა გიორგი ადასრულებს.

**— ახლა ლევილსა და იქაურ ქართველებზე გვიამბე.**

— პარიზიდან სამხრეთით მდებარე სოფელ ლევილში „პატარა საქართველო“ ცოცხლობს. იქ ყველაფერს ქართული ელფერი დაჰკრავს, ქართული სული ტრიალებს და საცივის, ამოლესილი ლობიოს, მჭადის და ჯონჯოლის მწნილის სუნი იგრძნობა... ეზოში ქათმებიც დარბიან, რაზეც მე და ჩემს მეგობრებს გვეცინებოდა კიდეც — შეხედე, რავა ქართული ქათამივით დარბისო!.. დიდი ალყაფის ჭიშკრის გაღებისთანავე, თავს საქართველოში ამოყოფ; ეზოს დასაწყისში საფრანგეთისა და საქართველოს სახელმწიფო დროშებია აღმართული. ეზოს მარჯვენა კუთხეში დიდი ორსართულიანი სახლი დგას, რომელსაც იქაური ქართველები „ლევილის სასახლეს“ უწოდებენ. ის ახლა ცოტა შელახულია, თუმცა თავისი ხიბლი არ დაუკარგავს. სახლი დიდი გურული ოდის სტილშია ნაშენი, რომელსაც შემდგომმა თაობებმა გარშემო პატარა ოდები მიუშენეს. დიასახლისი — ქალბატონი ეთერ წერეთელი ნამდვილ ქართულ სტუმარმასპინძლობას გაგიწევთ და შთამბეჭდავად მოგიხსნობთ წლებით ნაფერებ ქართველ ემიგრანტთა ოჯახების ამბებს, იმას, თუ როგორ უჭირდათ, რა უღზინდათ, მაგრამ საქართველოში დაბრუნების იმედით აღვსილნი, მაინც ბედნიერები იყვნენ... ქართველ ემიგრანტთა პირველი თაობის შთამომავლობამ არაჩვეულებრივად მოახერხა ფრანგულ ცივილიზაციასა და კულტურასთან იმეკარად ინტეგრირება, რომ ქართული სახეც არ დაუკარგავს. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, ელენე, ლუკა და მირიან მელუები არიან. ამ ადამიანებმა ბევრი გააკეთეს პირადად ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის. სამივე არაჩვეულებრივად ფლობს ქართულ ენას. ხშირად ვსტუმრობთ მათ ოჯახს, სადაც გემრიელი ფრანგული კერძებით გვიმასპინძლდებიან, აკვილებლად ისმება სამშობლოსა და საქართველი ქალის სადღეგრძელოები და ისმის ქართული ხალხური სიმღერები. აქვე მინდა, ერთი კურიოზი გავიხსენო: როდესაც ლუკა მელუა გავიცანი, პირველი, რაც გვითხრა, ის იყო — ქართველი სტუდენტი გოგონები დაგინახეთ თუ არა, ცოტა არ იყოს დავიბენით, რადგან ჩვენთვის ქართველი ქალი გრძელ ნაწნავებსა და ჩიხტიკოთან ასოცირდებო... მათ ჩენი ლაპარაკის მანერა და კილოც კი ეუცნაურათ, რადგან საფრანგეთში დაბადებულ-გაზრდილებს ქართული იმ მშობლებისგან აქეთ ნასწავლი, რომლებმაც საუკუნის დასაწყისში დატოვეს საქართველო. ბატონი ლუკასა და მირიანის მიწვევით მე და ჩემი მეგობარი ამ გაზაფხულზე მოვხვდით წერეთლების დღეობაზე, სადაც იქაური წერეთლების შთამომავ-

ლობა გავიცანი. ეს დღეობა, ქალბატონი ეთერ წერეთლის თაოსნობით ყოველ გაზაფხულზე იმართება. გამაოცა სუფრაზე ჯონჯოლის დანახვამ — თურმე ჯონჯოლის ხის ნერგი ჯერ კიდევ, XX საუკუნის დასაწყისში წაუღიათ საქართველოდან და იქ ეზოში გაუზარებიათ... სასახლიდან ცოტა მოშორებით მდებარეობს ქართული სასაფლაო. ქართველ ემიგრანტთა საფლავებს აუღელვებლად ვერ ჩაუვლი გვერდს, ხოლო საფლავზე გაკეთებული წარწერა — „ჩვენი ძვლებიც კი მისტირიან საქართველოს“ — ნებისმიერ ქართველს მოჰკვრის ცრემლს... იქაური ქართველები აღდგომის დღეს ყოველთვის გადიან ამ საფლავებზე, მაგრამ არც წითელი კვერცხის გადაგორების და არც ჭიქის წაქცევის ტრადიცია არ იცოდნენ და ძალიან კმაყოფილები დარჩნენ, როდესაც ვასწავლეთ.

**— თამუნა, შენ მოგცეს უფლება, იმ არქივზე გემუშავა, სადაც ნოე ფორდანიას ხელით შეტანილი მასალები ინახება...**

— დიან, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამი თვე ვიმუშავე და მომცეს უფლება, არქივის მასალებით მესარგებლა. იქ უამრავი საინტერესო დოკუმენტი თავმოყრილი, როგორც 1918-1921 წლების საქართველოს, ასევე ქართველი ემიგრანტების შესახებ. როდესაც დამტკვერილ ფურცლებს ვშლიდი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს პირველი ადამიანი ვიყავი, რომელიც წინაპართა ხელით ჩაწობილ ფურცლებს შეხედა... მინდა გითხრა, რომ ახლა მუშავდება სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც, მთელი ის ქონება, რომელიც ქართველმა ემიგრანტებმა წაიღეს საქართველოდან და ისიც, რაც საფრანგეთში შეიძინეს, უკლებლივ დაუბრუნდება საქართველოს.





# სისახლიო განკხეური ოქახები

ხარბი ადამიანი უამრავ პრობლემას უქმნის, როგორც საკუთარ თავს, ასევე გარშემომყოფებსაც. სისხარბე მანკიერებაა, რომლის დაძლევაც მხოლოდ დიდი მონდომებისა და ძალისხმევის შედეგადაა შესაძლებელი. სამწუხაროდ, სისხარბე ზოგჯერ, მოსიყვარულე ცოლ-ქმრის გაყრის მიზეზიც ხდება. ჩემი რესპონდენტები სწორედ სისხარბით დანგრეული ოჯახების შესახებ გვიამბობენ.

## ლეკა ჭანკოტაძე

### მარან პატარიაძე, 50 წლის:

— მატერიალურად ძალიან გვიჭირდა. ხშირად, ბავშვებს, ტყემლისა და მჭადის გარდა, ვერაფერს ვაჭმევდით. ჩემი ვაჟი არ მუშაობდა. რძალი ნერვიულობდა. მეუბნებოდა: ყველაფერს გავაკეთებ, რომ ჩემი შვილები გაჭირვებისგან დავისხნაო. ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, ოჯახის რომელიმე წევრი საბუშაოდ საზღვარგარეთ წასულიყო. რძალმა თქვა: ჯან-ღონით სავსე ქალი ვარ, მირჩევნია, მე თვითონ წავიდეო. ბინა გაყიდეთ და საცხოვრებლად სხვა ვიქირავეთ. მთელი ფული რძალმა საბუთების გაფორმებას მოახმარა. გაუმართლა და ამერიკაში წავიდა. თბილისიდან ათი ქალი ერთად გაემგზავრა. რა თქმა უნდა, ვენერეულობდით, მაგრამ ღმერთმა გადმოგვხელა: ქეთინომ სამუშაო იშოვა და ორი თვის შემდეგ, უკვე 2.500 დოლარი გამოგვოგზავნა. რომ მოგიყვებო, როგორ ვიზიემეთ ამ ფულის მიღება, არ დამიჯერებთ. სისხარბისგან მთელი ღამე არ გვეძინა... ერთ წელიწადში, იმდენი შეძლო, რომ ბინა ისევ გვიყიდა. მეტრო „ღრმადელესთან“ ხუთოთახიანი, სუფთა ბინა შევიძინეთ. ჭამა-სმა, რა თქმა უნდა, აღარ გვაკლდა. ქეთინო გვირეკავდა და გვეუბნებოდა: ერთი წელიც გავჩერდები და მერე ჩამოვალ, — მაგრამ პირობა ვერ შეასრულა.

— რატომ? მუშაობა ვეღარ შეძლო?

— ურესი დავმართა: მეტის შოვნის სურვილი გაუჩნდა. სანამ მეორე ბინასაც

არ ვიყიდით, მანამდე არ ჩამოვალ, — მოგწერა. მეორე წელს, მეორე ბინაც გვიყიდა... მეოთხე წელს კი, მისი თხოვნით სამოთახიანი ბინა საბურთალოსზე ვიყიდეთ. მაშინ კი მივხვდი, რომ ჩემი რძლის საქმე ცუდად იყო: მას საშინელი სენი შეეყარა — ამ სენს სისხარბე ჰქვია. რაც უფრო მეტი გაქვს, უფრო მეტის სურვილი გიჩნდება და ცხოვრებაში მთავარი, ფული გგონია... დაურეკე ქეთინოს, ვუთხარი: ჩამოდი; რაც იშოვე, ის შეირგე, თორემ იცოდე, ქმარს დაკარგავ-მეთქი. ხუთი წლით ცოლმა ქმარი არ უნდა მიატოვოს, ყველაზე ერთგულ მამაკაცსაც კი, ასეთ დროს, თვალი სხვა ქალისკენ გაექცევა. განგამისზარს შემოგვკარი. ქეთინოს ყოველდღე ვურეკავდი: ჩამოდი, ოჯახს მიხედე-მეთქი.

— ასეთი შემფოთებული რატომ იყავით? შვილს შეატყვევთ, რომ ცოლს ღალატობდა?

— ალბათ ღალატობდა, რადგან ფულიც ჰქონდა, მანქანაც, მუშაობაც დაიწყო და ზოგჯერ, შინ ღამითაც არ მოდიოდა. იძულებული გავხდი, შვილისთვის მეთქვა: წადი შენს ცოლთან, ხუთი წელი არ გინახავს — ნუთუ, არ გენატრება-მეთქი?! — ყოველთვის მეჯავრებოდა თვალხარბი ადამიანი, ვწუხვარ, რომ ჩემი ცოლიც ასეთი აღმოჩნდაო, — მიპასუხა... საშინელ დღეში ჩავვარდი, მაგრამ რა უნდა მექნა?! რა შემეძლო?! კარგ სახლში ვცხოვრობდით, კარგად გვეცვა და არაფერი გვაკლდა. მაგრამ ოჯახს დიასახლისი აკლდა, ჩემს შვილს — ცოლი და შვილებს — დედა. რძალი ყოველთვე, 300 დოლარს გვიგზავნიდა. ხომ გითხარით, ეს ფული

როგორ გვეჭირდებოდა?! ამ ფულმა შიმშილით სიკვდილისგან გვისხნა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ, როცა ყოფითი პრობლემები მოგვაკარეთ, იმაზე ფიქრი დავიწყეთ, თუ როდის ვიქნებოდით ყველანი ერთად.

— თქვენს შვილს რომ ამერიკაში წასვლა ეცადა, იქნებ, ოჯახი არ დანგრეულიყო.

— თავიდან, მართლა უნდოდა წასვლა, სამჯერ სცადა ბედი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. სამწუხაროდ, ამერიკაში წასვლა მხოლოდ სურვილზე არ არის დამოკიდებული. ამის გამოც გაღიზიანდა. ბოლოს, ამიტომაც გამომიცხადა: თავი დამანებე, არსადაც არ წავალ, თვითონ ჩამოვიდესო.

— იმაზე არ გიფიქრიათ, რომ ქეთინომ ვიღაც ამერიკელთან რომანი გააბა? იქნებ, ეს იყო მიზეზი და არა სისხარბე?

— ჩემი რძლის სიწმინდეში ეჭვის შეტანა არ შემიძლია. ოჯახისთვის თავგადაღებული ქალია. თვალი ფულისკენ გაექცევა, კაცისკენ — არასდროს.

— იქნებ, ქეთინოსაც უნდოდა ჩამოსვლა?

— რომ ნდომოდა, ჩამოვიდოდა. მან ხომ საშინელ სიღარიბეში, წლები იცხოვრა — ნუთუ, რაც იშოვა, საკმარისი არ იყო?! თანაც, ჯობს, ცოტა გქონდეს და შენს ქმარ-შვილთან ერთად ცხოვრობდე, ვიდრე მათ ოკეანე გაშორებდეს... ექვსი თვის მანძილზე, ამაოდ ვცდილობდი, რძალი შინ დაბრუნებაზე დამეყოლიებინა. არ დამიანხმდა. ბოლოს, ჩემმა შვილმა უთხრა: ან ჩამოხვალ, ან ჩათვალე, რომ ქმარი აღარა გყავსო... იმ საღამოს, ქეთინომ დამირეკა და მითხრა: რომ ჩამოვიდე, მანდ რა გავაკეთო?! ფულს ვაგროვებ, სადმე, ჩვენს სახლთან ახლოს, გასტრონომი რომ გავხსნათო... ერთი სიტყვით, არ ჩამოვიდა. ოჯახს ფული არჩია. აი, სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სისხარბემ!.. თბილისიდან ამერიკაში ათნი წავიდნენ ერთად. ჩემი რძლის გარდა, ყველა უკან დაბრუნდა... აქედან წამსვლელებს ყოველთვის მიაქვთ ხოლმე ქართული შურნალები. თუ ეს შურნალი ნიუ-იორკში მოხვდება, მინდა, ქეთინოს ვუთხრა, რომ დაბრუნდეს, სანამ დროა. სისხარბე დამღუპველია. მისი შვილი უკვე თორმეტი წლის არის, მას დედა სჭირდება. მისთვის მთავარი დედაა და არა ფული.

### სალომე ღონდაძე, 44 წლის:

— ჩემს მამაძილზე ამბობდნენ: გაუმაძღარი თვალი აქვსო. ეს სიმართლე იყო. ცოტათი ვერ კმაყოფილდებოდა, კაპიკს კაპიკზე ადებდა, რომ შემწახველი სალაროს წიგნაკზე სოლიდური თანხა დაკგროვებოდა... მდიდრები არასდროს ვყოფილვართ, ყოველთვის ხელმომჭირნედ ვცხ-



ოვრობდით. ისეთი დღე არ მასხოვს, როცა სადილიც გვექნებოდა, საუზმეც და ვახშამიც; დღეში ერთხელ თუ ვაჭმევდი ბავშვებს, ამითიც კმაყოფილი ვრჩებოდი... სხვა დრო რომ დადგა და ფულის ნიშნების შეცვლაზეც ალაპარაკდნენ, ჩემს მამამთილს ვუთხარი: გამოიტანე სალაროდან ფული, საშინელება იქნება, რომ „გაგვიფუჭდეს“ მეთქი. არ დამიჯერა: სიმწრით ნამოვენ თუმნიანებს ფარატინა ქაღალდებზე ვერ გადავცვლო, — გამოვვიცხადა. ფული მართლა შეიცვალა. ბევრ ოჯახს შერჩა ხელში ტკიცინა თუმნიანები. მათ შორის იყო ჩემი მამამთილიც. რომ დარწმუნდა — მრავალწლიანი დანახოვი ქარს გაატანა, ბავშვებს დაუძახა: მარანში წამომყვითო. კედელი გამოანგრია და იქიდან ერთი დიდი ჩანთა გამოიღო. ეს ჩანთა ფულით იყო სავსე (თურმე, შემნახველი სალაროდან ფული კი გამოუტანია, მაგრამ შინ შეუნახავს). არ ვიცოდი, სიმწრისგან მეტირა თუ მამამთილის სიხარბე სიცილით გამეკილა. საშინელ დღეში ჩავვარდი. ჩემმა მამამთილმა კი, ფული ყველას დასანახად ქუჩაში დაყარა და საკუთარი ხელით ცეცხლი წაუკიდა. ყველა გაოგნებული იყო: ყოველივის ცალ-ცალი კალოშით დადიოდა, მანდარინის პლანტაციაში ათენ-აღამებდა, ამდენი ფული კი დამალული ჰქონია... დილით, ჩვენს სახლთან „სასწრაფო დახმარების“ მანქანა გაჩერდა. მამამთილს გულმა უმტყუნა. ოჯახში ათასი კუბონიც ვერ შევგაროვეთ, მოხუცისთვის წამლები რომ გვეყიდა. სიღარიბეში გვაცხოვრდა და სიკვდილის შემდეგაც, სიღარიბეში დავვტოვა... მას შემდეგ, ხარბი ადამიანი მძულს. სიხარბე საშინელება ყოფილა.

**სვირა გელაშვილი, 30 წლის:**

— ბებიჩემის შესახებ უნდა ვიამბოთ. არ იფიქროთ, მის მიმართ სიყვარულს არ ვგრძნობდე. უბრალოდ, მინდა იცოდეთ, თუ როგორი საოცარი ადამიანებითაა ეს ქვეყანა დასახლებული... ბებია სათონ, მოსიყვარული ქალი იყო, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა — სიხარბე. შემოდგომით, ყველაზე მეტი ჩურჩხელა მას უნდა გაეკეთებინა. არ იფიქროთ, ჩურჩხელებით შვილიშვილებს გვიმასპინძლებოდა. არა — შეინახავდა და გაზაფხულზე, თავს იწონებდა ხოლმე: იმდენი ჩურჩხელა გააკეთე, ბალებმა ჯერაც ვერ შეჭამესო... ყველაზე მეტი ქათამი ყოველთვის ჩვენს ეზოში დარბოდა. ბებიას აზრდაც არ მოუვიდოდა, რომელიმე დაეკლა. იარონ მტრის თვალის დასაბრმაველად, — ამბობდა. ერთხელ, შვილიშვილებმა გადავწყვიტეთ, მისთვის ჭკუა გვესწავლებინა: ქათმებს კისერში დანა გამოვუყვით და ყვირილი ავტყებთ: ეზოში თრითინა შემოსულა-თქო!.. ბებიამ სიმწრისგან კინაღამ იტყრა, ბავშვებმა — სიხარულისგან... რაღას იზამდა?! — ვით-

ომ ყელგამოჭმული ქათმები დაკლა და შეწვა. ბებიის ასეთი ხასიათის გამო, მთელ სოფელში ბუნწი მაროს შვილიშვილებს გვეძახდნენ... ალბათ ჩემი საფიცარი იქნებოდა, ასეთი ხარბი რომ არ ყოფილიყო. ცხადია, ადამიანის ეს მანკიერება ბავშვობიდანვე შემაჯავრდა. თუ რომელიმე ბიჭს სიხარბეს შევნიშნავდი, ახლოსაც აღარ ვიკარებდი ხოლმე... ცხოვრებამ საშინელი სიუბარიზი მომიწყო: ცოლად ისეთივე ხასიათის ქალი შემახვედრა, როგორიც ბებიჩემი იყო. თუა მიყვარდა, მისით აღტაცებული ვიყავი. ვერც წარმოვიდგენდი, თუ ხარბი იქნებოდა. ქორწილის შემდეგ, საცხოვრებლად ნაქირავებ ბინაში გადავედით, რადგან ცალკე ცხოვრება მინდოდა, მშობლების დაუხმარებლად მსურდა, ჩემი ბუდე მომეწყო. კარგი სამსახური მქონდა და თუ ფულს დაგზოგავდი, ბინას იოლად ვიყიდდი. როგორც კი მამისეული სახლიდან წამოვედით, თუა მაშინვე აწუწუნდა: შენი მშობლების სახლში მინდა ცხოვრებაო. გაოცებული დავრჩი: ყველა ახალდაქორწინებული წვეილი ხომ დამოუკიდებლად ცხოვრებას ნატრობს?! რომ ვერ დამითანხმა, უკან დავებრუნებულყავი, მითხრა: იმ ავეჯზე, ნივთებსა და სიმდიდრეზე უარის თქმას არ ვაპირებ, მირჩევნია, შენმა ოჯახმა მლანძლოს, შეურაცხყოფა მომაყენოს, ვიდრე იქიდან წამოვიდეო... — მალე ჩვენც ყველაფერი გვექნება-მეთქი, — ვუპასუხე ნირწამხდარმა. — ნულიდან რატომ უნდა დავიწყოთ ცხოვრება? არ ჯობს, ქონებას ქონება მივუმატოთ?! — მომახალა. არ დავუთმე. იძულებული გახდა, დროებით გაჩუმებულიყო.

**— იქნებ, ეშინოდა — ვაითუ, ყოფით პრობლემებს ვერ გავუმკლავდეთო?**

— შეუღლებიდან ორი თვის შემდეგ მივხვდი, რომ ხარბი ქალი იყო. სიხარბე კი, ჩემთვის, ისეთი ნაკლია, რომელსაც ვერაფრით შევეგუები. ჩემთვის ძნელი გასაგებია, რატომ უნდა იყო მშვიერი, როცა მაცივარი სავსე გაქვს. ვერც იმას ვხვდები, თუ რა საჭიროა, უამრავი ფხსაცმელი გქონდეს და მათ ჩაცმას ვერც ახერხებდე... თეამ იმდენი ქნა, რომ დამითანხმა, მუშაობა დაეწყო. ლამაზი გოგო იყო და საკმაოდ კარგ მალაზიაში გამყიდველის ადგილის შოვნა არ გაუჭირდა. ხელფასი 200 დოლარი ჰქონდა. ამ ფულით სულ ფხსაცმელს ყიდულობდა. ბოლოს, ჩვენი ბინა მალაზიას დაემსგავსა. რად გინდა ამდენი ქონებითი? — რომ ვეკითხებოდი, მასსუხობდა: იყოს, იაფად ვიყიდე, გამოვიყენებო... ახალი ბინა რომ ვიყიდეთ, მოხ-

ოვა — გარდერობი მთელ კედელზე გააკეთებინო. მართლაც, უზარმაზარი, შემწიული გარდერობი გავუკეთე, რომელშიც იმდენი ტანსაცმელი დაეტოვდა, ათი ქალი რომ ვერ გაცვეთდა. თეამ ის გარდერობი იოლად გაავსო... სულ მალე, შინ, ცოლის მაგივრად, მოდელი მყავდა...

**— ხომ არ აჭარბებთ?**

— რატომ? განა ნორმალურია, ქალს რომ ოცი შარვალი აქვს და ოცდამეერთის ყიდვის სურვილით ღამე არ სძინავს?! ერთხელ, დედამისმა უთხრა: ძალიან ღამაში მყავხარ, მაგრამ ასევე ძალიან ხარბი თვალი გაქვს — სხვა მამაკაცებისკენ არ გაგაქცევსო... საშინელ დღეში ჩავვარდი. სიდერის ეკვი სიმართლესთან ახლოს იყო. ქალს თუ ფული ასე უყვარს, ის არც ფულიან კაცზე იტყვის უარს... უფულო არც მე მეთქმოდა, ჩემი ბიზნესი წარმატებულად მეჩვენებოდა, მაგრამ რაც მეტ ფულს ვშოულობდი, თეას უფრო მეტი უნდოდა. ერთ დღეს, მისი რამდენიმე წვეილი ფხსაცმელი მალაზიაში ჩავაბარე. მეგონა, იმ დღეს, საშინელ დღეში ჩამაგდებდა, მან კი არაფერი მითხრა. გამიკვირდა — ასე რატომ მოიქცა-მეთქი? — და იცით, რა დასკვნამდე მივედი? — ვერც შეამჩნია, რომ მის „კოლეგიას“ რვა წვეილი ფხსაცმელი აკლდა... მერე ისეთი ქალი შემხვდა, რომელიც აღტაცებას ვერ ფარავდა, თუკი რაიმეს ვაჩუქებდი. მან მაგრძნობინა, რომ მისთვის მე ვიყავი ძვირფასი და არა ჩემი ფული... თეა თავის გარდერობთან იდგა, ოჯახიდან რომ წამოვედი. აზრდაც არ მოსვლია, რომ ვტოვებდი. კარი გამოვიხურე და სხვა ქალთან წავიქვი. ახლა აღარ მემჩნია, რომ თუ ოდესმე გავკოტრდები, ამის გამო ცოლი მიმატოვებს და სხვა,



ჩემზე უფრო ფულიან კაცს გაეკიდება...  
**ნოდარ კუმატაძე** (გვარი შეცვლილია), 59 წლის:

— მე და ანა რომ დავქორწინდით, თავი ყველაზე ბედნიერი კაცი მეგონა. ფულიც მქონდა და კარგი სამსახურიც, მხოლოდ ლამაზი ქალი მაკლდა და ისიც მარგუნა განგებამ. ანას მსგავსი ქალი ჩვენს ქალაქში არ ღადიოდა. ორი წლის შემდეგ, მოსკოვში წავიდით. ერთი დაუვიწყარი თვე, ფუფუნებაში გავატარეთ. ანას ყველა სურვილს ვუსრულებდი. ძვირად ღირებულ სასტუმროში ვცხოვრობდით, ქუჩებში ავტომანქანით ვსვინრობდით. ანას სულ მალაზიებისკენ მიუწვევდა გული. მიკვირდა — რისთვის ყიდულობდა უამრავ წვრილმანს, მაგრამ კითხვებით არ ვაწუხებდი. თანაც ვფიქრობდი: სიღარიბეში გაზრდილს, ყველაფერი აოცებს, დრო გავა და ფუფუნებას მიჩვევა, ფულის ფლანგვასაც გადაეჩვევა-მეთქი... ერთი თვის შემდეგ, შინ საცხე ჩემოდნებით დავბრუნდით. მთელი მოსკოვის მალაზიები დააცარიელეთო?! — გაცოდნენ ჩემი მშობლები. ხუთი-ექვსი დღის შემდეგ, შევაძინე, რომ ანა რაღაცას ანგარიშობდა. რას წერ-მეთქი? — კითხე. — ვალების სიას ვათვალიერებო, — მიპასუხა. ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. ამისნა: მოსკოვიდან ჩამოტანილი პომადები და ტუშები გავყიდე, ზოგმა ნისიად წაიღო და ახლა, ფული აღარ მოაქვსო. კარგა ხანს, ხმა ვერ ამოვიღე, რადგან ვერც კი მივხვდი, თუ რა მითხრა. ეს ჩემთვის წარმოუდგენელი იყო: თურმე ჩემი ცოლი ფერუმარილითა და საცვლებით ვაჭრობდა...

**— მერე, არ აუხსენით, ცუდად რომ იქცეოდა?**

— პროვინციულ ქალაქში რაიკომის მდივნობა ხელწამოსაკრავი თანამდებობა არასდროს ყოფილა. ამ ამბიდან ოც წელზე მეტია გასული. ჩვენი თაობის ხალხს კარგად ახსოვს, თუ როგორი რეპუტაციის აღამიანებს ნიშნავდნენ ამ თანამდებობაზე. მამინ ბავშვმაც იცოდა, რომ რაიკომის მდივნის ოჯახის წევრებისთვის ვაჭრობა სამარცხვინო და სათაკილო საქმედ ითვლებოდა. ანას ვთხოვე: სანამ დროა, შეჩერდი; თუ ჩემმა მტრებმა ეს ამბავი გაიგეს, თანამდებობას დავკარგავ-მეთქი. შემპირდა: ვაჭრობაზე ხელს ავიღებო. მართლაც, გარკვეული დროის მანძილზე, მსგავსი რამ მისთვის აღარ შემიმჩნევია. ბოლოს, ისიც კი ვიფიქრე — შეცდომა დაუშვა, მაშინვე რატომ გაკვიცხე?! — თვითონ მიხვდებოდა, არასწორად რომ იქცეოდა-მეთქი. ერთ დღეს, ჩემმა დამ თავისთან დამიბარა. მივედი. სიმართლე უნდა გითხრაო, — თქვა და ასეთი რამ მიაბო: ანა კვირაში ორჯერ, თბილისის ავტობუსს ხვდება, ვიღაცა მას მობრდილ ჩანთას უგზავნის, ჩანთაში არ ღვეს, არ ვიცი, მაგრამ ხალხი ლაპარაკობს, რომ

შენი ცოლი „კალგოტკებით“ ვაჭრობსო. რაიკომის შესამე მდივანი ვიყავი და დღე-დღეზე, დაწინაურებასაც ველოდებოდი. ჩემს ადგილს ბევრი უმიზნებდა. ცხადია, მტრებიც მყავდა. თუ ანას საქმიანობა გამჟღავნდებოდა, სამსახურს დავკმეზივდებოდი. გადავწყვიტე, ანა სასწავლებლად მოსკოვში გამეგზავნა. რუსული კარგად იცოდა. მეგონა, დიდ ქალაქში ცოდნასა და გამოცდილებას შეიძენდა. მართალია, წინააღმდეგობა გამიწია, მაგრამ ჩემი გავიტანე. ფეხმძიმე ქალი ცივ რუსეთში გავუშვი.

**— უთხარი, ასე რატომ მოიქეცი?**

— რა თქმა უნდა. ყველაფერი ავუხსენი. იტირა, პატიება მთხოვა, გამოვსწორდებიო, — დაიფიცა, მაგრამ არ დაუჯერე. თანაც, თანამდებობის დაკარგვის შემეშინდა. რას წარმოვიდგენდი, თუ უარესს გამიკეთებდა?! ზაფხულის არდადეგებზე რომ ჩამოვიდა, მე უკვე რაიკომის მეორე მდივანი ვიყავი. ალბათ ჩათვალა, ჩემი ქმარი უკვე მთელი ქალაქის ბატონ-პატრონიო, — და აღარავის მოერიდა.

**— რა ჩაიღინა?**

— ერთი დღით, თბილისში ჩამოვედი. უკან გვიან ღამით დავბრუნდი. რაიკომში მაინც მივედი: საბუთები კაბინეტში უნდა დამეტოვებინა. პირველი მდივანი რომ დამხვდა, გამიკვირდა. რა მოხდა, ზახარი-მეთქი? — კითხე. — შეწუხებული ვარ, ნოღარო, — მიპასუხა, — შენმა ცოლმა შენივე კაბინეტში „ტალკუქა“ გახსნა... თურმე ანას, საცვლები, პერანგები და სხვადასხვა წვრილმანი ჩემს სამუშაო მაგიდაზე გაუშლია და თანამშრომლებისთვის უთქვამს: შემოდით, უცხოური საქონელი შეიძინეთ... ვერ წარმოიდგენთ, რა დამემართა. დავჯექი და პირველ მდივანს ჩემი გასაჭირი დაწვრილებით ვუამბე. ან თანამდებობას უნდა დაემშვიდობო, ან ცოლსო, — გულახდილად მითხრა. ის ღამე კაბინეტში გავატარე. ვიჯექი და ვფიქრობდი, რა მეღონა. დილით, ჩემს ცოლისძმასა და სიმამრს დავურეკე: ვთხოვე, ჩვენთან მოსულიყვნენ. შეშინებულები მოცვიდნენ. ჩემი მდგომარეობა ავუხსენი. სიმამრმა კინაღამ ტირილი დაიწყო. მთხოვა: ერთი შანსი კიდევ მიეცი და თუ არ გამოსწორდა, ჩემი ხელით მოკლავო. მისი თხოვნა შევისმინე. უფრო სწორედ — ანა მიყვარდა, იმდენად მიყვარდა, რომ მასთან გაყრა ვერ წარმომიდგინა. მასზე თვრამეტი წლით უფროსი ვიყავი. ის ჩემს თვალში პატარა გოგო იყო, რომელსაც, რომ არა ჩემი სამსახური, ნებისმიერ შეცდომას ცელქობად ჩაუთვლიდი და ვაპატიებდი... ვემუდარებოდი, სიხარბე დაეძლია. იმდენ ფულს ვაძლევდი, რამდენსაც მოისურვებდა, ყველა სურვილს ვუსრულებდი, მაგრამ სიხარბე მისთვის უკურნებელ სენად ქცეულიყო. ერთ დღეს, სამინელება მოხდა:

ჩემს შვილს მანქანა დაეჯახა. აგვისტო იწურებოდა. ანა მოსკოვში წასასვლელად ემზადებოდა. ბავშვი უყურადღებოდ დარჩა და ხიფათმაც არ დააყოვნა. საავადმყოფოში დავაწვინეთ. ძალიან ძვირად ღირებულ პრეპარატები დასჭირდა. ექიმები წამლის სახელს დაგვისახელებდნენ თუ არა, ერთ საათში მოქონდა, მაგრამ ბავშვის სიცოცხლე მაინც ბეწვზე კვიდა. ექიმები იმეღს ვერ გვაძლევდნენ. სამი დღე-ღამის მანძილზე, თვალი არ მომიხუჭავს, საავადმყოფოს ეზოში ვათენებდი და ვაღამებდი. მეთოხე დღეს, ახალგაზრდა ქალი მომიახლოვდა და ტირილით მითხრა: ჩემი შვილი დასალუპადა განწირული, თუ იმ წამალს არ გავუკეთებთ, რომელიც თქვენი შვილისთვის მოიტანეთ, გვედრებთ — ორი ამპულა მომეცითო. საბრალო ქალი დავამშვიდე, ვუთხარი: მდით, ჩემი ცოლი მოგცემთ-მეთქი... ამ ამბიდან ორი დღე გავიდა. რაიკომის პირველმა მდივანმა გამომიძახა. მითხრა: ერთი ქალი გინივის, შენ და შენს ცოლს წამლებით ვაჭრობაში გადანაშაულებთო. თურმე ანამ იმ საბრალო ქალს წამალი მამასისხლად მიჰყიდა...

**— ეს ამბავი როდ დასრულდა?**

— სამსახური დავკარგე. მაგრამ ყველაზე აღმამფოთებელი ჩემთვის ანას საქციელი იყო. შვილი უკვდებოდა, ის კი წამლებით ვაჭრობდა. მომაკვდავი ბავშვის საწოლთან იღვა და მეორე მომაკვდავი ბავშვის დედას ეუბნებოდა: ფული თუ არ გაქვთ, შემიძლია, წამალი ნისიად მოგცეთო... მივხვდი, რომ მასთან ცხოვრება აღარ შემეძლო. მიყვარდა, მაგრამ პატიება ჩემს ძალებს აღემატებოდა. სიხარბის გამო, მას ოჯახი დაენგრა, მე კი — მთელი ცხოვრება... სასამართლოზე განვაცხადე: ყველაფერს მიცემ, რასაც მოისურვებს-მეთქი. კანონით, სახლის ნახევარი ეკუთვნოდა. მაგრამ ამ სახლში ცხოვრება არ მოისურვა. თბილისში მაყიდვინა ბინა. მეტრო „წერეთელთან“ ოთხ-ოთახიანი ბინა ვუყიდე. ხუთი წლის წინ შევიტყვე, რომ ის ბინა დაუვირაგვებია. მერე გამოსასყიდ ფულს ვეღარ იხდიდა და შემომითვალა — მიშველეო. რა უნდა მექნა — შვილს ღია ცის ქვეშ ხომ არ დავტოვებდი?! ჩემი ვაჟი უკვე ოცდაერთი წლისაა. მართალია, დაჭერილია — თორმეტი წელი აქვს მისჯილი, — მაგრამ ციხიდან რომ გამოვა, სადღაც ხომ უნდა წავიდეს?! ფული არ მქონდა. რაღაც ნივთები გავყიდე, ავტომანქანასაც შეველე და ბინის გამოსასყიდი თანხა მივეცი. აი, ასე ვისჯები მისი სიხარბის გამო. გავყვარე, გულიდანაც ამოვიგდე, მაგრამ ჭკუა მაინც ვერ ისწავლა. იქნებ, სიხარბე მართლაც, ავადმყოფობაა და მისი წამალი ჯერ არ არსებობს?!

ხშირად მიფიქრობ: ამ რუბროკის რესპონდენტები, რასაც და როგორც ჰყვებიან, ზუსტად ისე რომ დავენიშნო, ნეტავ, რა მოხდება-მეთქი... საოცარია, ჯერ მხურვალედ იხსენებენ ყველაფერს და მერე იხსენებენ: აბა, შენ იცი, არ დამლუბო, ყველაფერი არ დანერო... ამირან ბუაძეც ძალზე ენაწყლიანი და გულახდილი აღმოჩნდა, მაგრამ შეძლებისდაგვარად, მასაც „დავიწვინო“ და მის მიერ მოყოლილ ზოგიერთ ამბავს „შევარბილებ“.



# რატომ უყვარს ამირან ბუაძეს ლობიო და არ უყვარს „ა-ბე-ბე“?

## მაია კახიძე

— ამირან, ცოტა ხნის წინ, 55 წელი შეგისრულდა. ქალარაც ძალიან გიხდება... ჰოდა, გასახსენებელიც ბევრი გექნება. ქალებზე უნდა ვისაუბროთ და გულწრფელად მითხარი — როგორი ქალები მოგწონს?

— სხეულიანად რომ ანათებს, აი, თვალებიდან და ყველაფერიდან ნაპერწკალი რომ გადმოსდის! ქალის ღიმილზე ხომ ვეკიდები. ერთი სიტყვით, უფრო ადვილი გასაგები რომ იყოს, შამპანურივით ქალები მიყვარს. ყველას თავისებური „შხევი“ აქვს და — იმიტომ, მაგრამ „სუხოეს“, „სლაფკოე“ მირჩევენია. არა, „სუხოე“ საშინელებაა. ჰა და ჰა, „პოლუსლაფკოე“ მაინც უნდა იყოს. ისე, კაცი თუ ხარ, „სუხოეც“ კი უნდა შეიბრალო... გულთან კაცს ყოველთვის რჩება სინანულის გრძობა, თუმცა, გააჩნია, რა შემთხვევაში.

— შენზე იმდენ რამეს ჰყვებიან შენი მეგობრები, რომ ჯობს, თავად გვიამბო, რა არის მართალი და რა — არა.

— ისე არ წვიმს, როგორც ქუხს. დიდი ხანია ვფიქრობ: სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია თუ არა? მე მგონი — არც ერთი...

— როდის „იგემე“ პირველად ქალი?

— 15-16 წლის ვიყავი. ერთმა მითხრა — 25 წლისამ „მოვახერხეო“. ეს ძალიან გვიანია, ჩემი აზრით... ზღვაზე ვიყავით ბიჭები, გაგარამი ვისვენებდით და პირველად იქ მოხდა ეს ამბავი. მე მთავრად დაეხმარა და გავეზარდე. მხაკაცი მყავდა, თემურ ბერძენიშვილი (მისი სული ცხონდეს — შარშან გარდაიცვალა); ერთ მშვენიერ დღეს, რუსი გოგოები მოიყვანა. არადა, ისეთი მორიდებული ბიჭი ვიყავი, ვერ დაიჯერებ... რა გაცინებს?! ერთ-ერთს მოვეწონე და მეც მომეწონა. მეგობრის სახლში ვიყავით, სამო-

თახიანი ბინა ჰქონდა. „დავებლდებოდა“ და ბიჭებმა მარტონი დაგეტოვეს. მორიდებისგან აღარ ვიცი, რა გქნა. ზღვაზე მიღებულმა გამოცდილებამ, რასაკვირველია, ცოტა შემაგულიანა, მაგრამ ჯერ ურთიერთობა ხომ უნდა დაამყარო?! იქვე ბანქო იღო. მეც ავდექი და „დურაკას“ თამაში შევთავაზე. გაოცებულმა კი შემომხედა, მაგრამ დამთანხმდა და დავიწყეთ თამაში. მგონი, 10-12 ხელი ვითამაშეთ. ბიჭებს ჰგონიათ — ჩავარდა ამირანი ქერის ორმოშიო, — მე კიდევ „დამას“ „კაროლით“ რომ ვჭრიდი, გული მიჩერდებოდა... კარგა ხანს რომ არ გამოჩნდი — ხომ არაფერი დაემართაო? — ბიჭებს შემინებიათ და ნელ-ნელა შემოაღეს კარი. კინაღამ მომკლეს: რა დროს „დურაკა“, შე „დურაკო“, მაგისთვის დაგეტოვეო?! თემური თვალებს მიბრიალებდა — კარტის სათამაშოდ მოგიყვანე ქალიო?! როგორც იქნა, დავძლიე სიმორცხვე და... მოკლედ, სისხლი ისე მიჩქვდა... მერე მთელი დამეგავარძელეთ „კარტის თამაში“, მაგრამ ანგარიში ნაღდად აღარ მასსოვს. ახლაც, ბანქოს რომ დავინახავ, სულ ის ვალია თუ ვალია მასხინდება ხოლმე. მერე „დურაკას“ თამაში შესანიშნავად ვისწავლე. საერთოდ, წლები თავისას შერება, გამოცდილებას იძენ. მით უმეტეს, რომ გვიან დაჯორწინდი — 30 წლის ასაკში... უფროსი მეგობრებისგან ბევრი რამ ვისწავლე, ლენინგრადში ვართ გასტროლებზე და ბატონმა გოგი გელოვანმა ტელეფონების „ენიჟკა“ დაადრო; ეგეთი რამე ცხოვრებაში არ მინახავს, ძველისძველი იყო, КПСС ეწერა. მაშინ ფული კი არა, ერთი ბოთლი არაფიც მშვენივრად ჭრიდა რუს ქალებთან. თან „ცერკოვნი“ „მრავალჟამიერს“ რომ დავაგუგუნებოდი, ვენებს იჭრიდნენ ქართულ სიმღერებზე, ლენინგრადში მოსკოვიდან ჩავდიოდი, მოსკოვშიც გვექონდა საექტაკლი. ჰოდა, გოგის „დიდი პატივი ვეცი“ რუსეთის დედაქალაქში, მაგარი ნაშა მიუყვანე. ლენინგრადში კი დაიჩემა — ახლა მე უნდა გცე პატივიო.

ცხონებული იაშა ტრიპოლსკიც ჩვენთან ერთად იყო სასტუმროს ნომერში. მოკლედ, გოგია გელოვანი გულმოდგინედ შეუდგარეკავს (მე სიცლით ვკვდები, ბლოკნოტის ყდაზე ლენინის და სტალინის სურათები დავინახე). საგარეოში გაივლიდა და ნახად ეუბნება ვილაცას ყურმილში: Людочку попросите, это князь Геловани беспокоит... იქიდან კი პასუხობენ: Дядя Гоги, бабушка 25 лет назад умерла-ო. აუ, მომკვდარა, ამის დედა ვატირეო... იქვე შავი ფანჯარი იღო მაგდაზზე, ავიღე და იმ ქალის ნომერი შავი ფანჯრით შემოვუხსაზე — ჩარჩოში ჩავსვი... ვერე კი არ არის საქმე, — უამრავი ნომერი მაქვს! — გაიძახის. ისევ რეკავს: Алло, Тамарочку попросите-ო... ვა-ა, ის თამარა კიდევ, 20 წლის წინ მომკვდარა. თამარაც შავი ფანჯრით შემოვხაზე. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ზოგი 15 წლის, ზოგი ათი და ზოგიც ხუთი წლის წინ იყო გარდაცვლილი... ისეთ გუნებაზე დადგა გოგი, დანა პირს არ უხსნის. ბოლოს, რომ დარეკა და უთხრა — Князь Геловани беспокоит-ო, ატყდა ტირილი და ვაი-უშველებელი: ის ქალი ორი დღის წინ გარდაცვლილიყო საწყალი. თავი გამოიღო ბატონმა გოგომ — უნდა მივუსამძიბო ოჯახს და ახლა მჭირდება თქვენი მეგობრობაო. უარს ხომ ვერ ვიტყვოდი „გამწარებულ“ კაცს?! „ბუკეტი“ სელში გავემართეთ მოცემულ მისამართზე. კაი ხანს ვეძებეთ და როგორც იქნა, მივაგენით ლენინგრადის გარეუბანში. სანამ მიცვალებულამდე მივალწიეთ, გოგის ვეკითხები: ბიძინი, როდის გაიცანი-მეთქი? — „დავით გურამიშვილს“ რომ ვივლებდი, 20 წლის ბიჭი ვიყავი და ნახევარი ლენინგრადის ქალები დამდევდნენო, — თავმოშორნე მიპასუხა. ის ქალები რა ასაკის იყვნენ-მეთქი? „აჰ, სოროკა“-ო. მე უთხარი — მოკვდებოდნენ ადენი წლის შემდეგ, აბა, რა იქნებოდა, შენს ჩამოსვლას ხომ არ დაელოდებოდნენ-მეთქი?! ერთი სიტყვით, მივადექით კიდევ ლაპარაკ-ლაპარაკში მიცვალებულს. გავიხედე — საწყალი, 95 წლის მაინც იქნებოდა... წინ გოგი მიდის, მერე — იაშა ტრიპოლსკი, მე, როგორც უმცროსი — უკან მივჩანჩალებ. რაღაც ქება ჰქონიათ დაფენილი იატაკზე; ოთახში შესვლისას გოგომ ფეხი წამოჰკრა, წაბარბაცდა და მიცვალებულს არ დაემხონ ზედი? უიმი, იქ ამბავი ატყდა!... როგორ ჰყვარებია, როგორ გაიგეთ, ნამდვილი ქართული ვაჟკაცი ყოფილხართო... კაცი, ეს ჩვენი გოგი აღარ იმდრევა. გამისკდა გული, დღესაც უცოლოა და მშვენიერი შესახედავი კაცია, თან, რა მოქვივე, როგორ მღერის, მის არტისტობაზე რომ აღარაფერი ვთქვა; მაშინ ხომ გაცილებით ახალგაზრდა იყო და მართლა შემეშინდა — რა დემართა-მეთქი?! ვეკით მე და სულკურთხეული იაშა, ავადვლიზეთ მკვდარს, როგორც იქნა, და ოთახიდან გამ-

ინფორმაციულ-მედიკალიზაციის კოლაჟი

ეონი ღვალის უბის წიგნაკიდან:

- 1. შვამდა და ძიშრა ძიებია აფხაზეთში.
- 2. ძველი ბერძნები ღვინოს ზღვის წყლით აზავებდნენ.
- 3. ფრანგული ცეკვა „კანკანი“ ალჟირული წარმოშობისაა.



- 4. ზღვაში გასულ მეზღვაურთათვის უქმე დღე არ არსებობს.
- 5. ღვინოს მაკობა სამი თვე, სამი კვირა და სამი დღე გრძელდება.
- 6. „ვარიეტე“ ფრანგული სიტყვაა და ქართულად მრავალფეროვნებას ნიშნავს.
- 7. ფონენდოსკობით ავადმყოფის ფილტვების მოსმენას „აუსკულტაცია“ ჰქვია.
- 8. რომაელები ბრძოლის შემდეგ, თუპიტერს მტრისთვის წართმეულ იარაღს სწირავდნენ.
- 9. პავანა, ესტამპიდა, პასანეცო, ბურე, ალემანდა, ლენდლერი, ვალსი – ეს სამეზღვაოსო ცეკვების ჩამონათვალია.
- 10. ნამცეცა, 15-სანტიმეტრიანი ზვიგენს Squaliolus laticaudus ჰქვია. იგი იმდენად იშვიათია, რომ მხოლოდ ლათინური სახელწოდება აქვს.
- 11. ალექსანდრე მაკედონელი არასოდეს მართავდა ბრძოლას ღამით, რადგან ამას გამარჯვების მოპარვად თვლიდა.
- 12. პრევენციის ცხენის ბუნებაში დაჭერილი უკანასკნელი ფაზატი 1973 წელს, ერთ-ერთ ზოოპარკში მოკვდა. ამ ჯიშის ყველა ცხენი ამჟამად, მხოლოდ ზოოპარკებში ბინადრობს.
- 13. პავიანებს არ უყვართ წყალი. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ეს შექმნილი თვისებაა და იმით არის გამოწვეული, რომ მღინარეები მათი გავრცელების არეალში ნიანგებით არის სავსე.
- 14. სანოტო პარტიტურებში არსებობს სპეციალური ნიშანი, რომელიც აღნიშნავს, რომ იმ ადგილას შეიძლება პაუზის გაკეთება მიუხედავად იმისა, რომ იქ ფაქტობრივად პაუზა არ არის. ასეთი ნიშნები მომღერალთა და სასულე ინსტრუმენტებზე დამკვერთათვისაა გათვალისწინებული.
- 15. ჟიულ ვერნის ვაჟი ახალგაზრდობაში, ალვირანსილი ცხოვრებით ცხოვრობდა. მშობლებმა ამას ვერაფერი რომ ვერ მოუხერხეს, გადაწყვიტეს, ინდოეთში მიმავალ გემზე მეზღვაურად გაემწყობინათ. ეს სასჯელი მას ძალიან მოეწონა და ერთდღერით, რისთვისაც შემდეგ მშობლებს აწუხებდა, იყო

ოვიყვანეთ. თავს იკლავდა – ეს რა დამე-მართაო (იციანის)... აი, ასე დამტოვა ღვინო-გრადში ნაშების გარეშე ბატონმა გოგომ.

— იმ გასტროლების დროს, არა მგონია, რომელიმე თქვენგანი ნაშების გარეშე დარჩენილიყავით...

— და არა მხოლოდ იმ გასტროლების დროს...

— აქაურ ოინებზე არ მიაბზობ?

— ერთ დღეს, გოგობმა დამირეკეს თე-ატრში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მისამართი მითხრეს და ისიც დააყოლეს – მოუთმენლად გელოდებითო. ჩვენი თეატრის მსახიობს, ავთო მიქაძეს ვკითხე – წამოხვალ-მეთქი? ეგ რამეს გამოტოვებდა?! მაშინვე დამთანხმდა. მივედი, სამი არიან. ერთი მაგრად მეგასებოდა. საერთოდ, ბავშვობიდანვე რძენაკლული ვარ – ადრე მომწყვდიეს ძუძუს და რა ვქნა, ასეთი მიღრეკილება მაქვს – კარგი მკერდი ძალიან მიყვარს; ვინც მომწონდა, იმას სასწაული მკერდი ჰქონდა... მოკლედ, „ვებრანჭები“ გოგოს და ავთომ თავი გაიფიქრა – მე მომწონსო. ერთი სიტყვით, თავისი გაიტანა. მაგრამ ვერ ვისვენებ, მეც დიდიხორში ჩავვარდი. ცოტა ხანში, რაღაც დღესასწაული ახლოვდებოდა და ერთხელ ავთოს ვკითხე: რას შერები, ხონში არ მიდიხარ-მეთქი (ავთო ხონელია)?

— კიო, – მიპასუხა. მანქანა მეც მყავდა და მცხეთამდე გავაცილე: ეგ ისეთი უკუდმართია, მეშინოდა, არ გადაეფიქრებინა. დავრწმუნდი თუ არა რომ ტრასას დაადგა, მივამხე – არ დაბრუნებულხარ-მეთქი ცოცხალი... ცოტა ფული მქონდა და ეგრევე მარინასთან (იმ მკერდსავსესთან) „დავახვიე“. თან, ვიცი, რომ წამოხვებულები არიან და დრო ვიხელთე. გასეირნება შევთავაზე და შევხვდით კიდეც ერთმანეთს. ჩავისვი ჩემს „ნულ-რ“-ში. ისეთი სექსუალური გოგო იყო, ჩემი მანქანის „პარპრიზმა“ კი ცანცანი დაიწყო, ის რომ „სიღნინაზე“ მოკალათდა... გეფიცები – ნეტარებისგან მანქანაც „ათუხთუხდა“ და მე რაღა მომივიდოდა?! დავქოქე მანქანა და ვფიქრობ, სად წაიფიქვანო? ამ დროს, ჩემი მძაკელების მანქანამ ჩავეჭიროლა. აწ გარდაცვლილი, თემურ მახარაძე (ექიმი იყო, მაგრამ შესანიშნავად მღეროდა), თემურ კახიძე – მეღვინე, ზურიკო სიმონიშვილი და ჯანგირა რამიშვილი სხედან. მცხეთაში მიდიოდნენ საქეიფოდ და ჩვენც დაგვაბატყეს. მოვეწყვეთ რესტორანში, მოიჭიმა გიტარა და გახურდა ქეიფი. კაცო, მე რომ ვმღერი, ვხვდავ, ეს ჯანგირა მაგიდის ქვეშ რაღაცას ეჩალიჩება მარინას, მე მოლასავით გავკვივი სიმღერებს, მარინას კი ჩხუბი და დავიდარაბა არ უნდა და გაყურებულა... ვხვდავ – სიმღერალემ „ჩემი-შენი“ არ იცის. ჩემად ვუთხარი: ტუალეტში გადი-მეთქი. ცოტა ხანში, უკან გავყვი: ხომ ხვდავ, რა ხდება, შენ გამო? შენ ხომ „ვიზაჟინ“ და მეც ზედ მიმაყოლებენ, ამიტომ

აქედან ავითეოსო-მეთქი. მართლაც, წამოვედი, გამოვიპარეთ, რა... მოკლედ, „ქალი მოვიტაცე“. ჩამოვედი თბილისში და ახლა ფუნ-კულორის გზას დავადექი. მერე წავეკისის მიდამოებში შეგერედი და როგორც იქნა, საქმე ბოლომდე მივიყვანე.

— მანქანაში?

— კი, მანქანაში ძალიან რომანტიკულია. ერთი კი მითხრა მარინამ – ვაიმე, ავთოს როგორ შევხვდოდა თვალებშიო? – ერთი, ავთოს სუვეელაფერეიც, თუ უნდა, არა მანობას გეთამაშებოდა-მეთქი?! – ვასხამ ცეცხლზე ნავოს, რა... სამი დღის მერე, ჩამოვიდა ავთო მიქაძე: ჩემი მარინაჰკა ხომ არ გინახავს? – მკითხა. რა იყო დასამალი და ვუთხარი: კი, „მომივიდა მარცხი“, ოღონდ ნუ გადაირევი-მეთქი. ჯერ ჩემთან ატეხა ამბავი და მერე იმასთან გაიქცა: რაღა ხარ, ჩემო მარინაო? იმანაც – შენ გელოდებო-დიო. აბა, თუ მე მელოდებოდიო... და ატყდა ბახაბუხი... მოკლედ, ხან ერთი მეშუქრებო-და მოკვლით თუ დაჭრით, ხან – მერე. მერე დამირეკა მარინამ, მღანძღა, მაგინა – რატომ გამოქვიო?! მე კი მგონია, რომ სწორად მოვიქციე, რადგან მეგობრის ოჯახი დანგრევას გადავარჩინე და მთელი დარტყმა საკუთარ თავზე ავიღე (იციანის).

— შენი მუღლლე არ ეჭვიანობს?

— მიჩვეულია. აბა, სულ პიჯამოსა და ფლოსტებში ხომ არ ვივლიდი მსახიობი კაცი?! ერთხელ მე და ცხონებული ვაი ფერაძე რესტორანში ვქეიფობდით. გოგოები შემოვიდნენ – ეგეთი მახინჯები არა-სოდეს მენახა. რამდენიმე ჭიქის მერე კი, ისე ლამაზებად მოგვეჩვენნენ... სასმელმა „აგდება“ იცის, მაგრამ ზოგჯერ, გამოფხი-ზლებულს, მინანია კიდეც – ამასთან რა მინდოდა-მეთქი? თან, სახელიც არ მცოდ-ნია. ამას წინათ, ერთმა გამაჩერა: ამირან, განსოვსო?... – ვა-ა, ვუყურებ და ნაღდად არ მახსოვს. ის კი, ხან თბილისის ზღვას იხ-სენებდა და ხან – კუს ტანს. ალბათ ძალიან საინტერესო არ იყო, თორემ ხომ დამამახს-ოვრდებოდა? თუმცა, მოწონება და სინაზეც ბევრჯერ ყოფილა...


— ამირან, თეატრის მსახიობე-ბიდან, სიმღერების ერთ-ერთი კარგი შემსრულებელი ხარ და გიტარაზეც შესანიშნავად უკრავ. რამდენად გეს-მარება სიმღერა ქალთან ურთიერ-ობაში?

— ჯერ ერთ ამბავს მოგიყვები და მერე შენს კითხვასაც ვუპასუხებ: ერთ მშვენიერ დღეს, ირლანდიელი გოგო გავიცანი. „ეთიმ გურჯი“ მესვდ ვითამაშეთ და ამის აღ-სანიშნავად, ვასმამი გამართა ოთარ მამფო-რიამ რესტორან „არავში“. ისეთი საზოგა-ლოება შევიკრიბეთ და ისე მოვუღვინეთ, ყველა ჩვენ შემოგვეჭიროდა. რესტორანში ახალგაზრდების ჯგუფი შემოვიდა, ქართუ-ლი პურმარლით აღტაცებულები მალე შე-

მოგვიერთდნენ კიდევ. მერი მაკეროლი ულამაზესი გოგო იყო — ოქროსფერი თმით, მწვანე თვალებით და ჩამოქნელი ტანით. რუსულს ეუფლებოდა და „მეგობრობის“ მატარებლით თბილისსაც ეწვია. ორივეს ძალიან მოგვეწონა ერთმანეთი. მხოლოდ ორი დღე ჰქონდა დრო. „დასტოვინი“ მასპინძლობა და ყურადღება გავუწიე. ღამით ორთაჭალაშიც კი წაიყვანე მეპურებთან; რაც მოვასწარი, ყველაფერი ვაჩვენე. მეორე დღეს, ღამა თაბუკაშვილმა, ქალბატონმა მდედა ჯაფარიძემ და ბატონმა რეზომ შინ დაგვაპატიყეს. მდივომ პურმარალი გაშალა. ჩემი ძმაც ვიანხლე, სოსო ნიჟარაძეც, მეგვარეების ამბავში. ყველა მოწადინებულა, რომ დავოგახდებოდა. მოვიდა დრო და გავაცვილე მერი, მაგრამ გულში ძალიან ჩამვივარდა. ძალიან მედიკოს საღამო გაიმართა მოსკოვში და თეატრიდან მეც წავედი ნაწვევების სათამაშოდ. ვაი, სულკურთხეული საშკა იოსელიანიც ჩვენთან ერთად იყო. მცირე თეატრთან დავუთქე შეხვედრა მერის. ვღვაკართ მე, საშკა და შოთა მშვენიერაძე. გამოჩნდა მერი და ერთბაშად განათდა იქაურობა, ისეთი ღამაში იყო... არაჩვეულებრივი დღეები გავატარეთ და უკვე სერიოზულად ვფიქრობ, ცოლად შევიერთო. მერი ღებლინში გაემგზავრა, ჩვენ თბილისში დავბრუნდით. უკვე საქორწილო გეგმებს ვაწყობ და... დამბარეს, სადაც ვერ არს — „კა-გე-ბე“-ში. ესაო, ისაო, მაგრამ უცხოელს ცოლად ვერ შეირთავო... აი, ასეთი დრო იყო მაშინ და მშვენიერი მერი სწორედ მათ გამო ვეღარ შევირთე ცოლად. ეს ცოტა სევდანარევი ამბავია, მაგრამ რას იზამ? — არც ჩემმა არტისტობამ გაჭრა „კა-გე-ბე“-სთან და არც სიყვარულმა. ისე, ბედისწერაა ყველაფერი... რაც შეეხება სიმღერას, თან — გიტარის თანხლებით, — ძალიან შეხმარება, სხვა მულაძია. ლენინგრადში, ერთ-ერთი გასტროლის დროს, თავისუფალი საღამო ვეჭონ-

და და შუადღის მერე რესტორანში შემოვუსხედით სუფრას. გივი ბერიკაშვილი დამემოწმება იმაში, რაც მაშინ მოხდა. ორი სიმპათიური მამაკაცი შემოვიდა, თან ულამაზესი ქალი ახლდა. გივი მეუბნება — მიდი მუსიკოსებთან და იმღერეო. იმღერი მიკეიზა, მივედი და „თბილისო“ ვიმღერე. მთელი დარბაზი ტაშს მიკრავდა. უცებ მოვიდა ოფიცინტი, მოიტანა შამპანური, შოკოლადი და ერთი ცალი ვარდი. იმ ღამაზე ქალს გამოუგზავნია. ვა-ა, ჩემს სიცოცხლეში რესტორანში ქალს ჩემთვის არაფერი გამოუგზავნია. მერე მოვიდა და — შენთან უნდა ვიცეკვო, — მეუბნება. ქაჯი ხომ არ ვიყავი?! — გავყვი საცეკვაოდ. არადა, თურმე ერთ-ერთი მამაკაცი, მისი ქმარი იყო, მეორე — ქმრის მეგობარი, ორივე — უშიშროების თანამშრომელი. სასწრაფოდ ვუთხარი — ამა და ამ ნომერში ვარ-მეთქი. დღეს არაფერი გამოვა, სოჭში მივემგზავრებით ამაღამ, როცა მოსკოვში ჩამოხვალ, დამირეკო, — და ტელეფონის ნომერი მომცა. რამდენიმე წნის შემდეგ, ისრაელში მივემგზავრებოდი მოსკოვის გავლით „ცისფერ ტრიოსთან“ და ოთარ რამიშვილთან ერთად. ჰოდა, მეც დავურეკე ოლგას. მშვენიერი „Подмосковные вечера“ (სიმღერით) გავატარე. რა ქალი — „სკაზკა“ იყო! ერთ ცხოვრებად ღირდა მასთან გატარებული დრო... მაგრამ ბარემ, ერთ რამესაც ვეტყვი: გინდ დაიჯერე, გინდ არა, ძალიან მიყვარს ლობიო, თუმცა ამ კერძს ბევრი ქალი ვერ აკეთებს. აი, მაგალითად, ყველას ხომ არ გამოსდის კარგი საცივი? ვერცა ლობიოც. ლობიოზე ყნოსვა მაქვს განვითარებული — იმის დედა ვატირე!.. რატომ ვამბობ ამას, იცი? იმიტომ, რომ, როგორც ლობიო მიყვარს, თავისი „პრიპრავებით“, სურნელით და ა.შ., აი, ვერე მიყვარს კარგი, სურნელოვანი ქალებიც. სპექტაკლზე კი, ბევრი ნამა დამიპატიჟია. როცა „მეყვარებული“ ხარ, სხვა განწყობა — მისთვის თამაშობ. სპექტაკლის შემდეგ კი... როგორც ხდება, რა...

— უარი თუ მიგიღია ქალისგან?  
— როგორ არა?! ჩავარდნაც მქონია. აი, თეატრშიც ხომ ყოფილა ისეთი შემთხვევა, პრემიერა რომ ჩავარდნილა? ვერცა ქალთან ურთიერთობაშიც. ორი თვე მიღევნია აფთარივით, მაგრამ... მერე, ისევ მზის ამოსვლას ველოდები ხოლმე. მთავარია, ჯივარი გქონდეს. ეგეთი რამეები თუ დამთავრდა, ტყვია უნდა იკრა შუბლში. ღმერთმა ნუ გამომიღოს ქალი და ჯანი! რა ვქნა, მაგრამ ჯანზე ვარ, ვერე მიცხოვრია და აწი რაღა შემცვლის?! პრინციპში, არც არაფერს ვნანობ. ჩემი ცხოვრების მეორე ნახევარში მომხდარ ოინებზე კი, 60 წლის რომ გავხდები, მერე ვიამბობ...




ესაო, ისაო, მაგრამ უცხოელს ცოლად ვერ შეირთავო...

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეორი დღის უბის წიგნაკდან:

- თხოვნა — სისტემატურად გავგზავნათ მისთვის მამამისის ახალი თხზულებები.
16. 1519 წელს, ატტეკების ბელადი მონტესუმა ესპანელ კონკისტადორ კორტესს „სოკოლატლით“ გაუმასპინძლდა. დღეს ამ ნუგბარს შოკოლადს ვეძახით.
  17. „ყველაზე დიდი სატანჯველი ციხეში ყოფნისას ის არის, რომ არ შეგიძლია, საკუთარი კარი ჩაეკეტო“, — ამბობდა სტენდალი.
  18. 1768 წელს, ინგლისელმა გადამდგარმა კავალერისტმა ფილიპ ასტლეიმ ღია ცის ქვეშ შემოღობა მოუღიანა და მისი ჯირითის ნახვის მსურველებს ფულს ახდევინებდა. ასე წარმოიშვა ცირკი.
  19. ინგლისელი გენერალი გულსონ ლოუ რამდენიმე წლის განმავლობაში, უდიდესი სიამოვნებით ასრულებდა თავისი სოციალური მდგომარეობისა და რანგისათვის შეუფერებელ, ციხის ზედამხედველის მოვალეობას. იგი ნაპოლეონს დარაჯობდა.
  20. ინდიელთა საომარი ყიფინა მათი ფსიქოლოგიური იარაღი იყო. გამოვიან კივილს ისინი სპაციალურად სწავლობდნენ ქალებსგან.
  21. ინდიელთა გაცეცხას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დაინახეს, თუ როგორ კითხულობდა ერთი ესპანელი წერილს: მათ გაუკვირდათ, რომ თურმე ესპანელებსაც სცოდნიათ კითხვა.
  22. ერთხელ, სასტუმრო ოთახში შესულ კონან-ლილს სთხოვეს, გამოეცნო, თუ რა მოხდა იქ ერთი წუთის წინ. მან უყიფმანოდ უპასუხა, რომ მის შესვლამდე, ოთახში თავგმა გაიბრინა. მისი ვერსიის სისწორეს, სავარძელზე დატოვებული, ქალის ფეხსაცმლის კვალი ადასტურებდა.
  23. ანა ახმატოვას ქმარმა, ნიკოლაი გუმილევმა მხოლოდ ქორწინების შემდეგ შეიტყო, რომ მისი მეუღლე ლექსებს წერდა. ამ ამბით იგი დიდად არ აღფრთოვანებულა.
  24. ონორე ბალზაკი მთელი თავისი სიცოცხლე არისტოკრატიული წოდების მიღებაზე ოცნებობდა, მაგრამ ამას მაინც ვერ ეღივრა, თუმცა მკითხველთა უმრავლესობა მისი პატარა ემსაკობის გამო დარწმუნებულია, რომ მწერალმა ეს ოცნება აისრულა: ბალზაკი თავის გვარს „დე“ ნაწილაკით წერდა.



# „გზავნილები“ საუბრალებით

## მინდა ხელი გთხოვო

### მარი ჯაფარიძე

ამჯერად „გზავნილებს“ წინასწარმეტყველური „მესიჯით“ დავიწყებ, რომელიც საბერძნეთის დედაქალაქ ათენიდან მოვიდა: „გამარჯობა, მარი. ზოგჯერ წინასწარ ვგრძნობ ხოლმე, თუ რა მოხდება. ახლა, ამ თვის ბოლოს („მესიჯი“ სექტემბრის დამლევს მივიღე. — ავტ.) ან ოქტომბერში, მთავრობაში დიდი სკანდალი ატყდება. ან პრეზიდენტს დამართება რამე, ან რომელიმე ცნობილ პოლიტიკოსს... ბელა“. არ ვიცი, პოლიტიკურ ასპარეზზე ბოლო დროს მომხდარ მუშტი-კრივს გულისხმობდა ბელა თუ მომავალ ბატალიებს, მაგრამ საჭიროდ ჩათვალე, მისი შფოთვა თქვენთვისაც გაემზაოებინა...

ახლა „მისნობის“ სხვა მაგალითის მოვიყვან. რამდენიმე დღის წინ, ასეთი მესიჯი მივიღე: „აუ, დამიჯერეთ, ქალებო, იკაოსნაირი „სექსი“-კაცი ნამდვილად არ არსებობს. მეც და ნებისმიერ ქალსაც ჭკუიდან გადაიყვანს. იკაო, სულ შენზე ვფიქრობ. შენი მაკა“. რამდენიმე საათის შემდეგ კი — გაგიკვირდებათ და — მაკას შეეხმანენ: „მაკა, ვეთანხმები, იკა მართლაც, ძალიან მაგარია, მაგრამ ვკობს, გზიდან ჩამოშორდა — ის მარტო ჩემია. თამუნა“. მისნობაც ამას ჰქვია: თამუნას სულაც არ გასჭირვდება, „უხილა“ ის მესიჯი, რომელიც ჩემს მობილურზე მოვიდა... იძულებული ვარ, გაგიხილოთ, რომ მისნობის რაღაც უნარი მეც მახსიათებს, ამიტომ იოლად დავადგინე, რომ ეს ყველაფერი თვითონ იკაოს „ნაჩალიჩარი“ იყო... მოკლედ, მსგავსი ჩანაფიქრის ავტორებს ჩემი იმედი არ გქონდეთ... ამასთან დაკავშირებით, ერთი ანეკდოტი გამახსენდა:

განცხადება მორბენალ სტრიქონში: „სამუშაოდ ვიწვევთ ინგლისურისა და კომპიუტერის მცოდნე, სტაჟიან ბუღალტერს. მისამართი...“ აღნიშნულ მისამართზე ჭიჭიკია მივიდა:

- განცხადების თაობაზე შეველი...
- ინგლისური იცით?
- არა...
- კომპიუტერთან მუშაობა?
- არა.
- ბუღალტრად თუ ვიმუშავით?
- არა...
- აბა, რისთვის მოხვედით?
- იმიზა შეველი, სიძონ, რომ მეთქვა — ჩემი იმედი არ გქონდეთ-თქვა...

### „ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი შიში და სირცხვილი ვჭამე“

ახლა კი გზავნილი, რომელიც უიღბლო სიყვარულით გამოწვეულმა გულისტკივილმა გამოგზავნინა 24 წლის მარის:

„ვარ განათხოვარი, მყავს 5 წლის გოგონა. 15 წლის რომ ვიყავი, დათომ მომიტაცა. მასთან იმიტომ დავრჩი, რომ შემეცოდა: ვიცოდი, არასრულწლოვანის მოტაცებისთვის დაიჭვრდნენ. შემდეგ ვაირკვა, რომ თურმე ცოლად იმიტომ მომიყვანა, რომ ჩემს ოჯახში ჩასიძებულებო და ქალაქში უზრუნველად ეცხოვრა (თვითონ რაიონში ცხოვრობდა). მოკლედ, ერთმანეთს ვერ გავუგეთ. უკვე აღარ შემეძლო ამდენი ჩხუბისა და აყალმაყალის ატანა და ოჯახი დავანგრეე. რამდენიმე წლის შემდეგ, გავიცანი ჩემზე 4 წლით უმცროსი ბიჭი, ნიკა. ერთმანეთი შეგვიყვარდა. წელიწადზე მეტია, ერთმანეთს

ვხვდებით. ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებთ. ამ ორი თვის წინ, ნიკამ თავის ოჯახს გაუმხილა, რომ ჩემს ცოლად მოყვანას აპირებს. ისინი კარგად მიცნობენ. ოჯახში სტუმრადაც ცოფილვარ, დედამის ტელეფონზეც ვსაუბრებოდი ხოლმე. ყოველთვის კარგად მხვდებოდნენ, ამიტომ არ მეგონა, ნიკა თუ ასეთ წინააღმდეგობას წააწყდებოდა. დედამისმა აუკრძალა — შევილიანი ქალი ამ ოჯახში ფეხს ვერ შემოდგამსო. ნიკამ არჩევანი გააკეთა და ოჯახი მიატოვა. ქირით ცხოვრობს და თავს მეგობრის დახმარებით ირჩენს. ახლა ფილტვების ანთება აქვს, რადგან ორი დამე გარეთ გაუთენებია. ნიკას შინიდან წამოსვლის შემდეგ, მისი ოჯახის წევრები მომადგნენ და ამწიოკეს. მღანძღეს, შეურაცხყოფა მომაყენეს და ხელითაც შემეხნენ. მეტუქრებოდნენ — მოკლავთ, თუ მისი ცოლი გახვდებით. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორი შიში და სირცხვილი ვჭამე. თითქმის ყველამ გაიგო ეს წიოკი და არც კი ვიცი, შევძლებ თუ არა ოდესმე, შინიდან გასვლას და ჩვეულებრივად ცხოვრების გაგრძელებას. ნიკას ჩუმ-ჩუმად ვნახულობ, კვირაში ორჯერ. გადავწყვიტეთ, რომ ნიკა საზღვარგარეთ წავა და მერე მე და ჩემს შვილსაც წავაციყვანს. როგორ მოვიქცე? აქ უარს მათქმევინებენ ჩემს სიყვარულზე. უკვე ბრძოლის უნარიც დაკარგე. მე რომ მარტო ვიყო, ჩვენ უკვე ერთად ვიქნებოდით, მაგრამ პირველ რიგში, შვილზე ვფიქრობ. ჩემმა ოჯახმაც გამომიცხადა — თუ ნიკასთან წახვალ, ჩვენ დაგკარგავთ. უკვე აღარ ვიცი, რა ვქნა. ძალიან ცუდად ვარ. ხშირად, თავის მოკვლაზეც კი ვფიქრობ, მაგრამ ბავშვმა რა დაამავა? მამამ მიატოვა და ახლა დედიტაც დავკობლო?“

ორიგინალურს ვერაფერს შემოგთავაზებ, თუ გეტყვი, რომ მოთმინებითა და ერთმანეთის სიყვარულით ყველაფერს გაუძლებთ და აიტანთ. თუ შენც ვიყვარს და ნიკასაც მართლა უყვარხარ, ყველა დაბრკოლებას გადალახავთ და, ბოლოს და ბოლოს, ახლოობლასაც შეაგებინებთ, რომ არჩევანი თქვენი გასაკეთებელია და არა მათი, რადგან ამით თქვენი მომავალი წყდება...

ახლა კი კურიოზი, რომელსაც ჩვენი მკითხველი გვიამბობს:

### „კილერი მოვიდა...“

„45 წლის კაცი ვარ. ვცხოვრობ თბილისში. სახელი? აი, სწორედ ამის შესახებ მინდა ვიამბოთ: ისეთი სახელი მქვია, მიუღი ჩემი ცხოვრება კურიოზად აქცია. პირველ რიგში, სასაყვედურო მშობლებთან მაქვს. რა ბუზანკალი შეუჯდათ, რომ სახელად... კილერი დამარქვეს?! ჰოდა, როგორია, სადმე რომ მივალ და იტყვიან ხოლმე — კილერი მოვიდა, კილერს დაუძახეთ?! ვინც არ იცის, რომ ეს ჩემი ნამდვილი სახელია, შემინებული მიყურებს ხოლმე. ერთ ამბავს მოგიყვებით: კომუნის-

ტური რეჟიმის დროს, გურიაში, ერთ-ერთი ჩაის ფაბრიკის დირექტორი ვიყავი. თბილისში გამოიძახეს ყველა ფაბრიკის ხელმძღვანელი, მათ შორის — მეც. თათბირზე ცოტა დაგვიანებით მივედი. მდივანს ვთხოვე — უთხარით ბატონ რეზოს, რომ კილერი მოვიდა, თან, ბოდიში მოუხადეთ დაგვიანებისთვის-მეთქი. მდივანი ოთახიდან გავიდა. გამიკვირდა, მაგრამ ყურადღება არ გამიმახვილვია. იქვე, სკამზე ჩამოვჯექი. მდივანი გოგონა მობრუნდა. უჩვეულო, არაბუნებრივი დიმილი ჰქონდა სახეზე „მიხატული“. — ახლავე, ბატონო, რას იტყვით, ბატონო, — და რა ვიცი კიდევ... ისე მექცეოდა, თითქოს ფრონტიდან დაბრუნებული მამამისი ვიყავი. 15 წუთის შემდეგ, ოთახში ოთხი მილიციური შემოვიდა და დამაკავა. აუტყენ ჩხუბი. უცებ ჩამიფხანეს ქვეით და „ჩორნი ვორონში“ მიკრეს თავი. განყოფილებაში ვისოსებში ჩამსვეს. ვაპროტესტებდი — რა გინდათ, რას მერჩით-მეთქი? — მაგრამ უფროსის მოსვლაზე არაფერი მითხრეს... მოკლედ, აღმოჩნდა, რომ მდივან გოგონას მილიციისთვის შეუტყობინებია — კილერი მოვიდა და ჩვენს უფროსს ემუქრებაო. როგორც იქნა, დავარწმუნე კანონის დამცველები, რომ ეს ჩემი ნაძვლიანი სახელი იყო და არა პროფესია... უამრავი მსგავსი ამბის გახსენება შემიძლიდა... ახლა, უფრო პოპულარულია ჩემი სახელი და ერთი ბეწო, ჩია კაცს კილერს რომ გეძახან, როგორია?!“

**„58 წელია, ცოლ-ქმარი ვართ... ბედნიერი ვარ, შენი მეუღლე რომ მქვია“**

ახლა, ტრადიციისამებრ, ჩვენი მკითხველების მოკლე შეტყობინებები:

„მოდით, იმათაც გაუმარჯოს, ვინც სიყვარულზე შეყვარებული, უსიყვარულოდ დადის. მაგალითად, მე... იქნებ მასწავლოთ რაიმე რეცეპტი, სიყვარულისთვის?“

„ბაჩი მინაშვილს! უზომოდ მიყვარხარ. არ გაგიკვირდეს, საყვარელო, ეს მე ვარ, შენი მეუღლე“.

„ირინა ჭვლიძე, დამირეკე ან „გზავნილების“ საშუალებით დამიკავშირდი. ირინა, შენ ხომ ვიყვარდი?! კახა“.

„ბათუმელ თამუნას! — ჩემო სიხარულო! მენატრები! უშენობა მტანჯავს. შენთან ყოფნა მინდა. იცოდე, რომ ჩემი ერთადერთი იმედი ხარ, ძვირფასო. მიყვარხარ! გესმის? გჯერა? მინდა, რომ გწამდეს ჩემი. შენი გპ.“

„ზურა „ლ“. ძალიან მიყვარხარ. ვიცი, ყველაფერი დამთავრდა, მაგრამ ვერ გვივწყვებ. შენ ჩემი პირველი და უკანასკნელი სიყვარული ხარ. უზომოდ მენატრება შენი კოცნა. „გიჟი“.

„სიყვარული არის ფაცხა, იმ ფაცხაში დამჩნა რაცხა, დამეხმარეთ ვინცხამ რაცხა, სიყვარულმა დამამარცხა“.

„ნანა ჯონაძე, ძალიან მიყვარხარ. უბრალოდ,

ვერ ვბედავ, ჩემო ლამაზო, ყოველივეს თქმას. შენი კოტე ქათამაძე“.

„ნამცო, იცოდე, სასწავლებელში ყოველდღე იარე, თორემ, ერთხელაც იქნება... „ჭაბუკა“.

„ლაშა, მე შენი ერთი ნეკნი ვარ და შენი... დამტკრეული ნეკნები მეც მტკივა. რატომ არ გჯერა, რომ მიყვარხარ?“

„ნაზი ლაბაძეს — ხომ არ იცი, როგორ მინდა, შენს კალთაში თავის ჩადება და დელაშვილური რჩევების მოსმენა? „თიმსალა“.

„ნინიკო ნოზაძე, უზომოდ მიყვარხარ. ასე უხეშად ნუ მექცევი. ვიცი, შენც ვიყვარვარ. მასხოვს შენთან გატარებული საღამოები. უარი რომ მითხრა, თავს მოვიკლავ. „კაი კაცი“.

„გურანდა დაუნჩიშვილს! უკვე სამი წელია, რაც ერთმანეთი გვიყვარს. ვიცი, უჩემოდ არ შეგიძლია ცხოვრება. რატომ არ მეუბნები, რომ ასე ვიყვარვარ? ჩემო კარგო, „გზის“ საშუალებით მინდა, ხელი ვთხოვო... გამომეცხვი ცოლად? მიპასუხე. თუ — ჰო, მაშინ შაბათს, შენს დასანიშნად მოვლივარ. შენი კახუკელა“.

„ზურა გუშუაძეს — ზეცას ვიყვებ, გინდ ჯოჯოხეთს ვიწვოდებ, შენს სიყვარულს მე ვერ დავთმობ, იცოდე. DDD-733“.

„დათო! გახსოვს, წვიმად რომ გადაიქცი და ძელვარეუ ღამე მაჩუქე? შენ ჩემი სიცოცხლე ხარ და ძალიან მენატრები, ჩემო გიჟო. „ბროლა“.

„ჩემო ეთერ გელაშვილო, უკვე 58 წელია, ცოლ-ქმარი ვართ. ერთი დღეც არ მახსოვს, რომ შენგან რაიმე მწყენოდეს. ბედნიერი ვარ, შენი მეუღლე რომ მქვია. მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინ გვაქვს. ყვავილო, მიყვარხარ!“

ამ რამდენიმე ხნის წინ, გამოვაქვეყნეთ „მესიჯი“, რომლითაც ნინო სიყვარულს უმელაყენებდა თორნიკეს. ნინომ კვლავ „დაგვიმესიჯა“: „მარი, მიცანი? ნინი ვარ, თორნიკეზე უზომოდ შეყვარებული რომ ვიყავი. ახლა ყველაფერი დამთავრდა. ნუთუ, სიყვარულის დასამტკიცებლად, ფიზიკური სიახლოვე აუცილებელია?... მეზიზღება!“

მაგრამ სიყვარული მაინც იმარჯვებს, რასაც ბევრი გზავნილი ადასტურებს, მათ შორის ეს:

„დათო, მოდი, ასე მოვილაპარაკოთ. მიმიყვანე შენს დელიკოსთან. მუხლზე დაჩოქილი ვთხოვ, რომ ჩემზე დაქორწინების უფლება მოგცეს. აუფხსნი, როგორ გვიყვარს ერთმანეთი, რომ უერთმანეთოდ არ შეგვიძლია და იქნებ, გაგვიგოს? იცი, ვინ ვარ? ვინც შენს დაბადების დღეზე, აივანზე თოკით დაეშვა, საჩუქარი დაგიტოვა და წავიდა... მიყვარხარ“.

გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ველი თქვენს „მესიჯებს“ ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61.

**ერთგული მკითხველი**

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტელეტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

**1. ვის საყვადურობდა ხოლმე ოთარ მელვინიძე თხუცენი ამ სიტყვებით: „ვაჟან ნანარმოვაძე არა ხარ მაზრდელი და რა უნდა გილაპარაკო!“?**



- ა) გურანდა გაბუნიას;
- ბ) ლალი მოროშინას;
- გ) თემურ ჩხეიძეს.

**2. რა ერქვა ნყლის მზიდა-ვის ქველ თბილისში?**



- ა) მეთულუნჩე;
- ბ) მეგზური;
- გ) მევაიჭონე.

**3. რამდენი წლის იყო ფიდელ კასტროს დედა, როცა ის გააჩინა?**



- ა) 15-ის;
- ბ) 35-ის;
- გ) 45-ის.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

„გზის“ წინა ნომერი- ში გამოქვეყნდა ინ- ტერვიუ მეძაფთან, რომელიც პატიმრებს ემსახურება. მას ბევრი მკითხველის გამოსმაუ- რება მოჰყვა, რომ- ლებიც ლალის ბედსა და მის მიერ არჩეულ გზაზე თავიანთ მო- საზრებებს გვი- ზიარებენ. ის კი, რომელიც ყურნალის გამოსვლის დღესვე, გვიან ღამით მივიღე, გამორჩეული აღმოჩნ- და. აი, რა მიაბზო მისმა ავტორმა:

მარი ჯაფარიძე



# „მეუღლის წინაშე აღიარებულმა სიმატლამ ვერ ჩამომხსნა ტვირთი...“

– ღმერთმა ქნას, ლალისთვის ყვე- ლაფერი კარგად დამთავრდეს. მე გახ- ლავართ ქალი, რომელიც სწორედ მსგავს საქმიანობას ვეწეოდი და ვერც კი წარ- მოიდგენთ, როგორი პრობლემები შემექმნა ამის გამო. ღმერთს უნდა ვუმაღლოდე, რომ ცოცხალი ვარ...

— ასეთი რა შეგემთხვია?

– დავიბადე და გავიზარდე თბილის- ში. დედა რუსი მყავდა, მამა – ქართვე- ლი. მამის დაღუპვის შემდეგ, მე და დედა რუსეთის ერთ-ერთ ქალაქში გა- დავედით საცხოვრებლად და უმაღლესი განათლებაც იქ მივიღე. ჩემს ჯგუფულ გოგონასთან ვმეგობრობდი. დიპლომი რომ ავიღეთ, ირამ (ასე ერქვა იმ გოგონას) იმავე ქალაქში, ციხის ადმინისტრაცია- ში დაიწყო მუშაობა. მე გავთხოვდი, მა- გრამ ქმარს მალევე გავყვარე. სამსახ- ური ვერ ვიშოვე. სულ ვწუწუნებდი – ასე, უსახსროდ როდემდე უნდა ვიყო- მეთქი?! ერთ დღეს, ირამ შემომთავაზა: ციხეში ბიჭები დიდ ფულს იხდიან, მოდი, შეგიყვან შეგნით და ღამეში სულ მცირე, ას დოლარს იშოვიო... სიმატლემ რომ გითხრათ, ბევრი არ მიფიქრია. ერთად- ერთი, რის გამოც უკან ვიხვედი, ის იყო, რომ მეგონა, ციხეში ბუნებრივი პატიმ- რები დამხვდებოდნენ და ასეთ მამაკა-

ცებთან დაწოლა მიძინებდებოდა... მოკ- ლედ, ერთ დღეს, ირამ დამიბარა. ისე გავიარე ციხის გრძელი დერეფანი, თავი მალდა არ ამიწვივა. თუმცა, არც ვინმე დაინტერესებულა ჩემით. შემეყვანა ერთ ოთახში, სადაც მშვენიერი საწოლი და სუფთა თეთრეული დამხვდა. ირა გავი- და. რამდენიმე წუთის შემდეგ კი, ახალ- გაზრდა, მაღალმა და ლამაზმა მამაკაცმა შემოაღო კარი. სუფთად ჩაცმული გახ- ლდათ და ძვირფასი ოდგილონის სურ- ნელიც ასლიოდა. მობუზული ვიჯექი. დამამშვიდა, მითხრა – ვიცი, რომ აქ პირველად ხარ, ნუ გეშინია, მხეცი არ გეგონო... მოკლედ, დღით ასდოლარ- იანი მომცა და წამოვედი. ერთი წლის განმავლობაში, მხოლოდ მასთან მივიდი- დი ხოლმე. შემდეგ გათავისუფლდა და სხვის ხელში გადავინაცვლე...

— დაქალი ნიღში არ გაგყაფ- დათ?

– როგორ არა?! თითო ჯერზე, ოც დოლარს ვუხდიდი... შემდეგ გავარდა ხმა, რომ მაღალი, ქერა, სექსუალური ქალი ემსახურებოდა პატიმრებს და უკვე უამ- რავი მამაკაცი მირეკავდა. მეც დღეში ხან სამ, ხან ოთხ კაცს „ვიტუმბებდი“. ფული გამიჩნდა, არც უკმაყოფილო გახ- ლდით... ასე გავიდა სამი წელი. ერთ

დღეს, შემთხვევით გავიცანი საქართველო- დან ჩამოსული ბიზნესმენი. გარეგნობით რუსის ტიპი ვარ. ძალიან გაუკვირდა, სუფთა ქართულით რომ დაველაპარაკე... ბევრი რომ არ გავავრძელო, ამ კაცს ცოლად გავყევი და ციხეში სიარულს თავი დავანებე.

— მეუღლეს წინასწარ გაუმზ- ილეთ თქვენი საქმიანობის შესახ- ებ?

– რა თქმა უნდა, არა... ირაც გამი- ბრაზდა: ჩემი გათხოვების შემდეგ, უშ- რომელი შემოსავალი დაკარგა და ეს არ მოეწონა... წარსულის გახსენებაც არ მინდოდა. გავიდა წლები. შვილიც შემეძინა. ის უკვე სამი წლის იყო, როცა ერთ დღეს, შინ ტელეფონი აწკრი- ალდა. – როგორა ხარ? – მეკითხება ვიღაც მამაკაცი. – ვინ ხარ-მეთქი? – შევუბრუნე კითხვა. მითხრა, ვინც იყო. კინაღამ წავიქეცი: ერთ-ერთი ჩემი ყო- ფილი კლიენტისთვის, რომელიც ციხი- დან გამოვიდა, ირას ჩემი ტელეფონის ნომერი მიუცია და ახლა, ის შეხვე- დრას მთხოვდა. რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი და ყურმილი დავახეთქე. ორი დღის შემდეგ, დამირეკეს და შემატყ- ობინეს – თქვენი ქმარი ამა და ამ საავადმყოფოში, უმწეალოდ ნაცემი მოიყვანეს და მიხედეთო. სამი თვე დასჭირდა იმას, რომ როსტომი ფეხზე დამდგარიყო. საავადმყოფოდან გამოსვ- ლის მეორე დღესვე, ისევ იმ კაცმა დამირეკა და მითხრა: თუ არ გინდა, შენი გოგონა უარეს დღეში ნახო, შემხ- ვლიო. – კარგი-მეთქი, – შევპირდი. იმავე საღამოს, მეუღლეს ყველაფერი ვუამბე...


— არ შეგეშინდათ, რომ მიგატოვებდათ?

– კი, მაგრამ სხვა გამოსავალი არ მქონდა. ვიფიქრე – თუ მიმატოვებს, ცოცხალი მაინც გადავრჩება, მე კი ჩემს გოგონასთან ერთად თბილისში დავბრუნ- დები-მეთქი. მაგრამ მეუღლემ გამიგო და ჩემთან ერთად წამოვიდა საქართველო- ში. იმის შემდეგ, სამი წელი გავიდა. ჩემი წარსული მუდამ მძიმე ტვირთად მაწევს. ახლაც, ტელეფონის ხარის გაგ- ონებაზე, შემინებული შევხტები ხოლმე... ლალის ინტერვიუმ ისევ ამიშალა ცუდი მოგონებები. გადავწყვიტე, თქვენთვის დამერეკა, რადგან მეუღლის წინაშე აღი- არებულმა სიმატლემ ვერ ჩამომხსნა ტვირთი. იქნებ, საქვეყნოდ აღიარებამ მიშველოს?!



# რათა ცხოვრება სიხარულად გაქცეთ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმოლს, მესამე – დაცინ-  
გას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქანი ადამიანები ყველგან არიან, მაგრამ



ყველას როდი ესმის, რომ სრულ და  
მით უმეტეს მსუქან ხალხს საკმაოდ  
მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპი-  
რი, ასევე გადატანითი მნიშვნელო-  
ბით. ჭარბი წონა ხომ მრავალი და-  
ვადების საწინდარია.

ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის  
ძირითად მიზეზს წარმოადგენს არას-  
წორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის  
ერთ-ერთ მთავარი პრინციპია კალო-  
რიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ  
გასახდომად არ არის საკმარისი მხ-  
ოლოდ საკვებით მიღებული ენერჯი-  
ის შემცირება, არამედ საჭიროა მისი

ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. «ყველაზე მარტივი და ეფექტური  
ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულა-  
ტორი **Abtronic Pro**.

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუ-  
მია. ბუმი ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად  
იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:

- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს  
და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს:  
პირველ რიგში მოქმედებს სხეულის  
იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო  
მეტად საჭიროებს გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სკოლიოზს.



ქვირად ღირავს ღირსებად სიარული  
მიუხედავად თქვენი? – მოიკრათ  
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოიკრათ  
გაზარდათ ვარჯიში? – მოიკრათ

**Abtronic  
Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63;  
(995 32) 36 49 45 ან დაგვიკვითეთ ინტერნეტ მაღაზიაში: [www.shopge.com](http://www.shopge.com). ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას  
თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

პროდიუსერ ნატო დუმბაძის საგზაო პოლიციელები, როგორც ავტოსულიგანს, ისე იცნობენ: ნატო თურმე ხშირად არღვევს მოძრაობის წესებს, თუმცა არასდროს გაურბის ავტონისპექტორებს — მათთან ტკბილ და თბილ ურთიერთობას ამჯობინებს. 4 წლის წინ, ნატო მეგობრებთან ერთად ისეთ ავტოავარიისში მოყოლილა, რომ გადარჩენას ღვთის სასწაულს მიაწერს და მამა გაბრიელის საფლავიდან წამოღებული ხატების (სამივე ხატი მას მანქანაში ჰქონია) მადლით ხსნის...



„მუხრუჭს  
დავაჭირე  
ფეხი და“

ნინო ჯაფარიძე

## ორჯერ ამოვბრიალდი...»

— 12 წლის წინ, ჩემმა მეუღლემ მაჩუქა ავტომანქანა „ფიატ ტიპო“. მაშინ თბილისში სულ სამი „ტიპო“ დადიოდა და ერთ-ერთი, ჩემი იყო. შეიძლება ითქვას, რომ მანქანის მართვა თვითონ ვისწავლე — ასე მერჩინა, რადგან როდესაც ჩემი მეუღლე იჯდა მანქანაში, სულ შენიშვნებს მაძლედა, ეს კი ძალიან მაბნევედა და მაშინებდა. მაშინ წყნეთში ვცხოვრობდით და ერთი თვის მანძილზე, სწორედ წყნეთის გზატკეცილზე ვვარჯიშობდი. ერთ თვეში, უკვე დამოუკიდებლად შეძებლო საჭესთან ჯდომა, თან, ბავშვს დავისვამდი ხოლმე მუხლებზე და ისე ვასერინებდი. ერთხელ, ჩემმა მეგობარმა დამინახა და მერხუბა — მანქანის მართვა ასე ნასწავლი გაქვს და ბავშვი რატომ გიზის კალთაში?! თავდაპირველად, საჭესთან მარტო რომ აღმოვჩნდი, ცოტა დავიძაბე და თითქოს შიშის გრძნობაც გამიჩნდა, მაგრამ მერე და მერე, საერთოდ გამიქრა ეს გრძნობა...

— შიშის გაქრობასთან ერთად, სიფრთხილაც ხომ არ დაივიწყე?

— საერთოდ, ფრთხილი მძღოლი ვარ და საოცრად სწრაფი რეაქციის უნარიც მაქვს. ტყუილად გვსაყვედურობენ მამაკაცები მძღოლ ქალებს, — საავარიო სიტუაციებში იბნევიან, პირიქით — ქალებს ინტუიციაც უფრო გან-

ვითარებული გვაქვს. 12 წლის მანძილზე, ერთადერთხელ მოვეყვი ავტოავარიისში. განა ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგი მძღოლი ვარ?!

— ავარიის შემთხვევაში?

— 4 წლის წინ, ორჯერ ამოვბრიალდი ტელევიზიისთან. ძალიან გვიანი იყო. მივლი სამეგობრო, რუსთაშვილის ვიყავით სტუმრად და იქიდან ვბრუნდებოდი. წინ მე მივდიოდი, უკან — დოი (დათო დოიშვილი), დათუნა გერსამია და კიდევ ვიღაცები მომყვებოდნენ მანქანით. ცოტა არ იყოს, სწრაფად მივქროდი. უეცრად, ჩემმა მეგობარმა იყვირა, — ფრთხილად! (შეუნიშნავს, რომ საპირისპირო მხრიდან მომავალი მანქანა გვეჯახებოდა)! ამან შემამინახა, მუხრუჭს დავაჭირე ფეხი და... ორჯერ ამოვბრიალდი... მანქანას ცეცხლი წაეკიდა. მაშინ „ფორდ მუსტანგი“ მყავდა — თემურ თათარაშვილმა ამერიკიდან ჩამოიყვანა და გარკვეული პერიოდის შემდეგ, მისგან შევიძინე. ძალიან მიყვარდა ის მანქანა, მაგრამ ავარიის შემდეგ, გადასავლები გახდა. რაღაც სასწაულებრივად გადავრჩით... თემური ხშირად გვეუბნებოდა — ამ მანქანას აირბეგები (უსაფრთხოების ბალიშები. — ავტ.) აქვსო, — მაგრამ არ გვეჯეროდა. აირბეგები მართლაც ჰქონია და გაისხნა კიდევ, თორემ, ალბათ ვერ გადავრჩებოდი. ჩემს მანქანაში

მსხდომნი, ყველანი შოკში ვიყავით. უკან მომავალი მანქანიდან გადმოშტარან, ცეცხლი ჩაუქრიათ და გადმოუყვანიყვართ... კიდევ, დაახლოებით ორი თვის წინ კი, კვლავ ტელევიზიისთან ვიდექი მანქანით (ჯაბა ქარსელაძეს ველოდებოდი), ვიღაცა უკნიდან დამეჯახა და მანქანა დამიზინა. სულ ეს არის ჩემი საავარიო თავგადასავლები... სხვათა შორის, პირველი ავარიის შემდეგ, შიში დამჩემდა — ყოველი დამუხრუჭებისას, ფეხი მიკანკალებდა ხოლმე...

— ავტოსულიგანი მართლა ხარ?

— უნდა ვაღიარო, რომ ავტოსულიგანი ვარ: ძალიან ხშირად ვარღვევ მოძრაობის წესებს. პოლიციელები მიცნობენ, როგორც ავტოსულიგანს და აღარც მაჩერებენ ხოლმე. სამაგიეროდ, როცა კონცერტი მაქვს დაგვემილი, ყველას ჩამოუვული და ბილეთებს ვურიგებ ხოლმე. ერთი თვის წინ, მართვის შოწმობა წამართვეს, დღეს „უპრაოდ“ დავივარ. გამაჩერეს — „ტენსასპორტი“ რატომ არ გაქვსო? — თან მეგობარი მახლდა. თავი რომ აღარ დავგანებეს, მეგობარმა უთხრა: ვიცი, ფული ვინდათ და იმიტომ არ გვიშვებთო. ავტონისპექტორები განაწყენდნენ და — აბა, თუ ფული გვინდაო!.. — არც ქრთამი აიღეს და „პრადაც“ წამართვეს.

ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში	აგულის მამა და აკიმის ბაბუა (ფილმის მიხედვით)	... გაგხვას თავის გაგხვას სჯობიაო	მელნიტ საწერი საშუალება	კერამიკის ნაგებებით აწყობილი ნახატი	ბერძნ. ანბანის ასო		
მონსტროსი	ნი	ნი	ქს	ს	ნი		
უფლებო აღამიანი ძველ რომში	შუბლზე ამობურცული ბღვილი დარჯის შედეგად	რიცხვი 3,14	გბა აფრიკაში	მელა კიდური	ოპერის თეატრი ლა-...	ხე, რომელსაც უწოდეს „მორცხვი“	ბერძნული მითის რომელსაც ცვი ფრთები დაუქ

— ისე, ფული ბევრჯერ წაურთმევიათ?

— არასდროს. არც უკადრებით ეთქვათ — ფული მოგვეციო. ქალს რომ დაინახავენ, გაეცინებათ ხოლმე და ხელს ჩაიქნევენ... ვიცი, არაფერს მძინებენ და მეც ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩვენი ურთიერთობა კონფლიქტით არ დასრულდეს. ერთი თვის წინ, რეიდი იყო ქალაქში. პოლიციელმა მანიშნა — გაჩერო, — და მეც დავემორჩილე; შევხვედი და თვითონ პოლიციის შეფს — ლევან მაისურაძეს არ გაუფრებებივარ?! ვუთხარი — საბუთები არ მაქვს-მეთქი. — ადამიანურად ვთხოვ, ხვალვე აიღე საბუთებიო, — მითხრა. — კარგი, ავიღებ, აბა, რას ვიზამ-მეთქი?! — დაეპირდი და გამოძიშვა. აი, ასეთი მეგობრული ურთიერთობა მაქვს პოლიციელებთან.

— ნატო, რაც საჭქსთან ზიხარ, რამდენი მანქანა გამოიცვალე?

— პირველად, როგორც ვითხარი, „ტიპო“ მყავდა, მერე — „გრანდ ჩეროკი“, მერე — „ფორდ მუსტანგი“. ახლა „ოპელ ტიგრა“ მყავს. საერთოდ, სპორტული მანქანები უფრო მომწონს. ყველაზე მეტად კი, მაინც „თათარაშვილისეული“ მანქანა მიყვარდა, რაღაცნაირი, უცნაური, მწვანე ფერი ჰქონდა. ისე, ქალისთვის ძალიან მძიმე მანქანა იყო. ისიც მეუღლემ მაჩუქა. სოსო პავლიაშვილი იყო თბილისში ჩამოსული და გადაეწყვიტეთ, ოჯახებით დათო ოქტაშვილთან გვესაუზმა. ამ დროს, თემურმა დამირეკა და რომ გაიგო, სად ვიყავი, ახლვე მოვალე, — მითხრა. როგორც კი ოთახში შემოვიდა, გასაღები მოძცა: ხომ ვიცი, როგორ მოგწონს ჩემი მანქანა — აბა, გასაღები და გაისეირნეო. — გაგიჟდი?! შენი მანქანის საჭესთან არ დავვლები-მეთქი, — ვიუარე (არ მიყვარს სხვისი მანქანით სიარული). თემურს გაეცინა — წადი, ეს მანქანა უკვე შენაო. ეს სიტყვები ხუმრობად ჩაუთვალეთ და ყველას გაგვეცინა. მაგრამ ჩემმა მეუღლემაც რომ იგივე მითხრა, უკვე დავიჯერე... სიხარულისგან ხელები მიკანკალებდა და საჭეს ვერ ვიმორჩილებდი — არ მჯეროდა, რომ მანქანა, რომელზეც ვოცნებობდი, ჩემი იყო. ეს ამბავი სექტემბერში მოხდა, ოქტომბერში კი, ჩემი დაბადების დღეა და მეუღლემ სწორედ ამ თარიღს დაუკავშირა მანქანის ყიდვა. ესეც შენი დაბადების დღის საჩუქარიო, — მითხრა.

— რამდენად სწრაფად დადიხარ ხოლმე? სისწრაფის ხომ არ გეშინია?

— „ოპელი“ პატარა მანქანაა და აძლენად, სწრაფად სიარული ძალზე სარისკოა. ვცდილობ, 100 კმ/სთ-ს არ გადავაჭარბო. სისწრაფის იმდენად არ მეშინია — უბრალოდ, ვიცი, რომ როდესაც საჭეს და სიცოცხლეს განდობენ, ძალზე დიდი სიფრთხილე გამართებს. ამიტომ ყველა ნაცნობს ვერ ვუვლები მანქანაში. მეგობარი მყავს — თამუნა აბზიანიძე. როცა ის მართავს მანქანას, დანარჩენები „კასკებს“ ვიხურავთ ხოლმე...

— საკუთარი მანქანით ხშირად მოგზაურობ ხოლმე?

— ავარია რომ მომიხდა, წელიწად-ნახევარი უმანქანოდ ვიყავი დარჩენილი, მაგრამ არ გამჭირვებია. მიხაროდა კიდევ, ტაქსით რომ დავდიოდი და საჭესთან არ მიწვედა ჯდომა: ზოგჯერ, ძალიან მღლის საჭე და ამიტომაც, შორ მანძილზე, მით უმეტეს, თუ ბავშვებიც მიმყავს თან, არ ვრისკავ და საჭესთან არ ვვდები.

— ისე, ორიენტაციის უნარი არასდროს გლალატობს?

— იშვიათად. ყოველ შემთხვევაში — არასდროს „დავკარგულვარ“. თბილისში ყველა უბანი და ყველა „ტუპიკი“ ზეპირად ვიცი. ეგ არის, რომ დიდუბიდან ნახალოვკაში გასასვლელ გზაზე ყოველთვის ვიბნევი ხოლმე და ვერ ვხვდები, თუ საით უნდა წავიდე.

— მანქანის მოვლა გიყვარს?

— არა. ჩემი მანქანა, შეიძლება ითქვას, სანაგვე ყუთია: რას აღარ იპოვი მის სალონში?! — კასეტებს, ფოტოსურათებს, მინიდისკებს, კომპაქტ-დისკებს, ბავშვების სათამაშოებს და ა.შ. ჩემს სახლთან ახლოს ავტოსამრეცხაოა და თვითონ მოდიან, მანქანა გასარეცხად მიჰყავთ და გავწორი-ალებული მოჰყავთ ხოლმე.

— რა გიქმნის კომფორტს მანქანაში?

— აუცილებლად უნდა მქონდეს კარგი მაგნიტოფონი, რადგან ძალიან მიყვარს მანქანაში მუსიკის მოსმენა. როდესაც ის მოძღერალი, რომლის პროდიუსერიც მე ვახლავართ, ახალ სიმღერას წერს, „შავ მასალას“ ბევრჯერ ვუსმენ მგზავრობის დროს და თან იმაზე ვფიქრობ, თუ როგორი კლი-

როდესაც მაგრად ცხელა: ალბათ გვინი „უღუღლებათ“ და ყველა რაღაცნაირად დაბნეული დადის. აი, ამ დროს, ძალიან ვიღიზიანდები

პის გადაღება შეიძლება ამ სიმღერაზე.

— საუბროსას აღნიშნე, რომ ძალზე ბევრს მოძრაობ. დღეში რამდენ ლიტრ საწვავს წვავ და კიდევ — რამდენად მობილიზებული მძღოლი ხარ? მაგალითად, თუ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ საწვავი შუა გზაში გაგთავებია?


— ჩემი მანქანა ბევრს არ წვავს, ეკონომიურია. ერთხელ, ზუგდიდში წავედი, იქიდან — ფოთში და მერე თბილისში დავბრუნდით. მასსოვს, 40 ლარის ბენზინი ჩავასხით, მეტი არა.

— საცობების დროს, ბრაზდები ხოლმე?

— საცობების დროს, ცოტას ვნერვიულობ, მაგრამ ყველაზე რთული, თბილისში მანქანის მართვა იცი, როდის არის? მაშინ, როდესაც მაგრად ცხელა: ალბათ ტვინი „უღუღლებათ“ და ყველა რაღაცნაირად დაბნეული დადის. აი, ამ დროს, ძალიან ვიღიზიანდები და ვბრაზდები ხოლმე. ჩემს სალონში ისმის ასეთი ხმები: „დროზე, რა! მიდი, გაინძერი!“ — და სხვა ამგვარი... საჭემ გინებაც კი მასწავლა...

— მანქანის გამოცვლას ხომ არ აპირებ?

— ვნახოთ, შეიძლება გამოეცვალო კიდევ. არა იმიტომ, რომ მომწონდა ეს მანქანა — არამედ იმიტომ, რომ ზოგმა რაღაც ამოკაწრა ზედ, ზოგმაც უბრალოდ, დამიჩხაპნა და მანქანა გვარიანად შელახულია. კეკელიძეზე მათხოვრები რომ არიან, ფულს თუ არ მისცემ, მანქანას გიჩხაპნიან... ამის გამო, შეიძლება, მისი გაყიდვა გადაეწყვიტო.



.. ძალსა შენსა ვინ არს რომე არ ჰმონებდეს“	ყურძინის სასუფრო ჯიში	სჯობს ..., ვიდრე არასდროს	რძის პროდუქტი	აღორძინების ხანის იგალიელი მხაგვარი	უსაქმური, მოხუცი ახალგაზრდა				
ი ე ვ ს ა ხ უ ი მ თ ი ბ ა ე კ ვ ი ა ნ კ ა ხ ა ქ ი ხ ა გ ა ე დ ი ა ვ ს ი ა ა	ყვავის შეძახილი	მცირე მომის არხი	ალკოპოლური სასმელების მოყვარული	სარდაფის ან მინდვრის მდრღნელი	თურქეთის დედაქალაქი	ბინის გადასახადი	გამის ნოტი	გვარი, რომელიც თბილისის ერთ-ერთი ბაზრობის სახელში ფიგურირებს	ეგვიპტელთა ლმერთი

**როდესაც ადამიანი პირველად იხსნის, წმინდა ხატებს, პატიოსან ჯვარსა თუ სხვა სინანდლებს ამბორეოფს, ადასტურებს, რომ ქრისტეს მიმდევარი, ანუ ქრისტიანია. ე.ი. გარეგნულად გამოხატავს იმ სარწმუნოებას, რომელსაც შინაგანად ატარებს. რწმენის გარეგანი გამოხატულებაა მეტანიების კეთებაც, რომელსაც მორწმუნენი სხვადასხვა შემთხვევაში მიმართავენ, თუმცა მეტანია სულიერი დატვირთვის მატარებელიცაა...**

**რა არის მეტანია და რატომ მიმართავენ მორწმუნენი მეტანიების კეთებას? რა განსხვავებაა მცირე და დიდ მეტანიებს შორის? რა არის მთავარი მეტანიებში? — ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, გვესაუბრება ქვაშვეთის ტაძრის მოძღვარი კონსტანტინე ბიორბაძე.**

## რა არის მეტანია?



— მეტანია აღმსარებელს ენიშნება მოძღვრის მიერ ინდივიდუალურად, რაიმე ცოდვის გამო, რადგან მეტანია კარგი საშუალებაა ცოდვის აღსაქმელად და სინანულის გასამძაფრებლად.

### — რა არის მთავარი მეტანიებში?

— როდესაც მეტანიებს აღვასრულებთ, უპირველესად, უნდა გავაცნობიეროთ თუ რა არის მეტანია და რატომ ვაკეთებთ მას. ამიტომ მეტანიების აღსრულებისას გული და გონება უნდა მივმართოთ ღმრთისაკენ. შეიძლება ადამიანმა ყველა დაწესებული მეტანია შეასრულოს, მაგრამ ღმერთი საერთოდ არ ახსოვდეს. ასეთი მეტანიების კეთება კი ადამიანს ვერც შევებს აგრძობინებს და არც სინანულის შეგრძნებას გაუძაფრებს. გამოდის, რომ მეტანიების შესრულებისას მთავარია გული და გონება მთლიანად ღმერთისკენ მივმართოთ და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტანია უდიდესი სინანულის შეგრძნებითა და საკუთარი ცოდვილობის განცდით აღვასრულოთ.

### — რა შემთხვევაში უნდა მივმართოთ მეტანიების აღსრულებას, როდესაც ტაძარში ვიმყოფებით?

— ეგნატე ბრიანჩინოვი, როდესაც მეტანიისა და პირველის წერის შესახებ საუბრობს, განმარტავს: „ტაძარში შესვ-

ლისას კარებთან უნდა შეჩერდე, შეასრულო საბი მეტანია და თქვა: „ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას“ (მეტანია). „ღმერთო განმწმინდე მე ცოდვილი და შემიწყალე მე“ (მეტანია); „რომელმან შემქმენ მე, უფალო, შემიწყალე მე“ (მეტანია)“. ე.ი. მეტანიები შეიძლება ტაძარში შესვლამდეც შევასრულოთ. რაც შეეხება ღვთისმსახურების მიმდინარეობის დროს მეტანიების აღსრულებას, მეტანიები უნდა აღსრულდეს მაშინ, როდესაც სრულდება ღვთისმსახურთა მიერ.

### — ასევე არსებობს დღეები, როდესაც მეტანიები საერთოდ არ სრულდება...

— ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების კანონი აღგენს, რომ კვირას მეტანია არ კეთდება. კვირას მეტანიები არ სრულდება იმიტომ, რომ ყოველი კვირა უფლის აღდგომის დღეა და რადგან კვირა დღეს აღვნიშნავთ, როგორც სულიერი სიხარულის დღეს მკვდრებით აღმდგარი უფლისათვის, ასეთი დიდი სულიერი სიხარულის დროს, შეიძლება მუხლი არ მოვიყაროთ. გარდა კვირა დღისა, მეტანიები არ სრულდება დიდმარხვის დროს შემდეგ დღეებში — „პარასკევის მწუხრიდან, კვირის მწუხრამდე; ქრისტეშობის წინა დღესასწაულიდან ნათლისღების წარგზავნამდე; ვნების შედეგის სუთშაბათის ცისკრიდან (წმინდა გარდამოხსნის წინაშე მუხლის მოყრის გარდა) სულთმოფენობის მწუხრამდე, როდესაც მუხლმოდრეკის განსაკუთრებული ღოცვები იკითხება; ყველა ათორმეტთაგან დღესასწაულზე მათ წარგზავნამდე (ჯვართამაღლების დღესასწაულის გარდა, როდესაც თავგანსაცემით პატიოსან ჯვარს), აგრეთვე იმ დღეს, როდესაც უფლის წმიდა საიდუმლოებებს ვეზიარებთ“, — განმარტავს წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე ბრიანჩინოვი.

### — საჭიროა თუ არა პირველის გამოხატვა მეტანიის აღსრულების შემდეგ?

— მეტანიას ტრადიციულად ახლავს ჯვრის გამოხატვა, მაგრამ ჯერ სრულდება მეტანია და შემდეგ ვისახავთ პირველად, თუმცა არ იქნება დანაშაული თუ ჯერ პირველად გამოვისახავთ და შემდეგ მეტანიას შევასრულებთ.

### — როდის უნდა შევასრულოთ მეტანიები შინ, ღოცვითი კანონის აღსრულებისას?

— შინ წარმოსათქმელი ღოცვების დროს მეტანიები სრულდება მაშინ, როდეს-

## შორენა მერკვილაძე

— „მეტანია“ ბერძნული სიტყვაა და აზრის შეცვლას, სინანულს ნიშნავს. ამასთანავე მეტანიის აღსრულებისას გამოვხატავთ თავგანისცემას ღვთისადმი. ე.ი. მეტანია არის ღვთის წინაშე თავგანისცემა ან სინანულით შეგრძნობა. ამიტომ მეტანიები უდიდესი სინანულისა და საკუთარი უღირსების შეგრძნებით უნდა შევასრულოთ.

### — საეკლესიო ტიპიკონში არის ორგვარი მეტანია — მცირე და დიდი. რა განსხვავებაა მცირე და დიდ მეტანიებს შორის?

— დიდ და მცირე ანუ სრულ და არასრულ მეტანიებს შორის ის განსხვავებაა, რომ სრული მეტანია სრულდება მუხლმოდრეკით და შუბლის მიწაზე შესებით. მცირე, ანუ არასრული მეტანია კი სრულდება მუხლმოდრეკის გარეშე, წელში მოხრით და ხელის მიწაზე შესებით.

— ხშირად მოძღვარი აღმსარებელს (ე.ი. სულიერ შვილს) უნიშნავს მეტანიებს. რა შემთხვევაში ენიშნება აღმსარებელს მეტანიები და არის თუ არა მეტანია ერთ-ერთი საეკლესიო სასჯელთაგანი?

# წიკვა-ლოცვა მხოლოდ მზიან აშინდში ტარდება...

საც მითითებულია ლოცვებში.

— როგორი მეტანიები აღესრულება ლოცვითი კანონის აღსრულებისას: სრული თუ არასრული?

— შინ ლოცვითი კანონის აღსრულებისას, სასურველია შევასრულოთ სრული მეტანიები, მაგრამ თუკი ადამიანს ფიზიკური უძლურების გამო სრული მეტანიების შესრულება არ შეუძლია, მცირე მეტანიები მაინც უნდა აღასრულოს.

— რატომ იცვლება დიდმარხვის დროს მეტანიების შესრულების წესი და როგორ აღესრულება მეტანიები ამ პერიოდში?

— როგორც ვიცით, მარხვა არ არის მხოლოდ საკვების შეზღუდვა, არამედ მარხვის პერიოდში უფრო მეტად გემართებს საკუთარი ცოდვების დანახვა და აქედან გამომდინარე, მეტი სინანულიც საკუთარი ცოდვების გამო. ამიტომ მეტი მეტანიაც უნდა შევასრულოთ, რადგან, როგორც აღვნიშნეთ მეტანია აზრის შეცვლას, სინანულს ნიშნავს. დიდმარხვის დროს მეტანიების შესრულებას თავისი წესი აქვს, ამ დროს იკითხება ანდრია კრეტელის კანონი, უფრო ასურის ლოცვები და სხვა. უფრო დაწვრილებით ამ კითხვაზე პასუხს გვცემს წმ. ეპისკოპოსი ეგნატე ბრინანინოვი: „დიდმარხვის დროს ტიპიკონის, ჟამნისა და ტრიოდონის (მარხვანის) მითითებით დიდი მეტანიები სრულდება: საცისკრო კანონების კითხვისას — სამი მეტანია (ჟამნებისა და მწუხრის კანონებზე — მცირე მეტანიები); ცისკარზე ღვთისმშობლის საგალობლის ყოველ ჩასართავზე, „ღირს არსზე“; დიდი სერობის დროს ასამაღლებელზე „ყოველად წმიდა ღმრთისმშობელო“ და ჟამნობისას სინანულის ტროპარების გალობის დროს; სადილის ჟამნის დროს სიტყვების — „მომხსენენ ჩვენ უფალო, უფალო“ — ბოლოს სამი მეტანია; დიდი მეტანიები სრულდება ეგრემ ასურის ლოცვის დროს“. საერთოდ, უნდა გავითვალისწინოთ ერთი რამ, რომ მთავარია არა დანიშნული მეტანიების შესრულება, არამედ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტანიები უნდა შევასრულოთ უფლისადმი თაყვანისცემისა და საკუთარი ცოდვილობის შეგრძნებით, რადგან მეტანიის დროს ადამიანი სიმბოლურად გამოხატავს უფლისადმი პატივისცემას, რაც სინანულის აუცილებელი პირობაა.



VII საუკუნის დასაწყისში სტეფანოზ მეორე ერისმთავარმა პატრიარქთან ერთად შიომღვიმის მონასტერს ესტუმრა. იქ პატრიარქს განსაკუთრებული პატივით შეხვდნენ. ამით განაწყენებულმა ერისმთავარმა მონასტერს მიწები ჩამოართვა. მას ორჯერ გამოეცხადა შიო მღვიმელი და მონასტრისთვის მიწების დაბრუნება უბრძანა. ერისმთავარმა არ შეისმინა მოთხოვნა და ამის შედეგად, თავადაც და მისი ოჯახის ყველა წევრი დაბრმავდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა სტეფანოზი საკუთარ შეცდომას. მივიდა მონასტერში და წინამძღვრისგან შენდობა ითხოვა. მას შიო მღვიმელის საფლავიდან აღებული მინა თვალებზე დაადეს და სინათლე დაუბრუნდა. თავის ქალაქში დაბრუნებულმა სტეფანოზმა მთელი თავისი ქონება გაყიდა და წრომში ტაძარი ააშენა.

## ნათია თენიეშვილი

ტაძრის მშენებლობა 627-636 წლებში მიმდინარეობდა. ოთხ სვეტზე აღმართული ტაძარი იმ დროისთვის არქიტექტურულად უნიკალურ ძეგლს წარმოადგენდა. მოზაიკა ნახევრად ძვირფასი და მოქრული ქვებით დამზადდა. სწორედ ასეთივე ქვებით საკურთხეველზე მოხატული, მაცხოვრის ხატი, თურმე ღამით, მთვარის შუქზე საოცრად ბრწყინავდა. იმ დროს წრომი საკათედრო ტაძარი იყო და იქ ეპისკოპოსი იჯდა...

წრომის ტაძარი დღესაც მოქმედია, იქ წირვა-ლოცვა ჩვეულებრივად აღესრულება. ოღონდ, წირვის მომასწავებელ ზარს, სტიქაროსანი ჟანგბადის გადაჭრილი ბალონით რეკავს. იმ ძვირფასი მოზაიკის ნარჩენებს კი, დროდადრო, წრომის ტაძრის წინამძღვარი, მამა იობი ნანგრევებში პოულობს. „ქვებს შორის სიცარიელეა, წყალს კირი გამოუცლია და რამდენიმე ნატეხი

წრომის ტაძრის წინამძღვარი მამა იობი

იქ ვიპოვე. მოზაიკის დიდი ნაწილი მობარული და დაკარგულია, ნაწილი კი სახელმწიფო მუზეუმში ინახება“, — ამბობს ის.

სხვადასხვა ეპოქაში, მტრის შემოსევებ-





ბერებმა დაასუფთავეს და გაწმინდეს საუკუნეების განმავლობაში მიწაში ჩამარხული ძვალთშესალაგე

ის დროს, ეკლესია დაინგრა. ჩვენი წინაპრები ტაძარში ცეცხლს ანთებდნენ. ცეცხლის ზემოქმედების შედეგად, კირი სკდება, შემდეგ კი, წვიმა ყველაფერს რეცხავდა. ამგვარად ნაღვურდებოდა ტაძარი. სხვანაირად, ორი მეტრი სისქის კედლის დანგრევა ძნელი წარმოსადგენია. უახლესი ისტორიიდან ვიცით, რომ 1921 წელს, წითელი არმიის შემოსვლის დროს, ეკლესიის გუმბათი მთლიანად ჩამონგრეული იყო, მოზაიკური მხატვრობა კი – ჯერ კიდევ შენარჩუნებული. იმ დროს, სოფელში გზა გაჰყავდათ, რის შედეგადაც მიწის ღონემ აიწია და ტაძარი მიწაში ღრმად ჩაფლავდა. როგორც მამა იობი ამბობს, ტაძარი დღეს ძალზე ცუდ მდგომარეობაშია და ზამთარში იქ გაჩერება შეუძლებელია.

**მამა იობი:**

– ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ტაძარი მიწაშია ჩაფლული. ზამთარში ტაძარში შემოსული წყალი ვეღარ გადის და საძირკველში დგება. კედლებიც სველია და არსებობს იმის საშიშროება, რომ ნელ-ნელა, საერთოდ დაინგრევა. ახლაც კედლიდან ქვა რომ გამოვიდოთ, კირი გადმოიფრება. 1988-96 წლებში, ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარეობდა. მაგრამ შემდეგ, ყბადაღებული უსახსრობის გამო, შეწყდა. არავინ ჩანს – არც რაიმე ორგანიზაცია და არც კერძო პირი, რომ ტაძრის რესტავრაცია დააფინანსოს. აქვე ახლოს, სოფელ ხცისში იოანე ნათლისმცემლის მონასტერია. ის დღესდღეობით მოქმედია, მაგრამ წირვა-ლოცვა მხოლოდ მზიან ამინდში ტარდება, რადგან მისი გუმბათი მთლიანად ჩამონგრეულია. რამდენიმე წლის წინ, მის სარესტავრაციოდ ბანკმა „ქართუმ“ გამოყოფი თანხები. მაგრამ ორგანიზაცია, რომლის ანგარიშზეც ეს თანხა გადაირიცხა, საერთოდ გაუქმდა, ყველაფერი აირ-ღაირია და დავრჩით ასე, გაურკვეველობაში...

X საუკუნის ძველი, რომელსაც ადრე, წვიმოეთის მამათა მონასტერს უწოდებდნენ, ახლა კი, იოანე ნათლისმცემლის სახელობის მონასტერი ჰქვია, ულამაზეს ადგილას, მთაშია აშენებული. ამ მონასტერში ბერები

საუკუნეების მანძილზე, მთარგმნელობით საქმიანობას ეწეოდნენ, ბერძნულიდან ქართულად თარგმნიდნენ სავალბლებს და საეკლესიო ლიტურატურას. მონასტერს ირგვლივ დიდი გალავანი ერტყა. ის დროთა განმავლობაში, მიწამ დაფარა და ახლა საერთოდ აღარ ჩანს.

ამჟამად მონასტერში ორი მორჩილი ცხოვრობს, რომლებიც გალავნის მიწიდან გასუფთავებას ცდილობენ. მონასტერს სახურავი საერთოდ არა აქვს. მხოლოდ საკურთხეველია დროებით გადახურული თვით ბერების მიერ. როგორც მამა იობი ამბობს – მონასტერი ნელ-ნელა ინგრევა. დაახლოებით ორი წლის წინ, ბერებმა დაასუფთავეს და გაწმინდეს საუკუნეების განმავლობაში მიწაში ჩამარხული ძვალთშესალაგე. იქ ბევრი თავის ქალა და ადამიანის სხვა ნაშთებია დასვენებული.

**მამა იობი:**

– ძვალთშესალაგის დიდი ნაწილი გაძარცვული და დაკარგულია. რამდენიმე თავის ქალა სხვადასხვა ადგილას იქნა ნაპოვნი. ადრე მონასტერში არსებობდა ასეთი ტრადიცია: როდესაც ბერი გარდაიცვლებოდა, მარხავდნენ და სამი წლის განმავლობაში ლოცულობდნენ მისი სულისთვის; სამი წლის შემდეგ, თუ მიცვალებული გახრწნილი იყო – ე.ი. ვერ დაიმსახურა ღვთის სასუფეველი და ისევ მარხავდნენ; მაგრამ იყო შემთხვევები, როცა გვამი გაუხრწნილი რჩებოდა (მაგალითად, საბა განმწმენდილი, იოანე ქოზიფელი და ა.შ.); მაშინ ნაშთებს საძვალეში დაასვენებდნენ და ყოველდღე იკითხებოდა ლოცვები, ტარდებოდა წირვა მიცვალებულის სახელზე, ასხურებდნენ ნაკურთხ წყალს, უხდიდნენ პანაშვილს და ა.შ. ძვალთშესალაგები ბეთანიამიც არის, ზარზმამიც, დავითთარეჯშიც და სხვაგანაც. ბოლო სამი საუკუნის გან-

მავლობაში, ასეთი რამ საქართველოში არ მომხდარა.

წრომის საკათედრო ტაძრისა და იოანე ნათლისმცემლის მონასტრის რესტავრაციისა და მოვლა-პატრონობის საქითხთან დაკავშირებით განმარტების მისაღებად, ძველთა დაცვის დეპარტამენტს მივმართეთ.

**კახა ტრაპაიძე, თავმჯდომარე:**


– ბიუჯეტი აფინანსებს მხოლოდ ე.წ. პირველად, გადაუღებელ სამუშაოებს. მთელი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის საპატრონოდ სულ წელიწადში 250 ათასი ლარია გამოყოფილი. ეს თანხა ნაწილდება და ხმარდება ძველებს იმ შემთხვევაში, თუ წყალი ჩამოდის, სახურავია შესაკეთებელი და ა.შ. – ანუ პროცესის შესანელებლად, დაცვის ელემენტარულ ნაბიჯებს ვგვაძთ.

**მალაია ღვალი, მთავარი არქიტექტორი:**

– წრომის ტაძარზე რამდენიმე წელი ვიმუშავეთ. შეიცვალა ლორფინის სახურავი, აშენდა გუმბათი და მიმდინარეობდა დაზიანებული უბნების გამაგრება, მაგრამ შემდეგ, დაფინანსება შეწყდა. როცა მუშაობა შეწყვეტიდა, მაშინ ჩრდილოდასავლეთის მხარე ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო. გუმბათის დამკვერ სვეტებს გამაგრება ესაჭიროებოდა. წრომის არაჩვეულებრივი, საოცარი თაღებიც გადახსნილია და, რა თქმა უნდა, შესაკეთებელია. არსებობს საშიშროება იმისა, რომ დასავლეთის კუთხის თაღები და კამარები შეიძლება, საერთოდ ჩამოიქცეს და დაინგრეს. ამ ყველაფერს კი, დაფინანსება სჭირდება, რის საშუალებაც ჩვენ არა გვაქვს.

**კახა ტრაპაიძე:**

– ახლა ჩვენში ახალი პროცესი დაიწყო – ვგულისხმობ კერძო ინვესტიციებისა და მეცენატების მოზიდვას. მეცენატების დახმარებით ამჟამად, სამი ტაძრის რესტავრაცია მიმდინარეობს. მათ შორისაა ხცისის ტაძარი, რომელსაც წელს ათასწლოვანი იუბილე აქვს. რაც შეეხება ნანგრევებს – მათ მიმართ დღეს ცოტა სხვანაირი მიდგომაა: ნანგრევები ექვემდებარება კონსერვაციას და აშენება-მიშენებას, შენობის დამთავრების მიზნით. ძველის აღდგენა ხდება მხოლოდ იმ გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც რესტავრატორებს აქვთ აბსოლუტურად ზუსტი დოკუმენტური მონაცემები ძველის შესახებ. ეს კანონით არის დადგენილი. იტალიელებს ყველა საშუალება აქვთ კოლიზეუმის აღდგენისა, ზუსტი მონაცემებიც აქვთ და თანხებიც, მაგრამ თანამედროვე მიდგომა ასეთია – ის ძველი ნანგრევების მხოლოდ კონსერვაციას – ე.ი. დღემდე მოღწეული მდგომარეობის შენარჩუნებას ითვალისწინებს.



ძირითადი პრობლემა ის არის, რომ ტაძარი მიწაშია ჩაფლული

# რივალდომ მილანური კარიერა დაასრულა

## ალექსი რეხვიაშვილი

რივალდოსა და კარლო ანჩელოტის შორის დაპირისპირებას წერტილი დაესვა. ბრაზილიელი ვარსკვლავი ამიერიდან, თავისუფალი აგენტის სტატუსით ისარგებლებს და ახალ კლუბს მოძებნის, რადგან მან უკვე განწყობა კონტრაქტი „მილანთან“. ამის შესახებ სპეციალურად მონყოლ პრესკონფერენციაზე თავად 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონმა და იტალიური გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა, ადრიანო გალიანომ განაცხადეს.

„კონტრაქტის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება ერთობლივად მივიღეთ, – დასძინა გალიანომ, – ერთმეორზე განაწყენებულები არ ვართ და მეგობრულ ატმოსფეროში ვწყვეტთ ურთიერთობას. კონტრაქტის შეჩერება უკვე შევიდა ძალაში. ეს „მილანის“ ფილოსოფიაა – თუ ფეხბურთელს გუნდში თამაში არ სურს, ჩვენ მას წასვლაში ხელს არ ვუშლით. თუმცა ყოველთვის, როდესაც კლუბს დიდი მოთამაშე ტოვებს, ძალიან ცუდად ვგრძნობ ხოლმე თავს“. შეგახსენებთ, რომ სამხრეთამერიკელი ნახევარმცველი „მილანში“ „ბარსელონიდან“ 2002 წლის მუნდიალის დასრულებისთანავე გადავიდა. მაშინ იგი კატალონიური კლუბიდან სრულიად უცერემონიოდ დაითხოვა „ბარსას“ იმჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა, ლუი ვან გაალმა. კორეა-იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპონატზე კი, რივალდომ ჩინებულად დასპარეზა და 7 მატჩში 5 გოლი გაიტანა. სწორედ ამის შემდეგ, 1999 წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთან „მილანმა“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაშინ საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ რივალდოს წლიური ანაზღაურება სიღვიო ბერლუსკონის გუნდში 4,5 მლნ ევრო იქნებოდა, თუმცა ხელშეკრულების ამ პუნქტს „მილანის“ ხელმძღვანელობა არ ახმაურებდა.

სამწუხაროდ, იტალიაში რივალდოს საფეხბურთო კარიერა არასახარბიელოდ წარიმართა. ბრაზილიელ ნახევარმცველს უმეტესად, სათადარიგოთა სკამზე ჯდომა უხდებოდა, რის გამოც იგი სამართლიანად გამოთქვამდა უკმაყოფილებას „მილანის“ მთავარი მწვრთნელის, კარლო ანჩელოტის მიმართ. რივალდოსა და ანჩე-



ლოტის შორის ურთიერთობა განსაკუთრებით ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის შემდეგ დაიძაბა. „იუვენტუსთან“ ჩატარებულ შეხვედრაში, რომელიც მანჩესტერში „ოლდ ტრაფორდზე“ გაიმართა, მსოფლიო ჩემპიონი თამაშს კვლავ სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალს. მიმდინარე საფეხბურთო სეზონში კი, რივალდო „მილანის“ რიგებში არც იტალიის ჩემპიონატის და არც ჩემპიონთა ლიგის მატჩებში არ გამოჩენილა. ფეხბურთელი აღშფოთებას ვერ ფარავდა და თავს შეურაცხყოფილად მიიჩნევდა იმის გამო, რომ მინდორზე რამდენიმე წუთითაც არ გამოჰყავდათ. მიუხედავად ამისა, სულ ცოტა ხნის წინ, რივალდო აცხადებდა, რომ „მილანიდან“ წასვლა არ სურდა და გუნდის ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის იმედსაც არ კარგავდა. ამასთანავე, მსოფლიო ჩემპიონმა ბრაზილიის ნაკრებში თამაშის სურვილი კვლავაც გამოთქვა. ამისთვის კი, აუცილებელი იყო, რომ კლუბში სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა. არადა, 2002 წლის მუნდიალზე მიღწეული წარმატების შემდეგ, რივალდომ თავისი სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ საჯაროდ განაცხადა.

ერთი სიტყვით, „მილანში“ საქმეების მოსაგვარებლად, რივალდო, კარლო ანჩელოტის შეხვედა და მწვრთნელთან საუბრით კმაყოფილიც დარჩა. „ანჩელოტის ვესაუბრე

და მან მითხრა – შენი უპირატესობა და მზადყოფნა ვარჯიშებზე უნდა დაამტკიცო. თუ კარგ ფორმაში ვიქნები, მოედანზე გამოსვლის შანსიც მომეცემა. მწვრთნელს ვუჩვენებ, რომ ძირითად შემადგენლობაში შეყვანას ვიმსახურებ. მხოლოდ მისი ნდობის მოპოვება მინდა, რათა მოედანზე გამოვიშვას“, – ოპტიმიზმს ვერ ფარავდა ნახევარმცველი. მაგრამ იმედი მალე გაუცრუვდა, რადგან „მილანის“ თავკაცს არც აღნიშნული შეხვედრის შემდეგ შეუცვლია რივალდოსადმი დამოკიდებულება. „ასეთ მდგომარეობაში ყოფნას ვეღარ შევგუებოდი, – განაცხადა ბრაზილიელმა, – ჯერ კიდევ ანკონაში, სეზონის პირველ მატჩში, კვლავ სათადარიგოთა სკამზე ვიჯექი და მივხვდი, რომ კლუბი უნდა დამეტოვებინა. თუ მინდორზე ასეთ მატჩებში მაინც არ გამოდიხარ, აღარაფრის იმედი აღარ უნდა გქონდეს. კონტრაქტის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება თავად მივიღე და მივიჩნიე, რომ საესებით სწორი ნაბიჯი გადავდგი. ყველაზე მეტად გულშემატკივრების წინაშე ვგრძნობ უხერხულად თავს: მათ ნამდვილი რივალდო ვერ იხილეს მინდორზე“.

ამჟამად რივალდო 31 წლისაა და ზამთრის სატრანსფერო სეზონის დაწყებამდე, ან ინდივიდუალურად ივარჯიშებს, ანდა რომელიმე სამხრეთამერიკულ გუნდთან გააფორმებს მცირეგადიან კონტრაქტს. ბრაზილიელი ვარსკვლავით უკვე დაინტერესდა რამდენიმე ინგლისური კლუბი, აგრეთვე მადრიდის „რეალიც“. აღსანიშნავია, რომ „სამეფო კლუბში“ რივალდოს ჩარიცხვით განსაკუთრებით რონალდო დაინტერესებული, რომელმაც მისი შექმნა უკვე სთხოვა „რეალის“ ხელმძღვანელობას.



# ოლივერ კანმა ცხოვრებისეული ორიენტირები დაკარგა

## ალექსი რეხვიაშვილი

გერმანიის ეროვნული ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ მეკარეს, ოლივერ კანს მძიმე პერიოდი უდგას: სახელოვანი გოლკიპერი კრიზისს განიცდის არა მარტო პირად ცხოვრებაში, არამედ საფეხბურთო მოედანზეც. ბოლო დროს კი, ამ ყველაფერს ჯანმრთელობის გაუარესებაც დაემატა. თუმცა, ოლივერი ცხოვრებისეულ სიძნელეებს არ უშინდება და სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობს.

სახელოვან გოლკიპერს თვალის უცნობი დაავადება შეეყარა, რომელსაც ექიმები ჯერჯერობით, ვერაფერს უხერხებენ. „ოლივერს დიდი პრობლემები აქვს. მის განსაკურნავად სპეციალისტები თავს იმტკიცებენ. ამ ეტაპზე, ექიმებს არაფრის თქმა არ შეუძლიათ ამ დაავადების შესახებ. მათ უკვე ყველაფერი სცადეს და მხოლოდ ისღა დარჩენიათ, რომ მოთმინებით დაელოდონ, თუ რა მოხდება შემდეგ. თვალელების ანთება მწვავედაა“, – განუცხადა ჟურნალისტებს „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა, ოტმარ ჰიტცფელდმა.

რამდენიმე დღის წინ, კანმა მორიგი სამედიცინო შემოწმება გაიარა, მაგრამ ექიმებმა დიაგნოზის დასმა მაინც ვერ შეძლეს. კონიუნქტივიტი კანს იენისიდან აწუხებს. გოლკიპერს მუდმივად უსიძველე თვალეები. სწორედ ამ სენის გამო, ეჭვქვეშ იდგა, როგორც გერმანიის ჩემპიონატის, ასევე ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ოლივერის მონაწილეობა. „თვალში ოფლის წვეთის მოხვედრა უმაღლეს ანთებას იწვევს. მას ძალიან უჭირს თამაში“, – ამბობს „ბავარიის“ თავკაცი. თავად ოლივერს კი, თავისი სენის შესახებ კომენტარის გაკეთება ჯერ არ შეუძლია. „მხოლოდ იმას ვეტყვი, რომ საგრძნობლად გაიზარდა ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლა“, – აღნიშნავს გოლკიპერი და მისი ეს ნათქვამი გადაჭარბებული ნაძვილად არ არის.

ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ რამდენიმე თვის წინ, ოლივერ კანი ცოლს გაეყარა. „ბავარიის“ გოლკიპერი და სიმონე თითქმის 15 წელი ცხოვრობდნენ ერთად, ამიტომ მათ გაყრას დიდი სკანდალი ახლდა და გერმანული პრესაც ამ თემაზე საუბარს დღემდე განაგრძობს.



მოგესვენებთ, 2002 წლის მუნდიალის შემდეგ, საგრძნობლად გაიზარდა ოლივერ კანის პოპულარობა გერმანიაში. უფრო მეტიც, ბუნდესნაკრების მეკარე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს, ფაქტობრივად, ეტალონად იქცა, რომლისთვისაც ახალგაზრდებს უნდა მიებაძათ.

რონალდოსა და მილენეს განქორწინებისაგან განსხვავებით, ოლივერისა და სიმონეს განშორებამ საზოგადოებაში დიდი რეზონანსი გამოიწვია. ამბობენ, რომ ყოფილი ცოლ-ქმარი ერთმანეთთან მისასვლელ გზას აღარ იტოვებს, რაც, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო ამძაფრებს გერმანელთა ინტერესს მეკარის პირადი ცხოვრებისადმი.

რა გახდა იმის მიზეზი, რომ 33 წლის ასაკში, ოლივერ კანმა ერთი თავქარიანი ლამაზმანის გამო, მოულოდნელად მიატოვა ოჯახი? Frankfirter Allgemeine-სთვის მიცემულ ინტერვიუში თავად გოლკიპერი ასეთ შეფასებას აძლევს თავის საქციელს: „სპორტსმენის ცხოვრებაში ერთხელ ისეთი მომენტი დგება, როდესაც ყველა მიზანი, რომელსაც იგი ისახავდა, უკვე მიღწეულია. ეს ყველაზე სასიფათო და მძიმე მომენტიცაა. სწორედ

ასეთი პერიოდი დამიდა მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. ცხოვრებისეული ორიენტირები დაკარგე, იმ ეთიკურმა და მორალურმა საწყისებმა, რომელსაც ვერ დანდობდი, მნიშვნელობა დაკარგა. ფეხბურთიდან წასვლაზეც კი ვფიქრობდი. ახლა მომავლისთვის უნდა მოვემზადო, სხვა მომავლისთვის. სხვა გზით წავალ, ახლებურად ჩამოვყალიბდები. სულიერ კრიზისს თავისი კარგი მხარეც აქვს: თუ მას გადაიტან, თითქოს თავიდან, ათვლის ახალი წერტილიდან ცხოვრების დაწყების შანსი გეძლევა. ამჟამად ჩემთვის აუცილებელია, გამოვნახო დრო საიმოსოდ, რომ გავიგო და გადავწყვიტო, თუ როგორ უნდა მოვექცე მომავალში იმ ადამიანებს, რომლებიც პრობლემებს მიქმნიან“.

ფრაუ სიმონემ უკვე შეიძინა საკუთარი სახლი და გრიუნვალდში მდებარე საცხოვრებელი, ოლივერის ახალ შეყვარებულს – ვერენას დაუთმო. გარდა ამისა, 33 წლის სიმონეს, რომელიც მშვენივრად გამოიყურება, ქმართან გაყრის გამო ცხვირი არ ჩამოუშვია და მართლაც ახალი ცხოვრება დაიწყო. იგი თავისი საქციელით მხოლოდ იმას უსვამს ხაზს, რომ ოლივერთან განშორებით, ზედმეტი ტვირთი ჩამოიხსნა მხრებიდან. სიმონეს სახეზე



ბენიერების განცდაა ალბეკლილი. ისევე, როგორც ვერენამ, მანაც გაიკეთა პირსინგი, ოღონდ – არა მასავით სახეზე, არამედ მუცელზე. ოლივერის ექსმეულლე ახალგაზრდულად იცვამს და ხმაურიან თავყრილობებზე სულ უფრო ხშირად ჩნდება. მაგალითად, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, იგი „ჰარლეი დევიდსონის“ ფესტივალს დაესწრო. თუმცა, ეს ჯერ კიდევ არაფერი. პაპარაცებს, რომლებიც სიმონზე ნადირობენ, მოსაწყენად ნამდვილად არ სცალიათ – მათთვის საინტერესო ობიექტი ხომ ხშირად, ყველას თვალწინ კალთაშიც უჯდება მამაკაცებს და სხეულის ინტიმურ ნაწილებზე მოფერების უფლებასაც აძლევს. ახლახან კი, სიმონემ სულ მთლად გადაარია ყვითელი მასმედიის წარმომადგენლები, როდესაც უამრავი ადამიანის დასანახად, „ბავარიის“ ყოფილი მოთამაშის, ტორსტენ ფინკეს 35 წლის მეუღლესთან, სილკესთან ვენებიანი ხვევნა-კოცნა გააჩაღა. ამბობენ, რომ ამ სცენის არც ერთი თვითმხილველი გულგრილი არ დარჩენილა... გარდა ამისა, ბულგარული პრესის ბოლო მონაცემების თანახმად, ოლივერ კანის ექსმეულლემ რომანი გააბა კიდევ ერთ ცნობილ სპორტსმენთან – ჩოგბურთელ თომას ნულაუმთან.

რაც შეეხება „ბაიერნის“ გოლკიპერის ახალ რჩეულს – ბოლო დროს, ოლივერი სულ უფრო ხშირად გამოხატავს უკმაყოფილებას მისი „სადისკოთეკო იმიჯის“ გამო და ვერენას „მოთვინიერებას“ ცდილობს. ვერავენ გეტყვით, თუ როდის გახდება კანის ახალი შეყვარებული „ნამდვილი ოჯახის ქალი“,

მაგრამ იმას კი ამბობენ, რომ ბოლო დროს, წყვილი საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს უახლესი მოდის მიხედვით ჩაცმას. ამას წინათ, ოლივერი და ვერენა მიუნხენის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ სამოდელო სალონს სტუმრობდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ისინი დევიდ და ვიქტორია ბექჰემების მიბაძვას ცდილობენ. „ჩემი ცხოვრება იმის მარჯვენა ბეღია, თუ როგორ უნდა იქცე საკულტო პიროვნებად, ნიჭის, ცოდნისა და სილამაზის არქონის შემთხვევაში“, – უთქვამს ერთხელ ვიქტორია ბექჰემს, რომლისგანაც ვერენას მართლაც შეუძლია რაღაცის სწავლა.

განქორწინებიდან ხუთი თვის შემდეგ, ოლივერ კანმა საკუთარ თავს უფლება მისცა, პირველად გამოჩენილიყო საზოგადოებაში ვერენასთან ერთად. მამის წყვილი მიუნხენში მიმდინარე, გოლფის ტურნირს ეწვია, რომელშიც არაერთი ცნობილი პერსონა მონაწილეობდა. „გამოდის, რომ მათ ერთმანეთთან, საწოლის გარდა, სხვა რამეც აკავშირებთ...“ – დაასკვნეს ამ ფაქტის შემსწრე ჟურნალისტებმა.

როგორც ჩანს, თავის ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს კანი მტკივნეულად არ განიცდის. მას მხოლოდ ერთი რამ ადუღევს: „როდესაც მშობლები ერთმანეთს ეყრებიან, ამით ყველაზე მეტად ბავშვები ზარალდებიან. სიმონესთან 4 წლის კატარინა-მარია და 6 თვის დავიდი მყავს. მიუხედავად ყველაფრისა, ისინი ჩემთვის ცხოვრების უმთავრეს აზრს წარმოადგენენ. კატარინამ იცის, რომ მას შეუძლია, დღე-ღამის ნებისმიერ მომენტში, თუნდაც, მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დამირეკოს მობილურ ტელეფონზე. ერთხელ მან მკითხა: მამიკო, დილაობით შენს საწოლში რატომ აღარ იღვიძებო?... ასეთი შეკითხვების გამო, გული მეკუმშება ხოლმე“.

რაც შეეხება საფეხბურთო პრობლემებს – გერმანიის ეროვნული ჩემპიონატის დაწყების შემდეგ, კანს სულ უფრო ხშირად აკრიტიკებენ, რაც არცაა გასაკვირი: „ბავარიის“ გოლკიპერის ბოლოდროინდელი სათამაშო სტატისტიკური მონაცემები ნამდვილად არასახარბიელოა. ამასთანავე, კანს თავისი კოლეგა, იენს ლემანიც აუშხედრდა, რომელიც



მიმდინარე საფეხბურთო სეზონში ლონდონის „არსენალის“ ღირსებას იცავს. მოგესხენებთ, ლემანი გერმანიის ნაკრების მეორე მეკარეა და ძირითადი შემადგენლობის მიღმა თავისი დარჩენის უმთავრეს მიზეზად, ოლივერ კანს მიიჩნევს. „ბოლო დროს, შემოთავაზებები მქონდა იტალიის, ესპანეთისა და ინგლისის კლუბებიდან, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ურიგო მეკარე არა ვარ, – ამბობს „არსენალის“ გოლკიპერი. – ვფიქრობ, კანს იმით ვჯობივარ, რომ მშვიდად შემიძლია დაცვის ორგანიზება, ოლივერი კი, ხშირად, თავს შეუკავებლად იქცევა. თუ მე მცველებს ვამშვიდებ, კანი თავისი შეძახილებით მათ ნერვებს უშლის და აშინებს. იოლი როდია იმის გადატანა, რომ ნაკრებში, შენ გარდა, ყველა თამაშობს. ზოგიერთ ამხანაგურ მატჩში მანაც უნდა მანდოს რუდომ ნაკრების კარი, თუ არა და, ბუნდესგუნდზე საერთოდ უარს ვიტყვი“.

ოლივერ კანს ხშირად აკრიტიკებენ საფეხბურთო სპეციალისტები და მიმომხილველები, თუმცა თავად გოლკიპერი მიიჩნევს, რომ სეზონი ჯერ ახალი დაწყებულია და მომავალი უჩვენებს, თუ ვინ არის საუკეთესო გერმანელი მეკარე. „სტატისტიკურ მონაცემებს მხოლოდ სეზონის ბოლოს მივაქცევ ყურადღებას, – ამბობს „ბაიერნის“ მეკარე. – მანამდე კი, უაზრობად მიმჩნია ლაპარაკი იმაზე, თუ რომელია ჩვენ შორის საუკეთესო. ამას გუნდის მწვრთნელი და გულშემატკივრები გადაწყვეტენ, თანაც – ამის მარჯვენა ბეღია ჩვენი პოპულარობის დონეა. ლემანის მწუხარებას ვიზიარებ, რადგან კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს სათადარიგოთა სკამზე ჯდომა, მაგრამ ვერავენ აუვლის გვერდს იმას, რომ საუკეთესო ვარ; განგებ ცუდად თამაშს ხომ არ დავიწყებ?!“



# „მედიკულომმა“ ამერიკულს 24 მილიონი „წააბთუეს“

აშშ-ის ეკრანებს კვლავ დაუბრუნდა ლეგენდარული მექსიკელი მომღერალი და საუკეთესო მსროლელი ელ მარიაჩი, რომელსაც ჰოლივუდის „მთავარი მანჩო“ – ანტონიო ბანდერასი ასახიერებს. რეჟისორმა რობერტ როდრიგესმა ახალი ფილმით – „ერთხელ მექსიკაში“ – ტრილოგია დაასრულა, რომლის პირველი ნაწილებია – „მუსიკოსი“ და „თავზეხელალებული“.



როგორც სააგენტო Reuters იუწყება, შემოსავალმა მხოლოდ ერთ კვირაში 24 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც კინოგაქირავების წინამორბედი ლიდერის შემოსავალს 3-ჯერ აღემატება.

ბანდერასის გარდა, ფილმში მონაწილეობენ: ჯონი დეპი, უილიამ დეფო და სელმა ჰაიეკი.

დეპი ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის კორუმპირებულ აგენტს თამაშობს. ის ბანდერასის გმირს იმისათვის დაეხმება, რომ დაანაშავეთა სამყაროს მეფის – ბარილოს (უილიამ დეფო) შეპყრობაში დაეხმაროს, რომელსაც მექსიკის პრეზიდენტის მოკვლა აქვს განზრახული...

„ოცდაოთხი მილიონი – ეს მართლაც თავბრუსმომხვევი შედეგია“, – განაცხადა კინოგაქირავების დეპარტამენტის პრეზიდენტმა.

# სწიურნ სპილმეტგი მთავარ ბთლგე ნიკთლ კიდმანს იწუეს



მას შემდეგ, რაც სტივენ სპილბერგმა რობინ სუიკორდის პოპულარული პიესის – „მეტოქეების“ ეკრანიზაციის უფლება მოიპოვა, განაცხადა, რომ მანამ არ დაიწყებს გადაღებებს, სანამ მთავარი როლებისთვის იდეალურად შესაფერის მსახიობებს არ იპოვის. პიესაში ლაპარაკია XIX საუკუნის ორ ბუმბერაზ მსახიობზე – სარა ბერნარსა და ელენორა დუზეზე. ცოტა ხნის წინ, „ოსკაროსანმა“ რეჟისორმა და პროდიუსერმა

მიწვევა გაუგზავნა ასევე „ოსკაროსან“ მსახიობს. ჰოლივუდის ავსტრალიელ კინოვარსკვლავს – ნიკოლ კიდმანს მიაჩნია, რომ სარა ბერნარის როლი, მის ცხოვრებაში ყველაზე დიდ შანსია და ოცნებობს მის შესრულებაზე. ახლა, როგორც ამბობენ, ლოგიკური იქნება, რომ დუზეს როლი ჯულიანა მურს შესთავაზონ.


# ქიგულ მიუნდჰენი „ცადსიმი“ ითამაშებს

ახლო მომავალში, ცნობილი ბრაზილიელი მოდელის, ჟიზელ ბიუნდჰენის დებიუტი ფრანგული კომედიური ფილმის რიმიეჟში – „ტაქსიში“ შედგება.

ფილმი მოგვითხრობს ნიუ-იორკელ ტაქსის მძღოლ ქალბატონ ბელზე. იგი პოლიციის დეტექტივს, ბანკების მომხიბლავი მძარცველის შეპყრობაში ეხმარება, რომლის როლსაც ჟიზელი შეასრულებს. 23 წლის მოდელს გადასაღებ მოედანზე პარტნიორობას გაუწევს მომღერალი და მსახიობი ქუინ ლატიფა. ბოროტმოქმედის როლის შემსრულებელი მოდელი ირწმუნება, რომ ცხოვრებაში ძალზე გულჩვილია და ოჯახის შექმნაზე ოცნებობს.



# შაჟი კაფის თოთბი საყვარელი



როგორც ცნობილი გახდა, ჰოლი ბერიმ კასტინგში გაიმარჯვა და მთავარ როლს შეასრულებს ქალი-კატის თავგადასავლებზე არსებული კომიქსების ეკრანიზაციაში. ფილმის გადაღებები სექტემბრის დამლევს დაიწყო. ბოლოს, მსახიობთა შერჩევაც დასრულდა. მამაკაცის მთავარ როლს ბენჯამენ ბრეტი შეასრულებს. მის პერსონაჟს – დეტექტივ ტომ ლოუნს ქალი-კატა უყვარს და ცდილობს, იგი შერონ სტოუნის ბოროტი გმირის შემოტყვევისგან დაიცვას. სტოუნის გმირი თავის ქმართან, ლამბერტ უილსონთან („მატრიცის გადატვირთვა“) ერთად მოქმედებს. ისინი საკმაოდ პრინციპული საკითხის გამო უპირისპირდებიან ერთმანეთს: კატა – ყოფილი ვეტერინარი მეცნიერია და კონსერტიკური კომპანიის წინააღმდეგ იბრძვის, რომელსაც ახლა, მისი მტრები ხელმძღვანელობენ...

# ყველა ქალი ხომ ლამაზი არის...



თუ ქალი ულამაზოდ გამოიყურება 16 წლამდე – ბუნების ბრალია, ხოლო თუ ქალი ულამაზოდ გამოიყურება 16 წლის შემდეგ – ამაში თვითონ ქალია დამნაშავე.

თმა – ეს არის ყველაზე ძვირფასი მორთულობა და სიამაყე ყველა ქალისათვის. სწორედ ვარცხნილობა აქცევს თქვენს სტილს სრულყოფილად და წარმოაჩენს თქვენს ინდივიდუალურობას. ჩვენი ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე ხშირად ვერ ვახერხებთ სალონებში სიარულსა და ვარცხნილობის შერჩევას. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული და საქმიანი ქალების უერთგულესი მეგობარი თმის მბრუნავი სავარცხელი "როტო პრო სტაილერი" სწორედ რომ აღმოჩენაა ქართველი ქალისათვის. "როტო პრო სტაილერი" საშუა-

ალებას გაძლევთ დაზოგოთ ყველაზე მთავარი და ძვირფასი – დრო და კაპიტალი და შინიდან გაუსვლელად მოიწესრიგოთ ვარცხნილობა. ვარცხნილობა, რომელიც პირველივე წუთიდან თქვენს მშვენიერებას საუკეთესოდ წარმოაჩენს.

*ეს არაჩვეულებრივი მბრუნავი სავარცხელი:*

- გამოსადეგია ყველა ტიპის თმისათვის;
- საშუალებას გაძლევთ შეცვალოთ თხელი თმის სტრუქტურა;
- მისცემს თმას სასურველ ფორმასა და მოცულობას;
- აღჭურვილია სპეციალური დამტენით და გამოყენების დროს არ დაგჭირდებათ მისი ელექტროქსელში ჩართვა;
- და რაც მთავარია! "როტო პრო სტაილერი" ძირეულად განსხვავდება ანალოგებისაგან იმით, რომ ეს არის ერთადერთი მბრუნავი სავარცხელი, რომელსაც გააჩნია თმის აბურდვის საწინააღმდეგო დაბატენტებული მოწყობილობა.



"როტო პრო სტაილერი"-ს მრავალი ღირსება ყველა ქალის მშვენიერებაში ერთხელ კიდევ დაგაჭერებთ.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით ტელეფონზე: (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან ვებგვერდით ინტარნეტგაზაფხია - [www.shopge.com](http://www.shopge.com)-ის საშუალებით და ჩვენი კურიერი მოგანდობთ შავითას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.

დასაწყისი იხ. „გზა“ №13-39

მომავალ ჟურნალისტს, დეა ავალ-იანს ბედი სასტიკად არ სწყალობს. მამა ოჯახიდან წავა, ძმა, მკვლელობის ბრალდებით, ციხეში მოხვდება, ამდენი უბედურების მომსწრე დედამისი კი, ლოგინად ჩავარდება და მალე გარდაიცვლება კიდევ.

ბედის ანაბარად მიტოვებულ დეას, კანონიერი ქურდი გიგოლა დაეპატრონება და მალე საყვარლადაც დაისვამს. ამის შემდეგ, ნებსით თუ უნებლიეთ, დეა გიგოლას ყველა ბნელი საქმის ერთგვარ მონაწილედ და ლამის მონაწილედაც კი იქცევა.

ნარკობიზნესში ჩაბმულ გიგოლას თბილისში აღარ დაედგომება და მოსკოვში გადასვლას გადაწყვეტს. თუმცა მანამდე, იქ დეას გახიზნავს და თავის ძველ საყვარელ ელასთან დააბინავებს. დეა ელას ვაჟს, დიმას მოეწონება, მაგრამ საქმეში სასწრაფოდ გიგოლა ჩაერევა და ახალგაზრდების კავშირს შეენინაალმდეგება. თუმცა მოგვიანებით, მოსკოვში სასწავლებლად დეას გადაყვანის მიზნით, მათ ფიქტიურ დაქორწინებას გადაწყვეტს და ამით ახალგაზრდების ფიქტიურ დაახლოებას ხელს თავადვე შეუწყობს.

მანამდე, გიგოლა დეას ერთადერთ დიდ სიყვარულს, დროებით გერმანიაში გადახვეწილ ბიზნესმენს, გურამს ჩამოაცილებს, თავად კი დეას გულს მაინც ვერაფრით მოიგებს. თუმცა, დეა გიგოლას საბოლოოდ, მანამდე მოიძულებს — მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ბავშვის გაჩენას არ დაანებებს: კანონიერ ქურდებს ცოლ-შვილი არ უნდა ჰყავდეთო...

დეას მოსკოვურ ცხოვრებაში გიგოლას თანამზრახველი, ცნობილი ბიზნესმენი ბადრი პატარიძეც საკმაო როლს თამაშობს. ბადრის სერიოზულად უჭირავს თვალი დეაზე, ამიტომ თავის ახალგაზრდა ტელევიზიაში ტოკ-შოუს წაყვანას შესთავაზებს...

— რა ჰქვია? — გააწყვეტინა მოულოდნელად დეამ.

— ვის? — უცბად ვერ მიუხვდა დაბნეული ბადრი.

— ტოკ-შოუს.

— ა-ა... მეც არა ვთქვი, გიგოლას სახელი დაავიწყდა-მეთქი... „О вас говорят“. როგორ ფიქრობ — დამინტრიგე-



# დავკიანებული ჩეისი მოსკოვი-თბილისი

## რუსულან ბერიძე

ბელი იქნება?

— აბა, როგორ გითხრათ?... — მხრები აიჩჩა დეამ. — თავის დროზე, პუგაჩოვამ, მაგალითად, ამ კითხვას ძალიან მარტივად უპასუხა: **Знаю, что говорят**-ო. საერთოდ კი, ასე უცბად, ამ ყველაფერზე საკუთარ აზრს ნამდვილად ვერ გამოვთქვამ...

— არცაა საჭირო! — სასწრაფოდ გააწყვეტინა ბადრი. — შოუ, პრაქტიკულად, უკვე მზადაა. შენ კი, უბრალოდ, მას უნდა მოერგო... უფრო ზუსტად კი — ის უნდა მოგარგოთ შენ... თავიდან, ძირითადი ტექსტებიც კი მზამზარეული გექნება... მონიტორზე წაიკითხავ... მერე კი, როგორც რუსები იტყვიან, **И блеск и лоск наберётся**...

— მერე ენა? — ისევ გააწყვეტინა დეამ.

— რა ენა? — გაუკვირდა ბადრის. — არ მითხრა ახლა, ვაკეში გაზრდილმა ქალმა რუსული არ ვიცით...

— რუსული კი ვიცი, მაგრამ აქცენტს რა უნდა მოვუხერხო?

— არც არაფერი! — ცხვირის წვერზე ჩამოჩოჩებული სათვალე ჯერ ზემოთ ასწია, შემდეგ კი საერთოდ მოიხსნა ბადრი. — მაგაზეც ვიფიქრეთ მე და რეჟისორმა და იმ დასკვნამდე მივვდივით, რომ შენისთანა ანგელოზ წამყვანს პატარა აქცენტი მეტ პიკანტურობასა და შარმსაც კი შესძენს... მართლა... იცი, რომ ფსევდონიმიც შეგიორჩიეთ?

— რა ფსევდონიმი?

— დიკა დიბროვა... ნახე, რუსულად როგორ სექსუალურად ჟღერს?!. დიკა

დიბროვა!

— ეს დიკა რაღა უბედურებაა?! — გაღიზიანდა დეა.

— ჩემო დეა, ქართულად კი შესანიშნავი სახელი გქვია, მაგრამ ამ ოხერ რუსულს ვერაფრით მოვარგეთ და რა გვექნა?!

— გამოდის, რომ ყველაფერი ჩემ მაგივრად გადავიწყვეტით და იქნებ, ბარემ, ჩემი შემცვლელიც ახლავე მოგებენათ და თქვენც დაისვენებდით და მეც... — დაიწყო დეამ.

— აბა, რას ამბობ?! — შეიცხადა ბადრი და თან, აშკარა ნდომითაც შეათვალიერა. — ეს ყველაფერი შენ გარეშე ხომ საერთოდ არაფერია! ნულია!.. ჰო, მართლა, კინაღამ მთავარი დამავიწყდა: ხვალ პირველი საცდელი გადაცემა უნდა ჩავწეროთ. ეცადე, ამაღამ კარგად გამოიძინო... მაყურებელი ხომ ყველაფერთან ერთად, შენი იმითაც უნდა მოხიბლო... ფუ... ქართულად ველარაფრით ვისხენებ... მოკლედ, **СВЕЖЕСТЬЮ**, რა...

— კარგი, — ირონიულად გაეღიმა დეას, — ვეცდები, ხვალ, რაც შეიძლება, „სვეჟი“ ვიყო!.. ტანსაცმელი ჩემით შევირჩიო თუ...

— არა, ჩაცმით ჩვენები ჩაგაცვამენ, თუმცა... — ტუჩებიც აშკარა ნდომით გააწკლავუნა ბადრი. — ჯინსი ისე გხატავს, რომ იქნებ, ერთი-ორი კადრი, საცდელად, ჯინსშიც გადაგიღოთ... მოკლედ, როგორც უფრო თავისუფლად იგრძნობ თავს, ისე ჩაიცვი, დანარჩენს კი, ადგილზე, რეჟისორი გადაწყვეტს...

— გასაგებია... — ფეხზე ნელ-ნელა წამოდგა დეა. — ყველაფრისთვის დიდი

მადლობა, ბატონო ბადრი. ახლა კი წავალ, თორემ, ძალიან დავიღალე...

— მართლა, დიმა როგორ არის? — უცხად გაასხენდა ბადრის და თან, თვითონაც ფეხზე წამოდგა. — თბილისში დარჩა, ხომ?

— არა, ერთად ჩამოვედით.

— მერე?

— მერე არაფერი... პირდაპირ აერობორტში, ლამის ცხვირწინ „ასწაპ-ნეს“ ჩემი თავი და აქ მომიყვანეს...

— რას მეუბნები?! — ვითომ ძალიან შეწუხდა ბადრი. — ისე კი, გამიკვირდა, შენ გვერდით მის მაგივრად, თემო რომ დავინახე, მაგრამ ვიფიქრე, დიმა თბილისში დარჩა-მეთქი... იმ საწყალს კი, ალბათ, ახლა გიგოლა ურჩევს საქმეს... ისე, ამ ბოლო დროს, ძან გაუბერა, ხო იცი?! — საფეთქელთან მიტანილი თითი დაატრი-ალა ბადრი.

— ვერ გავიგე, ვინ გაუბერა? — ჩაეკითხა დეა.

— ვინ და გიგოლამ. არ ვიცი, არ ვიცი... ასე თუ გააგრძელა...

— რამეს ხომ არ უპირებთ? — დაინტერესდა დეა.

— მე-ე? — გულზე ხელი დაიდო და მხრებში თავი უცნაურად ჩარგო ბადრი. — რას ამბობ?! მე აბა, რას უნდა ვუპირებდე?! მაგრამ ხომ იცი, რომ მაგისნაირების დრო ნელ-ნელა მიდის; დღეს ყველას ლეგალური და წესიერი ბიზნესი უნდა, რომ ჰქონდეს...

— რას მეუბნებით?! — გააწყვეტინა დეამ და თან, ირონიულადც გაეღიმა. — თქვენც ხომ არა?..

— რატომაც არა?! — ცოტა არ იყოს, შეცბა ბადრი. — ნუ, ახლა... იმდენად წესიერი, რამდენადაც ეს ჩვენს პირობებშია შესაძლებელი... გიგოლა კიდევ, ისევ ძველებურ, ქურდულ გაგებას აწევს. ჰოდა, ერთხელაც ხომ შეიძლება, ვიღაცას ყელში ამოუვიდეს და...

— და რა?.. გააგორებენ?.. — ისევ გააწყვეტინა დეამ.

— მე ეგ არ მითქვამს! — ხელეები გაასავსავა აშკარად დამფრთხალმა ბადრი.

— აბა, რა თქვით?

— რა და... შენ შექსპირი ჩემზე უკეთესად გეცოდინება, რა თქმა უნდა... ჰოდა, ხომ იცი, რას ამბობს ის „ოტელოში“?

— ვიცი! — გააწყვეტინა დეამ. — „Мавр сделал своё дело, мавр должен уйти!..“

— ოჰო! — სიხარულით შესძახა ბადრი, — ხედავ, რა მშენიერი გამოთქმა გაქვს?! თითქმის უაქცენტო!.. ასე რომ, სულ ტყუილად გეშინია...

— მე ჩემი აქცენტის კი არა, გიგოლა გიორგობიანის მეშინია, ბატონო ბადრი, — თვალი თვალში გაუყარა აქამდე

თავდახრილმა დეამ ბადრის, — განა თქვენ კი არ გეშინიათ?..

— ნუ, ახლა... — ხელეები უხერხულად მოთმუნებდა ბადრი, თუმცა, დამფრთხალ სახეზე ცბიერი ღიმილიც მაღევე დაუფინა: — კი მეშინია, მაგრამ ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია?!

ლაქლაქში გართულმა თემომ და ლილამ კაბინეტიდან გამოსული დეა და ბადრი პატარიძე უცხად როდი შენიშნეს. ამაზე ბადრის ქვე-ქვემად გაეღიმა და დეას თვალი ეშმაკურად ჩაუკრა:

— ხედავ, ჩემო კარგო, სანამ ჩვენ საქვეყნო საქმეზე ლაპარაკით ვილღებოდით, ამით აქ, მგონი, ჩასიყვარულებაც კი მოუსწრიათ.

ბადრის სიტყვებზე თემო ჭარხალივით გაწითლდა და მაშინვე ფეხზე წამოხტა. ლილამაც მას მიჰბაძა და თან, აშკარად შეშინებულმა გახედა ბადრის.

მაგრამ თავადაც არანაკლებ აცეტე-ბულ ბადრის, მისთვის ნამდვილად არ ეცალა. მან ხელკავი გამოსდო დეას და გასასვლელამდე ტაბით მიაცილა, შემდეგ ხელზე მოწიწებით ეამბორა და ხმადაბლა ჰკითხა:

— ხომ ნამდვილად ყველაფერზე შევეთანხმდით?

— ნამდვილად... — წარბიც არ შეუხრია, ისე უპასუხა დეამ.

— ძალიან კარგი! — დეას ხელი ერთხანს ხელში შეაჩერა ბადრი და თან, მსუბუქად მოუჭირა. — კარგი შეთანხმება საქმის ნახევარია...

პატარიძის ოფისიდან წამოსვლის შემდეგ, თემომ და ახმასხმა დეა კარგა ხანს უმისამართოდ ატარეს. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ, მოსკოვისათვის უჩვეულოდ მყუდრო ქუჩაზე შეუხვიეს და ძველებური, სამსართულიანი სახლის წინ გაჩერდნენ.

— მოვედით... — კბილებში უსიამოდ გამოცრა საჭესთან მჯდარმა ახმასმა და მანქანის ძრავა გამორთო. — ჯერ მე ავალ და ყველაფერს „დავსმოტრავ“... — მიუბრუნდა ის თემოს და მანქანიდან ნელ-ნელა გადავიდა.

— მაიცა, ბაჩო, მეც წამოგყვები, — მანქანის კარი გამოაღო ჯაბამაც.

— შენ აქ უნდა დარჩე! — უბრძანა ბაჩომ და სადარბაზოსკენ მარტომ გასწია.

— ვერ გავიგე?! — გაკვირვებით გადახედა დეამ თემოს. — კონსპირაციულ ბინაზე მომიყვანეთ თუ რა „დასმოტრავა“ ლაპარაკი?

— კონსპირაცია-მონსპირაცია არ ვიცი მე! — უცხად დეასკენ ისევ მთელი ტანით შემობრუნდა წინა სავარძელში მჯდარი ჯაბა. — გიგოლამ რაც გვითხრა, ჩვენც იმას ვაკეთებთ...

— ვითხრათ თუ გიბრძანათ? — სახეზე ღიმილი ღიმილი დაუფინა დეას. — საინტერესოა, „მოსკვა-რეკაში“ გადახტომა რომ გიბრძანათ, გადახტებით?

— პირადად მე, მანამდე, მაგ „რეკაში“, ნაღდად ერთ ვიღაცას გადავაგდედი! — ბოროტად დაუბრიალა თვალები ჯაბამ დეას და თან, სავარძლის საზურგე ისე გამეტებით ჩაბღუჯა, რომ კინაღამ მოგლიჯა: — ნეტა, შენ გიგოლას ახლობელი არ იყო!..

— ჯაბა, ისევ დაიწყე? — სასწრაფოდ ჩაერია თემო.

— კიდევ მე დავიწყე, ბიჭო?! — უზარმაზარი ტორი ცხვირწინ აუთამაშა ჯაბამ თემოს და უცხად, მონუსხულივით გაშეშდა: — აუ, ჩემი, გიგოლა უკვე აქ ყოფილა!..

— მართლა? — სასწრაფოდ მიიხედა უკან თემომაც და მანქანისკენ ტაბით მომავალი გიგოლა დაინახა.

ჯაბამ მაშინვე კარი გააღო და მანქანიდან გადავიდა. თემომაც მას მიჰბაძა. დეა კი არც განძრეულა. ბიჭები მანქანისკენ მომავალ გიგოლას სარგადაყლაპულებით გაეჭიმნენ. გიგოლამ ორივეს ჩამოართვა ხელი და ხმადაბლა რაღაც გადაულაპარკა. შემდეგ მანქანის წინა კარი გამოაღო და სალონში შეიხედა:

— ჩამობრძანდით, ქალბატონო?! — ბოროტად გაუღიმა მან დეას. — მადლობა დმეროს!.. ახლა, იქნებ, მანქანიდან გამობრძანებაც ინებო?!

— სანამ არ მეტყვი, სად მომიყვანეთ, ადგილიდან ფეხსაც არ მოვიცვლი! — მტკიცედ უპასუხა დეამ.

— სად და შენს სახლში, — მშვიდად უპასუხა გიგოლამ და თან, მანქანაში გვერდულად ჩაჯდა.

— რაღაც არ მახსენდება, რომ მოსკოვში ოდესმე სახლი მქონოდა?! — აგღებულად ჩაილაპარკა დეამ.

— არა უშავს, დღეიდან გემახსოვრება... — ისევ მშვიდად მიუგო გიგოლამ. — გადმოდი, გადმოდი. ნამდვილად არ ინანებ, ისეთი სიურპრიზი მაქვს შენთვის მომზადებული... — შეაგულიანა გიგოლამ დეა და თან, ხელზე უხეშად წაეტანა.

დეამ ხელი მაშინვე გამოჰკლიჯა და მანქანის შორიანხლოს მდგარ თემოსკენ გაიხედა.

— ნუ ნერვიულობ, თემომ უკვე ყველაფერი იცის... — დაამშვიდა გიგოლამ.

— რა ყველაფერი?! — წამოჭარხლდა დეა.

— ყველა-ფერი... — მშვიდად ჩამომარცვლა გიგოლამ, შემდეგ გადავიდა და მანქანის კარი გაუღო: — გთხოვთ!

დეამ მანქანა უსიტყვოდ დატოვა და იქვე გაჩერდა. თემო და ჯაბა მაშინვე საბარგულს ეცნენ და დეას ბარგი სა-

დარბაზოში შეარბენინეს. გიგოლამ ღვა წინ გაუშვა, თავად უკან მიჰყვა და თან, ქალის ტანის მოხდენილ რხევას თვალი დაფიქრებულმა ააყოლ-ჩააყოლა:

– ცოტა გამოცვლილხარ, ხო იცი... თუ უბრალოდ, მეჩვენება?..

– უბრალოდ, გეჩვენება, – უკანმოუხედავად ესროლა ღვამ და მაშინვე, შიშისგან გული ყელში მიეზღინა.

– მაშინ ავღებები და სასწრაფოდ პირველს გადავიწერ... – ავღებულად განაგრძო გიგოლამ.

– რას იზამ? – როგორც იქნა, გიგოლასკენ შემობრუნება გაბედა ღვამ.

– პირველს გადავიწერ-მეთქი!.. შენთვის რა, არავის უსწავლებია, რომ როცა რამე გეჩვენება, პირველს უნდა გადაიწერო? – ახლა ღვამს ვნებიან მკერდს „ჩაატეხა“ თვალები გიგოლამ. – არა, ძმაო, რაც მართალია, მართალია – ძან ქალი დაღექი!.. – აშკარა ნდომით ჩაილაპარაკა მან და უცხად, ისე ალაღად გაუღიმა, რომ გაცოცხლდა ღვამ კინაღამ პირი დაალო: „ღმერთო ჩემო!.. – გაიფიქრა მან გულში. – მაინც, საიდან აქვს ამ საღისტს ასეთი სუფთა ღიმილი?!“

სანამ ღვა მეორე სართულს აათავებდა, თემომ და ჯაბამ უკვე უკან ჩამორბენა მოასწრეს. ჯაბამ გამეხებულმა ჩაუქროლა ღვას, თემო კი წამით შედგა, დამნაშავესავეთ გაუღიმა და სასწრაფოდ თავი დახარა.

– შენ სადღა გარბიხარ? – გაკვირვება ვერ დაფარა ღვამ.

– საქმე მაქვს, – თავი არ აუწვევია, ისე ჩაილულულა თემომ და გზა განაგრძო.

– რა საქმე? – დაადგენა ღვამ. – როდის დაბრუნდები?

– დღეს – არა მგონია... – ისევ დამნაშავეის ღიმილი აიფარა სახეზე თემომ და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე.

– მე კი, არც ხვალ მგონია... – თავისთვის ჩაილაპარაკა ღვას უკან მიმავალმა გიგოლამ და ქალს მსუბუქად უბიძგა: – მიდი-მიდი, ნუ ჩერდები, ცოტაა დაგვრჩა...  
– ღვამ რამდენიმე საფეხური უხმოდ აათავა და კიბის თავზე დაბნეული შედგა:

– მე რა, აქ მართო უნდა დაერჩე?.. – იკითხა მან შემდეგ და ერთ-ერთი ბინის კარისკენ ალაღებულზე გაიშვირა ხელი.

– ყოჩაღ! „ათიანში“ მორატყი! – გამხიარულდა გიგოლა. – ზუსტად მაგ ბინაში მოგიწევს დარჩენა, ოღონდ, მართოს კი არა – ჩემთან ერთად...  
– მე შენთან მართო აღარასოდეს დავრჩები, გასაგებია?! – ხმას აუწია ღვამ.

– ეგ გადაწყვეტილება, ცინგლიან ღიმილსთან რომ კოტრილობდი, მაშინ ხომ არ მიიღე? – ჩაიღმუვლა გიგოლამ და

მოპირდაპირე ბინის კარისკენ ისე გამეტებით უბიძგა, რომ სწორედ იმწუთას კარი შიგნიდან რომ არ გაღებულყო, ღვა ალბათ შუბლით შეასკვებოდა...

ღვა კარში მდგარმა, დაბნეულმა ბაჩომ ხელი შეაშველა ღვას და შემდეგ, მორიდებით განზე გადავა. გიგოლამ მას თვალით ანიშნა – თავისუფალი ხარო – და შემდეგ, ხმაღა გადაულაპარაკა:

– იცოდე, უჩემოდ არ დაიწყოთ!.. როგორც კი ყველანი ადგილზე იქნებით, დამირეკეთ და მეც მაშინვე გამოვალ...

– კი, გიგოლ, მაგრამ შენი იქ ყოფნა ნაღდად არაა აუცილებელი... იმ ნაბიჯებს ჩვენც მოვუვლით... – უფრო ხმაღაღა უპასუხა ბაჩომ.

– რაც ვითხარი, ის გააკეთე! – გააწვევტინა გიგოლამ.

– როგორც შენ იტყვი... – ფართო მხრები უხერხულად აიჩენა ახმაზმა და კიბეზე დაეშვა...

ბაჩოს წასვლის შემდეგ, გიგოლამ ბინის კარი ხმაურით მიხურა, ყველა საკეტი გულმოდგინედ გადაკეტა და ღვასკენ მხოლოდ ამის შემდეგაა შებრუნდა. მან ფოთლივით მოცაცხახე ქალს მკლავში ხელი წაავლო, ძველებური ავეჯით გაწყობილ, უზარმაზარ სასტუმრო ოთახში თითქმის ძალით შეიყვანა, ფართო ტახტზე უხეშად მოისროლა და თავადაც მიჰყვა.

ღვა ტახტზე გულაღმა დაეცა, გიგოლა ზედ დაემხო, ორივე ხელი ჯვარზე გაკრულივით გააშლევინა და თვალებში ბოროტად ჩახედა:

– თუ გინდა, გაცოცხლო, ყველაფერი დაწვრილებით მომიყვიე!

– რა ყველაფერი? – ამოიკვნესა ღვამ.

– ძალიან კარგად იცი, რაზეც გეკითხები: კარგი იყო იმ ნაბიჯვართან გორაობა-მეთქი?!

– რომელ ნაბიჯვართან? – ვითომ ვერ მიუხვდა ღვა. – მე ნაბიჯვრებს არ ვიცნობ...

– აჰ, არ იცნობ, ხომ? – ხელები მოელი ძალით გადაუგრინა გიგოლამ.

– გამიშვი, მტკივა! – იკვილა ღვამ.

– ჯერ სადა ხარ?! კიდევ უფრო მაგრად გეტკინება! – ჩაიღმუვლა გიგოლამ და ის იყო, ღვასთვის ხელები კიდევ ერთხელ უნდა გადაეგრინა, რომ ოთახის მოპირდაპირე კუთხეში მდგარი ტელეფონი აწკრიალდა.

ზარის ხმაზე გიგოლამ ღვას ხელი გაუშვა, ფეხზე წამოხტა და რამდენიმე ნაბიჯში ტელეფონთან გაჩნდა. ღვამ მო-



მენტით ისარგებლა და ტახტიდან ფეთიანვით ისკუპა. გიგოლამ მაშინვე დაახეთქა ყურმილი, ღვას კართან დაეწია, თმაში ხელი გამეტებით ჩაავლო და თავისკენ შემოაბრუნა:

– სად გარბიხარ?.. შენთან ლაპარაკი ჯერ არ დამითავრებია!

ტელეფონმა ხელმეორედ დარეკა. გაცოფებულმა გიგოლამ ერთი უმისამართოდ შეიგინა, შემდეგ ისე, რომ ღვას თმისთვის ხელი არ უშვია, ოთახის კუთხისკენ წააწია, ყურმილს დასწვდა და გამეტებით ჩაჰყვირა:

– ალო!.. ჰო, მე ვარ!.. მერე?.. ახლავე მოვდივარ!.. გითხარი, მოვდივარ-მეთქი!..

გიგოლამ ყურმილი ხმაურით დალო და, თითქოს რაღაც დაკარგა და ვედარ პოულობსო, ოთახში დაბნეულმა მიმოიხედა. უცხად თვალები ველურივით აენთო და ოთახის მეორე ბოლოში მდგარი, უზარმაზარი ტორშერისკენ ღვა ისევ თრევა-თრევიტ წაიყვანა. ტკივილისგან საბოლოოდ გამტკნარებულ ღვას, წინააღმდეგობის გაწვევის კი არა, ხმის ამოღების თავიც აღარ ჰქონდა.

გიგოლამ ტორშერს ერთი ისე ახედდა, თითქოს სიმაღლეში ეზომებაო, შემდეგ წიხლი ჰკრა, წააქცია, მის ელექტროსადენს ფეხი დაადგა, ცალი ხელით გამეტებით გამოქაჩა, მოკლიჯა და შემდეგ თავისკენ უხეშად შემოაბრუნა ღვა.

– რას აკეთებ? – შიშისგან თვალები გაუფართოვდა ღვას. – რა გინდა ჩემან?

გიგოლას მისთვის პასუხი არ გაუცია. ხელები ერთმანეთზე გადაუჯვარედინა და ტორშერის სადენი ისე გამეტებით დაახვია, რომ ღვას კინაღამ მარღებში სისხლი გაუჩერდა.

სადენის დახვევას როგორც კი მორჩა, გიგოლამ აქეთ-იქით ისევ გამეხებულმა მიმოიხედა. უცხად, ფარღების შესაკრა-

ვად გამოყენებულ აბრეშუმის ზონრებს მოჰკრა თვალი და მაშინვე ფანჯარას ეცა. ფარდის ზონრები ერთი ხელის მოსმით მოგლიჯა, ერთმანეთს გადააბა, დეა იქვე მდგარ სავარძელში ჩვარივით მიაგლო და ჯერ ფეხები შეუკრა, შემდეგ კი, მორჩენილი ზონრით, ხელ-ფეხიც გადაუბა ერთმანეთზე.

– ჩემს მოსვლამდე ასე იჯდები!.. – დღონჯი შემოიყარა შემდეგ. – დანარჩენზე, რომ მოვალ, მერე დაგელაპარაკები!

– ხელფეხშეხორკილ დეას ხმა აღარ ამოუღია.

– გაიგონე, რაც ვითხარი, თუ გაგიმეორო? – ჩაეკითხა გიგოლა.

– გავიგე... – ძლივსლა წაიზურჩულა დეამ.

– იცოდე, რამე სისულელე არ ჩაიდინო, თორემ მწარედ განანებ! – დაემუქრა გიგოლა.

– ამაზე მწარედ?! – თოკების წაჭერისგან დასიკვებულ-დალურჯებულ ხელ-ფეხზე ანიშნა დეამ. – ამაზე უარესს რაღას მიზამ?!

– შენ – მეტს არაფერს.

– აბა, ვის? – შიშით ხმა გაეზარა დეას.

– ვის და... ძან გულით საყვარელი რომ გყავს, იმას!

– თემოს?!.. – თვალები ბუდეებიდან კინალამ გადმოსცივიდა დეას.

– კიდევ კარგი, თემო ახსენე და არა დიმა. თუმცა, ეს შენთვის დიდი ვერაფერი შეღავათია! თუ ჩემს მოსვლამდე კიდევ რამეს წაისულელე, ორივეს თავს ფეხებთან მოგიგორებ, იცოდე!

– შ-შე-ენ... – ენა დაება დეას. – შენ ნამდვილი ურჩხული ხარ!

– შენ კი, ნამდვილი ბოხი! – მიუგოლო გიგოლამ და სასტუმრო ოთახის კარი გამეტებით გაიჯახუნა...

სავარძელში გაუნძრევლად ჯდომისგან დეას მალე, მთელი სხეული დაუბუჯდა. ამიტომ კბილებით ზონრების შესხნა გადაწყვიტა, მაგრამ კარგა ხნის ამაო წვალების შემდეგ, თავი უნუგეშოდ ჩაქინდრა:

– დედა, დედიკო, სადა ხარ?! ვერ ხედავ, რა დღეშია შენი შვილი?! რატომ არ მეხმარები, რატომ?! – თავისთვის სლუკუნებდა და ასე სლუკუნ-სლუკუნში დაღლილ-დაქანცულმა, ბოლოს, ჩათვლიმა კიდევ და სიზმარში დედა ნახა.

...თავიდან, ოთახში, სადაც ხელფეხშეკრული დეა სავარძელში უღონოდ იყო მიგდებული, რაღაც არაბუნებრივად ცივმა სიომ დაუბერა და თავჩარგულ დეას თავი სასწრაფოდ ააწვეინა. თავის აწვევა, მის პირდაპირ კედლის ხმაურით გახსნა და ელენეს გამოჩენა ერთი იყო. მან ოთახში მსუბუქად შემოაბიჯა და პირდა-

პირ დეას ფეხებთან ჩაიმუხლა.

– დეე, მიშველე!.. – ერთმანეთზე გადაჯვარედინებულ, დაბუჯებულ ხელე-ბზე ანიშნა დეამ.

მაგრამ ელენემ ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიღო და ანიშნა – ხმა აღარ ამოიღო. შემდეგ, ხელ-ფეხზე დახვეული ზონრები ხელის ერთი მოსმით ისე ოსტატურად შესხნა, რომ დეა გოცებულად დარჩა. და ის იყო, აღფრთოვანების ნიშნად რაღაც უნდა ეთქვა, რომ ელენემ ისეც ანიშნა – ხმა არ ამოიღო, – ცრემლიანი თვალები დაუკოცნა, ფეხზე წამოდგა, კიდევ ერთხელ აღერსით გადახედა და ჩურჩულით უთხრა: შენ აღარაფერი გიჭირს, ახლა თემო უნდა გადავარჩინო, – და უკვალოდ გაქრა...

ჯერაც ძილბურანში მყოფმა დეამ თვალები ნელ-ნელა გაახილა და ირგვლივ დამფრთხალმა მიმოიხედა. თავიდან, ვერაფრით მიხვდა, თუ სად იყო, მაგრამ მერე, თანდათან გამოფხიზლდა. პირველი, რაც ამის შემდეგ შეამჩნია, ის იყო, რომ ხელ-ფეხი მართლაც შესხნილი ჰქონდა, ტორშერის ელექტროსადენი და ფარდის ზონრები კი, რატომღაც, კალთაში ეწყო. დეამ ისინი ხელში აიღო და ისე დაათვალიერა, თითქოს ცხოვრებაში მსგავსი არაფერი ენახა. უცბად იგრძინო, რომ სულში რაღაც ძალზე თბილი ჩაეღვარა, მერე, ცოტა ხნის წინ ნანახი სიზმარიც გაახსენდა და გახარებულმა წაიზურჩულა:

– გმადლობ, დედიკო, შენს სულს ვენაცვალე...

– ცოტა ხმამაღლა, თორემ, კარგად ვერ გავიგონე – ვის უხდი მადლობას? – მოესმა უცბად ზურგს უკან გიგოლას დამცინავი ხმა.

ამ ხმის გაგონებაზე, დეა თოფნაკრავივით წამოხტა და უკან მიიხედა. ფანჯარასთან გიგოლა იდგა და დამცინავად იღიმებოდა.

– რა გაკვირვებული მიყურებ? – წამში მის წინ გაჩნდა გიგოლა, ნიკაპქვეშ ორი თითი ამოსდო, თავი უკან გადაუწია და შიშით გაფართოებულ თვალებში ისე ჩახედა. – აღარ მელიოდი?

დეამ თავი ვეღარ შეიკავა და სავარძელში მოწყვეტით გადაქანდა.

– გელოდი... – ძლივსლა ამოიღულულა მან შემდეგ.

– მაშინ მოდი, წელანდელი ლაპარაკი დავასრულოთ: მოკლედ მიპასუხე – იმ ნაბიჭვართან სექსი გქონდა?

– არა...

– სტყუი, შენი!.. – შეანჯღრია სავარძელში ჩვარივით მიგდებული დეა გიგოლამ. – დიმა თვითონ მითხრა – ვიწვექითო...

– დიმა მაგას არ გეტყოდა, – უცბად,

თავადაც რომ გაუკვირდა, ისე მშვიდად უპასუხა დეამ.

– ვითომ, რატომ არ მეტყოდა?

– იმიტომ, რომ დიმა მართლა ვუყვარვარ და ჩემზე ეგეთ ტყუილს არ იტყვის...

– შენ?.. შენ თუ იტყვი ტყუილს?..

– თვალი თვალში გაუყარა გიგოლამ.

დეამ მის მხერვას ვეღარ გაუძლო და თავი ჩაქინდრა:

– შეგიძლია, ახლავე მომკლა, მაგრამ მე მეტს საერთოდ აღარაფერს ვიტყვი... ძალიან დავიღალე...

– სიკვდილსაც სანატრელს გაგიხდი, იცოდე! – მერამდენედ დაემუქრა გიგოლა. – არ მომატყუო, თორემ, ხომ იცი, შენს ძმას რაც მოუვა?!

– ვიცი და ამიტომაც არ გატყუებ, თორემ, უკვე ისე მძულხარ, რომ დიდზე დიდი სიამოვნებით მოგახლიდი – მართლ დიმასთან კი არა, მთელ საკაცეთთან ვიწვექი-მეოქი! – ზიზლით წაისისინა დეამ და თვალები ისე დააკვესა, რომ გიგოლას ლამის ისიც კი მოეჩვენა, ნაპერწკლები მართლა წამოსცივიდაო...

გიგოლამ ერთხანს გოცებულმა უყურა დეას, შემდეგ მის პირდაპირ მდგარ, მეორე სავარძელში მოკალათდა და სიგარეტს მოუკიდა. დეამ სიგარეტის ბოლს ანგარიშშიუცემლად გააყოლა თვალი.

– მოწვევ? – ანთიებული სიგარეტი გაუწოდა მას გიგოლამ.

დეამ სიგარეტი უხმოდ ჩამოართვა და ხარბად მოქაჩა.

– შენ რა, უკვე მოწვევაც დაიწვევ? – გოცება ვეღარ დაფარა გიგოლამ.

– არა, ეს პირველია... – გაეღიმა დეას.

– რა გაცინებს?

– რა და ის ანეკდოტი გამახსენდა, მიხომ მაროს ლოგინში საყვარელთან რომ შეუსწრო და დატუქსა: შენ მალე სიგარეტის მოწვევასაც დაიწვებო... – ისევ გაეღიმა დეას.

– შენი ბედი, რომ ხვალ პირველი ჩაწერა გაქვს, თორემ, მაგ სიტყვებისთვის ერთი გემრიელადაც მოგდებდი! – ჩაიბურტყუნა გიგოლამ. – თან, ბადრიც ყელგამოწვდილი შემეხვეწა – არ ანერვიულო, ხვალ დილით, რაც შეიძლება კარგად უნდა გამოიყურებოდესო...

– ნუ... რაკი ბადრი შეგეხვეწა...

– მორჩი სისინს და წამო, დაწვევით...

– რა გქნათ? – ფეხზე წამოხტა დეა.

– დაწვევით-მეთქი! – წამოიმართა გიგოლაც, ცალი ხელი მკერდზე ნდომით აუსვდაუსვა, მეორეთი კი, მთელი ძალით თავისკენ მიიხიდა.


საბოლოოდ ბედს შეგუებული დეა გიგოლას ნებას უსიტყვოდ დაჰყვა...

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

ყოლინ თვნიქომს

# მაის როლს, ზისაქსუნდის როლი ამაჯობინა

ახლა, როცა დღე-დღეზე მას ქორწინების გარეშე შეიღი უნდა შეეძინოს, მსახიობი მაროკოში იმყოფება, სადაც მას ალექსანდრე მაკედონელის როლში იღებენ.



## შტრიხები პორტრეტისათვის ფეხბურთელის ვაჟი

კოლინი 1976 წლის 31 მაისს ირლანდიაში დაიბადა. მამამისი – იონ ფარელი – თავის ქვეყანაში ცნობილი ფეხბურთელია. კოლინს ბავშვობიდან სურდა მამის კვალს გაჰყოლოდა, მაგრამ შემდეგ სამსახიობო პროფესიამ უფრო გაიტაცა და საფეხბურთო მოედანს ღუბლინის დრამატული სკოლა ამაჯობინა.

## რისიკიანი ახალგაზრდა

ალექსანდრე მაკედონელი თავისი არასტანდარტული სექსუალური ორიენტაციითაც იყო ცნობილი, ამიტომ დიდი სარდლის როლის შესრულებაზე ისეთმა მსახიობებმა განაცხადეს უარი, როგორებიც არიან – ტომ კრუზი და ჰიტ ლეჯერი. რაც შეეხება ფარელს, ეტყობა მას პოლივეუდის სექს-სიმბოლოს რეპუტაციის შელახვა არ აშინებს.


ოლივერ სტოუნის გარდა, მაკედონელის ცხოვრებაზე ფილმს ბაზ ლურმანიც იღებს. მის ვერსიაში მთავარ როლს ლეონარდო დი კაპრიო შეასრულებს.

2002-03 წლების მიჯნა საოცრად იღვლიანი და ნაყოფიერი აღმოჩნდა ახალგაზრდა მსახიობისთვის. ბოლო ერთი წლის განმავლობაში მისი მონაწილეობით 4 ფილმი გამოვიდა. კიდევ ორი – უკვე გადაღებულია და ერთის პროექტზე (ოლივერ სტოუნის ფილმზე – „ალექსანდრე მაკედონელი“) დაიწყო მუშაობა. ყვეთელი პრესა აჭრელებულია კოლინ ფარელის სახელით... მაგრამ ჟურნალისტების მიერ შექმნილი მექალთანის, ლოთისა და ბილწისიტყვაობის მოყვარულის სახე რამდენად შეესაბამება სინამდვილეს, მკითხველი ნამდვილად ვერ მიხვდება.



## ქალები და ავტომობილები

თუმცა, ფაქტები თავად მეტყველებს ყველაფერზე. ფარელს სამსახიობო კურსების მიტოვების შემდეგ, შეიძლება ითქვას, ბედმა გაუღიმა და კინოში მუშაობის შანსი მიეცა (მონაწილეობა მიიღო სერიალში – Ballykissangel). მას მხოლოდ ოთხი თვის განმავლობაში, 2001 წლის ივლისიდან ნოემბრამდე ერქვა ცოლიანი კაცის სახელი. ახლა კი მისგან სრულიად სხვა ქალი, მოდელი კიმ ბორდენივი (არა მისი ყოფილი მეუღლე – ამელია უორნერი) ელოდება ბავშვს, მაგრამ კოლინი მისი მშობიარობის დროს ლოს-ანჯელესში ყოფნას არ აპირებს, რადგან „ალექსანდრე მაკედონელის“ გადაღებებზე იმყოფება...

სულ ახლახან პრესამ მისი მორიგი უხეში ხუმრობა აიტაცა: კოლინს სურვილი გამოთუქვამს ვაჟიშვილს Fokker-ი დაარქვას (ფაქტობრივად, FUCKER-ი, ოღონდ ირლანდიური აქცენტით), მაგრამ მსახ-




კადრი ფილმიდან „საგელეფონო ჯიხური“




ყიფილ ცოლთან, ამელია უორნერთან ერთად





მეგობართან, ალ პაჩინოსთან ერთად



ერთადერთი ქალი, რომელსაც არასოდეს უღალატებს – დედა



იობის მეგობრებმა საზოგადოების დასა-  
შოშმინებლად სასწრაფოდ განაცხადეს, –  
სინამდვილეში კოლინს ბაბუის სახელის  
– ჯეიმსის დარქმევა სურსო.

**ფეხბურთელის მაისური**

მართვის უფლება, რა თქმა უნდა, დიდი  
ხნის წინ ჩამოერთვა. ერთხელ, ღამით  
დუბლინში პოლიციამ მამინ დააკავა, როცა  
ავტომანქანაში გოგონას გვერდით იჯდა  
და მუხლებს შორის ღუდის ბოთლი  
ჰქონდა ჩადგმული. „დღეს თქვენ და-  
ლიეთ?“ – დაინტერესდა პოლიციელი, –  
„დაიხ, ოფიცერო, მაგრამ მე ხომ არ მიმყავს  
მანქანა?!“ – უპასუხა მსახიობმა. თუმცა  
ამან არ უშველა და კოლინის დედას  
შვილის საპატიმროდან დახსნაზე მოუხ-  
და ზრუნვა.

სასიყვარულო ფრონტზე მისი თავ-  
გადასავლები – ცალკე საუბრის თემა  
გახლავთ. ვისზე აღარ ამბობდნენ, მისი  
საყვარელი იყო – ქეით ბეჩინსელი,  
დემი მური, ბრიტნი სპირსიც კი... ხოლო  
იმავე ბულვარული პრესის ჭორებს თუ  
დაუუჯერებთ, მისი ნაკლებად ცნობილი  
საყვარლების რიცხვი ყოველგვარ წარ-  
მოსახვას სცილდება. მის უხამს რეპუ-  
ტაციაზე სრულიად უცხო ადამიანები  
ფულსაც კი აკეთებენ. ამას წინათ,  
ამერიკაში გაყიდვაში გამოჩნდა მაისურები  
წარწერით: „მე ვიწეკი კოლინ ფარელთან,  
სამაგიეროდ, მივიღე მაისური“. გაჩნდა  
ეჭვი, რომ ეს მსახიობის პრესსააგენტოს  
მიერ მოწყობილი სარეკლამო აქცია იყო  
– რაც უნდა იყოს, მაისურებზე არნახუ-  
ლი მოთხოვნილებაა. თვით კოლინ ფარე-  
ლი ამბობს: მე ეს მომწონს! და მინდა,  
ჩემი ცხოვრების ყოველი წამით დავტა-  
ბეო. შთაბეჭდილება იქმნება, რომ ცნო-  
ბილი როკ-ენ-როლური ლოზუნგი – Live  
Fast Die Young (მოასწარი ბევრი და  
მოკვდი ახალგაზრდა)– ზედმიწევნით  
შეეფერება ფარელის მსოფლმხედველო-  
ბას. ან კიდევ, მასობრივი საშუალების  
მიერ შექმნილი ამ „უზნეო ახალგაზრ-  
დის“ იმიჯი – ის სახეა, რომელიც ასე


ხიბლავს მსახიობს. მისი ცხოვრების კრე-  
დოს სხვა ფრთოსანი ფრაზა უფრო კარ-  
გად გამოხატავს – Carpe Diem! (არ  
გაუშვა მომენტი), – კოლინს მარცხენა  
ხელზე რომ აქვს ტატუირებული.

**ცხოვრებაში ერთხელ**

ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ  
კოლინ ფარელი არა მარტო ახალგაზრ-  
და, მიმზიდველი და პოპულარული მსახ-  
იობია, არამედ ნიჭიერიცაა. ჰოლივუდში  
კი ასეთ სრულყოფილ შერწყმას იშვი-  
ათად თუ წააწყდება კაცი. „კოლინს  
ყველაფრის თამაში შეუძლია: კომედიის,  
ტრაგედიის, როგორც დადებითი, ასევე  
უარყოფითი გმირის“... ეს სიტყვები ჯოელ  
შუმასერს ეკუთვნის. მას კი შეიძლება  
ვენდოთ. პირველად სწორედ მან მიიწვია  
ფარელი თავის ფილმში  
„ვეფხვების ქვეყანა“, შე-  
მდგომ კი კიდევ ერთ მთა-  
ვარ როლზე – „სატელე-  
ფონო ჯიხურში“. – ყვე-  
ლაფერი ეს მხოლოდ მისი  
წყალობით მოხდა, – აღნი-  
შნა ერთ-ერთ ტელეინტერ-  
ვიუში კოლინმა, – მის  
გარეშე „სატელეფონო  
ჯიხურში“ ვერასდროს  
მოვხვდებოდი. არ გადა-  
მიღებდნენ „ჰარტის ომში“  
და შესაძლოა, არც  
„ამერიკელ ბოროტმოქმედებ-  
ში“ მივეწვიე ვინმეს.

„ვეფხვების ქვეყ-  
ნისთვის“ ფარელმა ლონ-  
დონისა და ბოსტონის კინო-  
კრიტიკოსთა საზოგა-  
დოებებისგან იმთავითვე  
ორი ჯილდო მიიღო.  
„სატელეფონო ჯიხურმა  
კი“ MTV-Movie Award-  
2003-ის პრემია მოუტანა...  
ამ ფილმის შემდეგ ერთ-  
მანეთის მიყოლებით ითა-  
მაშა ფილმებში – „თავზენ-

ელალებული“, „რეკრუტი“, „სპეციალური  
დანიშნულების რაზმი“. ეს ფილმები შე-  
მოსავლების თვალსაზრისით უფრო წარ-  
მატებულია, ვიდრე მათი მაღალმხატვრუ-  
ლობით... ეტყობა, ფარელმა თავადაც არ  
უწყის, რამდენად ნიჭიერია. ასეა თუ ისე,  
იგი ბედს არ უჩივის – კმაყოფილია  
ჰონორარებით, უხვი შემოთავაზებებით და,  
რავა თქმა უნდა, სასიყვარულო ასპარეზ-  
ზე მრავალრიცხოვანი გამარჯვებით.  
ალბათ ვერავინ გააკიცხავს მას ამის გამო.  
ბოლოს და ბოლოს, ახალგაზრდობა, ისევე  
როგორც თავბრუდამხვევი წარმატება,  
ცხოვრებაში ხომ მხოლოდ ერთხელ  
მოდის. ასე რომ... Carpe Diem! კოლინ,  
არ გაუშვა მომენტი!



მოღელი კიმ ბორდ-  
ნიევი მალე მისი  
შვილის დედა გახდება

# ხედმისანვლომი Porsche Cayenne



კომპანია Porsche სრულამპრავიანი ავტომობილის – Cayenne-ის საბაზო მოდელის გამოშვებას იწყებს. 8-ცილინდრიანი, 340 და 450 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავებით აღჭურვილი ამ მანქანის წარმოება შარშან დაიწყო. ახალი ვერსია, უფრო ფართო წრისათვის იქნება ხელმისაწვდომი: ნოემბერში, როცა მას პირველად, გერმანულ მომხმარებელს შესთავაზებენ, Cayenne 47.592 ევრო ელირება – მაშინ, როდესაც Cayenne S (340 ცხ.ძ.) – 60.000, Turbo კი (450 ცხ.ძ.) – 100.000 ღირს. საბაზო მოდელი 6-ცილინდრიანი V ტიპის აგრეგატიითაა აღჭურვილი; მისი საშუალო მოცულობა 3,2

ლ-ს, სიმძლავრე კი – 250 ცხ.ძ-ს აღწევს. პნევმატური საკიდარი, რეგულირებადი საგზაო ნაპრალოთ, საბაზო მოდელის სტანდარტულ კომპლექტაციაში არ შედის. რაც შეეხება ძრავას – ის „ფოლკსვაგენის“ ინჟინრების ნახელავია, „პორშეს“ სპეციალისტებმა კი, მხოლოდ აღნიშნულ ავტომობილზე მის მოსარგებლად იზრუნეს. აქამდე, ასეთი ძრავით აღჭურვებოდა: VW Golf R32, Audi A3 3.2 quattro და Audi TT 3.2. საინტერესოა, რომ „კაიენის“ და Volkswagen Touareg-ის პარებსაც VW აწარმოებს – კერძოდ, ბრატისლავაში მდებარე მისი ქარხანა. შემდეგ მათ, ლაიპციგში მდებარე, „პორშეს“ საწარმოში აგზა-

ვნიან, სადაც „კაიენის“ აწყობა ხდება. ყველაგანმავლის მაქსიმალური სიჩქარე 214 კმ/სთ-ს შეადგენს, 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 9,1 წმ-ში ავითარებს. მანქანა 6-საფეხურიანი მექანიკურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი. ყველაზე ხელმისაწვდომი Cayenne-ის საბაზო კომპლექტაციაში შედის სრული ამძრავის მართვის სისტემა – PTM, რომელიც გზის საფარის მიხედვით აკონტროლებს წვეის ძალის წინა და უკანა ბორბლებს შორის განაწილებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროების შემთხვევაში, „კაიენი“ სრულამპრავიანიდან, წინა ან უკანამძრავიან ავტომობილად შეიძლება გარდაიქმნას. ■

# Harley-ს ახნციანი იუბილე

ამერიკულ ქალაქ მილუოკიში ლეგენდარული მოტოციკლეტის – Harley-Davidson-ის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი, გრანდიოზული ზეიმი მოეწყო. ბაიკერთა ფესტივალზე სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასულმა, „პარლის“ 250 ათასმა მოყვარულმა მოიყარა თავი. ქალაქის სასტუმროების ნომრები რამდენიმე თვით აღრე იყო დაჯავშნილი. Harley-Davidson დღეს, ამერიკული მრეწველობის წარმატების ერთ-ერთ სიმბოლოს წარმოადგენს. ბოლო 18 წლის მანძილზე, ფირმის საქმიანობა მომგებიანია. წლეულს ის სულ 290600 მოტოციკლის გამოშვებას აპირებს. არადა, კომპანიის ისტორიას მძიმე დროც ახსოვს. 1981 წელს, ის გაკოტრების პირას იდგა: მისმა მფლობელმა – კომპანია AMF (American Machine and Foundry)-მა Harley გასაყიდად გამოიტანა. მისმა ამჟამინდელმა თავაკაცმა

ჯეფრი ბლუსტაინმა და 12 მენეჯერმა გარისკეს და 80 მლნ დოლარად შეიძინეს წამგებიანი ფირმა. ახალმა მფლობელებმა წარმოების მოდერნიზება მოახდინეს, ამავე დროს, მთავრობისგან პროტექციონისტური ღონისძიების ჩატარებასაც მიადღიეს: 1983 წელს, პრეზიდენტ რეიგანის ადმინისტრაციამ 5 წლით გაზარდა საიმპორტო გადასახადი ე.წ. მძიმე მოტოციკლებზე და ამით Harley-მ იაპონელი და გერმანელი (BMW) კონკურენტები ჩამოიცილა. აშშ-ის მოტომრეწველობის სიამაყე დაღუპვას გადაურჩა. თუმცა, წარმატებების მიუხედავად, ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ კომპანია შეიძლება, მალე წააწყდეს ახალ სიძნელებებს. საქმე ის



გახლავთ, რომ Harley-ს მფლობელთა საშუალო ასაკი დღეს, 46 წელს შეადგენს – მაშინ, როდესაც 1980-ში, მის მფლობელთა უმრავლესობა 27 წლისა იყო. და თუ ფირმა ახალგაზრდა მომხმარებელთა მოზიდვაზე არ იზრუნებს, ეს უთუოდ დაეტყობა მისი პროდუქციის რეალიზაციას. ■

## ვინ არის აგნესას „ბედისწერა“?

სასტუმრო „მერიოტში“ ახალგაზდა მომღერლის, აგნესას ახალი სიმღერის – „ბედისწერა“ – კლიპის პრეზენტაცია გაიმართა. კლიპის ჩვენებადღე, მოწვეულმა სტუმრებმა უკვე ტრადიციად ქცეული ალა-ფურშეთით შეიქცეეს თავი. მოგვიანებით, თეთრ სამოსში გამოწყობილი აგნესაც, თავის შეყვარებულთან, ლამასთან ერთად გამოჩნდა და კლიპის ჩვენებაც დაიწყო. სიმღერის მუსიკა გელა გნოლიძეს, ტექსტი – დათო ფორჩხიძეს, ხოლო კლიპის რეჟისურა დიმიტრი ადერუსოვს ეკუთვნის, სევილიანი სცენარ-



ის ავტორი კი თავად აგნესაა. სიმღერის შუა ნაწილში, ქართველი რეპერი – „ძვალე“ – „რეპავს“, რომელიც კლიპში აგნესას შეყვარებულად გვევლინება. მოულოდნელად, ამ ბიჭს აგნესას თვალწინ დააპატიმრებენ და მომღერალს მისგან სამასხოვროდ, შემთხვევით ძირს დავარდნილი ქუდი რჩება. მოგვიანებით, აგნესა შეყვარებულის მეგობრებს დაუმეგობრდება, რომლებიც მას ქუჩური ცეკვის ილეთებს ასწავლიან. კლიპი აგნესასა და ცინიდან ახალგაამოსული, მისი შეყვარებულის შეხვედრით მთავრდება... აგნესა ახლა თავის ახალ ალბომზე მუშაობს, რომლის შეძენის საშუალებაც მომღერლის ფანებს სულ მალე მიეცემათ. ■

## „გვიხმობს აფხაზეთი!“

როგორც მოვეხსენებთ, 27 სექტემბერს აფხაზეთის დაკარგვიდან ათი წლისთავი შესრულდა. ამ ტრაგიკულ თარიღთან დაკავშირებით, რესპუბლიკის მოედანზე ჯგუფ „საუნდის“ თაოსნობით, აქცია-კონცერტი – „გვიხმობს აფხაზეთი!“ გაიმართა. კონცერტის რეჟისორმა ანი მაღლაკელიძემ სცენა სამხედრო ატრიბუტიკით გააფორმა და საპატიო ყარაულში ორი „ჯარისკაცი“ დააყენა. „საუნდი“ მაყურებლის სიმცირეს არც ახლა უჩიოდა. ხალხით სავსე მოედანი მოთმინებით ელოდა საღამოს დაწყებას, რომელიც აფხაზეთის თემზე გადაღებული, „საუნდის“ ახალი კლიპის – „ჩვენი ვარსკვლავის“ პრეზენტაციით დაიწყო, რის შემდეგაც საღამოს წამყვანმა ანი

ფურცელაძემ ოპტიმისტური შემართებით გვაუწყა, რომ აფხაზეთი არ დაგვიკარგავს – ჩვენს გულებში ის კვლავ ჩვენი... „საუნდის“ წევრები, ანთებული სანთლებით ხელში, სცენაზე ავიდნენ და „შენ ხარ ვენახი“ იგალობეს. ჯგუფის წევრებმა სხვა სიმღერებიც ცოცხალი შესრულებით შემოგვთავაზეს. „საუნდის“ გარდა, კონცერტში მონაწილეობდნენ: პატარა ბაჩო, აგნესა, გიგა კვერცხაძე, „რონდო“, „უტოპია“ და სხვა, კარგად ნაცნობი თუ უცნობი მომღერლები. კონცერტის ბოლოს, სცენა კვლავ „საუნდმა“ დაიკავა; ჯგუფის წევრებმა, ახალი კლიპის კადრების ფონზე „ჩვენი ვარსკვლავი“ შეასრულეს და აფხაზეთის დაბრუნების იმედით დაგვიშვილობნენ. ■

## სექსუალური „ვია გრას“ თბილისში

კომპანია "5 Lines Production"-ის ორგანიზატორობით, კლუბ „აჭარა მიუზიკ-პოლში“ უკრაინული ჯგუფის – „ვია გრას“ კონცერტი გაიმართა. ჯგუფის სექსუალური გოგონების მოლოდინში მაყურებელმა თითქმის ორი საათი გაატარა. როგორც იქნა, სცენაზე კაბუ ავიდა, რომელმაც გვაუწყა, რომ მის წინაშე ჯერ ქართული „ბოლიარტ-სტუდიის“ წარმომადგენლები წარდგებოდნენ. ასეც მოხდა: სულ მალე, სცენა, შიშველ სხეულზე სხვადასხვაგვარად მოხატულმა გოგონებმა და ბიჭებმა „დაიპყრეს“, რომლებმაც აღმოსავლურ მოტივებზე შესრულებული ცეკვა შემოგვთავაზეს. ამ სანახაობის შემდეგ, კაბუმ აღნიშნა, რომ სტუდიის ქორეოგრაფი, გიორგი ქსოვერელი, ხოლო სხეულზე შესრულებული ნახატების ავტორი, მანანა სასწრაფოშვილი ყოფილან. შემდეგ სცენა „ვია გრას“ მართლაც სექსუალურმა გოგონებმა (ამას მათი ჩაცმულობაც უსვამდა ხაზს) დაიკავეს. მათ მთელი რეპერტუარი საკმაოდ ეროტიკული ცეკვების თანხლებით შეასრულეს, რის გამოც, დამსწრე მამაკაცებისგან მხურვალე ოვაციებს იღებდნენ. კონცერტის ბოლოს, მომღერლებმა თბილი მიღებისთვის მადლობა გადაუხადეს ქართველებს და მომავალი შეხვედრის იმედი გამოთქვეს. ■



წინამორბედი წერილი  
იხ. „გზა“ №38

ახლა ნამდვილი მოგზაური ვარ. მართალია, უზარმაზარ ტრაილერზე ვზივარ და ამერიკის ერთი ქალაქიდან მეორეში ტვირთს ვეზიდები, მაგრამ მაინც მოგზაური მექვია. თანაც ამჯერად, გამომართლა: თანამგზავრიც გამიჩნდა — ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი პოლ სტიუარტი, საქართველოზე შეყვარებული ამერიკელი.

აკაკი გეგენავა

ხომ გაგიგონიათ — გზა ისეთი რამ არის, მუნჯსაც აალაპარაკებსო, — მით უმეტეს, თუ იგი საკმაოდ გრძელია. თანაც, ბატონი პოლი ძალზე ცნობისმოყვარე აღმოჩნდა. ყველაფერი აინტერესებდა — დაწყებული იმით, თუ რამ „გადმომაფრინა“ ამერიკაში, დამთავრებული იმით, თუ როგორი ძრავა აქვს ტრაილერს. ერთ მილზე რამდენ საწვავს ხარჯავს და ა.შ. მეც მეტი რა მინდოდა? — გვერდით სასიამოვნო მოსაუბრე მეჯდა და ბრუკლინიდან მასაჩუსეტსის შტატისკენ მივქროდი...

„ბოსტონის ჩაის სმა“

ტყუილად კი არ ვივქეცი საათობით ბრუკლინის ბიბლიოთეკაში, ამერიკაში ჩამოსვლის პირველ თვეებში? თანაც, მშვენიერი „კომპანიონი“ მყავდა — ქერათმანი, მომხიბვლელი გლორია, ახალგაზრდა ბიბლიოთეკარი, რომელიც თვითონვე მირჩევდა საინტერესო ლიტერატურას თავისი ქვეყნის შესახებ. ასე რომ, ბიბლიოთეკიდან, გლორიას გარემოცვაში გატარებულ დღეებთან ერთად, არცთუ ისე ურიგო ცოდნაც გამომყვა (ყოველ შემთხვევაში, ამერიკის შესახებ ბევრი რამ წავიკითხე).

მიუყვებოდით ახლა მე და ბატონი პოლი ამერიკის თვალუწვდენელ გზებს და ერთმანეთს ძველი კარგი ნაცნობებით ვესაუბრებოდით.

მიხაროდა, რომ პოლ სტიუარტმა ბევრი რამ იცოდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ქვეყანაზე. ისიც მითხრა — ქვეყანა, რომელსაც მეთორმეტე საუკუნეში ჰომეროსის ღონის მწერალი ჰყავდა, დღეს ბევრად უკეთეს მდგომარეობაში უნდა იყოსო... სტიუარტმა სტალინის შესახებაც ბევრი რამ იცოდა, მითხრა — რუსეთს უძლეველი იმპერია შეუქმნაო... თქვენს



«ბოსტონის ჩაის სეიზან»,  
პარპარლის უნივერსიტეტაში...

შეკარნაძეს კიდეც, გერმანელები ყოველდღე, მადლობას უნდა ეუბნებოდნენ, ბერლინის კედელი რომ დაანგრევინაო...

ბატონმა პოლმა, პოლიტიკაზე საუბრით რომ იჯერა გული, ისევ ლიტერატურას დაუბრუნდა, მაგრამ სამწუხაროდ, ქართულ მწერალთაგან მხოლოდ შოთა რუსთაველს იცნობდა. თუმცა, პროფესორის პროფესორია, კრიტიკულ სიტუაციაში გამოსავალი რომ არ მოძებნოს და ახლა ჩემი გამოცდა გადაწყვიტა:

— აკაკი, თქვენ თუ იცნობთ რომელიმე ამერიკელ მწერალს?

გამეცინა.

— რა გაცინებს?! — გაოცება ვერ დაფარა პროფესორმა.

— წამიკითხავსო — არ ეთქმის, — მარკ ტვენის ნაწარმოებებზე გავიზარდე!.. ტომ სოიერივით ვცელქობდი და ჰეკლბერი ფინივით „კვანალობდი“. კიდეც, ასტრიდ ლინდგრენი მიყვარდა ძალიან — შვედი მწერალი ქალი, რომელიც დიდხანს, ამერიკელი მეგონა და მარკ ტვენს ვადარებდი. არ ვიცი, ამერიკელი ბავშვები ვის ნაწარმოებებზე იზრდებიან, მაგრამ ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის ამორი მწერლის გმირები ისეთივე ახლობელი იყვნენ, როგორებიც ქართული ხალხური ზღაპებისა. სხვათა შორის, ქართველებს საოცარი ხალხური ეპოსი გვაქვს... მერე ამ გმირებს, ჩემს ცხოვრებაში განუმეორებელი მულტიპლიკატორის დისნეის ანიმაციური ფილმები შეემატა და მოგვიანებით — მაინ რიდის მიერ აღწერილი ფანტასტიკური თავგადასავლები...

— საინტერესოა, ყმაწვილობაში რაღას

კითხულობდი? — აშკარად კმაყოფილი იყო პროფესორი.

— ყმაწვილობაში? ძალიან ბევრ რამეს. ქართველებს ძალზე მდიდარი ლიტერატურა გვაქვს. თუმცა, თქვენ ისევე ამერიკელები გაინტერესებთ... გეტყვი, რომ ჩემთვის ერნესტ ჰემინგუეისა და ჯეკ ლონდონის ნაწარმოებები მშობლიურითაა. იცით, ჰემინგუეის „მოხუცი და ზღვა“ მიყვარს. ამ, ერთი შეხედვით, პატარა მოთხრობაში იმხელა სიბრძნეა ჩატეული, იმხელა ცხოვრებისეული ტკივილია... ხომ გახსოვთ, თუ როგორი ჭიდილი აქვთ მოხუც მეთევზეებსა და პატარა ბიჭს ზღვასთან?! გადარჩენისთვის ბრძოლის საუცხოო სურათია!.. „მარტინ იდენიც“ ხომ გახსოვთ, ჯეკ ლონდონის გმირი, რომელიც ზღვაში ამთავრებს სიცოცხლეს?! ამ ორ მწერალს, ჩემი წარმოსახვით, ზღვა აერთიანებს, ძლიერი, ბობოქარი ზღვა — სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილის სიმბოლო...

— შენ მართლა მაცოცხლებ, — განცვიფრებას ვერ ფარავდა ჩემი თანამგზავრი პროფესორი, — არც ერთი კრიტიკოსისგან არ გამიგონია მსგავსი რამ — ჯეკ ლონდონსა და ერნესტ ჰემინგუეის ზღვა აერთიანებსო... რა შთამბეჭდავი მიგნებაა!..

— ვფიქრობ, გადამეტებული ქება გამოგდით, ბატონო პროფესორო, — ვცადე პოლ სტიუარტის აღფრთოვანება გამეჭარწყლებინა, — სიმართლე გითხრაო, მე ახლა ცნობილი „ბოსტონის ჩაის სმის“ დეტალები უფრო მაინტერესებს.

— შენ ამერიკის ისტორიასაც იცნობ?

— დიახ, ასე თუ ისე, ვიცი, რომ ინ-

გლისის ჩრდილოამერიკული კოლონიები დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ და ამ დროს, ბოსტონის ნავსადგურში გემებიდან აურაცხელი ჩაი გადაყარეს...

— ჰო, ეს ცნობილი ფაქტია, — სიტყვა ჩამომართვა პროფესორმა. — ინგლისის მთავრობამ 1773 წელს, ოსტინდლოეთის კომპანიას ამერიკაში ჩაის უბაჟოდ შეტანის ნება დართო. ამან, ბუნებრივია, კოლონიზატორები გააბრაზა; ამ შესლა-შემოხლას ის მოჰყვა, რომ პატრიოტული ორგანიზაციის — „თავისუფლების შვილები“ წევრებმა კოლონიზატორების გემებიდან ამერიკელებისთვის მისაყიდ ძვირად ღირებულ ჩაის ზღვაში გადაუძახეს და ატლანტის ოკეანის სანაპირო სურნელოვან ჩაის „აუზს“ დაემსგავსა...

— და დაიწყო პოპულარული „ბოსტონის ჩაის სმა“, არა? — დავასრულე პროფესორის ნაამბობი.

— აკაკი, კადნიერებაში ნუ ჩამომართმევ და, ამ სატვირთო მანქანაზე დროს უქმად კარგავ: წამოდი ჩვენთან, ჰარვარდის უნივერსიტეტში ისწავლე... — პირდაპირ „საქმეზე“ გადავიდა პოლი.

### რატომ ვთქვი უარი ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლაზე...

— რა დროს ჩემი სწავლაა, ბატონო პროფესორო?! აწი იქით უნდა ვასწავლიდე სხვებს... — თავი შორს დავიჭირე პროფესორის წინადადებისგან.

— არა, მე სერიოზულად გეუბნები — ჰარვარდი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო უნივერსიტეტია... ჩვენთან მოხვედრაზე ბევრი ოცნებობს...

— კარგი, ვთქვათ, გადავწყვიტე ჰარვარდში სწავლა. რამდენია გადასახდელი? — ისე, ზრდილობის გულისთვის კვითხე მას.

— არ არის ბევრი — წელიწადში სულ 30 ან 40 ათას დოლარამდე (ფაკულტეტების მიხედვით), — გამიღიმა პოლმა.

— რამდენი? და თქვენ გგონიათ, რომ მე ამხელა თანხის გადამხდელი ვარ?! — გულწრფელად გამიკვირდა.

— სამაგიეროდ, დაამთავრებ და მერე, მთელი ცხოვრება უზრუნველყოფილი იქნები კარგი სამსახურით და შემოსავლით, — და დაიწყო პროფესორმა ჰარვარდის უნივერსიტეტის ქება-დიდება... აღბათ ათი წუთი, შეუსვენებლად ლაპარაკობდა. მივხვდი — ბატონ პოლს ეგზოტიკური თავგადასავლების მაძიებელი, მდიდარი ახალგაზრდა ვეგონე, რომელსაც სწავლა გულზე არ ესატება...

ბოლოს რომ მიხვდა, მისი აგიტაცია მიზანს ვერ აღწევდა, ლაპარაკის ნირი წაუხდა და ტრაილერის კაბინაში ცოტა არ იყოს, უხერხული დუმილი ჩამოვარდა. სიტუაციის განსამუხტავად, რაღაც უნდა მეღონა. ბედად, გზის პირას მექსიკური სასაუზმე შევნიშნე. მანქანა გადავყენე და ზედ სასაუზმის წინ ხმაურიანად დავამუხრუჭე.

— ბატონო პროფესორო, მოდით, ცოტა დავისვენოთ და წავიხვიმსოთ კიდეც... — შევთავაზე პოლს.

— არა, არა, შენ ისაუზმე, მე აქ დაგელოდები... — იუარა პროფესორმა.

— როგორ გგონიათ — მარტო წავალ? ქართველებს ერთი ასეთი ანდაზა გვაქვს: მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო (არ ვიცი, რამდენად ზუსტად ვუთარგმნე პროფესორს ქართული ანდაზა, მაგრამ თუ მისი გამომეტყველების მიხედვით ვიმსჯელებთ, ეტყობა, მოეწონა). იქ მარტო ნამდვილად არ შევალ. ერთად უნდა ვისაუზმოთ. მე გეპატიჟებით... — გამოვიდე თავი და ბატონი პოლიც იძულებული გახდა, კაფეში შემყოლოდა.

შემწვარი ხორცი შევუკვეთე. პროფესორს, დიდი კათხით, ლუდი დაუდგეს, მე კიდე, „კოკა-კოლის“ მოზრდილი ბოთლი. ხორცი მართლაც გემრიელი იყო. იმდენად კარგად იყო შემწვარი, რომ თითო ულუფა კიდე შევუკვეთეთ. პროფესორს არც მერე კათხა ლუდზე უთქვამს უარი და ნამდვილად ჩინებულ ხასიათზე დადგა. მეც ეს მინდოდა — ჩვენი „დამმაკაცება“ საბოლოოდ „გაფორმდა“. იმდენად გამიშინაურდა, რომ წუწუნსაც მიჰყო ხელი: მართალია, პროფესორი ვარ, მაგრამ მეცნიერებს ამერიკაში მაინცდამაინც არ გვიღიანებს, ხელფასით. თვიდან თვემდე, ძლივს გამაქვს თავი, დროდადრო, მეცნიერულ ნაშრომებს რომ არ ვაქვეყნებდე, პრობლემები მართლაც დამგროვდებოდაო. მერე კი ისევ თავიდან დაიწყო:

— აკაკი, მოდი, შენთვის ვინმე სპონსორი გამოვნახოთ და ჩვენთან ისწავლე...

— რას მირჩევდით — რომელ ფაკულტეტზე შეიძლება „ვიოცნებო“? — ავეცივი პოლს.

— იურიდიულზე. რა თქმა უნდა, შენგან კარგი ადვოკატი დადგება. ანდა, საბანკო საქმე შეისწავლე... — არ მეშვებოდა პოლი.

— კარგი, ბატონო პროფესორო, მოვიფიქრებ და თუ გადავწყვიტე, აუცილებლად დაგიკავშირდებით...

როგორც იქნა, დამშვიდდა პროფესორი, თავისი სავიზიტო ბარათი მომა-

წოდა და... ბოსტონიც გამოჩნდა.

### ჰარვარდის უნივერსიტეტში

ბოსტონიდან სულ რაღაც 5 მილში (8-9 კმ), პატარა საუნივერსიტეტო ქალაქია. პატარა — ამერიკული განზომილებით, თორემ, ამ ქალაქში ახლა, 150 ათასამდე მცხოვრებია. თანაც, ქალაქს კემბრიჯი ჰქვია: როგორც ჩანს, ბრიტანელებმა თავიანთი უძველესი ქალაქის სახელი დაარქვეს. XIII საუკუნიდან მოყოლებული ეს უნივერსიტეტი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. თუნდაც ის რად ღირს, რომ იქ ნიუტონსა და ღარვინს უსწავლიათ... ისე, კაცმა რომ თქვას, ამერიკულ კემბრიჯში მდებარე ჰარვარდის უნივერსიტეტიც საკმაოდ სახელგანთქმულია. ერთი აქაური პედაგოგი, ელიოტი ამერიკის პრეზიდენტიც კი გახდა. ჰოდა, მას შემდეგ, კიდევ უფრო გაიზარდა ჰარვარდის პოპულარობა...

ახლა მე ჰარვარდის უნივერსიტეტს გუახლოვდებოდი... ჯერ ისევ ბოსტონში ვიყავი.

პირველი, რამაც გამოცა, ის იყო, რომ ქალაქის ქუჩებში ტროლეიბუსი დავინახე.

— ბატონო პოლ, მეჩვენება თუ მართლა ტროლეიბუსია? ამერიკა და ტროლეიბუსი?!

— დიას, ასე! ბოსტონი ერთადერთი



ამერიკული ქალაქია, სადაც ტროლეიბუსი დადის. ბოსტონი ბრიტანელების დაარსებულია და ხომ მოგეხსენებათ მათი კონსერვატიზმი... – იყო პასუხი.

– მერე ვინ სარგებლობს ტროლეიბუსით? თუ არ ვცდები, ყველა ამერიკელს ორი თუ არა, ერთი მანქანა მაინც ჰყავს!..

– ბოსტონი სტუდენტური ქალაქია. კემბრიჯიც აქვეა...

ამასობაში მივედით კიდევ ამერიკულ კემბრიჯში და ჰარვარდის უნივერსიტეტიც გამოჩნდა. პროფესორი ერთბაშად გამოცოცხლდა, თითქოს 20 წლით გაახალგაზრდავდა. ტრაილერი პირდაპირ ბიბლიოთეკასთან მიმდევებინა.

– ბატონო პოლ, ახლავე მუშებს დაუვრეკავ და გადმოტვირთვას მოგვეხმარებინა... – ვუთხარი პროფესორს და მობილური ტელეფონი მოვიმარჯვე.

– არ ვინდა, აკაკი, სტუდენტები მომეხმარებინა. შენ მანამდე დაისვენე, შემდეგ კი ბიბლიოთეკას დაგათვალიერებინებ. – ამ სიტყვებით პროფესორი ეზოში შეკრებილი სტუდენტებისაკენ გაემართა.

...ჰარვარდის უნივერსიტეტი რამდენიმე დიდი, სასართულიანი კორპუსისგან შედგება. ეს კორპუსები მთლიანად მწვანეშია ჩაფლული. მთელ ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე საოცარი სიმშვიდე და წესრიგია... ვიჯექი კაბინაში და ინტერესით ვიყურებოდი იმ შენობებისკენ, რომლის კედლებშიც განთავსებული ამერიკელთა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი ახლა ჩემი „მასპინძელი“ იყო. სიმართლე გითხრათ, სიამაყის გრძნობაც კი დამეუფლა.

რამდენიმე წუთში, ოცდაათამდე ახ-

ალგაზრდა გამოჩნდა ჩემს ტრაილერთან. იქვე იყო პროფესორი პოლი, თავის რამდენიმე კოლეგასთან ერთად. ნეტავ, ვენახათ, როგორ დაჰფოფინებდნენ წიგნებსა და კომპიუტერულ ტექნიკას. სიფრთხილით გადმოჰქონდათ მანქანიდან...

გადმოტვირთვას დიდი დრო არ წაუღია. პროფესორ პოლს დანაპირები არ დაევიწყებია და ბიბლიოთეკაში შემეპატიჟა.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ერთ-ერთი მდიდარი და ცნობილი წიგნთსაცავია მთელ ამერიკაში. როგორც ბატონმა პოლმა ამაყად განმიცხადა, მათი ბიბლიოთეკა არაფრით ჩამოუვარდებოდა აშშ-ის კონგრესისას, რომ აქ უამრავი უნიკალური წიგნი და ხელნაწერი ინახება...

თბილისში, საჯარო ბიბლიოთეკაში მაქვს ლამის მთელი სტუდენტობა გატარებული, მაგრამ ჰარვარდში მართლაც, განსაკვირებელი პირობები იყო შექმნილი წიგნების დასაცავად: სპეციალური განათება, ტემპერატურა, მოხერხებული თაროები და კარადები, უახლესი კომპიუტერული ტექნიკა...

ბატონმა პოლმა უნიკალური წიგნების საცავში შემეყვანა. ასე მეგონა, ცხრაკლიტულში მოვხვდი, ისე იყო ჩარაზული იქაურობა. დაცვის თანამშრომლები მთელი 5 წუთი მოუნდნენ კარის გაღებას.

ამ წიგნთსაცავში უძველესი ხელნაწერები და რარიტეტული გამოცემები მოეთავსებინათ. აქ იყო ინგლისური, არაბული, სპარსული, იაპონური, რუსული და რა ვიცი, კიდევ სადაური – ალბათ მსოფლიოს ყველა კუთხიდან შეგროვილი უძველესი წიგნები თუ ხელნაწერები...

ბატონმა პოლმა ერთ კარადასთან

მიმიყვანა, რომელსაც „კავკასია“ ეწერა. ერთ-ერთი თაროდან სქელტანიანი წიგნი გადმოიღო. თვალს არ ვუჯერებდი – თბილისში პირველ ქართულ სტამბაში, ვახტანგ მეექვსის რედაქციითა და კომენტარით დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“ გახლდათ, რომელიც 1712 წლით იყო დათარიღებული!..

– შეიძლება, ხელით შევეხო? – წავიბუტბუტე მოულოდნელობისგან გაოგნებულმა.

– რა თქმა უნდა, შეიძლება! – გულიანად გაეცინა ამერიკელ პროფესორს.

– როგორ მოხვდა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ნაბეჭდი წიგნი თქვენს ბიბლიოთეკაში? – ეს მართლაც, ძალიან მაინტერესებდა.

– ვერაფერს გეტყვი – ამის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ აქ უფრო ძველი წიგნები და ხელნაწერებიც გვაქვს. აი, თუნდაც „ყურანის“ ხელნაწერი, III საუკუნით დათარიღებული, „სახარების“ ხელნაწერი. ჩვენ ვამაყობთ ამით და ბედნიერები ვართ, რომ ასეთ სიმდიდრეს ვფლობთ...

წიგნთსაცავიდან გამოსულს აშკარად მეტყობოდა აღელვება. ამერიკაში, ჩემი ქვეყნიდან ასე შორს მყოფმა, თითქმის სამი საუკუნის წინ დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსნის“ ხილვამ კიდევ უფრო გამიძლიერა ნოსტალგია... ლამის ცრემლი მომერია და ჩემი სისუსტის დასაფარავად პროფესორს ვკითხე:

– ბატონო პოლ, ამ საცავში, ჩემ გარდა, თუ ყოფილა ვინმე ქართველი?

პროფესორს გაეცინა, მხარზე ხელი დამარტყა და მითხრა:

– როგორ არა?! – ბევრი ქართველი ყოფილა აქ. წელს დოდონა კიზირიაც იყო, არკანზასის უნივერსიტეტის ქართველი პროფესორი... მიხარია, რომ ქალბატონმა დოდონამ მშვენივრად იცის ამერიკული ლიტერატურა. ამავე დროს, შესანიშნავი ენათმეცნიერია.

... პროფესორს მაღლობა გადავუხადე და ჩემს ტრაილერში ჩავჯექი. ამ დროს, ჩემი მობილური აწყრიალდა. ტვირთის გადაშინდავი ამერიკული კომპანიის უფროსი ამჯერად, უკვე მესამედ მირეკავდა, – დროა ჰარვარდიდან წამოხვიდე, დეტრიტში ახალი შეკვეთა გელოდებო, – მითხრა.

მოკლედ, ჩემი ამერიკული ოდისეა ისევ გრძელდებოდა...

P.S. აკაკი გვენავს დღიურების მორიგ თავს „გზის“ №42-ში შემოვთავაზებთ.

**„კვირის პალიტრის“ სასწავლო კომპიუტერული ხანგრძლივობით კომპიუტერის უმსხვილეს ინფორმაციულ კერას:**

საოფისე, საგამომცემლო, გრაფიკული და ანიმაციური პროგრამები. პროგრამირება და ვებ-დიზაინი. შეისწავლება აგრეთვე პრინტერთან, სკანერთან და ქსელში მუშაობა, ინტერნეტი.

საგამომცემლო პროგრამების შესწავლისას მსურველები პრაქტიკას გაივლიან „კვირის პალიტრის“ გამოცემებში. დამწყები და მოქმედი ჟურნალისტებისთვის ისწავლება აუცილებელი კომპიუტერული კურსი.

მსმენელთა მიღება ყოველდღე, კვირის გარდა 15<sup>00</sup>-დან 18<sup>00</sup> სთ-მდე „კვირის პალიტრის“ ოფისში.

მისამართი: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან). დამატებითი ცნობებისთვის დარეკეთ: 33-27-99; 38-68-77; 8(77) 44-24-74.

შესაძლებელია საუკეთესო მსმენელთა დასაქმება

26 სექტემბერს, თბილისის კინოს სახლში მხოლოდ **ჟურნალისტებისთვის** ლევან ანჯაფარიძის ახალი ფილმის — „არის ასეთი ქვეყანა“ (კინოსტუდია „აპერკოტი“) — ჩვენება გაიმართა. მაყურებლისთვის ფილმის პრემიერა სავარაუდოდ, ორი კვირის შემდეგ შედგება. როგორც ჯგუფის წევრებმა გვაცნობეს, გადაღებები სულ 17 დღე გაგრძელდა, ხოლო მის მომზადებას ექვსი თვე დასჭირდა. ეს კინორეჟისორ **ლევან ანჯაფარიძის** პირველი ვიდეოფილმია.

**ნათია ქვიციანი**

— ჩემი ფილმი — „ორმაგი სახე“ ეკრანებზე 1997 წელს გამოვიდა. მას შემდეგ, „არის ასეთი ქვეყანა“ — პირველი ფილმია.

— რატომ გქონდათ ასეთი ხანგრძლივი პაუზა?

— ეს არცთუ ისე დიდი პაუზაა, მეგონა, უფრო ხანგრძლივი იქნებოდა: ჩემი მეგობრები რვა-ათი წლის წინ დაწყებული ფილმების გადაღებას ახლა ასრულებენ... ალბათ ნახეთ — ამ ფილმში ერთი ასეთი კადრია: იმის გამო, რომ ფართო ეკრანის დიდი ნოსტალგია მქონდა, ერთი ეპიზოდი წყდება, ეკრანზე მე ვჩნდები, მაყურებელს ბოდიშს ვუხდი — მომდევნო ეპიზოდი უსასწრობის გამო ვერ გადავიღეთ-მეთქი, — და მის შინაარსს მე ვუყვები, შემდეგ კი, ფილმი ისევ გრძელდება.

— ამ სურათის დაფინანსებაში ვინ დაგეხმარათ?

— ამ ფილმზე მუშაობას არ ვაპირებდი: აფხაზეთის თემაზე დაწერილი სცენარი მაქვს, რომელსაც „ციცინათელები“ ჰქვია და ის უნდა გადამეღო, მაგრამ მისთვის საჭირო თანხა ვერ მოვიძიეთ — ის უფრო რთული და სერიოზული პროექტია და უფრო სოლიდური თანხაც სჭირდება. ამის გამო გადავწყვიტე, ისეთი რამ გადამეღო, რასაც ჩემს ხელთ არსებული თანხა გასწვდებოდა და ერთ კვირაში ამ ფილმის სცენარი დავწერე. ასე რომ, ძირითადად, ჩვენი თავი ჩვენვე დავაფინანსეთ. თუმცა, არიან კეთილი ადამიანები, რომლებიც მხარში ამოგვიდგნენ — მაგალითად, მერიისა და მისი კულტურის სამსახურის ხელმძღვანელები, რომლებმაც ფილმზე მუშაობის დაწყების საშუალება მოგვცეს.

— ეს ფილმი რომელიმე ფესტივალზე თუ იქნება წარდგენილი?

— არა, ამისგან ვერჯერობით თავს ვიკავებთ, თუმცა, უკვე არის შემოთავაზებები მოსკოვიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან. სპეციალურად ამისთვის ინგლისურენოვანი სუბტიტრებიც გავაკეთეთ.



ფილმის მონაწილენი — ლევან შენგელია (მარცხნივ) და მისი ძმა ჩიკო

**„არის ასეთი ქვეყანა“...**

ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს...

ფილმში საქართველოს დღევანდელი ყოფა აღწერილი. ფულით გაყოფილებული, ფუქსავატი ადამიანების პარალელურად, უპატრონო ბავშვებს ვხედავთ, რომლებიც ღია ცის ქვეშ ცხოვრობენ და შიმშილს მოპარული ორცხობილით იკლავენ. განსაკუთრებული ყურადღება იმაზეა გამაზვილებული, რომ ბავშვებს ღმერთი სწამთ და ღმერთიც მათ თითქმის ყველა განსაცდელისგან იხსნის. ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირია უდარდელა, რომელსაც ისეთი მოძრავი ჯიხური აქვს, სადაც პრეზერვატივებითა და უნიტაზებით დაწყებული, „გოიბი გალაკტიონითა“ და „სახარებით“ დამთავრებული, ყველა საჭირო თუ უსარგებლო ნივთი იყიდება. უდარდელას როლს **ხათუნა იოსელიანი** ასრულებს, რომელსაც ასევე გავსაუბრეთ.

— რას გვეტყვით თქვენს როლსა და საერთოდ, ფილმის შინაარსზე?

— ეს საკმაოდ რთული როლი იყო. უდარდელა ზომ ადამიანი არ არის — მასში ყველაფერი ემშაქისეულია. ამაზე საუბრისაც კი მეშინია. სამწუხაროდ, უდარდელასნაირი დემონური ადამიანი დღევანდელ საქართველოში საკმაოდ ბევრია... რაც შეეხება ფილმის შინაარსს — ეს არის ის, რაც დღეს საქართველოში ხდება. აბსოლუტურად ყველა სიუჟეტი დღევანდელი ცხოვრებიდან არის აღებული. მე შემძრა ამ ამბავმა. ვფიქრობ, მაყურებელს ფილმი ძალიან მოეწონება...

— სურათში ერთი ასეთი ეპიზოდია: ობოლი ზურას მისამართით ნასროლი ტყვია ბავშვის გულზე დაკიდებულ ჯვარს მოხვდება, რაც

მას გადაარჩენს...

— დღეს, ღმერთი, ჯვარი და რწმენა ყველაზე მთავარია. ღმერთი რომ არ იყოს, ჩვენც არ ვიქნებოდით ამქვეყნად. ღმერთი რომ არ იყოს, პატარა ზურა წერეთელსაც არ შეეხვებოდა.

ზურა წერეთელი — ობოლი ზურას როლის შემსრულებელი — სტიქაროსანია, წმინდა გიორგის ეკლესიაში მსახურობს. ზურამ ისე შეაყვარა თავი ქალბატონ ხათუნას, რომ კვირაში სამი დღე, მის ოჯახში ცხოვრობს და ბებიასაც ეძახის. ქალბატონი ხათუნა ამბობს — ის ჩემი სისხლი და ხორციაო...

ფილმში ეპიზოდურ როლს ასრულებს პაროდისტი **ლევან შინგელია**.

— რას გვეტყვით ფილმზე?

— აქ ნაჩვენებია საქართველო, სადაც ყველაფერი იყიდება. ფილმი ძალიან მომწონს.

— ეს მგონი, თქვენი პირველი კინოროლია...

— ნამდვილად ასეა, რის გამოც დიდ მადლობას ვუხდი ლევან ანჯაფარიძეს.

— თავს როგორ გრძნობდი მსახიობის ამბულაში?

— მეგობრები დამცინოდნენ — პირველად გიღებენ ფილმში და მაშინაც პოლიციელის როლს ასრულებო. თავს ვიმშვიდელებდი — თანამედროვე და „ტინიჯერი“ პოლიციელის როლს ვასრულებ, „კარგ ბიჭებს“ არ ვიჭერ-მეთქი...

ფილმის ბოლოს, ეკრანზე ლევან ანჯაფარიძის სიტყვები იწერება: „ჯოჯოხეთიც და სამოთხეც ადამიანის სიცოცხლეშივე იწყება. უბედურია ის, ვისაც ამ ზღაპრის არ სჯერა...“

# უჯარული ჯიშისა

## მურაბა

მწიფე, მკვრივ ქლიავს ყუნწები დააცალეთ და კარგად გარეცხეთ. თუ წვრილ ქლიავს ხარშავთ, საწურზე დაყარეთ და 5 წთ-ით ცხელ წყალში (+80 გრადუსი) ჩაუშვით, შემდეგ დაჩხვლიტეთ. მსხვილი ქლიავი კი შუაზე გაყავით და კურკები გამოაცალეთ. 1 კგ ქლიავისთვის 1,2 კგ შაქარია საჭირო. ჯერ სიროფი მოადუღეთ (800 გ შაქარზე 2 ჭიქა წყალი), დაასხით ქლიავს და 3-4 სთ გააჩერეთ. დადგით ცეცხლზე მხოლოდ 5 წთ-ით, რომ არ აღუდგეს და კანი არ დასკდეს. ამის შემდეგ, კიდევ ორჯერ დადგით ცეცხლზე 5-5 წთ-ით (მეორე მოხარშვის დროს, კიდევ დაუმატეთ სიროფი – 400 გ შაქრისა და 3/4 ჩ/ჭ წყლისაგან); ქვაბი გადმოდგით ცეცხლიდან, კარგად შეანჯღრეთ, რომ ქლიავი ერთმანეთში აირიოს. ქაფი მოხადეთ და ხარშეთ მომზადებამდე.

წვრილი ქლიავი (ალუჩა, ტყემალი) შეიძლება, ცეცხლზე ერთჯერადად დადგით მოხარშვით. 1 კგ ხილს 1,5 კგ შაქარი და 3 ჩ/ჭ წყალი დასჭირდება.

როცა სამურაბე ხილს სიმყავე აკლია, ხარშვის ბოლოს 1 ლიმონი ჩააწურეთ. თუ მზა მურაბას სწრაფად ცხელ ქილებში ჩაასხამთ და თავსახურსაც სწრაფად დაახურავთ, ის არც დამყავდება და არც დაობდება.

## ჯემი

ქლიავს გამოაცალეთ კურკა და ცოტა წყალში (1 კგ ქლიავზე 1 ჩ/ჭ წყალი) მოხარშეთ, თან განუწყვეტილად ურიეთ და ხშირად მოხადეთ ქაფი. მზა ჯემი ცხელ-ცხელი გადაიტანეთ მშრალ ქილებში, დაახურეთ ტილო და გააცივეთ. თუ ჯემი კარგად მოხარშულია, მის ზედაპირზე ქერქი გაჩნდება. ქილები მჭიდროდ მოხუფეთ პერგამენტის ქაღალდით.

ჯემი მთლიანად ინარჩუნებს ხილის არომატს, ფერს, გემოსა და კვებით ღირებულებას.

## ხილფაფა

ძალიან მწიფე ქლიავი გარეცხეთ, კურკა გამოაცალეთ და კარგად მოხარშეთ ცოტა წყალში (1,5 ჩ/ჭ 1 კგ ხილზე), შემდეგ საცერზე გახეხეთ ან ხორცსაკებ მანქანაში გაატარეთ. მოათავსეთ ქვაბში, წამოადუღეთ და 10 წთ-ის შემდეგ დაუმატეთ შაქრის ფხვნილი გემოვნებით (ძალიან მწიფე ქლიავს შეიძლება შაქარი აღარც დასჭირდეს). როცა შაქარი გადნება, მაღალ ცეცხლზე გააგრძელებთ ხარშვას, თან განუწყვეტილად ურიეთ. ხილფაფის მოსახარშად საკმარისია 40 წთ.



## დაშაქრული ქლიავი

ქლიავი შუაზე გაყავით, მოაცილეთ კურკა და ქილებში ჩააწყვეთ ისე, რომ გაჭრილი მხარე ქვევით მოექცეს. ყოველ ფენას მოყარეთ შაქარი (ნახევარლიტრიან ქილას – 150-200 გ; ერთლიტრიანს – 200-300 გ); ქილებს თავი დაახურეთ, გაასტერილეთ; ნახევარლიტრიანი ქილები – 15, ერთლიტრიანი – 25, სამლიტრიანი – 35 წთ-ის განმავლობაში (აღუღების მომენტის დროს) და დაბეჭდეთ. სხვა რეცეპტებშიც სტერილიზაციის წესი არ იცვლება.

## ქლიავი თავის წვენში

ისევე მზადდება, როგორც დაშაქრული ქლიავი, ოღონდ – ცხადაა, უშაქროდ. შუა-შუა გაჭრილ ქლიავს ქილებში რომ ჩააწყობთ, დაასხით მღუღარე წყალი, მოხუფეთ და გაასტერილეთ.

## მთელ-მთელი ქლიავი

გარჩეული, გარეცხილი, მკვრივი, ოდნავ მკვასე ქლიავი საწურზე დაყარეთ, რამდენიმე წმ-ით ჩაუშვით მღუღარეში და მაშინვე გადაავლეთ ცივი წყალი. შემდეგ მოწალული ქლიავი ქილებში ჩაყარეთ და გაასტერილეთ.

## კომპოტი

ქლიავი (თუ წვრილია – კურკებიანად, თუ მსხვილი – კურკაგამოცლილი) დაჩხვლიტეთ და საწურზე დაწყობილი ჩაუშვით ცხელ (85-გრადუსიან) წყალში 3-5 წთ-ით (მოწალული ხილი უფრო მჭიდროდ ეწყობა ქილებში და სტერილიზაციის დროს არ გადაიხარშება); ქილებში ჩაასხით შაქრის სქელი სიროფი (ნახევარი ჩ/ჭ შაქრის ფხვნილი ერთ ჩ/ჭ წყალზე), მოხუფეთ და გაასტერილეთ.

## წენი

მწიფე ქლიავი ოდნავ დაჭყლიტეთ, მომინანქრებულ ქვაბში ჩაყარეთ, დაუმატეთ წყალი (1 ლ 10 კგ ქლიავზე) და გააცხელებთ 70 გრადუს ტემპერატურამდე; შემდეგ ეს მასა ტილოს ტომარაში გადაიტანეთ და წენი გამოწურეთ; ქლიავის წენი სამ-ოთხმაგ დოლბანდში გაფილტრეთ, ცოტა ხანს გააჩერეთ, შემდეგ გააცხელებთ მომინანქრებულ ქვაბში 95 გრადუსამდე (არ აღუღოთ!) წენი შემთბარ შუშის ქილებში ან ბოთლებში ჩაასხით და მაშინვე დაბეჭდეთ ან დალუქეთ, შემდეგ კი ჭურჭელი თავდაყირა დააყენეთ და ისე გააცივეთ. თუ ქლიავი ძალიან მყავეა, ცოტა შაქარი დაუმატეთ.

## ქლიავის ჩირი

საწურზე დაყრილი, გადარჩეული, გარეცხილი ქლიავი ნახევარი წთ-ით ჩაუშვით მღუღარე სოდიან წყალში (1 ლ წყალზე 1 ს/კ საკვები სოდა), შემდეგ ნელ-ნელა ჩაძირეთ ცივ წყალში და კარგად გარეცხეთ; მერე გააშრეთ, – ერთ ფენად დააწყვეთ ლასტებზე და ხუთი დღის განმავლობაში მზეს მიუფიცხეთ, თან ყოველდღე ურიეთ, რომ არ დაობდეს. ამის შემდეგ ლასტები 3-4 დღით ჩრდილში გადაიტანეთ.

ქლიავის ჩირი რბილიც უნდა იყოს და მკვრივიც. 100 კგ ქლიავიდან 20 კგ ჩირი გამოდის. ჩირი მშრალ ადგილას ისე შეინახეთ, რომ ჰაერი ხვდებოდეს.



# ქალაქის რიგში, ანუ როგორ ინარჩუნებენ ფორმას ლამაზმანები?



**ლეთიცია კასტა** – ასაკი – 24 წელი, სიმაღლე – 168 სმ. წონა – 55 კგ.

**კვამბა:** დღეში აუცილებლად სამჯერ იკვებება. ჭამს ნელა, ლუკმას საგულდაგულოდ ამუშავებს, უარს ამბობს ყოველგვარ საკვებზე 18 საათის შემდეგ. უპირატესობას ანიჭებს ხილს, სალათებს, ბოსტნეულს. სვამს ბევრ მინერალურ წყალს. დღეში 1500 კილოკალორიაზე მეტს არ იღებს.

**სპორტი:** ყოველ დღით დარბის, შემდეგ იღებს კონტრასტულ შხაპს. ასევე უყვარს მშვილდოსნობა და სპორტული მანქანებით რბოლა.

**მისი დიეტის საიდუმლო:** კვირაში ერთხელ მთელი დღის განმავლობაში ჭამს დაკონსერვებულ ბოსტნეულს.

**ნატალი პორტმანი** – ასაკი – 21 წელი, სიმაღლე – 159 სმ, წონა – 49 კგ.

**კვამბა:** რვა წლიდან ნატალი ვეგეტარიანელია. მართალია, იგი არ ჭამს ხორცს, მაგრამ ჭამს კვერცხს და ყოველდღიურად სვამს რძეს. უარს ამბობს ყველზე, რადგან იგი მაღალკალორიულია. ყოველ დღით სვამს ფინჯან კაკოს და ამბობს, რომ ის მთელი დღის განმავლობაში ენერჯის მატებს. სვამს ასევე ბევრ მწვანე ჩაის.



**სპორტი:** სპორტით რეგულარულად არ არის დაკავებული. საიმოვნებისთვის ხშირად დადის ცეკვის გაკვეთილებზე. თამაშობს ფეხბურთს და უყვარს ციგურებით სრიალი.

**მისი დიეტის საიდუმლო:** იცავს უკანასკნელი მოდის დიეტას, ანუ პროდუქტებს ფერების მიხედვით ირჩევს. თუ დღით შეჭამს კომბოსტოს, მთელი დღის განმავლობაში მწვანე პროდუქტებს ეტანება; ხოლო თუ დაღვეს რძეს, თერ თევზსა და კვერცხს მიირთმევს.

„გზის“ მომდევნო ნომერში ჰელენ ჰანტიისა და მელანი გრიფიტის კვების რაციონს შემოვთავაზებთ.



## სრეკები

● სამზარეულოში საქმიანობისას, გახსოვდეთ: სანამ თევზს გაწმენდთ, მაკრატლეთ მოაჭერით ფარფლები; თუ ფარფლი უხეშია და ხელში შეგერკოთ, ნუ გამოიჩენთ დაუდევრობას – სასწრაფოდ წაისვით იოდი და შეიხეით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელი შეგიშუბდებათ, გაგიწითლდებათ და შეიძლება ინფექციის კერადაც იქცეს.

● გასუფთავების დროს, თევზი ხელიდან არ გაგისხლტებათ, თუ მარილს მიაყრით.

# ჯეიმს – ზუზუნაძის ნიჟარა



სილამაზისა და გრაციოზულობის ნიშანი, შლაპა, საუკუნეების განმავლობაში იცვლებოდა და იხვეწებოდა. ის ფორმას ისე სწრაფად იცვლიდა, რომ მის ფეხდაფეხ მიყოლას მხოლოდ მოდის ნამდვილი მიმდევრები ასწავლებდნენ. ქულების დიზაინერები დღესაც ძალ-ღონეს არ იშურებენ, მაგრამ იდეების საძიებლად, უმეტესად წარსულს მიმართავენ ხოლმე. XX საუკუნეში, ქულების მოდამ წარსულის თითქმის ყველა ტენდენციას გაიმეორა. დროში გამოცდილი ფორმები დაიხვეწა და კლასიკად იქცა.

ახლმა, XXI საუკუნეში თავისი სტილი და ფორმები შემოიტანა. 2003 წელს შავი, ჩალისფერი და სხვა მკვეთრი ფერის ბუნებრივი ქსოვილებისგან შექმნილი თავსაბურავებია მოდამი. მოდის წამყვანი სახლების დიზაინერებმა ძალზე ელევანტური, ეთნიკური სტილში შესრულებული თავსაბურავები წარმოადგინეს. მათ უცხო და უცნაური ფორმები აქვთ. მოდელიერები უკვდავი კლასიკის თავყვანისმცემლები არიან. ამიტომ მათ კოლექციაში კლასიკური შლაპები განკუთვნილია ენერჯული, დახვეწილი გემოვნების ქალბატონებისთვის, რომლებიც ყველაზე მეტად ინდივიდუალურ სტილს ავასებენ. ძირითად მასალად გამოყენებულია ფეტრი. ქუდის ორიგინალური დიზაინი ძვირად ფასობს და ფუფუნების სიმბოლოდ აღიქმება. რაც შეეხება ჩვენს რეალობას და ყოველდღიურობას, ჩვენთან შლაპა ისევ იშვიათობა იქნება და ამ ზამთარსაც მოდამი იქნება ე.წ. ხვესურული ქუდები, რომელსაც შარშან უმეტესწილად მამაკაცები იხურავდნენ. წლეულს ესტაფეტა მანდილოსნებს გადაეცემათ.

# სუნელი მსხიბორქს

პარფიუმერიულმა ფირმამ – „ინთერნეიშენალ ფლეგორს ენდ ფრაგრანსის“ – აღმოაჩინა, რომ უწონობის მდგომარეობაში ყვაილები სხვაგვარ სურნელს აფრქვევენ. მან ახალი სურნელის საძიებლად, პირველად კოსმოსში გაგზავნა „ოვერნაით სენსიტივის“ ჯიშის ვარდი, რომელიც ძლიერი სურნელთა და მცირე ზომით გამოირჩევა. დედამიწაზე დაბრუნების შემდეგ, ქიმიკოსებმა ვარდის კოსმოსური სურნელი შეისწავლეს. ის ჩვეულებრივზე შედარებით მოტკბო აღმოჩნდა. სწორედ ეს არამიწიერი სურნელი გამოიყენეს „სენსიდილს“ სუნამოსთვის Zen. წლეულს, კოსმოსში ისევ გაგზავნენ ყვაილები. ამჯერად კოსმოსურ ხომალდზე მოათავსეს ვარდი და აზიური ბრინჯის ყვაილი. მეცნიერები ამჟამად მუშაობენ ახალ საკითხზე – როგორი სურნელი მიიღება, თუ მცენარეებს ერთმანეთის გვერდით უწონობის მდგომარეობაში მოათავსებენ.



შედგეს, ალბათ სულ მალე, ახალი კოსმიური სუნამოს საშუალებით გავეცნობით, რომელსაც მილიონობით ქალი მოუთმენლად ელის.

# უარი უთხარით ცდუნებებს

რუბრიკას უძღვება ექიმი  
თამარ მამასაშვილი

## გაფრთხილდით წინასწარ

ერთ მშვენიერ დღეს თქვენს შვილს აუცილებლად შესთავაზებენ სიგარეტს და სასმელს. შეიძლება დაცინვაც კი დაუწყონ: „ეკმინია? დედის ბიჭი ხარ?!“ რა ვუპასუხოთ ასეთ აბეზარ თანატოლებს? მოზარდი აუცილებლად იპოვის საკუთარ თავში ძალას, რომ წინააღმდეგობა გაუწიოს სხვის აზრს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს საკუთარი ღირსების გრძნობა. ამის ფორმირება კი მშობელთა ამოცანაა.

დაიზღვიეთ თავი. ყველაფერი მაშინ უნდა დაიწყოს, როცა ბავშვი ჯერ კიდევ პატარაა. მაგალითად, თუ თქვენს გვარში ვინმეს ჰქონდა ფილტვების დაავადება, მშვიდად მოუყევით ბავშვს ამის შესახებ, ბოლოს კი უთხარით: „მე და შენ არ უნდა მოვწიოთ, რადგან ეს შეიძლება ცუდად დამთავრდეს“. თქვენთან ერთად აკრძალვის მიღება ბავშვისთვის საწყენი არ იქნება.

გამოიყენეთ მომენტი. გამოიყენეთ ნებისმიერი ცხოვრებისეული სიტუაცია ან გაიხსენეთ ამბავი, საიდანაც ჩანს, რომ მოწვევასა და სმას ზიანი მოაქვს ადამიანისათვის; თქვენი რეპლიკებით გააკეთეთ აქცენტი და გამოხატეთ დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი. აუცილებელი არ

რა უნდა გაგაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენმა შვილმა მოზარდობის ასაკში არ დაიწყოს ალკოჰოლური სასმელების მიღება და სიგარეტის მოწევა? ვუკითხოთ ლექციები ალკოჰოლის მავნებლობის შესახებ? ავუკრძალოთ მწვეველ თანატოლებთან ურთიერთობა? — არა, მას უნდა მივცეთ ძალა, რათა თავად შეეწინააღმდეგოს ცდუნებას.


არის, სპეციალურად მიმართული ბავშვს: პატარას გონება ისედაც სხარტად იჭერს ყველაფერს, რასაც მისი თანდასწრებით ამბობენ.

შუქქმენით ბავშვს კარგი წრე. გონივრულად შეარჩიეთ სკოლა, კლასი, წრე. გამუდმებით იმუშავეთ მის გარემოცვაზე: მოიწვიეთ შვილის მეგობრები შინ, ესაუბრეთ მათ, ზოგიერთთან მეგობრობა მოუწონეთ, ზოგი კი — თანდათანობით, ძალდაუტანებლად ჩამოაშორეთ. 11-12 წლის ასაკში თანატოლთა აზრი მოზარდისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თქვენი. მას ძალიან უნდა იყოს ისეთივე, როგორც „სხვები“, ანუ მისი მეგობრები არიან. ამიტომ იზრუნეთ იმაზე, რომ ბავშვმა თქვენ მიერ შერჩეულ ადამიანებთან იმეგობროს.

10-11 წლიდან ურთიერთობის ახალ საფეხურზე გადადით. დავარქვათ მას „საფეხური თანა“... — თანამშრომლობის, თანამეგობრობის, თანაგრძნობის. მოზარდს ისევე მოეჩვენებოდა, როგორც დიდს — ეს გაზრდის მის თვითშეფასებას. ხაზი გაუსვით ნებისმიერ წარმატებას, მის გასაკონადად იამაყეთ იმით, რასაც იგი კარგად აკეთებს. მოზარდებს ძალიან ეშინიათ წარუმატებლობის, მიღწევები კი მათ თავდაჯერებას და ღირსების გრძნობას მატებს. ასეთნაირად თქვენი შვილი ადვილად შეძლებს თანატოლებისთვის უარის თქმას: „შენ თუ გინდა, ადექი და მოსწვი, მე კი არ მინდა. სამაგიეროდ, მე შენზე ძლიერი ვარ და უკეთესადაც ვსწავლობ, იმიტომ, რომ ორგანიზმი ნიკოტინით არ მაქვს მოწამული“.

### ვიპოვოთ ტირსეული ფორმა

მოსხდა ისე, რომ თქვენ ვერ მოასწარიოთ თავის დაზღვევა და ბავშვმა მოსწია სიგარეტი. ახლა როგორღა მოვიქცეთ? უნდა ვიპოვოთ სწორი ფორმა ამ მოვლენასთან ჩვენი დამოკიდებულების გამოსახატავად. მოზარდები ჩვეულებრივ ჯანყდებიან ხოლმე არა ჩვენი მოთხოვნების არსის წინააღმდეგ (მას ისინი გულში ხშირად ეთანხმებიან კიდევ), არამედ — ამ მოთხოვნათა წაყენების ფორმის წინააღმდეგ.



სცადეთ, მისცეთ ბავშვს შესაძლებლობა, თავად მიიღოს გადაწყვეტილება — მას ახლა მხოლოდ ეს სწყურია. შეგიძლიათ უთხარით: „მოსწვი, მაგრამ იცოდეთ, რომ შენ გელის...“ და შემდგომ ესაუბრეთ ისე, რომ შთაბეჭდილება მოახდინოთ მასზე: უამბეთ მოზარდის განვითარებადი ტვინის ჟანგბადოვან შიშშილზე, რაც სწავლაში წარუმატებლობის მიზეზი ხდება, სპორტისა და სიგარეტის შეუთავსებლობაზე... გოგონებს აუხსენით, რომ მწვეველ დედას დღენაკლული, სუსტი ბავშვები უჩნდებათ, რომელთაც შემდგომში გამუდმებით დაატარებენ ექიმებთან...

მოკლედ, „მოსწვი, მაგრამ იცოდეთ, რომ შენი მომავალი...“ როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მოზარდი, რომელსაც თავად აძლევთ გადაწყვეტილებების მიღების უფლებას, ჩვეულებრივ სწორ არჩევანს აკეთებს.

### თუ თქვენ თავად ეწევით...

„ნუ აუკრძალავთ აქტიურად ამას ბავშვს, ეს დედას უარესია. მოზარდები მაქსიმალისტები არიან და ვერ იტანენ ორმაგ მორალს. მწვეველი მშობლისათვის ერთადერთი გამოსავალია, უთხარას ბავშვს: „მე ოდესღაც სისულელე ჩავიდინე და მოწევა დავიწყე. ახლა რაღაც პრობლემები მაქვს ჯანმრთელობის მხრივ. მე არ მინდა, რომ შენ ჩემი შეცდომა გაიმეორო“. ამის შემდეგ ბავშვი თავად გადაწყვეტს, როგორ მოიქცეს.

**სილაშაის  
საერთაშორისო მენეჯერი  
„ოქროს ლოგოსი“  
ბთავეზოთ კვალიფიციური  
კონსალტოლოგიური  
მომსახურებას  
„დარეაქტივის“  
ფირმის კონსალტიტით.**

სახის კანის ღრმა  
წმენდა მექანიკური  
ჩარევის გარეშე. გამონაყარის,  
ნაოჭების, ლაქების,  
ფერიმჭამელების,  
აგრეთვე ცელულიტის  
მოცილება.

☎ 91-09-40;  
76-71-36; 893-30-49-55 მანა

# ახალი ავტომობილის სურნელი

მკვეთრი სუნის, რომელიც ახალი ავტომობილის სალონში დგას და რომელიც ასეთ სისარულს ანიჭებს მანქანის მფლობელს, თურმე არცთუ ისე უვნებელი ყოფილა. იგი იმ მრავალრიცხოვანი საღებავითა და გამსუნებელითაა განპირობებული, რომელიც მანქანათმშენებლობაში გამოიყენება. ასეთებია, მაგალითად: ეთილბენზოლი, ქაილოლი, ფორმალდეჰიდი და ტოლუოლი. ასე რომ, მანქანის ყიდვისას განცდილი გრძნობა თამამად შეიძლება შევადაროთ წებოს დაყნოსვით მიღებული სიახლოვნების გრძნობას. ამ ნვითერებათა მაღალი კონცენტრაციის დროს, მანქანის სალონში ადამიანს შეიძლება განუვითარდეს არაჯანსაღი შენობის სინდრომი: თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ქოშინი. განსაკუთრებით საშიშია ახალი შენაძენი ზაფხულში, სიცხეში. ინტოქიკაციას რომ თავი დააღწიოთ, უნდა შეაჩინოთ კარგი ვენტილაციის მქონე მანქანა და პირველ ხანებში, გაღებული ფანჯრებით უნდა იმგზავროთ.



## არომატერაპია სიფრთხილეს მოითხოვს

დღეს ასე მოღურ არომატერაპიას უსიამოვნებების მოტანაც შეუძლია, თუ არ დაეცავთ სიფრთხილეს. ზოგიერთი ეთეროვანი ზეთის გამოყენებას გარკვეული უკუჩვენებები აქვს.

- სისხლის შემდეგებლობის მომატებისა და თრომბოფილების დროს უკუნაჩვენებია ბაზილიკისა და კვიპაროსის სურნელი.

- არ შეიძლება ანისულის ზეთის ხანგრძლივად გამოყენება, რადგან შესაძლოა, მან თავბრუსხვევა გამოიწვიოს.

- ინფარქტისა და ინსულტის შემდეგ, არ არის რეკომენდებული ბაზილიკის, კორიანდრისა და ფიჭვის ეთერზეთები: ის თრომბის წარმოქმნას უწყობს ხელს.

- არ შეიძლება პატარა ბავშვების მკურნალობა პიტნის ზეთით: იგი აღიზიანებს ბავშვის კანს და იწვევს უძილობას.

- ფორთოხლის ან ლიმონის ზეთის კანზე მოხვედრისას (ან ამ კომპონენტების შემცველი საშუალებების გამოყენებისას), თავი აარიდეთ მზეზე გარუჯვას.

- დაუშვებელია საღებავისა და ლავანდის მიღება ალკოჰოლთან ან იოდის და

რკინის შემცველ პრეპარატებთან ერთად, რადგან მიიღება „ფეთქებადი“ ნარევი და საუკეთესო შემთხვევაში საკმე კუჭის აშლით დამთავრდება.

- ნერვული სისტემის აგზნებადობის მატებისას ნუ გაგიტაცებთ მიხაკისა და საღებავის ზეთების სურნელი.

- ეთერზეთებთან განსაკუთრებული სიფრთხილე მართებთ ალერგიულ ადამიანებს და ორსულ ქალებს. არომატერაპიის სენსაძლე ისინი აუცილებლად უნდა გაესაუბრონ ექიმს.

## სუნი – ხაფანგი

ადამიანის ცნოსვაზე 900 გენია პასუხისმგებელი, მაგრამ მათგან მხოლოდ 320-ია აქტიური, დანარჩენი კი უმოქმედოა. პირველყოფილი ადამიანისათვის ცნოსვას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა – მისი მეშვეობით აგნებდა ნადირის კვალს, პოულობდა საკვებს, ამოიცნობდა მტერს... დღეს ყოველდღიურ ცხოვრებაში სუნს ისეთი დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, თუმცა ბევრი მათგანი საკმაოდ სასიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

## საყიდლებზე – აირწინაღობით

გამყიდველები მყიდველთა მოსაზიდად ხშირად სხვადასხვა ეშმაკობას მიმართავენ.

ზოგიერთ დიდ სუპერმარკეტში აფრქვევენ არომატიზატორებს, რომელთაც ახალგაზრდობის ფუნთუშის, ახალდაფქული ყავის ან შებოლილი ძეხვის სუნი აქვს. ამ არომატისაგან ადამიანს ნერწყვი ადგება და ფეხებს თვითონ მიჰყავს დახლისაკენ. ტყავსაგალანტერეო ფირმების მაღაზიებში კი სტელაჟებს სპეციალური, ძვირფასი, კარგად დამუშავებული ტყავის არმატის მქონე ნივთიერებებით ამუშავებენ. სხვათა შორის, ასეთი სუნის „მიწეება“ ხელოვნური ტყავის ნაწარმზეც შეიძლება. ტურისტული ფირმები თავიანთ ოფისებში ეგზოტიკურ არმატებს ასხურებენ, რომელიც მათ კლიენტებში შორეული მოგზაურობის სურვილს კიდევ უფრო აღვივებს. საავტომობილო კონცერნი „ფიატი“ სალონის ზოგიერთ პლასტმასის ღებულს, ხის სურნელს აძლევს, „რენო“ კი სათადარიგო ბორბლის შემადგენლობაში „მანელის“ სუნამოს არმატს უმატებს.

როგორ დავაღწიოთ თავი ცბიერი კომერსანტების ხრიკებს, რომელიც გვაიძულებს ჩვენი ნების გარეშე, თითქმის ქვეცნობიერ დონეზე შევიძინოთ საჭინელი? მართლაც აირწინაღობით ზომ არ უნდა ვიართოთ საყიდლებზე?

# აზიზური რუკა

სივრცეში მამაკაცები ქალებზე უკეთ ორიენტირებენ – მათ ამისათვის ტვინის მარჯვენა ნახევარსფეროში განსაკუთრებული უბანი აქვთ. ქალებს ასეთი სპეცუბანი არ გააჩნიათ: სივრცით ორიენტაციაზე ორივე ნახევარსფეროა პასუხისმგებელი. აქედან მოდის ყველა პრობლემა. სუსტი სქესის დასახმარებლად შეიქმნა სპეციალური ორგვერდიანი რუკა. ერთ გვერდზე

მოცემულია სტანდარტული გამოსახულება: ჩრდილოეთი, ჩვეულებისამებრ, ზევითაა. მეორე გვერდზე – გამოსახულება ამობრუნებულია: ზევით სამხრეთია (სამხრეთისკენ მოგზაურთათვის). BMW-ს საავტომობილო კომპანიამ პირველმა ჩართო ატიპური რუკა თავის სანავიგაციო სისტემაში. ქალები აღტაცებულნი არიან.

# სხვადასხვა



## გავხლეთ ღვინის მეშვეობით

გერმანიის ღვინის აკადემიის მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ღვინის მეშვეობით შესაძლებელია გავხლოვდეთ. მათ ჩაატარეს ექსპერიმენტი 40 კაცის მონაწილეობით, რომელთა წონა სერიოზულად აჭარბებდა ნორმას. გამოსაცდელთა ნახევარი იცავდა ღვინის და სვამდა წველებს, მეორე ნახევარს წვენი ნაწილობრივ შეუცვალეს ღვინით (200 გრამამდე დღეში). ადამიანებმა, რომელთა მენიუშიც წვენები შედიოდა, წონაში დაიკლეს საშუალოდ 8,3 გირვანქა (საშ. წონა 409,5 გ), მაშინ, როდესაც თეთრი ღვინის მოხმარებლებმა 10 გირვანქაზე მეტი დაიკლეს. ამასთან, საყურადღებოა ისიც, რომ თეთრი ღვინის ზომიერად მოხმარება ზიანს არ აყენებს ჯანმრთელობას – არ მოქმედებს უარყოფითად ღვიძლზე.

## მაცივართა მძევლებისათვის

ამერიკელი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი პროდუქტის მიმართ შესაძლებელია, განვითარდეს ნარკოტიკული დამოკიდებულების მსგავსი შეჩვევა. ერთ-ერთ ასეთ პროდუქტს წარმოადგენს ყველი.

იგი შეიცავს ბევრ კაზეინს – ცილას, რომლის დაშლის დროსაც გამოიშვება ოპიუმური ნივთიერება. იგი თავისი შემადგენლობით ძალიან ჰგავს მორფიუმს. ამიტომ დროთა განმავლობაში ადამიანი მაცივრის ტყვე ხდება. ამერიკელმა ექიმებმა შეიძულებულყვნენ სამკვირიანი დიეტა და ცხოვრების წესის პროგრამა, რომელიც მსუქან ადამიანებს დაეხმარება, გამოეთხოვონ კვებით ნარკოტიკებს.

## მზე ბუტერბროდის ნაცვლად

უკვე შვიდი წელია, მყარი საკვები არ მიუღია კალკუტის მცხოვრებს, რომელიც 65 წლისაა და მზის ენერჯით იკვებება. ყოფილი ინჟინერ-მექანიკოსი დარწმუნებულია, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი ორგანიზმის მოთხოვნილებანი საკმაოდ იოლად შეცვალონ – საჭიროა უმზიროთ მზეს განთიადზე ან მზის ჩასვლისას. ამ დროს უნდა იყოთ ფეხშიშველი და იდგეთ მიწაზე. თავის ტვინი იწყებს თავისი აუტოქმედებელი რესურსების გამოყენებას და კვებავს ორგანიზმს. მზის ენერჯია ადამიანს კურნავს არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ სხვადასხვა ფსიქიკური სნეულებებისაგან. ამ ფენომენს, უკვე მესამე წელია, სწავლობს ინდოელ ექიმთა ჯგუფი, ცოტა ხნის წინ კი მათ ამერიკული კოსმოსური სააგენტოს სპეციალისტებიც შეუერთდნენ.

## კბილების და თმის გაზრდა შესაძლებელი იქნება

მომავალში შესაძლებელი იქნება, რომ ადამიანებს დაეუბრუნოთ დაკარგული კბილები და თმა – ამტკიცებს ფრანგ და ინგლისელ მეცნიერთა ჯგუფი, რომელთაც შეძლეს გაეზარდათ კბილებიანი ქათმები. ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც მკვლევარებმა გაააქტიურეს სპეციალური გენი, რომელიც კბილების ზრდაზე პასუხისმგებელი და რომელიც „თვლებდა“ ფრინველთა ორგანიზმში 70 მილიონი წლის განმავლობაში – მას შემდეგ, რაც

გადაშენდა უკანასკნელი კბილებიანი ფრთოსანი – არქეოპტერიქსი. კვლევის შემდგომი ეტაპი იქნება ამ გენის აქტივიზაცია ადამიანებში, ხოლო შემდგომ გაააქტიურებენ თმის ზრდაზე პასუხისმგებელ გენს.

## სიგარეტის მოწევა გენებში გვქონია

სიგარეტისადმი ლტოლვა გარკვეული გენით, უფრო სწორად მისი სამი სახესხვაობით ყოფილა განსაზღვრული. სიგარეტზე დამოკიდებულების ჭეშმარიტი მიზეზის ძიებისას იაპონელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს ორი ჯგუფის ადამიანთა დნმ. პირველ ჯგუფში შედიოდნენ მწველები ან ისინი, ვინც სიგარეტი გადააგდო, ხოლო მეორეში – ცხოვრების ჯანსაღი წესის მომხრენი.

გენეტიკური სტრუქტურების შედარებამ აჩვენა, რომ მწველებს აქვთ სპეციფიკური გენი – CYP2A6, რომელიც სამი სხვადასხვა სახით გვხვდება. იმის მიხედვით, თუ გენის რომელი მოდიფიკაცია აქვს ადამიანს, უვითარდება მეტ-ნაკლები ლტოლვა მოწვევისადმი. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ აღმოჩენა შეიძლება გამოყენებულ იქნას „გენეტიკურად“ სიგარეტის მოყვარულთა თამბაქოზე დამოკიდებულებისაგან გადასარჩენად.

## რა ფერისაა ბგერა?

ინგლისელი ჯეიმს უონერტონი ცხოვრობს სახლში, რომელსაც კარტოფლის პიურეს სუნი აქვს, მის ძმისშვილს ირისის არომატი აქვს, ბებიას – შედედებული რძისა, ხოლო მეზობლის სუნი იოგურტისა და თაფლის კანფეტის ნარევის აგონებს. უონერტონი ყოველი ნათქვამი ან წაკითხული სიტყვის გემოს გრძნობს. ეს უჩვეულო შეგრძნებები მას განუვითარდა ნევროლოგიური გადახრის – სინესთეზიის გამო, რომელიც გარესამყაროს აღქმული გრძნობების კლომას წარმოადგენს. მსოფლიოში ეს პათოლოგია ყოველი ორი ათასიდან ერთ ადამიანს აქვს. უხშირესად სინესთეზია ფერის ფორმითაა გამოხატული: ანბანის ყოველი ასო ან ბგერა გარკვეულ ფერთან ასოცირდება. ითვლება, რომ დაავადება მეკვიდრულია და X ქრომოსომასთანაა შეჭიდული, რადგანაც იგი ორჯერ უფრო ხშირად გვხვდება ქალებში, ვიდრე მამაკაცებში. ლონდონის უნივერსიტეტის სპეციალისტები თვლიან, რომ თუ ფენომენი აიხსნება, ეს მნიშვნელოვანი წინსვლა იქნება ადამიანის ტვინის შესწავლის საქმეში.

**გაქვით სარკილი გამოიყურებოდით ლამაზად?!**

**გთავაზობთ!!!**

**ნონაში დაქალაქის კომპოზიციური მითოდით 5-დან 12კგ.-მდე უმოპოვებარი პარკითონა და ბიოპილის გარეშე.**

**თქვენ მიღებული შედეგები**

**საქართველოს სსრ-ის**

**ტელ.: 890-20-33-76**

**მისამართი: 76-66-04**

**ბ-მ. კონა**

### მინ პენი: „სხვაგვარად უნდა მთავიყვანო...“

ამერიკელმა კინომსახიობმა შონ პენმა, სან-სებასტიანის 51-ე კინოფესტივალზე გამოსვლისას განაცხადა, რომ მის თანამემამულეთაგან არავის აქვს უფლება, მას ანტიპატრიოტი უწოდოს. საქმე ეხება შარშან ოქტომბერში, გაზეთ The Washington Post-ში გამოქვეყნებულ პენის ღია წერილს ჯორჯ ბუშისადმი, სადაც მსახიობი მოუწოდებდა პრეზიდენტს, თავი შეეკავებინა ერაყის წინააღმდეგ ომისგან. დეკემბერში პენი ბალდადში გაემგზავრა, სადაც საავადმყოფოები და სკოლები მოინახულა. სწორედ ამის გამო უწოდეს მას კონგრესმენმა-რესპუბლიკელებმა ანტიპატრიოტი. კინომსახიობმა, რომელიც ამ გაზაფხულს, ვენეციის ფესტივალზე დაჯილდოვდა პრიზით მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის, აღნიშნა, რომ სხვაგვარად ვერ მოიქცეოდა, რადგან არა მარტო მსახიობი, არამედ უპირველესად – მამაა, რომელსაც სურს, რომ მისმა შვილებმა მშვიდობიან და უსაფრთხო მსოფლიოში იცხოვრონ.



### იტალიელმა პტინცმა თბანგი მსახიობი შეიტოვ ცოლად

32 წლის საგოიელი პრინცი, ემანუელ ფილიბერტოსა და 34 წლის ფრანგი მსახიობის, კლოტილდა კუროს ჯვრისწერა რომში სანტა-მარია-დელი-ანჯელის ტაძარში შედგა. ნეფე-დელოფალმა ერთმანეთს მარადიული სიყვარული შეჰფიცა და საიუველირო სახლის – „დამიანის“ პლატინის ბეჭდები გაცვალა. საქორწინო კაბა ვერ ფარავდა კლოტილდას მუცელს: იგი ფეხმძიმობის მეექვსე თვეში იმყოფება. საქორწინო ცერემონიის შემდეგ, წაიკითხეს რომის პაპის – იოანე-პავლე მეორის წერილი, რომელშიც პონტიფიკოსი ახალდაქორწინებულებს ბედნიერებასა და სიყვარულს უსურვებს. პრინცი ფილიბერტო, ვენეციელი ჰერცოგი – იტალიის უკანასკნელი მეფის, უმ-

### ბენე გოლუგაძე: „მიყვანს მბიჯიფი“



როგორც რენე ზელვეგერმა აღნიშნა, რომელიც „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ მეორე ნაწილში გადაღებას იწყებს, ის ახლა უფრო დარწმუნებულია იმაში, რომ კარგად გაართმევს თავს ამ როლს. ორი წლის წინ, როცა „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ გადაღებები დაიწყო, რენე ძალზე ნერვიულობდა, რადგან მას, ამერიკელს, ბრიტანელთა საყვარელი გმირი უნდა განესახიერებინა. მაგრამ ფილმს ოკეანის ორივე მხარეს ზედა წარმატება და ამ როლისთვის რენე „ოსკარის“ ნომინანტიც კი გახდა.

„ამჟამად, გაცილებით თავდაჯერებული ვარ, – აღნიშნა მსახიობმა. – პირველად, როცა ბრიტანეთში ჩავიდი, ინგლისელები მზად იყვნენ, გავეგლიჯე იმისათვის, რომ ამერიკელი მსახიობი, მათი საყვარელი გმირის განსახიერებას ვაპირებდი. კარგად მესმოდა, რომ მათ ამ როლში ბრიტანელი გოგონას ხილვა სურდათ, რადგან ბრიჯიტი – ახალგაზრდა საქმიანი ინგლისელი ქალის კვინტენსენცია გახლავთ. ვიმედოვნებ, რომ ჩემი ნამუშევრით დავანახე მათ, რომ რაღაც შემძლებია... მე მიყვარს ბრიჯიტი. ის ჩემთვის ძალზე ახლობელია. მასაც და მეც, შეყვარებულობის პერიოდში, წარმატებებიც გვქონია და მარცხიც.“



ბერტო მეორის შვილიშვილია, რომელიც „მისი აღმატებულების“ ტიტულსაც ატარებს. დღემდე, იგი ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული სასიძო გახლდათ. რომში მისი ქორწინების გაფორმება შესაძლებელი გახდა იტალიის პარლამენტის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი იმ შესწორების წყალობით, რომლის თანახმადაც, საგოიის დინასტიის მამაკაც შთამომავლებს, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი გადასახლების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნების უფლება მიეცათ. იტალიის სამეფო დინასტიის ნაშეერთა ოფიციალური დაბრუნება 15 მარტს მოხდა. მათ იტალიის მიწას პირველად ნეაპოლში დაადგეს ფეხი. 1946 წლის 5 ივნისს, სწორედ ამ ქალაქიდან გაემგზავრა გემი – „ჰერცოგი აბრუცი“, რომლის ბორტზეც მუსოლინის რეჟიმთან კავშირში დადანაშაულებული და გაძევებული სამეფო ოჯახი იმყოფებოდა.

### „თსკატის“ დაჯილდოების ცერემონიაზე მთავარი კულაუ მილი კტისცალი იქნება

კომედიური ჟანრის ცნობილი მსახიობი, ბილი კრისტალი თებერვალში, „ოსკარის“ გადაცემის რიგით 76-ე ცერემონიის წამყვანი იქნება. ამის შესახებ ორგანიზატორებმა – ამერიკის კინოაკადემიის წევრებმა განაცხადეს. მსოფლიო კინემატოგრაფში ყველაზე პრესტიჟული პრემიის ყოველწლიური ცერემონია ამჯერად, 29 თებერვალს, ლოს-ანჯელესში, კინოთეატრ „კოდაკში“ გაიმართება. 56 წლის ბილი კრისტალი, 1990 წლიდან მოყოლებული, უკვე 7-ჯერ მოგვევლინა წამყვანის როლში. სახელგანთქმულ კომიკოსს არაოფიციალური ტიტულიც კი არ გუხუნეს – „მისტერ ოსკარი“. მაგრამ წამყვანის მოვალეობით თავგაბეზრებულმა მსახიობმა, რომელსაც ამ აპლუსში ენამახვილობაც უნდა გამოიჩინოს და ამავე დროს, ზომიერებაც დაიცვას, რათა მაყურებელს თავი არ მოაბეზროს, თავდაპირველად კატეგორიული უარი განაცხადა შოუს გაძღოლაზე. ამის მიზეზად, მოუცლევლობას ასახელებდა, რადგან შოუსთვის მომზადება ბევრ დროს მოითხოვს და მის სამსახიობო საქმიანობას უშლის ხელს. შეგახსენებთ, რომ 2001 წლის ცერემონიას სტივ მარტინი უძღვებოდა, შარშან კი ეს პატივი უპი გოლდბერგს ერგო. ბოლოს დაემთ, რომ ახალი სეზონის „ოსკარის“ ნომინანტებს 27 იანვარს დაასახელებენ.

# ქვირის (6 – 12 ოქტომბერი)

# სსპროლოგიური პროგნოზი

## სსნტბი – 24/IX-23/X

**ქალი:** პარტნიორთა მოხიბვლის ყველა შანსი გაქვთ. ცხოვრებისეული რიტმის შეცვლასთან ერთად, სასიყვარულო თავგადასავლის დიდი სურვილიც გაგიჩნდებათ. ამ კვირაში, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფვით და მიზანსაც მიაღწევთ.

**მამაკაცი:** გადახედავთ წარსულს და გაგიჩნდებათ სურვილი, დაემშვიდობოთ მას. შეიმუშავეთ ახალი გეგმები და იაქტიურეთ, რათა შეცვალოთ ცხოვრების სტილი.

## ღბიანკალი – 24/X-22/XI

**ქალი:** თუ დაოჯახებული ხართ, მეუღლესთან თქვენს ურთიერთობაში რაღაც შეიცვლება. ეს განსაკუთრებით მანდილოსნებს ეხება. ჯობს, პრობლემებზე გულახდილად ესაუბროთ პარტნიორს.

**მამაკაცი:** საუკეთესო დროა სამსახურის გამოსაცვლელად. გამოიჩინეთ ყურადღება ახლობლების მიმართ – მათ თქვენი სიტბო ამ კვირაში, განსაკუთრებით სჭირდებათ. მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს.

## ვევიღონანი – 23/XI-21/XII

**ქალი:** ყველა პირობა გაქვთ საქმიანობაში წარმატების მისაღწევად. გამოიჩინეთ ცნობისმოყვარეობა ყოველივე იმის გამო, რაც თქვენ გარშემო ხდება.

**მამაკაცი:** ნუ გაირთულებთ ურთიერთობას პარტნიორებთან. თუ ეს გარდაუვალია, ჯობს, საბოლოო გადაწყვეტილება შემდეგ კვირას მიიღოთ. შეინარჩუნეთ ოპტიმიზმი და იმის რწმენა, რომ ყველაფერი კარგად იქნება.

## თხის რქა – 22/XII-20/I

**ქალი:** ამ კვირას, მძიმე შრომა მოგიწევთ, მაგრამ თქვენი გარჯა უშედეგოდ არ ჩაივლის. მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობების იმედი იქონიეთ. თუ კარგად მოიქცევით, პარასკევს დასაჩუქრდებით.

**მამაკაცი:** უარი თქვით მსუბუქ ფლირტზე და ბობოქარ ვნებებსაც ნუ აჰყვებით. ეცადეთ, სერიოზული და საქმიანი მამაკაცის იმიჯი შეინარჩუნოთ. ამ კვირას, მანდილოსნებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს მახეში თქვენი გაბმა, ამიტომ ფრთხილად იყავით!

## მერწყული – 21/I-19/II

**ქალი:** მიზნისკენ მოთმინებით სვლა გმართებთ. აჩქარებით შეიძლება, უხერხულ სიტუაციაში ჩაივლოთ თავი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ თქვენი მიზანი, ხელმძღვანელის მოხიბვლაა.

**მამაკაცი:** რა არის, ბოლოს და ბოლოს? არ მოგებზრდათ მხარ-თემოზე წოლა? აბა, წამოხტით და დატრიალდით! ამ კვირას, შეიძლება, ყველაზე ლამაზი სიზმარი აგიხდეთ. ასე რომ – გამოფხიზლდით!

## თევზები – 20/II-20/III

**ქალი:** ბევრი საკითხი თქვენი მონაწილეობის გარეშე, თქვენს სასარგებლოდ გადაწყდება. შეგიძლიათ დაისვენოთ, კვირის ბოლოს კი, მეგობრებთან ერთად დრო სასიამოვნო გარემოში გაატაროთ.

**მამაკაცი:** სამსახურშიც და სასიყვარულო ურთიერთობებშიც წარმატება გელოთ. ნუ დაკარგავთ კონტროლს საკუთარ თავზე, მაშინაც კი, როდესაც ძალზე კარგად გრძობთ თავს.

## მშვიდი – 21/III-20/IV

**ქალი:** ამ კვირაში, ყურადღება გაამახვილეთ საკუთარ ჯანმრთელობაზე. მოიწესრიგეთ კვების რეჟიმი, ივარჯიშეთ – თქვენ ეს ნამდვილად გჭირდებათ. კარგი იქნება, თუ სილაამაზის სალონშიც შეივლით.

**მამაკაცი:** ეცადეთ, მაქსიმალურად გამოავლინოთ მთელი თქვენი ცოდნა და პროფესიონალიზმი. ეს ხელმძღვანელებისთვის შეუძნელებელი არ დარჩება და შედეგსაც მალე მიიღებთ.

## კბრი – 21/IV-21/V

**ქალი:** კარგად დააკვირდით იმ ადამიანის ქცევას, რომელიც სიყვარულს გეფიცებათ. შეგიძლიათ უპასუხოთ კითხვას – რა უნდა მას თქვენგან?... ნუ იქნებით ზედმეტად მიმნდობი და გულუბრყვილო.

**მამაკაცი:** დინჯად აწონ-დაწონეთ ყველაფერი და რეალურად შეაფასეთ მოვლენები. ნშირად, ადამიანებს სასურველი, სინამდვილედ ეჩვენებათ. კარგად დაფიქრდით, სანამ ფულის გასესხებას გადაწყვეტთ. მთელი თქვენი გამჭრიახობა უნდა გამოავლინოთ, რომ სამსახურში და პირად ცხოვრებაში პრობლემები არ შეექმნათ.

## მარტოხი – 22/V-21/VI

**ქალი:** საუკეთესო დროა წარსულის შეცდომების გასაანალიზებლად. განვილი დღეებზე გული ნუ დაგწყდებათ. ცხოვრება გრძელდება და მრავალ სასიამოვნო სიურპრიზსაც გიმზადებთ.

**მამაკაცი:** თქვენ მიმართ განსაკუთრებულ ყურადღებას გამოიჩინენ, მაგრამ ამის გამო თავს ნუ დაკარგავთ. ეცადეთ, მზრუნველობა გამოიჩინოთ უპირველესად მით მიმართ, ვისაც თქვენი ბედი ნამდვილად აღელვებს.

## ბირთვი – 22/VI-22/VII

**ქალი:** აუცილებელი არ არის, ყველას გადაუშალოთ გული. თქვენი ახალი გატაცების შესახებ ღიად ლაპარაკს არ გირჩევთ. ამ კვირას გაცნობილ მამაკაცთან ურთიერთობის ხანგრძლივობა იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენ ხანს შეგიძლიათ ენაზე კბილის დაჭერა.

**მამაკაცი:** ამ დღეებში მიღებულმა, ნაჩქარევმა გადაწყვეტილებამ შეიძლება, უსიამოვნო სიტუაციაში გაგხვიოთ, განსაკუთრებით, თუ ეს გადაწყვეტილება თქვენს საქმიანობასთანაა დაკავშირებული.

## ლიბი – 23/VII-23/VIII


**ქალი:** გირჩევთ, მეტი დრო დაუთმოთ ოჯახის წევრებს და მათი რჩევებიც გაითვალისწინოთ. ამ კვირაში, ბევრი სასიხარულო ამბის შეტყობა მოგიწევთ. სიყვარულში გიმართლებთ.

**მამაკაცი:** ფრთხილად იყავით – შეიძლება, ინტრიგაში გაგხვიონ. პასუხისმგებლობით მოეკიდეთ სამსახურებრივ მოვალეობებს. ემოციურად საკმაოდ დატვირთული კვირა გელოთ, ამიტომ ეცადეთ, გააკონტროლოთ ემოციები.

## ქალწული – 24/VIII-23/IX

**ქალი:** ამ კვირას მოსალოდნელ ცვლილებებს საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამთ – არადა, ეს ცვლილებები თქვენთვის სასიკეთო იქნება.

**მამაკაცი:** ნუ ინერვიულებთ ისეთ რამეზე, რისი შეცვლაც თქვენს ძალებს აღემატება. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას, მოერიდეთ ისეთ თემებზე საუბარს, რომელიც წინასწარ იცით, რომ კონფლიქტამდე მივიყვანთ.



მიგელ დე სერვანტეს ...		შოკოლადის ხე			მეფეების მიერ ბოძებული წოდება	ნაპოლეონის მარცხის ადგილი ბუღვამა	ლინისძობა მოხმარების მხედვის მხინთ	მდინარე გერმანიაში	
						მეორე რიგი ვიცე-აღმართი გახდა			
		რომის პროვინცია თანატოლოვ რუმინეთში				მსახობი ფილმიდან „ფრანგი მეკავშირე“			
	პალმის ნაყოფი	ნოტი							
				მსუბუქი კომედია სახელად კუპლებით					ტიბეტელი მღვდელი
						„ვაზ-2121“	ლიტერატურული ნაწარმოების ნაწილი		
	კორეული ავტომობილი	ტორედორის სპექტაკლი	კაზინოების ქალაქი აშშ-ში					პრესტიჟული სანთებელი	გერმანელი ფიზიკოსი
		მოდური მწვანე ძვირფასი ქვა						ბულგარეთის რომანებზე შექმნილი ფილმი	ერთ-ერთი SPICE GIRLS-იდან
						თავადი ძველ რუსეთში			
			იაპონური კორპორაცია					მოსამართლე ესპანეთში	
გერმანული ექსპლუატა				მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი 1999წ.	ფილმი ულსმითი მთავარ როლში			ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი	
ბამბის თეთრი ქსოვილი									
დაზიანებული ხელსაწყოების შეკეთება	თაფლი-განი, შხამიანი მცენარე	აზროვნების ორგანო		მედიკალიზაცია				სითხის საზომი ერთეული	
მზის ღმერთი ძველ ეგვიპტეში								„სევილიელი დღა-ქა“ (კომპოზიტორი)	
სახელმწიფოს „სიმღერა“			ფრანგი იმპრესიონისტი						
				თვალის გუბა	<b>შეადგინა რამაზ ალანია</b>				



29-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტექსტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ა.

# გაგორენი ადამიანის მოსხვეპი გაგონათქაფი



## მკაცრი კრიტიკოსი

ერთი კრიტიკოსი ალექსანდრე დიუმას რომანში მის ერთ-ერთ გამოთქმას აკრიტიკებდა:

— რა არის მტკივნეული სიცარიელე, როგორ შეიძლება ცარიელი საგნის ტკივილი?

დიუმამ მიუგო:

— განა თავი არასოდეს გტკივებიათ?

## რესტორანში

ერთხელ, ალექსანდრე დიუმა გერმანიის პატარა ქალაქს ეწვია. იმ დღეს, წვიმიანი ამინდი იყო. სადილობისას რესტორანში შევიდა. სოკო უნდოდა ეჭამა და რადგან გერმანული ენა არ იცოდა, ოფიციატს შეკვეთილი საჭმელი ქალაქზე დაუხატა, ორიოდე წუთში ოფიციატმა ქოლგა მოუტანა.

## სასამოვნო განცდა

მეჩვიდმეტე საუკუნის გამოჩენილი ჰოლანდიელი ფილოსოფოსი ბენედიქტ სპინოზა ხშირად თამაშობდა ჭადრაკს თავისი სახლის პატრონთან. ერთხელ, სახლის პატრონი შეეკითხა:

— ეს როგორაა, როდესაც ვაგებ, ყოველთვის ვღელავ, თქვენ კი თქვენს წაგებას აინუნშიც არ ავღებთ. განა ასე გულგრილად ეკიდებით თამაშს?

— სრულებითაც არა, მიუგო სპინოზამ, — მაგრამ ჩვენში რომელმაც არ უნდა წააგოს, მაინც მეფე შამათდება, რაც რესპუბლიკელის გულს მიხარებს.

## უფრო იაფად

ერთმა გამომცემელმა ვოლტერს მისწერა: „გამოსაცემად მომიტანეს თქვენზე შეთხზული უამრავი სკანდალური ანეკდოტი. არ გამოვცემ, თუ ათას ლუიდორს გამომიგზავნი“.

ვოლტერმა საპასუხო წერილი გაუგზავნა: „მეც მაქვს ჩემზე რამდენიმე სკანდალური ანეკდოტი, რომელსაც სიამოვნებით გამოგიგზავნი თორმცდათ ლუიდორად“.

## არსებითი შეცვლა

ერთმა მუსიკოსმა თავის „შთამაგონებელსა და მაგალითის მიმცემ“ კომპოზიტორ ჯაკომო მაიერბერს სიმფონია მიუძღვნა, გაუგზავნა და თან მისწერა, — მზად ვარ საჭიროების შემთხვევაში ზოგიერთი რამ შევცვალო.

ჯაკომო მაიერბერმა ავტორს ნაწარმოები უკანვე დაუბრუნა და სთხოვა: „გეთაყვა, მიძღვნა შეცვალეთ“.

## თანააღზრდილები

ერთხელ, ნასრედინ შაჰი სანადიროდ წავიდა. თან კარისკაცები და თავისი მასხარა ქერიმიც გაიყვალა.

მივიდნენ თუ არა დანიშნულ ადგილას, შაჰი კარავში შევიდა მოსასვენებლად. უცებ სულ ახლოდან ვირის საშინელი ყროყინი მოისმა, შაჰი შეკრთა.

— რამ შეგაშინათ! — ჰკითხა გაკვირვებით მასხარამ და თან კარისკაცებზე მიუთითა. — თქვენ ხომ ვირებს შორის გაიზარდეთ!

## სწორედ ისინი...

ცნობილმა გერმანელმა ბუნების მკვლევარმა და ფილოსოფოსმა ერნსტ ჰაეკელმა ერთი მეცნიერული დისკუსიის შემდეგ თქვა:

„მეტად საოცარია, რომ ხშირ შემთხვევაში მაიმუნიდან წარმოშობის იდეას სწორედ ის პროფესორები უარყოფენ, რომელთა ტვინის განვითარებაც მისას ოდნავ სცილდება“.

## ნამწყემსარი მხატვარი

ცნობილი გერმანელი მხატვარი ვილჰელმ ლაიბლი ერთ-ერთ ზეიშზე, სუფრასთან წარჩინებული ბატონის გვერდით მოხვდა.

— ამბობენ, ბატონო ვილჰელმ, რომ თქვენ მძიმე ახალგაზრდობა გაქვთ გავლილი.

- რას გულისხმობთ?
- აი, მწყემსი რომ იყავით...
- ეგ სწორია, მაგრამ რა შუაშია აქ მძიმე ახალგაზრდობა?
- მაინც, რაც არ უნდა იყოს, ცხვრებს მწყემსავლით.
- აჰა, თქვენ ასე ფიქრობთ? — მიუგო მხატვარმა, — მაშ, იცით თუ არა, რომ ამ საქმემ სარგებლობა მომიტანა?! მას შემდეგ პირველი შეხვედვისთანავე შევიცნობ ხოლმე ცხვრის თავს.

# ანეკდოტები

\*\*\*



— მობრძანდით, მობრძანდით... აი, ვსხედვართ, ვჭამთ, ვსვამთ, მუსიკას ვუსმენთ... დაბრძანდით, თქვენც მოუსმინეთ მუსიკას...

\*\*\*

ახალგაზრდა ქალი ჩვილით ხელში სამშობიაროდან გამოდის. მელდა ეკითხება:

- მოიფიქრეთ ბავშვს რას არქმევთ?
- არა, ჯერ არც სახელი და არც მამის სახელი არ მომიფიქრებია.



\*\*\*

მიხომ, რომელიც ადრე სახანძროში მუშაობდა, კონსერვატორიაში ჩაბარება გადაწყვიტა. გამოცდაზე პროფესორმა ამრეზით აათვალიერა-ჩაათვალიერა და ეკითხება:

- თუ იცით, რა განსხვავებაა ვილინოსა და როიალს შორის?
- როიალი უფრო ღიბხანს იწვის, — უპასუხა მიხომ.

\*\*\*

დელა ქალიშვილს:

- გიკრძალავ შინ ასე გვიან დაბრუნებას! ჯერ მხოლოდ 17 წლის ხარ, მე შენს ასაკში...
- ვიცი, ვიცი, შინ იჯექი, იმიტომ რომ მე უკვე 5 თვის ვიყავი.





# როგორია თქვენი შესაფერისი იდეალური მამაკაცი?

1) თქვენი აზრით, რით შეგიძლიათ მამაკაცის მოხიზვლა?

- ა) ლამაზი აღნაგობით - 3;
- ბ) შარბით - 1;
- გ) ინტელიგენტურობით - 5.

2) ქალი შეიძლება რამდენჯერმე გათხოვდეს, მაგრამ იდეალურ მამაკაცს მაინც ვერ შეხვდეს; თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?

- ა) ამ შემთხვევაში, ქალი შინაგანად არასრულყოფილია - 1;
- ბ) ალბათ ყოველთვის, შეუფერებელ მამაკაცს ირჩევს - 2;
- გ) მამაკაცები მასში მხოლოდ გასართობს ხედავენ - 5.

3) რომელ სფეროში ისურვებდით საყვარელ მამაკაცთან ერთობლივ საქმიანობას?

- ა) შოუბიზნესში - 3;
- ბ) მეცნიერებაში - 5;
- გ) პოლიტიკაში - 1.

4) თქვენი აზრით, რას ფიქრობს ქალი ქორწილისწინა საღამოს?

- ა) „იმედი მაქვს, ჩემი საქმრო არ გადაიფიქრებს“ - 3;
- ბ) „რატომ ვნერვიულობ? ეს ხომ ჩემი მესამე ქორწინებაა!“ - 5;
- გ) „მეონი, წონაში მოვიმატე, ნეტავ, საქორწილო კაბა მომიხდება?“ - 1.

5) თქვენი აზრით, რა არის ის, რასაც იდეალური მამაკაცი საწოლშიც არ უნდა შეეღიოს?

- ა) წინდები: ხომ შეიძლება ის ღამით გაცივდეს?! - 1;

ბ) ტრუსი, რადგან იდეალურ მამაკაცს შიშველს არ უნდა ეძინოს - 3;

გ) საათი, რათა ყოველთვის შეძლოს დროის გაკონტროლება - 5.

6) რა ცხოველად ან ფრინველად წარმოიდგენდით თქვენს იდეალურ მამაკაცს ეროტიკული ოცნებების დროს?

- ა) ნადირთა მეფედ - ლომად - 3;
- ბ) ის ულაყი უნდა იყოს, თქვენ კი - მათრახით შეიარაღებული მომთვინიერებელი - 1;
- გ) ის გელი უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება მაღლა აიჭრას ცაში - 5.

7) როგორ მოიქცევით, თუ გაიგებთ, რომ თქვენი საყვარელი მამაკაცი ბანკის გაქურდვისას დააკავეს?

- ა) უსაყვედურებთ, რომ ეს ყველაფერი უთქვენოდ დაგეგმა - ამ საქმეს ერთად წარმატებით გაართმევდით თავს - 1;
- ბ) ინახულებთ ციხეში და მაშინვე ჰკითხავთ - ხომ არ მოასწრო სადმე ფულის გადახდა - 5;
- გ) ბოლომდე დარწმუნებული იქნებით, რომ ეს რაღაც გაუგებრობაა - 3.

8) წარმოიდგინეთ, რომ შეგიძლიათ, სიკვდილის შემდეგ, რომელიმე ხედ იქცეთ; რომელ ხედ ისურვებდით გადაქცევას?

- ა) ვაშლის - 1;
- ბ) მუხის - 3;
- გ) მარადმწვანე ნაძვის - 5.

9) როგორ მოიქცევით, თუ საყვარელმა მამაკაცმა გრიპი შეგყარათ და ამის გამო, ერთი



კვირა ვერ დგებით საწოლიდან?

- ა) გეცოდებათ იგი, რადგან იცით, რომ სინდისის ქენჯნა ძალიან აწუხებს - 1;
- ბ) საყვედურებით აავსებთ - 3;
- გ) დაურეკავთ და ეტყვით, რომ მოგიტანოთ ბევრი წამალი და დაგეხმაროს სწრაფად გამოჯანმრთელებაში - 5.

10) როგორ მოიქცევით, თუ საყვარელ ადამიანთან ქორწილამდე ერთი კვირით ადრე, მოულოდნელად გაიცნობთ უცხოელ მილიონერს, რომელიც ყველაფრის მიტოვებას გირჩევთ და გულს და ხელს შემოგთავაზებთ?

- ა) აუცილებლად გაჰყვებით - 5;
- ბ) ბევრს ინერვიულებთ, მაგრამ მის წინადადებას მაინც არ მიიღებთ - 3;
- გ) საყვარელი ადამიანის ღალატს გულშიც არ გაივლებთ - 1.

## დააჯავიეთ ქულები

10-24: თქვენ ისეთი მამაკაცი გჭირდებათ, რომელსაც პატარა ბავშვივით მუდამ თქვენი მზრუნველობა სჭირდება. იდეალურ მამაკაცად ის მიგაჩნიათ, ვინც ყურადღებით უსმენს თქვენს რჩევებს, ულაპარაკოდ გენდობათ და საკუთარ პრობლემებს ზედმეტად არ გახვევთ თავზე. ფიქრობთ, რომ მამაკაცი აუცილებლად ჭკვიანი უნდა იყოს, თუმცა მიგაჩნიათ, რომ გადამწყვეტ მომენტში, საბოლოო სიტყვა თქვენ უნდა გეკუთვნოდეთ.

25-39: თქვენთვის იდეალური მამაკაცი ისაა, რომლის ძლიერ მხარზე დაყრდნობასაც შეიძლება და თავს იმედიანად იგრძნობთ. უმეტესად ისეთ მამაკაცებს მოსწონხართ, რომლებიც საკუთარ უპირატესობას არავითარ შემთხვევაში

არ დათმობენ. ფრთხილად იყავით — შეიძლება, დესპოტის ხელში აღმოჩნდეთ. მარტოობის შიშით შეპყრობილი, საკუთარ ინტერესებსა და მოთხოვნებს ნუ შეეღვივით და ნუ დაკარგავთ ინდივიდუალობას.

40-50: თქვენი იდეალი აუცილებლად თანამედროვე, მოწინავე აზროვნების, ძალზე წარმატებული და ცნობილი უნდა იყოს, თუმცა, ასეთები ბევრი არ არიან და შეიძლება, იდეალის პოვნა ცოტა გაგიჭირდეთ კიდეც. ამიტომ, უარი თქვით საკუთარი შესუბრალების ნაწილზე და უბრალოდ, ჭკვიან, განათლებულ, ინტელიგენტ მამაკაცთან კავშირს დასჯერდით. ასეთის პოვნა თქვენაირ ქალს ნამდვილად არ გაუჭირდება.

### გადაშენებული ცხოველი ეუბაში ცოცხალი იპოვეს

ეუბაში აღმოაჩინეს უნიკალური ცხოველი – almiqai, რომელიც დიდი ხნის გადაშენებული ეგნათ. ეს მოძრო ზომის, სასაცილო, გრძელხორთუმიანი მწერიჭამიაა. მამალი almiqai ნაპოვნი იქნა კუბის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ადგილს მის საშობლოდ მიიჩნევენ. მეცნიერებს იმედი გაუჩნდათ, რომ ამის შედეგად, აღნიშნული სახეობა მთლიანად არ გადაშენდება. ეს ერთი ბუწო არსება მჩვენსა და ჭიანჭველაჭამიას მოგაგონებთ, ყველაფერი ბუწვი და გრძელი ხორთუმი და ვარდისფერი ნისკარტი აქვს. სიგრძეში ის 50 სმ-ს აღწევს. almiqai დამის ცხოველია. დღისით, ჩვეულებრივ, სოროში იმალება, ხოლო მზის ჩასვლის შემდეგ, ზედაპირზე ამოდის და მწერებზე, მატლებსა და ჭიანჭველებზე ნადირობს. მამალ almiqai-ს, მისი აღმოჩენი ფერმერის პატივსაცემად, alenjarito დაარქვეს. ვეტერინარებმა ცხოველი საგულდაგულოდ გასინჯეს და დაასკვნეს, რომ იგი სრულიად ჯანმრთელია. პატარა ნიშანი გაუკეთეს და იმ რაიონში გაუშვეს, სადაც აღმოაჩინეს. ამ სახეობის ცხოველი უკანასკნელი 30 წლის მანძილზე, სულ ორჯერ – 1972 წელს, გუანტანამოს აღმოსავლეთით, შემდეგ კი – 1999 წელს – პოლგანის პროვინციაში იპოვეს.



### მადონას ზღაპარი „ჰაი ჰოუსის“ 220 წიგნით ჩამოიჩა



გამომცემლობა Puffin-ის მონაცემებით, დიდ ბრიტანეთში მადონას ლიტერატურული ნაწარმოები – „ინგლისური ვარდები“ პირველივე კვირას, 10 ათასზე მეტი ეგზემპლარის ტირაჟით გაიყიდა. იგი საბავშვო ბესტსელერთა სიაში მეორე ადგილზე დგას და მხოლოდ 220 ეგზემპლარით ჩამორჩება „ჰარი პოტერს და ფენიქსის ბრძანებას“. მადონას წიგნი 15 სექტემბერს ერთდროულად 100 ქვეყანაში გამოვიდა. წიგნი 30 ენაზეა ნათარგმნი. როგორც გამომცემლობის წარმომადგენლები იუწყებიან, „ინგლისურმა ვარდებმა“ ყველა მილოდინს გადააჭარბა და არნახული სისწრაფით იყიდება. ვარსკვლავის მეორე წიგნი – „მისტერ პიბოლის ვამლები“ – წლეულს ნოემბერში გამოვა.

### მოდეი მეხდზე დამაბეხები, გასისხლიანებული მტყედით გამოიყვანეს პოდიუმზე

ლონდონში მაღალი მოდის მორიგი კვირეული დასრულდა. დიზაინერები ხუთი დღის მანძილზე ბრიტანული მოდის ინდუსტრიის ახალი ტენდენციების დემონსტრირებას ახდენდნენ. ლონდონური მოდის კვირეული ერთ-ერთი ახალბედაა მსგავს ღონისძიებათა შორის. 1994 წელს, იგი სულ რაღაც 15 ნამუშევრის ჩვენებით დაიწყო, მიმდინარე სეზონში კი, ეს მაჩვენებელი უკვე 50-მდე გაიზარდა. წლეულს ცნობილ დიზაინერებთან – პოლ სმიტსა და ჯულიან მაკდონალდსთან ერთად, ბევრი ახალი, მაგალითად – სახელგანთქმული, სენ-მარტინისის კოლეჯის კურსდამთავრებული ტყუპი დის – თამარ და ნატალია სურგულაძეების სახელებიც შეემატა. Tata-Naka უკვე მესამე წელია, რაც მაყურებელს თავიანთ კოლექციას სთავაზობენ. მათი ბოლო ნამუშევრები აღმოსავლური ბაზრის, მატისის ნატიურმორტებისა და ალმოლოვარის ფილმების სტილისტიკის შერწყმას წარმოადგენდა. ტრადიციულად საინტერესო კოლექციები დიზაინერთა დუეტებმა – „პრინმა“ და „ბუდიკამ“ წარმოადგინეს. როგორც პრესაში აღინიშნა, მაყურებელთა შორის სწორედ მათი ჩვენების დროს იმყოფებოდა სუპერმოდელი კლაუდია შიფერი.

კვირეულზე ყველაზე დიდი ფურორი არაორდინარულობით ცნობილმა პოლონელმა დიზაინერმა – არკადიუსმა მოახდინა. თავის ბოლო კოლექციაში – United States of Mind – მან თავისებური გადაწყვეტა მოუძებნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთდაპირისპირებას – ერთმანეთს შეუხამა ჯინსის ნაჭერი და არაბული ნაქარგები, ამერიკის დროშა და მუსულმანური ნახევარმთვარე ვარსკვლავით. ხოლო აღმოსავლური მაკიაჟი, თავისუფლების ქანდაკების გამოსახულებითა და დოლარებით იყო შესრულებული. არკადიუსის შოუს ჩვენება დაასრულა მოდელებმა, რომელსაც მკერდზე გასისხლიანებული მშვიდობის მტრების ფრთები ჰქონდა დამაგრებული და წითელი და თეთრი ბუმბულებისგან დამზადებული მღვიფით სრულდებოდა. სულ ბოლოს კი, დიზაინერი, სადამ ჰუსეინის სამოსელში – თეთრ ხალათსა და წარბებამდე შემოხვეულ თავსაბურავში გამოწყობილი წარდგა მაყურებლის წინაშე. მოდელების გარდა, არკადიუსი თეატრალურ კოსტიუმებსაც ქმნის. სწორედ ახლახან შეასრულა მან პლასიდო დომინგოს დაკვეთა მოცარტის „დონ ჟუანისთვის“.



### „ნასას“ ასტრონავტი შვილებს ეოსმოსიდან ხობოტის დახმავებით აღზღვის

„ნასას“ ასტრონავტი მაიკლ ფოული თავისი შვილების აღზრდას საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბორტიდან საოჯახო რობოტის მეშვეობით აპირებს. მან განაცხადა, რომ თავისი შვილების საყვარელი სათამაშოს – „აიბოსთვის“ სპეციალურ კომპიუტერულ პროგრამას შეადგენს და შინ ელექტრონული ფოსტით გაავზავნის. მაიკლ ფოული რუს კოლეგასთან, ალექსანდრ კალერისთან ერთად 18 ოქტომბერს ბაიკონურის კოსმოდრომიდან ნახევარი წლით მიემგზავრება მივლინებაში. „კომპიუტერული პროგრამების შედგენა გართობის მიზნით, ჯერ კიდევ 1997 წელს ორბიტალურ კომპლექსზე –

„Мир“ დაიწყო“, – აღნიშნა ფოულმა. რაც შეეხება მის ბოლო ჩანაფიქრს – ასტრონავტი პირობას იძლევა, რომ საოჯახო რობოტის წყალობით, კოსმოსიდან შვილებს თბილ სიტყვებსა და მამის ლოცვას გაუზავნის ხოლმე.

ფოულის მთელი ოჯახი – მეუღლე რონდა, 12 წლის ქალიშვილი ჯენა და 9 წლის ვაჟი იენი – ბაიკონურის კოსმოდრომზე ჩავლენ. „პირველად მიფრინავ რუსეთის ხომალდით – „Союз“, რომლის სტარტიც არასოდეს უნახავს ჩემს ოჯახს. გარდა ამისა, ბავშვებს შეეპირდი, რომ ცოცხალ აქლემს ვაჩვენებ“, – დასძინა ინტერვიუს ბოლოს ასტრონავტმა.

# ფოტოკუჩიოზები



N20(54) 2/X-15/X-2003

ოჯახის

# მეურნალო

საბავშვო

ფასი 70 ლ.

მთავარი თემა  
ტუბერკულოზი

ბ<sup>15</sup>/<sub>36</sub>

ვირუსული  
ჰეპატიტები

მსგავრობები

პატარა  
მედიკინა

თქვენი და

თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის